

K 6.855
3

ՀՅՅ. ԱռԵՎՈՒԹ

ԿՐԵՇՆԱՅ

Ճամասաքոնձ
• Տ. Թ. Ա. Տ.

199. 71-51



წევ ტოლეონი

195₀₃

267.

უ ჩ ა გ მ ა ს

46.899
3

რომანი სამ ნაწილად

თარგმანი პ. 060000000



1928 6.


არავა

0 9 0 8 0 6 0

სახელი	გვ. ნომერი
4998	8748



6/VIII—28. ପ୍ରୟ. ନଂ 1238.
ମିତାଦ୍ୱାରାଲୋଟି ନଂ 276,
ରୁହାରୀ 2000





მაშინ მოუხდა მას პეტრე და პრეზენტა: უფალო რაოდენ გზის შემცირების ძმ. მან ჩემიან, და მიღუმეთ მას? ყოფილ შეკვეთისამდევა? (საბ. მათ., თავი 18, მუხ. 21). პრეზენტა მას იქცა: არა გეტრექ შენ: ყოფილ შეკვეთისამდევა, არამედ ვიდრე სამეცნიერო-ათა-შეკვეთის. (იქვე, მუხ. 22).

ଏହା ଏହା ମିଳିବାଲ୍ପ ପୁଣିରୀଙ୍କ ମିଳିଦ୍ଵାରାରୀଙ୍କରେ ତୁମେବେଳା; କୋଣାର୍କ ଗାନ୍ଧର୍ଜିରୀରୁଲ୍ଲାଲ ଗୋ ପୁଣ୍ୟଲ୍ଲାଲ ରହାଏନ, କୁଠାର୍ଜ୍ଵା ମିଳିଦ୍ଵାରା ଲକ୍ଷଣ
(ସାଥ, ଲୋପାସି, ତାତ୍ତ୍ଵା 6, ପୃଷ୍ଠ. 40).

„ალდგომაში“ ალდგომა არ არის.

ტოლსტიო მხატვებით და ამზე დროს ცხოვრების მასწავლებელი, საზოგადოებრივ მტკიცებ ადგილების მკურნალი. როგორც მნიშვნელი ის დიდია, გენიალური, — როგორც მასწავლებელი, მცურნალი — ულონო და სუსტი. ტოლსტოი — ხელოვანი ქროი იმ იშვიათ აღამიანთაგანია, რომელებითაც ამაყობს და მუდამ იამაყებს კაცობრიობა. ტოლსტოი მოძღვარი, ფილოსოფოსი — ახალი სარწმუნოების დამაარსი — ერთი იმ მრავალთაგანია, რომლებიც სხვადასხვა ფრენით, სხვადასხვა სუბიექტიურა სურვილებით — ერთ ჩამეს აკეთებენ: ძეველ ქეყანას ამიგრებენ, ახალის დაბადებას, ზრდას და გამარჯვებას კი ხელს უშლიან. საამაყო, მორალისტ ტოლსტოიში კაცობრიობას არავერი აქვს და არც ექნება, პირიქით. ტოლსტოი პეტრი „ომისა და ზევის“, „ანა კარენინისი“ „აღდგომის“ სამართლიანად სდგას ხელოვნების იმ შევრცვალზე, რომლის სწორი უკავიათ მხოლოდ ერთეულთ: დანტეს, შექსპირს, პლშეინს, სერგანტესს, რუსთაველს. ტოლსტოი — ივტორი „ახალი სახალისის“, „აღსარების“, „ცხოვრების აზრის“, უკრიუკროვა სონატის“ — გაცილებით უფრო დაბლა სდგას, ვიდრე ლისტერი, კალვინი, იან გუსი და სხვა „რეფორმატორები“ — ქრისტიანულ ექლესიისა. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ტოლსტოის ფილოსოფია, ჩელიანი, მოძღვრება მოკლებულაა ლრმა აზრებს, ახალ აღმოჩენებს აზროვნების სფეროში, არამედ და უმთავრესად იმიტომ, რომ რეაქციონურია, კონსერვატორული ეს ფილოსოფია, ეს მისი ახალი მოძღვრება. და ეს მოუხდავად იმისა, რომ რესეტის ოფიციალურმა ეკლესიაშ ანათების მისცა იგი, განდევნა თვეის რიგებიდან; აბსოლიუტიში არ სწყალობდა ტოლსტოის მოძღვრებას: — მოუხდავად იმისა, რომ რეაქციონურია ყოველგვარი რელიგია, კონსერვატორულია ყოველ გვარი ღმერთის ძიება.

ერთის მხრიց შეატყიარი რევოლუციონერი, რომელიც თავისი რეალისტური კალმით გვიხატავს საშინელ სურათს პოლიტიკური და საწმუნოებრივ აღსოლიურიზმის კლანებში შემინავ რუსეთისა, უდიდეს აღმფოობას იწყებს არსებულ სინამდვილისადმი, ზონას და სიძულვილს ბადებს მისდამი; მეორე მხრიց — მორალისტი ვასტაცილე-



ბელი, ლეთის მაძიებელი და ქრისტიანობის საქმიანდ და სამართლებრივი ანად შელახულ შენობის შემცეცებელი, პოპულიარიზაციონი და მქა-
დაგი ქონის უფასოობულ შეხედულებათა: „მცუდება ლეთისა თვით
ჩვენშია“ და „ნუ ეწინააღმდეგებით ბოროტს“ — შემრიგებელი არსე-
ბულ სინამდვილესთან, პასივობის და უღონო ფატალიზმის ფილო-
სოფოსი — ასეთია ორგვარი სახე ტოლსტოისა: მხატვარისა და მოძ-
ლეარისა.

ლენინი ასე ახასიათებს ტოლსტოის ამ წინააღმდეგობებს თა-
ვის წერილში: „ტოლსტოი, როგორც სარკე რუსეთის რევოლუციის:“

„წინააღმდეგობანი ტოლსტოის ნაწერებში, მის მოძლეურებაში,
სწავლაში, სკოლაში ნამდგილათ რომ თვალში გეცემთ. ერთის
მხრივ გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვეპა არა მარტო რუსე-
თის ცხოვრების შეუძარებელი სურათები, არამედ პირველ ხარის-
ხოვანი ნაწერები მსოფლიო ლიტერატურისა, მეორე მხრივ — მემა-
მულე, ქრისტეს მორწმუნე. ერთის მხრივ შესანიშნავი თავის სიძლი-
ერით, უშუალო და გულრიფელი პროტესტით საზოგადოებრივ
მატყუარიბათა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ კი „ტა-
სტოველი“ — ე. ი. საქმიანდ გაცემითილი, ნერვებ აშლილი და ისტე-
რიულად ყველაფრის დამტირალი ადამიანი, რომელსაც საერთოდ
რუს ინტელიგენტს ეძაბინ და რომელიც გულში იცემს შუპებს და
გაყვირის: „ცუდი ვარ, სახისლარი, მაგრამ მორიალურ თვით - გაუმ-
ჯობესებაზე გმუშაობ და ა უკვე არ ესვიმ ხორცს და ვიკვიტები
მხოლოდ ბრინჯის კატლეტებით.“ ერთის მხრივ დაუზოგვევი კრიტიკა
კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, გამოიშეარავება მთავრობის ძალა-
დობათა, სახამართლოს და სახელმწიფო მთავროველობის კომედიისა,
დღის სინათლეშე გამოტანა იმ ღრმა წინააღმდეგობათა უფსერულის,
რომელიც თან ახლავს სიმდიდრის ზრდას და ცივილიზაციის მიხწე-
ვებს ერთის მხრივ და სიღარიბის, ჩამორჩენილობის და მუშაობა მასე-
ბის ტანჯე ჭვალების ზრდის — მეორე მხრივ; და ამავე დროს —
მქადაგი „ნუ ეპრედით ბოროტს“. ერთის მხრივ ნამდევილი ფხიშეული
რეალიზმი, ყოველგვარ და ყველაფერ ნიღაბების ამხსნელი, მეორე
მხრივ ქადაგობა ყველაზე უფრო საძავი და საზისლარ რამისა, რაც
კი არსებობს მთელ მსოფლიოში, სახელდობრი: სარწმუნოების სახა-
ზინო ხუცები შეესცალოთ მორალურ შეგნების ხუცებათ — ე. ი.
ქიდაგობა ყველაზე უფრო ფაქიზი და მაშასადამე ყველაზე უფრო
საზისლარი ცრუმორწმუნოებისა.“

ასე დაახასიათო ლენინშა ტოლსტოი და ამ ლაპასიათებაში არის
მოელი ტოლსტოი: გენიალური მხატვარი და რეაქციონერი მოძღვარი.

რომანი „აღდგომა“ დაწერილია ბაშინ, როდესაც ტოლსტიო
მორალისტი, ქრისტიანობის რეფორმატორი, ახალი ღმერთის მამიე-
ბელი — საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ამიტომაც არის, რომ „აღდგომა-
ში“ ასე სრულად ნახა გამოხატულება ტოლსტიოს ფილოსოფიაზე.
ტოლსტიოს არც ერთი სხვა ნაწარმოები (მხატვრული) არ არის ისე
დამტკმებული ავტორის რელიგიური ფილოსოფიით, როგორც ეს რო-
მინ. არც „ომისა და ზევშის“, არც „ანა კარენინაში“ და სხვა შეატ-
ვრულ ნაწერებში — არ გამოსცეიოს ისე გაბედულათ და აშეარით
მოძღვრება და მორალი, როგორც 70 წლიან ტოლსტიოს ამ რომან-
ში, ამიტომაც არის, რომ მხატვრულ ლირისტების მშროვ „აღდგომა“
აუკილებლივ უფრო დაბლა სდგას, კიდრე სხვა შედევრები ტოლსტი-
ოს კალიმისა, როგორც მაგ. „ომი და ზევი“, და „ანა კარენინა.“
რასაკირველია ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმის, რომ „აღდგომა“
საერთოდ დაბალი ლირისტის ნაწარმოებია, რასაკირველია არა. ჩვენ
მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ იგი უფრო დაბლა სდგას, როგორც
მხატვრული ნაწარმოები, კიდრე მსოფლიო ლიტერატურის შედევრები:
„ომი და ზევი“ და „ანა კარენინა.“ ამის დანაშაული საესებით
და სრულიად აწევს ტოლსტიო მორალისტს; საინტერესოა და ლირის
შესანიშნი, რომ იქ საღაც ტოლსტიო მხატვარი თავს აღწევს თავის
ანტიპოდ — ტოლსტიო მორალისტს — ასეთი აღვილები კი ბევრია
„აღდგომაში“ — განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი მისთვის ჩევ-
ული გენიალური სიმარტივით გვიხატავს მაშინდელი რუსეთის უოფა-
ცხოვრების კაშმარულ სურათებს — ასეთ მომენტებში — „აღდგომა“
აღწევს „ომისა და ზევის“ საეკეთესო იდგილების სიმაოლეს.

ରୂପଶ୍ରୀ ମନ୍ଦିରଗତିକାଳିବେ ॥ ଅମ୍ବଲାଙ୍ଘନମୀ ॥

მოკლეთ შისი შინაარსი, სიკუთხტი ასეოთა.



დიმიტრი ნებლიუდოვს შეუყვარდება კატიუშა მასლოვა. ნებქანის გარემონტი მდიდარი თავადია, მემამულე, ნაძლევილი „ბარჩეკი“. კატიუშა მასლოვა კი ნახევრათ მოსამსახურე, მემხანურ წრეებიდან გამოსული, უპატრონო და უსახლეარო ახალგაზრდა ქალი. სცხოვრობს იგი როგორც მოსამსახურე და აღრჩდილია ნებლიუდოვის ნათესავ ქალებთან, ასეთივე მემამულეებთან. იმ დროს, როდესაც კატიუშა პირველათ ნახევს და შეიყვარებს ნებლიუდოვს, ეს უკანასკნელი სტუმროთა კატიუშას ამღაზრდელებთან. იგი სტუმრნია, ახალგაზრდა, ჯერ კადევ გამოუცდელი „ცხოვრების საკითხებში“. მასაც მოხვდება ოფიციალური ლამაზი ახალგაზრდა ქალი. სიყვარულის გრძნობა თრიკეს შეიპყრობს. საინტერესოა, რომ არც ქალი და არც ვაჟი არ ფიქრობენ ხორციელ კავშირზე. უყვართ ერთმანეთი „სულიირი სიყვარულით“ და ასაში ნახულობენ უდიდეს ბეღნიერებას. რაოდენიმე ხნის შემდეგ დიმიტრი ნებლიუდოვი მიემგზავრება სწავლის დასამთავრებლად.

გაივლის ორი წელი და დიმიტრი ნებლიუდოვი, ახლა უკვე ბრწყინვალე ოფიციალი და ცხოვრებაში საქმიალ გამოცდილი — რაოდენიმე დღით შემოიარს თავისი ნათესავ ქელებთან. კატიუშა ისავე გრძნობებით ხვდება მას, მაგრამ დიმიტრის ებლა უკვე სხვა ინტერესებს: კატიუშას ლამაზი ტანი. და კიდევაც მიახწევს საწადელს. წასელის წინა დღით შეაცდენს კატიუშას და „სიტემოების საფასურით“ დაუტოვებს ას მანეთს. ამის შემდეგ გაივლის ათი წელი. ამ ხნის განმავლობაში კატიუშას ბედი ჩვეულებრივი გზით მიდის. „მიწუალე“ ქალბატონები გაიგებენ რა, რომ იგი უეხმიდიმეთა, სახლიდან დაითხოვენ. შემდეგ ჩვეულებრივი გენიალური სიმარტივით და სიძლიერით აღწერილი — ახალგაზრდა ქალის დაღუპეისა — პროსტიტუციის, ხორცით ვაჭრობის გზა, — ყველთელი ბილეთი, ღამე ორგიები და დღე კი ძილი და მოწყენა. ნებლიუდოვი და მისდამი სიყვარული დავიწყებულია.

აგრედები ჩვეულებრივ მიდის ნებლიუდოვის გზა. ბრწყინვალე თავადი, მდიდარი მემამულე, მესაკუთრე მრავალ ათას დესიატინა მიწისა, რომელსაც ამუშავებენ „თავისუფალი“ გლეხები, რომ ნებლიუდოვს თვეში რაოდენიმე ათასი მანეთი უგზავნონ — თვით კი შიშველ-ტიტველი იყვენ, ქეიფობა, ქალებში დროს ტარება, თეატრები, ფულების ფლანგება და ბოლოს ფიქრები იმაზე, რომ მთაწყოს თავის საკუთარი ოჯახი; საცოლეც არჩეულია — ქნიანი კორჩავინა. ამავე დროს მოწყენა, უინტერესობა ცხოვრებით. მობეზრდა ყველაფერი. ფულებს რაც შეეძლო ყველაფერი იყიდა და შეიძინა, იგემა

და გამოსცადა. მაგრამ მოსწყინდა უკვე ეს, ფულებით კი შეძლებორიცა ფერს იშოვდა.

კატიუშა მასლოვა, მისი დალუპეის ლამე, ასი მანეთი საჩუქარი, რომელიც მან ასეთი თავაზიანობით გაიღო ადამიანის მოელი ცხოვ-რების დალუპეის ფასად — ჟელაფერი ეს უკვე დავიწყებულია. ჩვეულებრივი „ბარინი,” ჩვეულებრივი ცხოვრება და ალბათ ჩვეულებრივი სიკედილიც. სხვისი შრომა და მისი განცხრომა. მაგრამ იმ ამ ჩვეულებრივი ცხოვრებაში უჩვეულო შემთხვევა შემოიტრება. ათი წლის შემდეგ მოხდა ეს. სრულიად შემთხვევით ნებლიუდოვი და მასლოვა კელავ ხელებიან ერთიანეთს სასამართლოს დარბაზში: ნებლიუდოვი-როგორც ნაფიცი მსაჯული, კატიუშა კი როგორც ბრალდებული. მასლოვას ბრალს სდებენ მასში, რომ მან მოწამლა ვიღიაც ვაჭარი. ნაფიცი მსაჯულთა დაუდევრობის და მოსამართლეთა ბიუროკრატის მის წყალობით სრულიათ უდანაშაულო მასლოვას კატორლაში გაგ-ზაენას მიუსჯიან.

ნებლიუდოვი თეით კარგათ ხედავს თუ როგორ უსამართლოთ ისჯება ოდესალაც მის ნიურ გაუპატიურებული მასლოვა.

მასში ილიონებს „ნამდევილი ადამიანი,” „სულიერი მე“ კეთი-ლის და სამართლიანობის მოყვარული პიროვნება. ის მიხედვება თუ როგორ უსამართლოთ დაისაჯა მასლოვას ქალი; იმასც გრძენობს, რომ პროსტიტუციის და ხორცით ვაჭრობის გზაზე სწორედ მან შეაუყნა იგი. სინდისის ქეჯნა მოსცენებას არ აძლევს მას და ისიც გადასწუვეტს როგორმე გაფაარჩინოს სასჯელს თავისი მსხვერპლი, ან და მასთან ერთად გაიზიაროს მისი ბედი. აქედას იწყება ნებლიუდოვის „აღდვაომა.“ ნებლიუდოვი სახელიანი კაცია, მდიდარიც, ნაკ-ნობები ბერი ყავს, პროტექტორის გაერთებაც შეუძლია. და იმ დადის ის სხვადასხვა უქეყნის ბატონ ბატრონებთან,“ ესენი არიან გუბერ-ნატორები, სენატორები, ცნობილი ადეოკატები, უფრო ხშირთ კი მათი ცოლები და მათი ცოლების მეგობარი ქალები. — სასჯელიდან ვერ იხსნის. მართლაც და გასაკვირი აშშავია. ბრწყინვალე თავადი პროსტიტუტების მფარველი! — მაგრამ კატორლას გადასხელებით შეუც-ვლიან. კატიუშას შემწეობით ნებლიუდოვი ეცნობა საბყრობილეთა მცხოვრებთ, იქ გამეფუბრულ ჩეირის, უსამართლოებას, უსინდისობას, ადამიანის დამკირებას და დაკინებას, დიდ კაცთა სულმოკლეობას, მექროამეობას, ბიუროკრატიზმს და ფეხზე მეტიაობას. მთელი საშინელი სახე დამონებულ და მონათ მფლობელ რუსეთისა მის წინ წარმოსადგება კომისარული სიმახიანჯით და წარმოუდგენელი სიაშეა-რავით. „კეთილშობილი“ ქინაში საბოლოოდ რწმუნდება არსებულ



მდგომარეობის საზოგადოურუებაში და უსამართლობაში, და გიდასწულების ჩატარების განვითარების და მისი განვითარების განვითარების მისამართლობაში. და გიდასწულების ჩატარების განვითარების და სამუდამოთ მოცილდეს ყოველივე მის, რაიც შეაღენდა დღევანდ-დლამდის მისი ყოველდღიურ კანოერების წყაროს და შინაარსს. მასლოვას უცხადებს, რომ თავისი წარსული ცოდვების „გამოსასყი-დათ“ მან გადასწუვიტა ცოლათ შეირთოს იგი და გაიზიაროს მისი ბეჭი, როგორიც არ უნდა იქნეს ის.

კატერიში მასლოვა, რომელსაც არ დავიწყნია არც საბედისწე-რო ლამე, არც ამ ლამის „საფასური“ — 100 მანეთი — უარზეა. ის კარგად ხედივს, რომ ნებლიუდოვი ამას სჩიდის არა იმიტომ, რომ უცვარს მასლოვა, არა მასლოვასათვის, არამედ თავისი საქუთარი თავისათვის, პირადი, ეგოისტურმა მონასტრებით: დაიხსნას, გადაარ-ჩინოს თავისი შინაგანი მე, თავისი სული. მოელი წარსული ცხოვ-რება ცოდვა იყო, არა ლეთისნიერი, არა ქრისტიანული იყო ეს ცხოვრება; — უნდა გამოსწორდეს იგი, ძეველი ცოდვები უნდა მონა-ნიერულ და გამოსყიდულ იქნეს. და ნებლიუდოვიც გადასწუვებს გამოისყიდოს ცოდვები ამ ადამიანის წინაშე, რომლის მიმართაც ის ჯერაბზედ უფრო გრძნობს დამნაშავედ თავს — კატერიში მოსლოვას წინაშე; კატერიშა ადგილს, რომ სხვა ვინმე იყოს — ის სწორედ ასე-ვე მოიქცეოდა, რადგან ის თავის ბეჭის უკავშირებს არა მასლოვას პიროვნებას, როგორც ასეთს, არამედ ადამიანს, რომლის წინაშეც ის დამნაშავეა. როგორც თვეის საქუთარ „სულზე“ მზრუნავი — ნებლიუ-დოვი მართალია, ის სწორულ ასე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ კატე-რიუზაც ასჯერ მართალია, როდესაც იგი ნებლიუდოვის ამ აგმირობას“ ამ გვარად უპასუხებს:

„წარი ჩემგან, მომშორდი! მე კატორელი ვარ, შენ კი თავა-დი... შენ ის ვინდა, რომ ჩემით გადაარჩინო, დაიხსნა საქუთარი თავი. ამ ქვეყნად ჩემით სტეპებოდი, ეხლა ისიც ვინდა, რომ იმ ქვეყნათაც ჩემით ცხონდე! მეზიზები, მეგაგები შენც და შენი სათ-ვალეები, და მოელი შენი ეს ჩასუებული, საზილარი სახე. წალი, წალი, მომშორდი აქედან!“

ნებლიუდოვი თავისის არ იშლის და კატერიშას გაყენება გადა-სახლებაში. რომანი თავდება მით, რომ ნებლიუდოვი თავისი „ალ-გომის“ პროცესს დაამთავრებს სახარებით: სახარებაში ნახავს ის ცხოვრების და არსებობის აზრს. თურმე საჭირო იყო მხოლოდ სახა-რების წაკითხვა, მისი გაგება და მიღება და ამ ქვეყნად ყოველივე თავის რიგშე — სიყვარულის და მიმბის — მოეწყობოდა.



ევტორი არას ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყის შეცდების და ნებლიუდოვის შეძლევი ცხოვრება, როგორი იყო კალვინის ნებლიუდოვის ცხოვრებას გზა, როგორ მოახერხა მან სახარების აძრების განხორციელება უოფლდოურ ცხოვრებაში. ამის შესახებ ევტორი ახალფერს ამბობს. ევტორისათვის ეს არც არის საინტერესო და მნიშვნელოვანი; საქმიანი ის, რომ მან გვაჩერება თუ რა უოფლა ცხოვრების აზრი, ადამიანის დანიშნულება; — დაგვიხატა ის, თუ როგორ მომდა თითქმის სრულიად დალუპულ ადამიანის „შევდრეთით ალდგომა“ — და გვეუბნება: ვისაც კი გსურთ იყოთ ბეჭნიერი ნამდვილი ბეჭნიერებით, გადაარჩინოთ ადამიანური „სული“, იცხოვროთ ამ ქვეყნად შექმნილ სამოთხეში მარადის, — ამ მოიქეცით ისე, როგორც მოიქცა დიმიტრი ნებლიუდოვი... იცხოვრეთ ისე, როგორც ამის გვასწავლის სახარება (მათე, თავი XVIII) და ცხოვრების საიდუმლო ასწილი იქნება თქვენთვის.

„ერებეთ ლეთის მუსუფება და სიმართლე მისი, დანარჩენი კი თავის თავიად მოვა; ჩვენ კი ევძებთ სწორედ ამ დანარჩენს და, ცხადია, უქი ენახულობთ მას.“⁴

რომანის უკანასკნელ გვერდზე ტოლსტოი სწერს: „შევდრეთით აღმდგარ“ ნებლიუდოვის განცდებზე და გრძნობებზე სახარების კითხვის დროს:

„შემდეგ იგი ჩააცერდა სანათურის სინათლეს და მიყუჩდა. მოაღონდა მთელი უწესრიგობა და უვარვისობა ჩვენი ცხოვრებისა და აშეარად წარმოუდგა ის, თუ როგორი იქნებოდა ეს ცხოვრება, რომ ადამიანების აღზრდა ხდებოდეს სახარების მიხედვით; და იყრძნო მისთვის უჩვეულო სიხარული და სიტებოება. თითქოს დიდი ხნის შრუხარებისა და ტანჯვების შემდეგ მოიპოვა უცებ სიშვილე და თავის-უფლება.

მთელი ლამე არ ეძინა და როგორც ეს ემართებათ ძალიან ბევრს მათ შორის, რომლებიც პირველიდე კითხულობენ სახარებას, კითხვის დროს მთელი თავისი მნიშვნელობით ესმოდა და გრძნობდა სიტყვებს; რომლებიც წანეთაც არა ერთხელ წაუკითხავს, მარა კერ შევმნერება. როგორც ლრებელი წყალს, ისე ისტურავდა ის ყოველივე საკიროს, მნიშვნელოვანს და სასიმოვნოს, რაიც კი იშლებოდა მის წინ წიგნში და უოველივე ის, რასაც კი კითხულობდა — თითქოს უმტკიცებდა, აგრძნობინებდა, უახლოებებდა იმას, რაიც მან დიდი ხანია იცოდა წინეთაც, მაგრამ არ ქონდა შეგნებული მთელი მისი მნიშვნელობით და არც სწამდა ის. ეხლა კი მან უკე საესპერი შეიგზო, ეს და კიდევაც იწამო ის. როდესაც წაიკითხა მათეს სახარების ის აღვილები, რომ-



ლებიც მას ყოველთვის წინეთაც რაღაც განსაკუთრებულს აგრძნიოდა ნებდა, მან ეხლა პირველათ დაინახა მათში,—არა შევენიერი და გან-
ყინებული აზრები, არამედ მარტივი, უძრალო, ნათელი და პრაქტი-
კული განსახორციელებული კანონები, რომლებიც, თუ კი მათ შე-
ვასრულებთ [რაიც სავსებით შესაძლო იყო] და მყარებდენ სრულიად
ახალ წყობილების ადამიანთა საზოგადოებაში, რომელშიცაც არამეტ თუ
ისპონდილი თავისთვალი ის, რაიც ასე აღელვებდა და აღშუოთვებდა
ნებლიუდოვს, არამედ ავრცელებ მისაღწევი ხდებოდა ის უმაღლესი და
უხევნესი, კაცობრიობისათვის ხელ მისაწდომი მაღლი — რომელსაც
ეწოდება „ლოთის მეუფება ამ ჭვეუნათ“.

აი სწორედ ამაში გამოიხატა ნებლიუდოვს აღდგომა. იყო
ადამიანი მდიდარი და ყოველივეს შემძლე, მაგრამ ცოდვებით და არა
რიგიან საქმეებით იყო აღსავს მისი ცხოვრება; ეს უკანასკნელიც
უფერული, უნიტერესო გამოდგა და უშინაარსო შეიქმნა მისთვის; და
მერმეთ შეიგნო მან სიწამეზრე და არარაობა ამ ცხოვრებისა, მოინა-
ნია ცოდვები ახალი ცხოვრების მიღებით. სახარებაში, ქრისტეს მო-
ძლერებაში ნახა ეს ახალი ცხოვრება და უკავი აღზდგა ახალ ადამია-
ნად; ცხოვრებაც საინტერესო და შინაარსიანი შეიქნა მისთვის. უ-
მედობა და მწუხარებაც გაქრენ ძევლ ცოდვილ ცხოვრებასთან ერთად.

ასე ფიტონბს ნებლიუდოვი, ასე ფიტონბს ტოლსტოი და კიდე-
ვაც გვეძახის აქეთვენ; იქმოვრეთ ისე, როგორც ამას გვასწავლის
ქრისტე—ტოლსტოის ში. ეს უბრლი—და სამოთხე ამ ჭვეუნადაც
მოეყიდობა. რომ თავად ნებლიუდოვის ცხოვრება იყო ყოველ მხრივ
საზიზი, ამაში ჩვენ ტოლსტოის სავსებით ვეთანხმებით. მაგრამ ჩვენ
ვერასოდეს ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ყველაფერი ეს მოისპო-
ბა თუ კი სახარების მოვკიდებთ ხელს და მისებრ ვიცხოვრებთ: — მო-
ისპობა მდიდარ-ლარიბნი; ბატონობა და მონობა, მექრთამეობა და
ქურდობა, ხორცით და სულით ვაკრობა; ერთი სიტუაცით მოისპობა
ცოველვარი ბოროტება და დამყარდება ქრისტეს მეუფება ამ ჭვეუ-
ნათ. ამაში ჩვენ ტოლსტოის, ცხადია და გასაგები, ვერ დავეთანხმე-
ბით. პირიქით: ტოლსტოის ეს სწოდება, მოძღვრება ლირისია ისეთი-
ვი სასტუკი შებრძოლების, როგორიათაც ებრძოდა რევოლუციის პარ-
ტია ძეველ რუსეთის წესწყობილებას: იმიტომ რომ ძეველი რუსეთის
პირმშო შეიღია ტოლსტოის ეს მოძღვრება და სწორედ ძეველი ქვეუ-
ნის საუდარი და ფუძეა ტოლსტოის წმინდება, რომ სახარების კით-
ხვით მოხდება კაცობრიობის განახლება და აღდგომა.

ტოლსტოის ფილოსოფია უაღრესათ ფატალისტური, ობიექ-
ტურათ რეაქციონისტი და მდგომარეობასთან შემჩიდებულია. არ არის

წამლებს იძლეოდა, რომ არარად ხდიდა მთელ თავის სურვილებს. კლისთა ბრძოლა მისთვის არ არსებობდა; სოციალიზმის—იმ სოციალიზმის, რომელიც ბოლოს შოულებს კერძო საკუთრების საერთოდ და არა მარტო მიწაზედ, ის არ ღებულობდა; პოლიტიკური ბრძოლა ხომ წინასწარე დაწერებული იყო მის მიერ, როგორც უდიდესი ცოდვა და დანაშაული, პოლიტიკურ ბრძოლას, ხომ თან იხდია სისხლის ლერა და სისხლი კი გმირუსყიდვი ბოროტება იყო ტოლსტოისათვის. ის არ უშევდა ანგარიშს იჩას, რომ სისხლი მაინც იღერებოდა, რომ ადამიანებს მაინც კლავდენ და შერე რომელ ადამიანებს? ერთი საამაყო შეიღებს. მისთვის დატარული იყო აუბსნელ საფარით უბრალო ჭრისათვის: სჯობს ერთის სიკედილი ათასების დალუპვას, სჯობს ერთეულები შეეწიროს მილიონების ბედნიერებას. ერთი წევთი ადამიანის სისხლისა მისთვის ფასდებოდა როგორც ზღვა სისხლი მრავალ მილიონებისა. მართლია—დედის ცრემლები შეილის დაკარგებები რომელი საზომით განიზომება? მაგრამ საყაფომით საშეების ვადაწვერის და მოგვარების დროს მარტო დედის ცრემლებიდან ხომ ვერ გამოვალთ. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ტოლსტოის მოძღვრება მხოლოდ სიტყვებით ამრიბს დედის თვალებშიც ცრემლებს, თორებ ფაქტიურიად კი იგი ვერაფერ საშუალებას იძლევა მათ მოსასობლად.

ტოლსტოი მხატვარი ობიექტურად უდიდესი რევოლუციონერი იყო, რაღაც უდიდესი სიძლიერით არყევდა ძველი ქვეყნის ფუძეს მისი მხატვარული კალამი. ტოლსტოის ნაწერები ეს დაკვეთილი სისხლი და ცრემლია რუსეთის ხალხის მიერ დაღვრილი აბსოლიუტიზმის ბატონობის დროს.

„აღდგომის“ საკუთხესო ადგილები სწორედ ის ფურცლებია, რომლებიც დაუზოგავე გაბედულობით და უშიშრობით ამხელენ ძეველი რუსეთის გაბატონებულ წრეთა განცხრომაში და გაბრწინილებაში ჩაფლულ ცხოვერებას. საჭიროა ადამიანში საბოლოოდ დაკარგოს სიმართლისა და პატიოსნებისადმი ყოველგვარი პატივისცემა, შევისა და თეოტის გრძელების უნარიანობა, უბრალო ადამიანური რიგიანობა და სიფაქიზე,— რომ წაიკითხოს „აღდგომა“ და არ იგრძნოს უსაზღვრო სიძულეები, ზიზხი და აღწევოთხება იმ წესწყობილებისა და საზოგადოებისადმი, რომელშიაც ხდება ყოველივე ეს. ყველა ეს მაღალ და დაბალ საფეხურებზე მოკალათებული ჩინონენიები და ბიუროკრატები, დაწერებული მინისტრებით და გათავებული საპყრობილეთა მეთვალყურეებით— დაუვიწყარი და უტყუარი ცოცხალი ნიშნები არიან მისი,

რომ დასაღუპია და დაიღუპება კიდეც ამათზე აშენებული სახელმწიფო და მისი მართვა-გამგეობა.

ტოლსტიო არ ხარბობს ფერებს, — რათა დაგვიხატოს ძეველი ქვეყნის სახაგი სახის ნამდევილი სურათი. გასაოცი სიღინჯით, უჩემდებო უბრალოებით და სიმარტივით, ვითომეც და ციფი გულით—გვიხატავს ის ადამიანების სიწიამდრეთა ჭაობს. ტოლსტიო შეურიგებელი მტერი იყო ამ ჭაობის, რომელსაც სახელიათ ძეველი რუსეთი ეწოდა და გასაკეთი არაა, რომ ჭაობიც არ სწყალობდა მას. ტოლსტიო დევნილი იყო ოფიციალურ რუსეთისა და მისი ეკლესიის მიერ. „აღდგომიამაც“ დასახიჩრებული წახა მეითხველი *.

ვიმეორებთ, უდავო მხატვარ ტოლსტიოს ობიექტური რეკოლუციონერობა; მაგრამ უდავო ისიც, რომ მას არ ქონდა სწორი წამიალი ივალმყოფ რუსეთის მოსახლენათ. მისი წამიალი საწიამლავი იყო, საბედნიეროთ ტოლსტიო მხატვარი იმდენად სჯობნიდა, სძლევდა, მაღლა იდგა ტოლსტიო საზოგადოებრივ მურნალზე და მისწიავლებოდა —, რომ ხელოვნების უმშვიდიერესი ისტატობით შესრულებული შედევრები ძეველი ადამიანის შერტვენისა და ამალ, ღირსეულ ადამიანის ძიებისა, — სავსებით ფარავნ ტოლსტიოს მოძღვარის ახალ რელიგიის და პასივობის ფოლოსოფიას. —

ამიტომ მოხდა ის „სასწაული“, რომ ტოლსტიო — მხატვარს მილიონები სუემდენ (და დღესაც სკემენ) თაყვანს. — მაშინ როდესაც ტოლსტიო — მორიალისტს და ფილოსოფოსს, მხოლოდ ერთეულები ყავს მიმდევრებათ და ისინიც ქრებიან. „ომი და ზეე“, „ანა კარენინი“, „აღდგომა“, „კოცხალი ლეში“ — დაუცილებარი ნაიოფებია კაცობრიობის უდიდეს შეიოსისა, — „კრუგ ყთენა“-ს კი დღესაც მხოლოდ ერთეულები კითხულობენ.

ცხადია, ტოლსტიო მთელ ქავანის ექუთნის; მისი ფესვები ძეველი ფეოდალური რუსეთის ნიადაგშია აღზრდილი, მაგრამ ამ ფესვებში ისეთი ევებერთელა, მაღალი და ძლიერი შტოები მოიტანა — რომ, მათი ფოთლების ჩხევა და შრიალი ძეველი ქვეყნის ფარგლებს და საზღვრებს აღვილად და იოლად გადასცილდა. ტოლსტიო ხელოვანი — არ მოკედარა. ის სუცხლობს. და იცოცხლებს მანამ, სანამ კი კაცობრიობაში აღვილი ექნება სიკუარულის გრძნობას, აღმიანის „იდამიანობას“, ყოველ სიმახვისაღმი სიძულევილს და შევენიერებისადმი აღტრთოვანებას. ტოლსტიო ადამიანობის საკუთრებაა, ტოლსტიო — ავტორი „ომისა და ზაფის“, „ანა კარენინასი“, „აღდგომის“. —

* აღნიშვნულ გამოცემაში შეტანილია ყველა ის აღგილები, რომელიც თავს დროს ამოღებულ იქნა ცუნდურისაგან.



ძეელ რუსეთთან ერთად მოყვდა ძეელი ტოლსტიო მოძღვარი და ლეთის მიძიებელი, წეხლიუდოვების გზის მქადაგებელი, ფატალისტი და მდგომარეობასთან შემრიგებელი ქრისტიანი,—მაგრამ არ მომკვდარი და არც მოყვდება „დიადი მშერალი რუსეთის ქვეყნისა“, მხატვერლი სიტყვის საოცარი ოსტატი „იასნაია პოლიანიდინ“, ადამიანთა გულის უბადლო მუოდნე, და კაცობრიობის ბედნიერების უგულწრფელესი მოსამსახურე.

„ალდგომაში“ არ არის ალდგომაში ისე—როგორც ეს გვესმის ჩვენ: „ალდგომა“—გამარჯვება ახალ ქვეყნისა, ახალ ადამიანისა. მაგრამ „ალდგომაში“ არის ის, რაიც უკდავათ ხდის მას: სიძულვილი და ზის-ლი ძეელი, დახავსებული წესებისაღმი და მათ პატარა თუ დიდ მცენ-ლებისაღმი, სიყვარული და ძიება ახალ ადამიანისა, რომელიც ტოლ-სტიომ ვერ ნიხა, მაგრამ რომილის მოსულას მისმა მხატვერულმა გენია-ლობამ დიდათ შეუწყო ხელი.

ვალ. ბათქაძე.

ნაზილი პირველი.

I

120

თუმცა ადამიანები ერთ პატარა ალაგის ჩამდენიმე ასი ითან
 ერთად შეგროვილიყვენ, უოველსავე ლონეს ხმარობდენ გაენადგუ-
 რებინათ თავის გარშემო ყველაფური, აბოლებდენ ქვა-ნახემშის, ამტ-
 ვრებედენ ხეებს, პგლუჯდენ ბალახებს, მავრამ გაზაფხული შინკც გა-
 ხაფხულად იყო და თავისი ძლიერება ქალაქშიაც გამოიჩინა.
 მხე თავის მხერევალე სხივებს უხვად ჰუნდა ზამთრისაგან გათოშილ
 დედა-მიწის აქა-იქ დარჩენილ ბალაბს თავი ამოეყო. ათას ფერად
 აყვავებული ხეები საუცხოვო ელუქრს სდებდა არე-მარეს. პატარა
 ჩიტები, ეშხით დამოვრალნი, კივილ-ხივილით ეგებებოდენ ნაზ გა-
 ხაფხულს. ზამთრის სუსხით მიმკდარებული ბუშებიც მოცოცხლებუ-
 ლიყვენ და ერთი აღიაქოთი ეტეხთ შეისაგან გამთბარ სახლის
 კედლებზე. ყოველი სულდგმული ხარობდა. მშიარულე-
 ბაში მხოლოდ ადამიანები არ იღებდენ მონაწილეობას. არც ებ-
 ლა დაკიტიათ ერთმანეთის გაქცევა და ძალმომრეობა. იმათხვის
 რომ გეკითხნათ, ასე გეტურდენ: ჩენი გამოგონებანი, ერთი-მეორის
 დამჩაგვრელ-დამმონაცემელი, უფრო მნიშვნელოვანია და წმინდა, ვიდ-
 რე ეს ნაზი გაზაფხული.

ამ გვარად, საგუბერნიო სატუსალოს კანტორაშიაც მნიშვნელო-
 ვანი და წმინდა იყო, სულის ჩიმდგელი და სანეტარო გაზაფხული
 კი არა— მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გუშინ მიიღეს ბეჭედ-დასმუ-
 ლი ქალალდი, რომლის ძალითაც დღეს, 28 აპრილს, დილის 9 საათ-
 ზე, უნდა წარედგინათ სამი გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსალი—ორი
 ქალი და ერთი კაცი. ერთი მათგანი, როგორც მძიმე დამნაშავე,
 ცალკე უნდა წაეყვანათ. ამ მოწერილობის ძალით, 28 აპრილს, დი-
 ლის 8 საათზე, ქალების განყოფილების მყრალ და ნესტიან ტალან-
 ში შემობრძინდა უფროსი ზედამხედველი, რომელსაც ფეხ-და-ფეხ შე-
 მოქცეა გამხდარი, ქალარა-შერეული დედა-კაცი; ტანთ გახუნებული
 ფორმის ტანსაცმელი ეცვა. ეს იყო ზედამხედველი ქალი.

— მასლოვის ქალი გნებავთ? — დაეკითხა ერთ კაშერის კარებ-
 თან მისულ შედამხედველს.

ზედამხედველმა გასაღების ჩხარა-ჩხურით გადაღო კარებმა პასახზე მარკონიშვილის შემთხვევით მყრალი სუნი გამოვარდა და დაიკურია:

— მასლოვის ქალი სასამართლოში უნდა ჭავიდეს. — ძლიერად მიაჯახუნა კარები და ლოდინი დაუწუო.

თიოქმის სატუსალოს ბინძურ ეზოშიაც მოეფინა გაზაფხულს თავისი ყნოსყის მომხიბლველი სუნნელება და სატუსალოს ტალანში კი ისეთი გულისა და სულის შემზარევი სუნი ტრიალებდა, რომ თავ-ბრუს დაახვევდა ხანდა შესულ კაცს და ხეირს არ დააყრიდა მის ჯანმრთელობას. ხეირი არ დააყარა ამ მოწამლულმა პატრია ზედამხედველ ქალის ჯანმრთელობასაც! შესკლისთანავე დალლილობა იკრძნო და ძილი მოუვიდა.

კამერაში ფაცა-ფუცი შეიქნა. ტალანში მქაფიოდ ისმოდა და დაკაცების ლაპარაკი, ფეხ-შიშეველდა სიარულის ფლასა-ფლასი.

— ჰეი! მასლოვის ქალო, ჩქარა-მეთქი, გეუბნები, გაინძერი, რას უყურები? — დაუკეირა კარებიდან უფროსმა ზედამხედველმა.

ორი წუთიც არ გასულა, რომ ტალანში გამოვიდა ახალგაზრდა ქალი და მორჩილებით ზედამხედველის წინ გაჩერდა. ტანთ ნაცრის-ფერი ხალათი ეცვა და თავი თეთრის თავსახევევით ქვემდა წაკრული: თავსახევეს ქვეშ ჩიმოსკვივნოდა შავი ხუმუტი თმა და ამშევნებდა მის ახალგაზრდა შევენიერ სახეს. ნაზი, უსიკა, თოვლივით თეთრი პირის-სახე მოწამე იყო იმისი, რომ სატუსალოს დიდი ხნის სტუმარი უნდა ყოფილიყო. უსიკოცხლო სახეს კუნაპეტრიეთ შევი თვალები ამშევნებდა. ის იყო ზედამხედველი კარების მიხურვას აპირებდა, როცა იქიდან თავი გამოჰყო ბებერმა დედაკაცება და ლაპარაკი დაუწყო მასლოვის ქალს, მაგრამ ზედამხედველმა იქვე ცხვირ-წინ მიუხურა კარები და ისიც მიიმაღლა. კამერიდან სიცილი მოისმა. მასლოვის ქალმა გაიღიმა და კარებზე გამოვრილი ფანჯრისაკენ მიბრუნდა. კამერიდან ფანჯარის ბებერი მოადგა და ჩახრინწებულის ხმით წაილაპარაკა:

— ზედმეტი არაფერი სთქეა, გაჩერდი ერთხე, მორჩა და გათავდა.

— მეტი რა უნდა ესთქეა, რაც იქნება — იქნება. — უპასუხა მასლოვის ქალმა.

— რასაკეირველია, ერთი და არა ორი, — ბრძანების კილოთი წარმოსთქეა ვითომდა თავის მოსწრებულის სიტუაციის კმაყოფილმა ზედამხედველმა. — გამომყევით, — უბრძანა მან ქალს.



ბებერი მოშორდა კარებს. მასლოვის ქალი გაეციდა ზემო და უკან ფრთხილი და ჩემი ნაბიჯით გაძევდა ზედამხედველს, სამარტინოდ დაეჭვნენ ქვის კიბეზე, გაიარეს ქალების კამერებზე კაცების უფრო მყრალ კამერების წინ, რომლის კარების ჰუჭრუტანიდანაც მოსჩანდა ცნობის მოყვარული თვალები, და შევდენ სატუსალოს კანტორიში, სადაც რაზო თოფიინი ჯარისკაცი უცდიდა. იქვე მცდომმა ზერალმა გადასცა ერთ ჯარისკაცს თამბაქოს კამლით გაეღლენთილი ქალალი, მიუთითა ტუსალ ქალზე და უთხრა: „ჩაიბარე“. ჯარისკაცმა, ნიკეონირდის ჩოფური გლეხმა, გაწითლებულის სახით ჩაიდო ქალალი ჯიბეში, ეშმაკურის ლიმილით გადაპხედა ამხანაგს და თვალით ანიშნა ქალზე. ჯარისკაცები ტუსალითურთ გამოვიდენ გარეთ და ნელის ნაბიჯით უმთავრეს გასავლისაკენ გაემართენ.

უმთავრესი გასავლის კარები გაიღო. ისინიც გავიდენ გარედ და გაუდგენ ქალაქის მოკენჭილ გზას.

მეტლები, მედუქნები, მუშები, მოხელენი, თითქმის ვინც კი ქანაში შეხვედებოდათ, ყველანი ცნობის-მოყვარულით ათვალიერებდენ ტუსალ ქალს. ზოგნი წყრომით თავს იქნევდენ და ბუტბუტებდენ: „იი, სადამდე მიიკვანს აღამიანს გახრწნილი და სიძაგელი ცორუებათ“. ერთმან სოფლელმა გლეხმა, რომელსაც ქალაქში ნახშირი გაეყიდა, კაპიკიანი ჩაუდო ხელში ტუსალ ქალს; ქალი გაწითლდა, თივი ჩაძლუნა და რაღაც ჩაბუტბუტა კვნესით.

გრძნობდა, რომ ცნობის მოყვარულ თვალებით იცქერდებოდენ და ეს გარემოება სიამოვნებას ჰგვრიდა. სასიამოვნო იყო: აგრედე წმინდა ჰაერი, რომელსაც დიდი ხანია მოკლებული იყო და ახლა ხარბად ეწავებოდა. აღაფის დუქნის წინ რომ გიაირეს, ტუსალმა ქალმა უცაბედად ფრგი წამოჭრა გოგმანა მტრედს; საწყალს გული გაუსკდა, შეფრთხილდა და ტუსალმა ქალმა გაიღიმა, მაგრამ მალე მოაგონდა თავისი მდგომარეობა და მწარედ მოიკენესა.


II

ტუსალ ქალის ისტორია — ჩემულებრივი ისტორიაა. ეს იყო გაუზოვარი მოახლე დედაკაცის ქალი და ბატონიანთ ქალებთან სკონერობდა სოფელში. მოახლე დედაკაცი თითქმის ყოველწლივ შობავდა შეილს და, როგორც ეს ჩემულებრივ პხდება სოფელში, ბავშვს ნათლავდენ. დედა, მოუკლელის გამო, უურადლებას ვერ იქცვდა მი დაუპატივებელ ბავშებს და ისინიკ ხშირად შიმშილით იხოვდოდნენ.

ასეთი ბედი ეწია ხუთ ბავშს. მონათლეს, შემდეგ მიაგდეს, როგორც მუშაობაში ხელის შემშლელი, და შიმშილისგან დაიხოცეს.

მეტევსე ბაეში, რომელიც გამოლელ ყიზილბაშისაგან შეეძინა, ქალი იყო.
 მისი ბედი სულ სხვა რიგად დატრიალდა. ერთ შშვენიერ დღეს მეტროხე
 დედაკაცებთან შემობრძნდა ქალბატონი, რომ დაეტუქსა უკარგისის
 ნალებისათვის. საძროხეში იწვა დედა მშვენიერის ბაეშით. ქალბა-
 ტონმა სასტიკად დასტუქსა დედაკაცები და ის იყო უკან გაბრუნე-
 ბა დაპირა, რომ უცბად თვალი მოჰქრა ავაღმყოფ დედაკაცს და
 სასტიკად განრისხდა შშობიარე დედაკაცის საძროხეში დაწყენისა-
 თვის, მაგრამ, გადახედა თუ არა ბაეში, ის გაიტაცა მისმა შშვენი-
 ერებამ, რომ უცბად მოლბა და იქვე განაცხადა ბაეშის მონათვლის
 სურვილი. ასეც მოხდა; ქალბატონმა მონათლა ბაეში. შემდეგ ამისა,
 ხშირად უგზავნიდა თაეის ნათლულ რძეს და ფულს; ამ წყალობით
 ბაეში სიკედილს გადატანია. ამიტომ ქალბატონებმა შეტ სახელად „გა-
 დანიენილი“ დაარქევს.

სამის წლისა რომ შეიქმნა, დედა აეად გაუხდა და მოკვდა.
 მეტროხე ქალებს ძლიერ გაუჭირდათ ბაეშის მოკვდა და ამიტომ ქალ-
 ბატონებმა თაეიანთსა წაიყვანეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ერ-
 თი ნუკეში და გასართობი ეს ბაეში შეიქმნა.

ხანში შესული გაუთხოვარი ქალბატონები ორნი იყვნენ: უმ-
 ცროსი, სოფიო ივანეს ასული, გულკეთილი ადამიანი, რომელმაც
 ბაეში მონათლა, და მეორე, სოფიოშე უფროსი და უფრო მრისხანე,
 მარია ივანეს ასული. სოფიო ივანეს ასული ყოველსავე 
 რობდა ბაეში კარგიდ იღზარდა, აცმევდა, აკეცევდა, ასწავლიდა
 წერა-კითხვას და გულით სურდა არაფერი მოკვდა მისთვის. სულ
 სხვა აზრისა იყო მარია ივანეს ასული. უნდოდა ბაეში ისეთივე მუ-
 შა დედაკაცი ყოფილიყო, როგორიც მისი დედა იყო, ამიტომ უფ-
 რო სასტიკად ეცყრობოდა ბაეშს და ხშირად, როცა გუნებაზედ არ
 იყო, კიდეც სცემდა ხოლმე. ამ ორ გავლენის ქვეშ ბაეში მოწაფეც
 შეიქმნა და მოახლეც. სახელად კატიუშა უწოდეს. რამოდენიც შე-
 ეძლო, ზრომობდა, პეტრიავდა, რეცხავდა, აწმენდდა და ასულთავებდა,
 ხანდისან კი ქალბატონებთან იჯდა და წიგნებს უკითხავდა.

როცა კატო წამოიზარდა, ურიცხვი საქმროები გამოუჩნდა და
 სურდათ მისი შერთვა, მაგრამ ყველას კიდეს უარს ეუბნებოდა, რად-
 გან პეტრინობდა, რომ მისთვის, როგორც ბატონურ ცხოვრებით გა-
 ნებივრებულ არსებისთვის, ამ მშრომელ ხალხთან ცხოვრება ძნელი
 იქნებოდა.

როცა კატო თექქსმეტი წლისა შეიქმნა, მის ქალბატონებს
 ესტუმრა მათი ძმისწული, ახალგაზრდა მდიდარი სტუდენტი. კატოს,
 მისდა საუბედუროდ, შეუკვარდა ეს სტუდენტი, თუმცა ამ აზრს ში-



შით ეერავის უმხელდა. ორის წლის შემდეგ ქალბატონებს ხელმეორედ ესტუმრა ეს მის-წული, რომელიც ამ დროს თმში მიემგზავრებოდა, და დარჩია მათთან ოთხი დღე. იმან იმდენად გაიტაცა კატო, რომ შეაცდინა, უკანისენელ დღეს მისკა ხელში ათ-თუმწიანი ქალალის ფული და გზას გაუდგა.

ამ შემთხვევის შემდეგ კატო საშიშარ მდგომარეობაში ჩინარდა. მთელი მისი გონება ახლა იმაზე იყო მიქცეული, თუ როგორ დაელწია თავი ამ საშინელ სირცხვილისათვის. შრომაშე გული აუცრუდა. ბოლოს იმ ზომამდე მივიღა, რომ ერთს შეენიერ დღეს კარგა მილანძლა ქალბატონები და ანგარიშის გაწმენდა მოითხოვა.

რასაკირცხველია, კატოს ამგვარი ქცევა არ ესიამოვნათ ქალბატონებს და მაშინვე დაითხოვეს სახლიდან. აქედან წასული დადგა შინა-მოსამსახურედ თემის უფროსთან, მაგრამ, საუბედუროდ, დიდხანს არც აქ მოუკდია. მიწეზი ის იყო, რომ თემის უფროსის უსნეო საქციოლმა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ერთ შეენიერ დღეს, როდესაც 50 წლის მოხუცმა ურცხვად მიპაროთა, კატო იმდენად გაბრაზდა, კარგად მილანძლა და ხელითაც შეეხო. კატო იქიდანაც დაითხოვეს. მოახლედ დადგომა შეუძლებელი-ლა იყო, რადგანაც ჩქარი დედა უნდა გამზღვარიყო. დადგა ერთ სოფლის ბებია ქალთან, რომელიც არაა სა ჰყოფთა სოფელში. მშობიარობა ადგილიად აიტანა, მაგრამ ბებია-ქალმა, რომელიც ავადმყოფ დედას ემსახურებოდა სოფელში, კატოს ცხელება შესძინა. ბაეში ჩქარა მოაშორეს და ობოლთ ალსაზრდელ სახლში წაიყვანეს, მაგრამ, როგორც წამყვანი დედაკაცი აშშობდა, გზაშივე გარდაიცვალა.

როცა კატო სოფლის ბებია ქალთან დადგა, სულ 127 მანეთი ფული ჰქონდა. 27 მანეთი თავის შრომით შეენილი და 100 მანეთი მისის გამრკვნელის მოწყალება. როცა ბებია ქალისაგან გადაიყიდა, სულ ექვსი მანეთი-ლა დარჩია. სრულიად არ იყოდა ფულის ყადრი, თავის თავზედაც ჰქონჯავდა და, ვინც კი სოხოვდა, ყელას აძლევდა. ბებია ქალმა, რომელთანაც კატო იდგა, ბინის ქირად და საშელ-საჭმელში წილო თრის თეისა—40 მანეთი, 25 მანეთი ბაეშის გავზანები დაიხარჯა; 40 მანეთი კიდევ ბებია-ქალმა გამოართვა სესხად, ძრობის სასყიდლად; 20 მანეთი ტანისამოსა და სხვა წერილ-მან ხარჯებში წაიღიდა, ასე რომ, როცა კატო კოტათი მოღონიერდა და ლოგინიდან წამოდგა, განვერტილი გროში არ ეგდო ჯიბეში და, შიშილით რომ არ მომკედარიყო, ადგილი უნდა ეძებჩა. დიღხანს არ მოუნდა ლოდინი. ჩქარი ტყის მცველის ოჯახში იმოენა აღვილი. საუბედუროდ, ტყის მცველი ისეთივე გარკვენილი გამოდგა, როგორც

თემის უფროსი. პირველ დღიდანვე არშიყობა დაუწეულ კატოს. ეს ცოლმა გაიგო და, როდესაც ერთხელ ორივეს მარტო მიუსწოდო თახაში, გაბრაზებული მივარდა და კატოს ცემა დაუწეულ. კატომიც, რასაცირელია, ხურდა მიართვა და ჩინებული ხელ-და-ხელი ბრძოლა ვაიშართა. იმ წუთშივე დაითხოვეს ალიგიდან უგროშ-უკაპეიკოდ. კატოს სიმედო სოუელში აღარაფერი დარჩეოდა. გაეზგზვრა ქალაქში და დეიდასთან ჩამოხტა. დეიდას ქმარი წიგნების მკაზმავი იყო და წინად კარგად სცხოვრობდა, მაგრამ ბოლოს მუშტრები სულ შემოეფუანტა, დაიწყო ლოტობა და ყველაოურის, რაც კი ხელში მოჰკვდებოდა, სულ სასმელში ჰდოლანგავდა.

დეიდას პატარა სამრეცხელო ჰქონდა, დღე და ღამ შეკომაში იყო, წელებზე ფეხს იღდამდა და ძლიერ-ძლიერით ინახავდა წვრილ-შეილსა და დაღუპულ ქმარს. სოხოვა კატოს, — დადექი ჩემთან სამრეცხელოშიო. მასლოვის ქალი ნათლად ჰელდავდა, თუ რა ძნელი იყო იქ მშრალბა და აქ-იქ კანტორებში ეძებდა მოახლის ალიგს, ამიტომ გადაჭრილი პასუხი ერ მიეცა დეიდისთვის. საბეჭინიეროდ, ალაგი ჩეარა გამოუწინდა, დადგა მოახლედ ერთ ქალბატონთან, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა გიმნაზიაში. დადგა თუ არა, საუბედუროდ, უფროსმა გაემა, მეექვსე კალასის მოწიფერ, მიატოვა გიმნაზია და მოსკვენებას აღარ იძლევდა კატოს. დეიდამ, რასაცეირელია, ბრალი მასლოვის ქალს დასძოვ და მაღლე სახლიდანაც გააგდო, ალაგი დიდხანს არ გამოუწინდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც მასლოვის ქალი კანტორაში შევიდა, საღაც მოსამსახურებს აყენებდენ, ნახა ერთი ქალბატონი, რომელსაც თეთრ ფუნთურა ხელებზე მრავალი ძეირფასი ბეჭდები და სამკაულები ჰქონდა გაკეთებული. ქალბატონშია, როგორც კი გაიგო მასლოვის ქალის მდგომარეობა, მისცა თავისი მისამართი და მიიწყო თავის ბინაზე. კატო ესტუმრა ქალბატონს. ქალბატონმა ფრიად ალერისიანდ მიიღო, მიართვა ტებილეულობა და საცხოვო ლვინით გაუმასპინძლდა. შემდეგ თავისი მისამსახურე გამგზავნა სადღაც ბარათით; საღამოზედ ქალბატონთან შემობრძნდა მაღალ-მაღალი ჭალარა კაცი. შემოსვლისთანავე მიუჯდა მასლოვის ქალს და ხუმრობა დაუწეულ. ქალბატონმა გაიხმო კაცი მეორე ოთახში და მასლოვის ქალმა მეაფიოდ გაიგონა: „სულ ნორჩია, სოფლელია“. შემდეგ დაუძახა მასლოვის ქალს და უთხრა: „ის კაცი მშერალია, ბეჭრი ფული აქეს და, თუ მოგიწონა, შენოვის არას დაიშურებს“—ო. მასლოვის ქალი მოიწონეს. მშერალშა მისცა 25 მან. და აღუთქვა ხშირად ნახვა. ფული მაღლე გამოელია. რამდენსამე



დღის შემდეგ შექრალმა ხელმიერედ მიიწვია. ისიც წავიდა. მშე-
რალმა მისცა კიდევ 25 მანეთი და სთხოვა, ცალკე ბინა დაიჭირეთ...

მასლოვის ქალი გადავიდა მშექრლის ნაქირივებ ბინაზე. აქ
შეუყვარდა ახალგაზრდა ნოქარი, რომელიც იმ ეზოში სცხოვრობდა.
მასლოვის ქალმა არ დაუმალა მშექრალს ეს ამბავი, ერთი პატარა ოთახი
იქირავდა სხვაგან და იქ გადავიდა. თუმცა ნოქარმა აღუთვეა — უო-
ლად შეგრინთავო, მაგრამ ჩიარა მიატოვა და გაიქცა ნიღნის ქალაქში.
მასლოვის ქალი დარჩა მარტო. უნდოლა დარჩენილიყო თავის ბინა-
ზე, მაგრამ უარი უთხრეს. ისე დეიდასთან დაბრუნდა. დეიდამ ვე-
ლარ გაუბერდა სამრეცხელოში დაყენება. თვითონ მასლოვის ქალს კი
შიშის ერთანტელი დაულიდვა ხოლმე ტანში, როცა წარმოიღებუნდა,
რომ ერთ დროს სამრეცხელოში დაღვიმას პირებდა, სადაც ჯოჯო-
ხეთურ შეიმის სწევდნენ ფურმისლილი და მშეირ-მშეყრებილი ქალე-
ბი, რომელთა შორის ბევრი ქლექიანებიც ერია.

პაპიროსს მასლოვის ქალი დიდი ხანია ექვთა. უკანასკნელ
დროს ღვინოც ძალიან შეუყვარდა. ღვინო იმიტომ კი არ იზიდავდა,
რომ გემრიელი იყო, ღვინო იერწყებდა იმ საშინელ ტანჯვა-წამებას,
რომელიც გამოიარა, ითამიბებდა და არწმუნებდა, კითომ ისეთი
ლიჩსება ჰქონდა, რომელიც უღვინოდ არ ეტყობოდა. უღვინოდ მუ-
დამ მოწყენილი იყო. მასლოვის ქალს ორი გზა-ლა დარჩენოდა: ან
უნდა მოსამსახურედ დამდგარიყო, სადაც მუდამ სდევნიდენ მამაკა-
ცები, და აეტანა ყოველივე გაჟირება, ან და უკვე დაწყებული
ცხოვრება კანონიერად აღეარებინა. ამით უნდოლა სამაგირო გადა-
ეხადა მის პირველ გამრუცნელისათვის, ნოქრისთვის და ცეკლა მათ-
თვის, ვინც მისი გაქელვა და გათასირება მოინდომა. გარდა ამისა,
ის აზრი იზიდავდა კიდევ, რომ მაშინ შეეძლო თვითონ შეეკრა თა-
ვისი კაბები, როგორსაც კი მოისურებდა — ხავერდისა, აბრეშუმისა
და ს.; როცა მასლოვის ქალმა წარმოიღინა თავისი თავი მშეენიერ
აპრეშუმის კაბაში, ველარ გაუძლო ცდუნებას და გადასწყვიტა მეორე
გზას დასდგომოდა.

შემდეგ ამისა კატოუშამ დაიწყო ისეთი ცხოვრება, რომორც
ცხოვრობს რამდენიმე ასი და ასი ათასი დელაკაცი და რომელმებშიაც
ათში ცხრა საშინელის ავადმყოფობითა კვლება.

ღამე ქეიფის შემდეგ დღისით მძიმე, მოუსცენარი ძილი. 3—4
საათზე ზანტად წამოდგომა ბინძურ ლოგინიდან, ზელტერის წყალში,
ყავა, უსიკოცხლოთ ბოლოს ცემა, ოთაში ტუფლებითა და ხალა-
თით სარქმელში მხერა, უწმაწურ სიტყვების ტყოჩუნა ერთმანეთში,
შემდეგ სუნდელოვანების ცხება ტანზე, თავზე, ტანსა ცეკლის სინჯვა,



ჩხუბი ტანისაცმელზე დიასახლისთან; სარკეში ჭვრეტა, პირის თხუ-
პენა, ტყბილი, მსუქეანი საკმელი, შემდეგ შრიალა აბრეშუმის კაბით-
მორთვა, შემდეგ გაბრწყინვებულ დარბაზში გამოსულა, სტუმრების
მოსფლა, შუსიკა, ცეკვა, ტკბილეულობა, ღვინო და თამბაქოს წევა.

ასე ამგვარად ყოველ დღე, ყოველ კვირას, კვირის ბოლოს სა-
ხელმწიფო დაწესებულებაში — საპოლიციო უბანში მოგზაურობა, სა-
დაც სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელეები, ექიმი-მამაკაცები,
ხან სერიოზულად და ხან მრისხანებდ, ხანაც მხიარული სახით, სირ-
ცხვილს, ამ ერთად ერთ საშუალებას, რომელიც ბუნებისაგან მინიჭე-
ბული აქვს არა თუ აღაშიანებს, არამედ ცხოველებსაც, რომ დაი-
ცეს ბოროტებისგან, სირცხვილს გზას უხვევდენ, სინჯავდენ ამ ქა-
ლებს და აძლევდენ მათ პატრიტებს, იმ ბოროტების გასაგრძელე-
ბლად, რომელსაც ისინი სხადიოდენ თვეითმომავალი თანამრიზებთან-
ერთად ერთი კვირის განმავლობაში. ისე იწყებოდა ასეთივე კვირა.
ასე ამ გვარად ყოველ დღე — ზამთარ და ზაფხულ, საქმიან და უქმი-
ლებში.

ასე სცხოვრობდა მასლოვის ქალი შეიდ წელსა. შერვე წელი-
წალს, როგა 26 წელიწადი შეუსრულდა, შეემოხვეა ის, რისთვისაც
საპატიმროში ჩასევს, და ახლა, უქვესი თვის საპატიმროში ჯდომის
შემდეგ, მიჰყავდათ სხვა ავაზაკებთან ერთად სასამართლოში.

III

იმ დროს, როდესაც დალლილ-დაქანცული მასლოვის ქალი-
მიადგა სასამართლოს ქარებს, თვით ის ჩევნი ნაცნობი, კატოს-
ალმეზრდელების ძმისწული, თავადი დიმიტრი ივანეს ძე ნეხლიულიე,
რომელმაც სასტიკად მოატყეა და გარსენა, ჯერ კიდევ ნებიერობით
გორծდა თავის მშენიერ ბუნმულის ლოგინში. თეთრ პოლლანდიურ
საღამურ პერანგის საყელო გაეხსნა და, ფიქრებში წასული, მაღია-
ნად ეწეოდა პაპიროსს.

მოაგონდა გუშინდელი ხალამო, რომელიც მდიდარ და შესანი-
შნავ ქაცების კორჩაგინებისას გაატარა, მწარედ ამოიხსრა და პაპი-
როსის ნამწევი გადაისროლა, უნდოდა ვერცხლის საპაპიროსედან მე-
ორე პაპიროსი ამოელო, მაგრამ გადაიფიქრა, გაღმოდგა ტახტიდან
თვეითი ნაზი ფუნთუშა ფეხები, ჩადგა ტუფლებში, გადაიცეა აბრე-
შუმის ხალათი და ზანტაც გაემართა საწოლ რთაშის გვერდზე სა-
პირფარებით ოთახისაენ, რომელიც სხვა-და-სხვა სუნელებით იყო
გადატყინული; იქ გამოირეცხა კბილები რაღაც წამლით, შემდეგ დაი-
ბანა პირი და სხვა და-სხვა პირსახოცებით წმენდა დაიწყო. როკა-



კარგიდ გაიშმინდა თეითეული ფრჩხილი, გავიდა შეორე თთახში, სა-
დაც საბანაო იყო მომზადებული. იქ ნაზად იბანავა ცივ წყალში,
შეიშმინდა ზეწრით ჩასუტებული ტანი, ჩაიცა თეთრი წმინდა საცე-
ლი, მიუვდა სარკეს და გულმილგინეთ დაიწყო პატარა შავის ხუ-
ჭეპის წევრისა და თმის ვარცხნა.

ყოველი ნიეთი, რომელსაც ხმარობდა, საპირფარეშო მაგიდის
მოსართავი: საცელები, ტანსაცელი, ფეხსაცელები, ყელსახვევები,
ქინძისთაცები და ზაპონები, სულ ძვირფასი იყო.

ამიორჩია ყელსახვევებსა და ქინძისთაცებში ის, რომელიც პირ-
ველად მომზედა ხელში, ჩაიცა გაწმენდილი ტანისამოსი და გავიდა
სასადილო თთახში, სადაც იდგა ვეგებერთელა ბუფეტის შეაფი და
გასაწევი მაგიდა, რომლის ლომის ტოტებით გაწერული ფეხებიც
დიდებულ ელფერს სდებდა იქაურობას. მაგიდაზედ ელაგა: ვერცხლის
საყავე სუნნელოვანის ყავით, ამგვარიცე საშაქრე, კურჭელი ნაღებით
და პატარა კალათი ბისკვიტებითა და სუხარით. იქვე ახალი გაზეო-
ბი და წერილები ეყარა. ის იყო ნებლიულოვი წერილების აღებას
აპირებდა, რომ კარგიდან, რომელც დერეტანში გადიოდა, შემო-
ცურდა ხნიერი, ჩასუტებული დედაკაცი, ზევებში ჩატყული. ეს იყო
განსცენებულ ნებლიულოვის დედის მოსამსახურე აგრაფინა პეტრო-
ვნა, რომელიც ახლა მის ქალბატონის შეილთან დარჩენილიყო და
მოლარეობას ასრულებდა.

ბაეშობიდან ნებლიულოვებისას სცხოვერობდა და დიმიტრი
ივანოვიჩს პატარაობიდიდანეე იცნობდა, როცა ჯერ ისევ მიტიას
ემახდენ.

— დილა შევიდობისა, ლიმიტრი იქანოვი!

— გამარჯვობა. აგრაფინა პეტროვნა. ამბავი-ხაბარი? — დაეკითხა
ნებლიულოვი ხემრობით.

— წერილია, ქნიანასაგან თუ კნიანისაგან, არ ვიცი. დილი
ხანია შთაბლებ მოიტანა და იცდის, — უთხრა აგრაფინა პეტროვნამ
და ლიმილით გადასცა წერილი.

— კარგი, ეხლავე! — უთხრა ნებლიულოვმა, გამოართეა წერილი
და, რა შენიშნა ლიმილი აგრაფინა პეტროვნას, მოილუშა.

აგრაფინა პეტროვნას ლიმილი იმას ნიშნავდა, რომ წერილი
კნიანა კორჩაგინისაგან უნდა ყოფილიყო, რომლის შერთვასაც,
აგრაფინას აზრით, ნებლიულოვი აპირებდა. ეს მნიშვნელოვანი ლი-
მილი არაფრად ესიამოვნა ნებლიულოვს.

— ეტუვი მოსამსახურე ქალს, რომ დაიცადოს, — სთქვა აგრა-
ფინა პეტროვნამ და გავიდა თთახიდან.

ნებლიუდოვშია გახსნა სუნიელოვანი წერილი, რომელიც იგრა-
ფინაში გადასცა, და დაიწყო კითხვა:

„ვასრულებ რა ჩემს მოვალეობას, თქვენის მეხსიერების მიგრა-
რობა იყიდვულო. — ეწერა სქელ ნაცრის ფერ ქალალზე — მოგავო-
ნებთ, რომ დღეს, 28 აპრილს, უნდა დაესწროთ ნაფიც მსაჯულთა
მსჯელობას სასამართლაში; ამიტომ მარ შევიძლოანთ ჩენობან და
კოლოსოვებთან ერთად წიმისელი სურათების სანახავად, როგორც
ჩვეულებრივის მოუფიქრებლობით გუშინ შეგვპირდით. აგრე, არ
დაგვიწყდეთ“.

კრ. მ. კორჩაგინისა.

ნებლიუდოვში კოპები შეიკრა. ეს ბარათი იმ ოინების განვრ-
ძობა იყო, რომელსაც კნიაენა კორჩაგინისა დიდი ხანია ხმარობდა
და, რომელიც შეუმჩნევლად იყიდებოდა ერთმანერთს შორის ორი-
ვეს. ნებლიუდოვში ძლიერ გაუბედავი იყო ქალებთან, როგორც ეს
სჭირო ხანში შესულ და არა შეკერებულ ადამიანებს, და თანაც
ერთი შძიმე მიზეზი ხელს უშლიდა კნიაენა კორჩაგინისათვის ცო-
ლობა ეთხოვნა. ეს მძიმე მიზეზი ის კი არ იყო, რომ ამ ათის წლის
წინად სასტიკად მოატყუა კატო, შეუბრალებლად მოიგლიჯა გულიდან
და გადასვდო. ეს დიდი ხანია დაიკიტყა და რომ ხსომებოდა, მაინც
ხელს არ შეუშლიდა ცოლის შერთვაში. მიზეზი ის იყო, რომ ამ
დროს ერთ ქმრიან ქალთან ჰქონდა საქმე დაკერილი და თუმცა თა-
ვის მხრივ ყოველიც კაშირი გასწუებიტა იმისთან, მაინც ქალის
მხრივ კიდევ არ იყო საქმე გათავეებული.

ეს ქალი იმ მაზრის თავიდა-აზნაურთა წინამძღოლის ცოლი იყო,
სადაც არჩევნებშე, სხეათა შორის, ნებლიუდოვშიც დაესწრო. უკად
გაება მახეში და, ამდენიც დღე მიღიოდა, მათი კავშირიც თანდა-
თან რთულდებოდა. პირველად, როგორც ჩვეულებრივმა სიკედილის
შეიღმა, ნებლიუდოვშიც კელარ გაუძლო ცდუნებას და აქვთ თავის
გულისთვის, მაგრამ შემდეგ კი, როცა დაკუვირდა თავის საზიშაო
მოქმედებას, ალარ შეეძლო ისე გაეწყვიტა კაშირი, თუ ქალიც თა-
ნახმა არ იქნებოდა. ეს იყო ის თვალსაჩინო მიზეზი, რომლის წყა-
ლობითაც ნებლიუდოვს ნება არ ჰქონდა, კორჩაგინის ქალი შეერთო.

შერიც ამ დროს წერილებში ნებლიუდოვში ამ ქალის ქმრის
წერილი შენიშვნა, ნაწერზე იცნო და გულმა ძაგა-ძუგი დაუწყო. მისი
შიში უსაბუთო გამოდგა: ქმრი, რომელიც იმ მაზრის თავიდა-აზნაურ-
თა წინამძღოლი იყო, სადაც ნებლიუდოვს უმთავრესი მამულები ჰქონ-
და, სწერდა, რომ მაისის უკანის ქნელ რიცხვებში დანიშნულია ერო-
ბის წარმომადგენელთა არა-ჩეკეულებრივი ქრებაო, და სოხოვდა უსა-

თუმცა დასწრებოდა კრებას და მხარი დაეჭირა მისთვის მომიგალ ფრიად შემიშენელოვან კრებაზე, სადაც უმთავრესი საქმე სკოლების გამარტივისა და გზების გაეყოებაზედ სჯა იქნებოდა და ძლიერი შეტაქება იყო მოსალოდნელი.

თავად-აზნაურთა წინამდებოლი ლიბერალი იყო. ის თავის თანამომარტინებთან ერთად იბრძოდა ალექსანდრე III დროს გამეცებულ რეაქციის წინააღმდეგ. ის ამ ბრძოლას მთლად ჩაეთრია და თავისი უბედურის თჯახის მიმავისა კი სრულიად არაერერი იკოდა.

ნებლიუდოვებ მოიგონა ცველაფერი. მოაგონდა თუ ერთხელ როგორ ეცნონა, რომ ქართველი ცველაფერი გაიგო და პფიქტობდა დაულში გამომიშვევსო და ემზადებოდა, მოაგონდა ის საშინელი სცენა, როდესაც ქალი გაიქცა მახლობელ ტბაზე თავის დასალრჩმბად და ის კი ქად-მოგლეჯილი დარბოდა და ეძებდა. „არა, ეს ყოველად შეუძლებელია, ახლა არაფრის გადაშეცვეშია არ შემიძლიან, სინამ მისგან გადატრილ პასუხს არ მიიღოდა“, — მოიქრობდა ნებლიუდოვე. ამ ერთი კეირის წინათ მისწერა ქალს წერილი, ბოლიშ იხდიდა და რადგანაც თრიკესთვის საჭირო და საკუთილდლეო იქნებოდა, სთხოვდა გაერჩივიტათ უფელივე კაეშირი ტრამინეროთთან. აი, ამ წერილის პასუხს ელოუდა ასე მოუთმენლად ნებლიუდოვე, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არსად იყო. ერთის მხრით წერილის დაგვიანება კარგი ნიშანი იყო, თუ არ დათანხმებულიყო მის წინადაღებაზე, უცემელად ან მაშინვე უპასუხებდა და ან თვითონ მოვიდოდა, როგორც წინად მოიქცეოდა ხოლმე.

მეორე წერილი მოურავისაგან იყო. მოურავი სწერდა, რომ ძლიერ საჭიროა თქვენ მამულში მოსელა უფლების დასამტკიცებულად და, გარდა ამისა, უნდა გადასწუვიტოთ, როგორ დავიმუშაოთ მიწები, ისე, როგორც განსკენებულ დედა თქვენს უურჩევდი და თქვენც გირჩევთ, თუ სხვაუერო; უცელა მიწები, რომლებსაც ამდენისან გლეხები ამუშავებდენ, თვითონ დავიმუშაოთ, თუ ისევ გლეხებს მიეცეთ. ამის სწერდა მოურავი და თანაც ბოლიშ იხდიდა, — დაგაგვიანე კუთვნილ 3.000 ბანეთის გამოგზავნა, რომელიც ამ თვის პირველს უნდა გამომეგზავნაო. ეს ფული შემდეგის ფოსტით მოვიდოდა. „უშლის დაგვიანების მიზეზი ის იყო, — სწერილა მოურავი, — რომ კერას გზით ვერ შევაგროვე დროზედ გლეხთაგან, რომლებიც ისე გასუანდისდენ, რომ იძულებული შევიქნი ძალა მემარა და მთავრობას მივმართოთ“. ეს წერილი ნებლიუდოვეისთვის სასიამოვნოც იყო და საწყენიც. სასიამოვნოდ ჰქონდა ის, რომ კეკბერთელა მამულის პატრონი იყო და საწყენი კი ის, რომ ახალგაზრდობაში ჰქონდერტ



სპეციალის დიდი თავდანისმცემელი იყო და ახლა კი დიდი მეხის დაცემა იყო. მის თავშე. რომ პეშჩარიტება კერძო მიწად-მფლობელობას უარესოფლა და ის კი ამოდენა მიმულის პატრონი იყო. მაშინ არა თუ სიტუაცია, საქმითაც დამტკიცა, რომ კერძო საქუთხების წინა-აღმდევი იყო, ანუქა გლეხებს პატარა ნაჭერი მიწა, რომელიც მამამ დაუტოვა. ახლა კი ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა წინანდებუ-რად-ხელი აელო ამოდენა მამულებზე და მიეცა გლეხებისათვის და ან უნდა ხმა-ამოუღებლივ უარ-ეყო წინანდელი თავისი აზრი.

პირველი არ შეეძლო, რაღაც, გარდა მამულისა, არაეთმარი სალსარი არ გააჩნდა. სამსახურის არ შეეძლო, რაღაც ბატონიურ ცხოვრებას და უფლებებას, დიდი ხანია, შეკვეული იყო. მეორე—უარ-ეყო ყოველივე ის, რაც მან კერძოდ მიწად-მფლობელობის შე-სხებ პერძეტ სპეციალის „სოციალურ სტატიკაში“ ამოიყოთხა და რომლის დასაჩრიტიცებული საბუთებიც პერზი ჯორჯის თხუზულებაში მნიხა, შეუტლებელი იყო.

IV

ყავის მირთმევის შემდევ ნებლიუდოვი გაფიდა კაბინეტში უწყების გასასინჯათ, რომ გაევთ, როდის უნდა წასულიყო სასამართლოში და კნიაენასთვისაც წერილი მიეწერა. კაბინეტი სამეშაო ოთახის იქით იყო. სამუშაო თაობში იდგა მოლბერტი დაწყებულის სურათით და აქა-იქ ეტიუდები ეკიდა. ამ სურათის და ეტიუდების დანახვამ დაარწმუნა ნებლიუდოვი, რომ მხატვრობის ნიჭი არ ჰქონდა და უცტი იყო განგრძნობა ხატვისა. ეს გარემოება მაინცა და მაინც არ იყო მისთვის სასიამოენო.

შეიდის წლის წინად მიატოვა სამსახური და მიჰყო ხელი მხატვრობას, რაღაც თავისი თავი დიდი ნიჭის პატრონი ეგონა და, გარდა მხატვრობისა, კველიაფერს ზიზლით უჟურებდა. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ამის უფლება არ ჰქონდა. უყელა ამის მოგონება ძლიერ საწყენად დარჩა ნებლიუდოვს. უსიამოვნოდ გადაპედა სურათებს და გავიდა კაბინეტში.

შესელისთანავე გამოაღო მაგიდის უჯრა და საეადო განყოფილებაში საქართველო იბოვნა უწყება; წიაკითხა და გაიგო, რომ თერთმეტ საათზე უნდა მისულიყო სასამართლოში. დაჯდა და კნიაენას წერილი მიეწერა, მაცლობას უსხადებდა და სწერდა—ვეცდები სადილად მოვიდეო, მაგრამ დახია, რაღაც ძალიან დააბლოვებულ კი-ლოთი იყო დაწერილი, დასწერა მეორე, მაგრამ ძალიან გულ-ცივი



წერილი გამოუვიდა და ისიც დახია. წამოდგა და ზარი დააწერა მოწყებისა.

კარები გაიღო და წერი-მოპარსული ლაქია შემოვიდა.

— აბა, ერთი მეეტლეს დაუძახე.

— ქსლავი.

— მართლა, მანდ კორჩაგინისგან გამოგზავნილი მოსამსახურე იცდის; უთხარი, რომ იყდები მოვიდე-თქო.

— ზარონი ბრძანდები.

„თუმცა უზრდელობაა, მაგრამ წერილის მიწერა მაინც არ შემიღება, სულ კრთია, დღეს ენახავ“, — იფიქრა ნებლიუდოვმა და გავიდა ტანთ ჩისაცმელად.

როცა ტანთ ჩისაცმელად და გამოვიდა, ნაცნობი მეეტლე, რეზინიანის ეტლით, უკი იქ იდგა.

— გუშინ თქვენ, ის იყო კიდევ წამოსუსაყივით თავად კორჩაგინიდგან, რომ მეც მოვედი და მეყრებ მითხა: „ეს არის წაბრძანდაო“, — უთხრა ნებლიუდოვს მეეტლემ და თავისი ძარღვიანი, მზისგან დაწევარი კისრი მოიგრიხა მისკენ.

„ღმერთო დიდებულო მოდი და ნუ გაიკეირდება, მეეტლებსაც კი სცოდნიათ ჩემი დამოკიდებულება კორჩაგინებთან“, — იუიქრა ნებლიუდოვმა და თავესატები სივანი ისევ თვალშინ დაუდგა და, როგორც ჩერულებად ქერძა, გადაუწევეტელი დასტუკა.

ცოლის შერთვა ნებლიუდოვისთვის ბეჭრნაირად იყო სასარ-ვებლო: ერთი, რომ ოჯახურ ცხოვრებით დასტებებოდა და, მეორე, ამ ბოლო დროს მაინც შესაძლებელი იქნებოდა ზეობრივად ეცხოვ-რა. გარდა ამისა, ოჯახი და ცოლშეილი მისს ფუქსიატ ცხოვრებას რაცმე მნიშვნელობას მისცემდა და ეს კი უმთავრესი იყო მისთვის, ყველა ამასთან ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ, როგორც ეს სჭირო ხანში შესძლ უცოლო კაცებს, ძალიან ეშინოდა თავისუფლების და-კარგვისა და უაზრო შიშისა ჰერძნობდა ქალის საიდუმლოებით მო-ცულ არსების წინაშე.

კერძოდ, (კორჩაგინის ქალს მარიამი ერქვა, მაგრამ, როგორც ეს ჩერულებად აქვთ დიდებულ ოჯახებში, თავისებური სახელი უწოდეს) კორჩაგინის შერთვა სასარვებლო იყო, პირველად მით, რომ კარგის გვარისა იყო, ტანისამოსიდან დაწევებული, ყოველივე მიხე-რა-მხერით, სიცილით, სიარულით და ლაპარაკით ძლიერ განირ-ჩეოდა სხვა უბრალო აღაშიანებისაგან, მაგრამ განირჩეოდა უფრო გვარით, „ჯიშით“. ამ თვისებათა გამოსახატეთ სხვა ტერმინი, ვერ მოეცონა. გარდა ამისა, მისისი ძალიან მოსწონდა ნებლიუდოვა, ყვე-ლაშე წინ იყენებდა და, უკუკელია, კარგად იცნობდა. კერძოდ მისისი



შერთვის წინააღმდეგი ისა პქონდა, რომ შეიძლება სხვა უფრო კაო-
გი ქალი გმოენა. გარდა ამისა, მისი ამ დროს 27 წლისა იყო და
აღვილი წარმოსადგენია, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრს რასე
გამოსცდიდა ის, და ეს აზრი გულშე ჰქებენდა ნებლიუდოებს, მით უფ-
რო, რომ შესაძლოა შემდეგში არ ჰყეარებოდა. რასაცირკელია, წინ-
დაწინვე არ იკოდა ნებლიუდოება, რომ უსათურდ იმას შეხედებო-
და, მაგრამ ერთი იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება მისის ოდესშე
სხვა უფარდათ, სიცოცხლეს უწიმლავდა.

— თუ მაჩია ვასილიევნასგან წერილი არ მიეიღე და უოჟელოვი
არ გავითავე იმასთან, ისე არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლიან“, —
ჩაილაპარაკეთ თავისთავად ნებლიუდოება.

— ცველა ამას შემდეგ ვიფიქრებ და კარგად აფწონ-დაესწონი“, —
სთვეა ნებლიუდოება და ეტელი კიდეც მისრიალდა სასამართლოს
კარებთან.

„ახლა, როგორც ყოველთვის, სინდისიერიად უნდა აღიასრულო
საზოგადოებრივი მოვალეობა, იმასთანავე ეს ხშირად საინტერესოც
არის ხოლმე“, — სთვეა ნებლიუდოება და შევიდა სასამართლოს დი-
რეფანში.

V

სასამართლოს ტალანში დიდი მოძრაობა იყო, როცა ნებლიუ-
დოები შევიდა; მოსამსახურეებს სულ ხეითქი გადასტიოდათ. ვაცხა-
რებული დარბოდენ ხან იქით და ხან აქეთ სხვადასხვა ბრანანგების-
აღსასრულებლად. ბოქაულები, ვექილები და სასამართლოს მოსამსა-
ხურნი ერთმინერთში ირეოდენ. მოხვენელები და დამნაშავენი ზოგი
იჯდა და ზოგი კი დადიოდა.

— საოლქო სასამართლო სად არის? — დაეკითხა ნებლიუდოები
ერთ მოსამსახურეს.

— ოქვენ რომელი გნებავთ? არის სამოქალაქო განყოფილება
და სამოსამართლო ჰალატი.

— მე ნაფიცი მსაჯული ვარ.

— სისხლის სამართლის განყოფილება... ოქვე დალოცვილო,
აგრე იტყოდით! აი-აქეთ, მარკვენივ, შემდეგ მარცხნივ შეუტვით და
მეორე კარებში შეხვალო.

ნებლიუდოები გაემართა ნაჩვენები გშით.

როცა კარებთან მიეიღდა, ორი კაცი დახვდა. ერთი იყო მაღა-
ლი ჩასუქებული ვაჭარი, რომელსაც აშერად ეტყობოდა კარგად
ესაუზმა და ლაზათიანადაც გადაეკა — მხიარულ გუნებაზე იყო. მეო-



რე იყო ნოქარი, ებრაელთა შთამომავლობისა. მატულის ფრთხევას ქრისტე

დათ ბაასი, როცა მათთან ნებლიუდოვი მიერდა და ნაფიც მსაჯულ-

თა ოთახი იკითხა.

— აქ არის, ბატონი, აქ; თქვენც ჩეენი ამხანაგი უნდა იყოთ! —

მხიარულის ღიმილით დაკითხა ვაჭარი.

— მაშ ერთად გიშრომოთ, —განაგრძო მან, როცა ნებლიუდოვისა
მიუგდო: დიაბლი; — მეორე გილდის ვაჭარი ბიგლაშოვი, —უთხრა ვაჭარ-
მა და გაუწიოდა თავისი რბილი ფუნთუში ხელი: — ვისთან მაქეს პა-
ტივი ლაპარაკისა.

ნებლიუდოვმა უთხრა თავისი ვეარი და შევიდა ნაფიც მსა-
ჯულთა ოთახში.

ნაფიც მსაჯულთა ოთახში ათიოდე სხვადასხვა ჯურის ხალხს
მოყენა თავი. ზოგი მჯდა, ზოგი ბოლოს სცემდა და ერთმანეროს
ეცნობოდენ.

კუელანი, თუმცა ბევრი მათგანი საქმეს მოსცდა, ქმაყოფილნი
იყვნენ, რაღვან საზოგადო საქმეს ასრულებდენ.

ნაფიცი ზოგნი გასცნობოდენ ერთმანეროს და ბაასობდენ:
დარსა, ადრეულ განატეულსა და მომავალ არჩევნებზედ. ვინც ნებ-
ლიუდოვს არ იცნობდა, საჩქაროდ გაეცნო, რაღვან იმის რაღაც
დიდ ლირსებად სთელიდენ. ნებლიუდოვს, თეოთონაც არ იყოდა
რისთვის, სავალდებულოდ მიაჩნდა ყველასათვის გასცნობოდენ მას.
რომ გეკითხნათ, რად იყრნებდა ის თავის თავს სხვებზე მაღლა, პა-
სუხს ვერ მოგცემდათ, რაღვან ისეთ განსაკუთრებულ ღირსებას ვე-
რას დაიტრაბახებდა. ინგლისურ და გერმანულ ენაზე ლაპარაკი,
შევენიერი ტანსაცმელი, ყელსახვევი და ზაპონკები — კარგად იცოდა,
რომ დიდს არაერს შეელოდა. შინოც ყველას ვალდებულად ხდი-
და თაყვანი ეცა; თუ ასე არ მოიქცეოდენ, დიდ შეურაცხოფად
მიიჩნევდა. მაინც დიდ შეურაცხოფად მიიღო, როცა ერთმა იქ
მყოფთაგანმა სრულიად უურადღება არ მიიცია. ეს იყო პეტრე გე-
რასიმოვიჩი (ნებლიუდოვს არასოდეს არ გაეგონა მისი ვეარი და ეს
საქებურადაც კი მიაჩნდა), რომელიც წინად მისის დის-წულების
მასწავლებლად ყოფილიყო. ეს პეტრე გერასიმოვიჩი ახლა გიმნაზიის
მასწავლებლად იყო. მუდამ ეჯავრებოდა ნებლიუდოვს მისი ტოლ-
ამხანაგური ქცევა, ქმაყოფილი ხარხარი და საზოგადოდ მისი „კომ-
მუნიზმი“, როგორც ნებლიუდოვის და ამბობდა.

— აა! თქვენც მოხვედით, —ხარხარით შიეგება პეტრე გერასი-
მოვიჩი ნებლიუდოვს, — ერ დაალწიეთ თავი?



— მე სრულებითაც არ მიუიქრია თავის დალწევა, — წყვეტილი სუსტა ნეხლიუდოვნა.

— ეგ მოქალაქობრივი უაუკაცობაა. მაგრამ მოითმინდეთ, როცა დაიქანცებით და ძილს არ დაგაცლიან, მაშინ სხვა პანგზე დაიწყებთ მღერას, — უფრო ხმა-მაღალის ხარხარით უპასუხა პეტრე გერასიმოვჩიმა.

„დაიწყებს ახლა ეს დეკანოზის „შეიიბით“ ლაპტოაქს — ვაიღიქრა ნეხლიუდოვნა და ისეთი მოწყენილი სახე მიიღო, რომ კაცს ეგონებოდა, ეს არის, ეხლა შეუტყვია ყველა ნითესავების სიკედილით; მაშინვე მოშორდა და იმ ჯგუფს შეუერთდა, რომელიც შემოხეოდა ერთ წვერ-მოპარისულ წარმოსადევ კაცს, რომელიც რაღაცაზე გაცხარებით ბაასობდა, ლაპარაკობდა იმ პროცესის შესახებ, რომელიც ახლა სამოქალაქო განყოფილებაში ირჩეოდა. აღტა-ცებული იყო იმ საეკირველ ცელილებით, რომელიც მოახდინა საქმე-ში შესანიშნავი ვექილმა და მისის წყალობით ერთ ძველებურ ქალბატონს, რომელიც ცამდე მართალი იყო, ტყუილ-უბრალოდ დიდალი ფული უნდა გადაეხადა მომჩინეანისათვის.

— სწორედ გენიოსია, გენიოსი! — ამბობდა იმ ვექილზე.

თუმცა ნეხლიუდოვი გვიან მოვიდა, მაგრამ მაინც დიდხანს მოუნდა ცდა, რაღვან სასამართლოს ერთმა წევრში ძალიან დაი-გვიანა.

VI

თავმჯდომარე ადრე მოვიდა სასამართლოში. ის იყო მაღალ-მაღალი, მოხუცი კაცი, დიდი, გაქალარავებული „ბაჟებით“. თუმცა ცოლ-შეიიბიანი იყო, მაგრამ როგორც ცული, ქსე ქმარი, გარყენილ ცხოვრებას ხარბად ეწაფებოდნ და, რაკიც გრისტოხელ წაიხსნიდენ ალეირს, მათი დამჭერი არაერი იყო. დღეს მიიღო წერილი ერთის ქალისაგან, რომელიც წინად შათოან მოახლედ იყო და ახლა პე-ტერბულგში მიემგზავრებოდა. ქალი სწერდა, სამიდან ექვს საათამ-დე ქალაქში ვიქნები და სისტემით „აიტალიაში“ გიცდირ. თავ-მჯდომარე მოწატინებული იყო ადრე გაეთავებინა დღევანდელი სა-ქე, რომ დანიშნულ დროზე მისულიყო იმ ქერა კლარა ეჭილიერ-ნისთან, რომელთანაც ზიფხულში, ივარავად, პატარი რომანი გააჩიდა.

შეეიდა ოთახში და კარები ჩატეტა. გამოაღო შეაფი, იქიდან ქალალდებთან ერთად გამოიღო რარი ქვა და დაიწყო მით ვარჯი-შობა. ოჯურ ხან ზევით და ხან ქვევით ასწია, შემდევ სამჯერ ცო-ტათი ტექედა და ქვები მაღლა დაიკირა.



„არავერი კაცის ჯანმრთელობას ისე არ ცრუბს, ტიქტოლისკული ციფ წყალში ბანაობა და ფიზიკური ვარჯიშობა,—გაიღიქრა მან. ამ დროს კარები შეინძრა. ვიღიასც სურდა მისი ვალება. თავმჯდომა-რებ შეინახა ქვები და კარები ვაალო.

— უკაცრავად! — უთხრა მან.

ოთახში შემოვიდა სასამართლოს ერთი წევრი, ოქროს სათვა-ლეებით, შუათანა ტანისა და მრისხანე შეხელლებისა.

— ისევ მატევი ნიკიტიჩი არ არის, — სთქვა წევრმა საყვედურის კილოთი.

— არ არის კიდევ! — უთხრა თავმჯდომარებ. — შედამ იგვი-ანებს.

— საკეირველია, რატომ არ რცხვენია, — ბრაზით წარმოსთქეა სასამართლოს წევრმა, დაჯდა და პაპიროსს მოუკიდა.

ამ წევრს, რომელიც შედამ წესიერად ასრულებდა თავის მო-ვალეობას, დღეს დილით უსიამოენება მოუვიდა ცოლთან, იმიტომ, რომ ცოლს წინდაწინევ მიცემული ერთის თვის სახარჯო ფული ვადამდე დაეხარჯა. ქალმა სიხოვა, მეორე თვის ფული მომეციო, მაგრამ მან მკახე უარი სტუკა. ატყდა ერთი ალიაქტით. ცოლმა გამოუცხადა, რომ სადილს არ გვეცეთებინდ და ტყუალად ძინდი ნუ გვეწებო. ქმარი მაშინევ გამოვარდა გარედ და გამოიტეა, ჩა-გან ეშინოდა ცოლისა, რომლისაგანაც ჟყელაფერი მოსალოდნელი იყო, მართლა სისრულეში არ მოიცავნოს თავისი მუქაობა. „იყოფვერე ამის შემდეგ სინდისიერად და პატიოსნად“, — ფიქრობდა და შეტით უშესერდა ჩასუქებულ, ქმაყოფილის სახის პატრონს თავმჯობორის, რომელსაც თავისი ფუნთუში ნაზი ხელები წევრებში შეჭყო და ნა-ზად შუაზე იყოფდა. — „ეს ქმაყოფილი და მიარულია და უკეთ ვი-ტანჯები“.

შემოედა მდივანი და რალაჯ საქმე შემოიტანა.

— დიდად გმაღლობთ, — უთხრა თავმჯდომარებ და პაპიროსს მოუკიდა. — რომელი საქმე დაეიწყოთ უწინ?

— მე ვფიქრობ მოწამელის საქმე სჯობია, — თითქოს გულვრი-ლად უთხრა მდივანმა.

— მაში კარგი, მოწამელის საქმე იყოს, — უთხრა თავმჯდომარებ და იმედი მიეცა, რომ ამ საქმეს 4 საათამდე მორჩებოდა. — მატევი ნიკიტიჩი არ მოსულა?

— არა ჯერ.

— ბრევე აქ არის?

— აქ არის, — შირვო მდივანმა.



— მაშ უთხარით, რომ ჩვენ მოწამელის საქმე გვექნება პრეზიდენტის მიერ განსახილეული.—ბრევე იყო ბრალმდებლის ამხანაგი, რომელიც ბრალმდებლობდა ამ საქმეში.

ტალანტი გამოსვლისთანავე მდივანი შეხვდა ბრევეს. მუნდირი ღილებ-შეუცხრელი ჰქონდა, პორტფელი ილლიაში ამოქარა და გაცხარებული სკემდა ბოლოას.

— მიხეილ პეტროვის პსურს გაიგოს, მზადა ხართ, თუ არა,— ჰყითხა მდივანმა.

— რასაკირეველია, მუჭამ მზადა ვარ.—უთხრა ბრალმდებლის ამხანაგმა.—რომელი საქმე ირჩევა პირველად?

— მოწამელის საქმე.

— ძალიან კარგი,—სთქვა ბრალმდებლის ამხანაგმა.

მაგრამ მისთვის ეს სრულიად სასიამოვნო არ იყო, რადგან მთელი ღამე არ უშინია. სხეულთან ერთად გაიცილა ერთი თავის ამხანაგი, ბევრი სვეს, ღამის თუ საათამდე ქალალზი ითამაშეს და საქმის წაკითხვა ვერ მოასწრო, ეხლა უნდა გადაეთვალიერებინა; მდივანმა კარგად იყოდა ესა და ამიტომც უჩინია თავმჯდომარეს პარველად ამ საქმის დანიშვნა. მდივანი ლიბერალურ და თითქმის რადიკალურ აზრების მიმდევარი იყო, ბრევე კი—კონსერვატორი, ამიტომ მდივანს არ უკავარდა და შურით უმშერდა მის აღვილს.

— სკოპცებისას რას იტყვით? — დაეკითხა მდივანი,

— ერთხელ ესთქვი, რომ არ შემიძლიან მეთქი, რადგან მოწმენი არ არიან,—უთხრა ბრალმდებლის ამხანაგმა:—სასამართლოსაც ასე განვუცხადე.

— რომ სულ ერთია...

— არ შემიძლიან,—სთქვა ბრალმდებლის ამხანაგმა და ხელუბის ქნევით გავარდა თავის კაბინეტში.

ეს სკოპცების საქმე გადადებული ჰქონდა ერთ უმნიშვნელო მიწეზის გამო. არ დაესწრო ერთი მოწმე, რომლის დაუსწრებლობაც საქმეს არ აფერხებდა; მაინც დამაინც ნამდეილი მიწეზი, კი ის იყო, რომ საქმის გარჩევას ინტელიგენტი ნაფიცი მსაჯულები დაუსწრებოდენ და მოსალოდნელი იყო დამნაშავეის ვამართლება. აკა ამიტომ მან, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, გადასწყვიტა საქმე მომიგალ სესიისათქის დანიშვნა სამაზრო ქალაქში, სადაც უმრავლესობა გლეხები იწევდოდენ და მეტი იმდედი იქნებოდა გამტყუნებისა.

ტალანტი დიდი მოძრაობა იყო. სამოქალაქო განყოფილების კარგებან ხალხს თავი მოეყარა, რადგან იქ ისეთი საინტერესო საქმე ირჩეოდა, რომელზედაც გატაცებით ლაპარაკეობდა წვერ-მოპარ.

სული წიარმოსადევეგი კაცი. შესვენების დროს დარბაზიდან ჩატანებულ ის ბებერი დედაკაცი, რომელმაც, გენიოს ვექილის წყალობით, აურებელი ფულები მისცა მოწინააღმდევე მხარეს. ეს კარგად იცოდენ მსაჯულებმაც, ვექილმაც და ოფიციალურები მხარემ, მაგრამ საქმე იმ გვარად იყო დაწყებული, რომ მეტი გზა არ იყო, უნდა წაერთმიათ ბებრისათვეს მისი ქონება და მოწინააღმდევესათვეს მიეცათ. ბებერი დედაკაცი გამოვიდა ტალანში და ხელების შლილ მიუბრუნდა თავის ვექილს: „ეს რა ამბავია, თქვენი ჭირიმე? რა მოხდა? რა მიყავით?“ ვექილი კი ცნობის-მოყვარეობით ბებრის ყვავილებიან ქუდს ათვალიერებდა და მის ლაპარაკს ყურადღებას არ აქციდა.

ბებერს, ფეხ-და-უებ გამოჰყევა სახე გაბრწყინებული თვით ის შესანიშნავი ვექილი, რომლის წყალობითაც ბებერი ხელ-ცარიელი დარჩა და მის კლიენტს, რომელმაც ათი ათასი მისცა გასამრჯველო, 100 თასზე მეტი არგუნა. ყველა ცნობის-მოყვარეობით უმშერლდა ვექილს და ვექილიც თითქოს აძაყობდა ამით და ამბობდა: „არაერთარი ერთგულების გამოხატვა და ხოტბა-დიდება ჩემთვის საკირო არ არისო“. ზედაც არ შეუტევდნა ხალხისათვის, ამაყად გვირდი აუარა და თავის გზას გაუდგა.

VII

ბოლოს მოვიდა მატვეი ნიკიტიჩიც და გამხდარი, მაღალ კისერიანი სასამართლოს ბოქაზულიც შემობრძანდა ნაფიც მსაჯულთა ოთახში.

სასამართლოს ბიჭაული უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული და განვითარებული კაცი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ერთ ალაგას ფეხს ვერ იყიდებდა. ამის მიხეზი ის იყო, რომ დიდი მოტრიტი-ალე იყო ბაზუსისა და ლოთიანად იცოდა ხოლმე გადაევრა. სამის თვის წინად ეიღა გრაფინიამ, რომელიც მისი ცოლის დიდი მწყალ-აშენები იყო, უშოງნა ეს ალაგი და დიდად მოხარული იყო, რომ ამდენ ხანს შერჩა მას.

— როგორაა საქმე, ბატონებო, ყველა აქა ხართ, არაერთ გაკლიათ?—დაეკითხა ნაფიც-მსაჯულთ, გაიკეთა პენსნე და აათვალიერიათვალიერა ისინი:

— ვვონებ ყველანი აქა ვართ,—უპასუხა მხიარულმა ვაკარმა.

— ენდავ შეგამოწმებ,—სთქვა სასამართლოს ბოქაზულმა, ამინი-ლო ჯიბილან ქალალდი და დაიწყო საოთაოოდ გამოხახება.

— სტატსე სოფეტნიკი ი. მ. ნიკიტოროვი.



— მე გახლავარ,—სოქეთ წარმოსადევებმა კაცია, რომელსაც ჭირობული ყობოდა, რომ სასამართლოს წესები კარგიდ იყოდა.

— სამსახურიდან გადამდგარი პოლქოვნიერი იყან სემიონიჩი ივანევი.

— აქედა, — გამოეხშირია გამხდარი კაცი.

— მეორე გილდის ვაჭარი პეტრე ბაკელაშვილი.

— აქ არის, — უბასუხა მხიარულმა ვაჭარმა და ისეთ ნაირად გაიღიმა, რომ პირის-ნახევი ყურებამდე მიიტანა, — მზად გახლავართ.

— გვარდიის პორუჩიკი თავადი დიმიტრი ნებლიუდოვი.

— მე ვარ, — მიუვი ნებლიუდოვმა.

სასამართლოს ბოქაულმა გადამხედა ნებლიუდოვს სათვალეების ზემოდან და მდაბლად თავი დაუკურა და მით სხვებს აგრძნობინა, რომ ამას ყველაზე წინ ვაყენებო.

— კაპიტანი იური დიმიტრიჩი დანჩენკო. ვაჭარი გრიგოლ ეფი-შიჩ კულეშივი და სხვ.-და-სხვ.

ყველა იყო, გარდა ორისა.

— ებლა, ბატონებო, დარბაზში მიბრძანდით, — სიამოენების ღი-მილით უხსრო ბოქაულმა და კარებისაკენ მიუთითა.

ნაფიცი მსაჯული ზანტად წამოდგენ და გაემართენ დარბა-ზის კარებისაკენ.

სასამართლოს დარბაზი გრძელი ოთახი იყო. ერთ კუთხეში, ამაღლებულ ადგილზე, იდგა მაგიდა მწვანე მაულ-გადაფარებული. მავიღასთან იდგა სამი რბილი სავარძელი. სავარძლების უკან ეყიდა ოქროს ვარაყიან ჩარჩოში, მთელი სიმაღლით, ხელშიციფის სურა. თი ფეხებ გაბიჯგული და ხმალზე ხელ მოყიდებული. მარჯვენა კუ-თხეში ხატი ეყიდა. ცოტა იქით იყო ბრალმდებლის საწივნობელი. ბრალ-მდებლის საწივნობელის მარცხნით იდგა მდივნის მაგიდა. მაყურებე-ლთა საჯდომების ახლო მოაჯირი იყო გაკეთებული, რომლის სიღ-რმეშიაც მოსჩანდა დამნაშავეთა სკამები; ეს სკამები ჯერ ცარიელი იყო. ამაღლებულ ალაგზე მარჯვენი ორ რიგად სკამები იყო ჩამწე-რიებული ნაფიც-მსაჯულთათვის. ცოტა ქეცმოდ-ვექილებისათვის. მაყურებელთა სკამებზე ოთხი დედა-კაცი იჯდა, რომლებიც მოსამსახურენა უნდა ყოფილიყვენ, და ორი კაცი, მუშათაგანი, რომლებიც ამ დიდებულ მორთულებით გაკეთებული წყნარიად ჩურჩულობდენ.

ნაფიც მსაჯულთა შემოსელისთანავე, დარბაზის შუა ალაგის გა-მოეგდა სასამართლოს ბოქაული და ხმა-მაღლა დაიძინა:

— სასამართლო მოდის!



ჰელანი წამოდგენ. ამაღლებულ ილაგზე გამობრძანდენ: თავ-შეკლმიარე თავისი ბაკებით, შემდეგ მრისხანე სახის სათვალებიანი სასამართლოს წეერი, რომელიც ახლა ჩვეულებრივზე მეტად მოწყე-ნილი იყო, რადგან კრების დაწყების წინად შეხედა ცოლის მა, შე-ატყობინა, რომ დასთან ვიყავიო; დას ეთქვა, სადილი არ იქნება დღესათ.

— როგორცა სჩანს, მგონია, ჩვენ სამიერუნოში მოგეიხდება წასვ-ვლა, — უთხრა სიცილით ცოლის-მიმ.

— აქ არაფერი სასაცილო არ არის, — მრისხანედ უპასუხა სა-სამართლოს წეერმა და კოპები შეიკრა. ყველაზე ბოლოს შემობრძა-ნდა თვით ის მატევი ნიკიტიჩი, რომელიც მუდამ იგვიანებდა. მატ-ევი ნიკიტიჩს კუჭის ანთება ჰქონდა და ექიმის რჩევით ახალის წეს-რიგით დაიწყო წამლობა. ამ ახალშა წეს-რიგშა დააგვიანა დღეს ჩვეუ-ლებრივზე მეტად. ახლა, ჩოცა ამაღლებულ ადგილისკენ მიდიოდა, ერთ საგანზე იყო დაფიქტრებული და პირჩამობნელებული გამოიყურე-ბოდა. ჩვეულება ჰქონდა, უეჭველად იქმნია ის საგანი, რომელსაც ხშირად უფიქრდებოდა; ეს საგანი შემდეგი იყო: უკუთ კაშინეტი-დან დაწყებული საგარემანდე ნაბიჯი თანასწორათ გაიყოფილა სამ-ზე, ახალის წეს-რიგის წყალობით უკუჭველად განიკურნებოდა ავალ-მყოფობისაგან, თუ არა და — არა. ნაბიჯი 26 გამოვიდა, მაგრამ კი-დევ გადაღვგა ერთი პატარა ნაბიჯი და სწორედ მეოცდაშეიდენ მი-კოდა კიდევ სავარჩევთან.

თავმჯდომარისა და წეერთა დიდებულმა გამოსელამ დიდი გა-ვლენა იქონია ხალხზე, კარგად იგრძნეს ესა და თავ მოწონებულნი მიუკადენ მწვანე მაუდიან მაგიდას, რომელზედაც ქალალდები და კა-იანდაშები ეწყო. შემოვიდა ბრალმდებლის ამხანაგიც, პორტფელით ილლიაში, ხელების ქნევით მოუჯდა საწიგნობელს და საქმეს სინჯვა დაუწყო. ამ ბრალმდებელისთვის ეს საქმე მეოთხე იყო. რასაკუირვე-ლია, როგორც ჯერ ისევ ახალგაზრდა და გამოუყდეს, გულით სუ-რდა ამაღლება და ამიტომ ყოველსავე ლონეს ხმარობდა გაემტყუ-ნებია დამნაშევე. მოწამვლის საქმის ვითარება თუმცა საზოგადოდ იკოდა, მაგრამ კიდევ საქმირო იყო ზოგიერთი საბუთები და საჩქა-როდ იწერდა საქმიდან. მცირანი მზად იყო ქალალდებით და საწერ-კალამით.

VIII

თავმჯდომარემ გადასინჯვა ქალალდები, პეითხა ზოგიერთი რამ სასამართლოს ბოქაულსა და მდივანს და, რავი საჭირო პასუხი მიი-ლო, მოითხოვა დამნაშევთა მოყფანა. მაშინვე მოაჯირის იქითა კა-



რები გაიღო და შემოვიდა ორი ხშილ-ამოწედილი ქანდარში. მათ შემოკუნენ დამნაშავენი: ერთი კაცი და ორი ქალი. კაცს ნაცრის-ფერი განიერი ხალათი და ასეთივე შარეალი ეცეა. არავისთვის არ შეუხედნია, საჩქაროდ დაჯდა, თავმჯდომარეს შეხედა და, თითქო რაღაცას ჩურჩულებსთ, ლოცის ძარღვები შეატმაუნა. მას უკან მოსდევდა თვალებზეასისხლიანებული და წარბეგ-გაცვეინული დედაკაცი, რომელიც ისე დამშეიდებით და არხეინად მოდიოდა, თითქო აქ არაფერიაო. წყნარად მივიდა თავის ალაგას და დაჯდა.

მესამე დამნაშავე მასლოვის ქალი იყო.

შემოსულისთანავე უცდელი ისე გაიტაცა მისმა მშვენიერებამ, რომ თვალი ვერ მოუშორებინათ, თითქმის ეანდარმიც, რომლის გვერდითაც კატიუშამ გაიარა, დააკვირდა და, მანამდე თვალი არ მოუშორებია, სანამ თავის ალაგას არ დაჯდა.

თავმჯდომარე ელოდა, სანამ დამნაშავენი თავ-თავიანთ ალაგას დასტებოდენ და როცა მასლოვის ქალი დაჯდა თავის ალაგას, მიუბრუნდა მდივანს.

დაიწყო ჩვეულებრივი პროცედურა: ნაფიც-მსაჯულთა სათა-თოდ გადათვლა, ვინც აქლდა, მათ შესახებ ბეჭბა და მათი და-ჯარიმება, კინც ნება-ყოფლობით არ მოსულიყო, მათ მაგიერ სხეუ-ბის დანიშვნა. შემდევ თავმჯდომარემ დააწყო ბილეთები, ჩაშარა შემის ლარნაკში, ცოტათი წაიწია მუნდირის სახელო, ბალნათ გა-ბანჯვლილი ხელი ისე გაიქნია როგორც ჯამბაზმა. და დაიწყო სა-თითაოდ ბილეთების ამოლება და კითხვა. შემდევ მიუბრუნდა მლედელს და სთხოვა მსაჯულები დაეტიცებინა.

მოხუცი მლედელი მიხაյისტერ ანაფორით, დასიებული ჩიყეი-თლებულის სახით, ოქროს ჯვრით, რომელიც გულზე ეყიდა და პა-ტარა ირდენით, რომელიც გვერდზედ ჰქონდა მიკერძებული, წყნა-რად წამოდგა და თავის დასიებულის ფეხებით ძლიერ მიღასლასდა საწიგნობელთან, ხატის წინ.

46 წელიწადი იყო ის მლედლათ და სამი წლის შემდევ აპი-რებდა გადაეხადა იუბილე, ისე, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინად გადაიხადა სამბოროს დეკონიშვი. საოლქო სასამართლოში ის მსახუ-რებდა სასამართლოს დაარსების დღიდან და ძალიან ამაყობდა მით, რომ ამ ხნის განმავლობაში დააფიცა რამდენიმე ათეული ათასი კა-ცი და ამ მოხუცებულობის უამს ისევ განაგრძობდა ექლესის, სამ-შობლოს და ოჯახის საკრიტიკოდ სამსახურს, იმ ოჯახის, რომელ-საც ის დაუტოვებდა სიკვდილის შემდევ სახლის გარდა 30 ათას მანეთს ფრელად და ფასიან ქალალდებით. მას ერთხელაც აზრად არ მოუკი-

დოდა, რომ ის შრომა, რომელსაც ის სასამართლოში ეწყოდა, აფი-
 ცებდა ხალხს სახარებაშე, კარგი შრომა არ იყო, მას ეს სრულიად
 არ აწერებდა, პირიქით კიდეც უცვარდა ეს მუშაობა და თანაც ხში-
 რად დიდ პირებს ეცნობოდა. ახლა ის სიმოვნებით გაეცნო შესა-
 ნიშავ ეკეილს. რომელმაც დიდი პატივისცემა და ნდობა დაიმსა-
 ხურა მის თვალში მით, რომ ერთი ბებერი ქალის, რომელსაც დიდ-
 რონი ყვავილები ჰქონდა გაეცემული ქუდზე, საქმისთვის მიიღო
 გასამრჯველო ათი ათასი მანეთი.

მსაჯულნიც წამოდგენ და მიეიღონ მღვდელთან.

— მობრძანდით, — სთქვა მღვდელმა და თავისი დასიებულის ხე-
 ლით გულზე ჯვარი შეათავაზა.

როცა მსაჯულნი სათითაოდ აეიდენ მიღლობზე და მღვდლის
 წინ გაჩერდენ, მღვდელმა დაღუნა თავისი მეღლოტი თავი და გადაი-
 გდო ლაპარი. შემდეგ გაისწორა თავისი სქელი წვერები და მიშმარ-
 თა მსაჯული:

— მარჯვენა ხელი ასწიეთ და სამი თითი მიატყუბეთ, — უთხრა
 მან და თავისი მსუქანი ხელი მაღლა ასწია. — ახლა გაიმეორეთ, რაც
 მე ვსთქვა, — წარმოსითქვა მან და დაიწყო:

— ეფიცავ ყოვლად შემძლებელ ღოთისა, წმიდა სახარებისა და
 ცხოველს მყოფელის ჯერის წინაშე, რომ იმ საქმეში, რომელიც... —
 დაიწყო მან სკენებ-სკენებით. — ნუ დაუშევებთ ხელს, მიღლა დაიკი-
 რეთ, — მიუბრუნდა ერთ ახალგაზრდის, რომელსაც ხელი ჩამოეშვა...
 — რომ იმ საქმეში, რომელიც...

ვაჭარს, პოლკოვნიკს და ს. ისე ეჭირათ ხელები, როგორც
 ამას მღვდელი თხოვულობდა, ზოგი მეაფიოდ და გარკვევით ამზრიდა
 მღვდლის ნათელებს, ზოგი, თითქო ეშინიანთ, ჩურჩულით იმეორებდა.

ყოველივე ჩქარა და უბრალოდ გათავდა, მსაჯულნი უკან გამო-
 ბრუნდენ და თავის ალაგას დასხდენ.

დასხდენ თუ არა მსაჯულნი, წამოდგა თავმჯდომარე, ერცელის
 სიტყვით მიშმართა და ნათლად დაუხატა მათი მოვალეობა და უფ-
 ლება.

თავმჯდომარის სიტყვით, მსაჯულთა უფლება ის არის, რომ
 იმათაც შექემლოთ შექეითხებორიენ დამნაშავეთ. თავმჯდომარის პი-
 რით, შექემლოთ მოეთხოვათ ქალადი და კარანდაში და ნივთიერი
 საბჭოები გეესინჯათ. მოვალეობა კი ის იყო, რომ სიმართლითა და
 სინდისიერია განეხილა საქმე, ხოლო უკეთუ ყველაფურს წესიერად
 არ შეასრულებენ და მსჯელობის საიდუმლოება გამომელავენდებოდა,
 კანონის ძალით პასუხისებაში იქნებოდენ მიცემულნა.



• ყველანი სმენად გარდაქცეულიყვენ. ვაჭარი, რომელსაც ჰქონდა მარტინის ნელი ლეინის სუნი ამოსდიოდა პირიდან და ბოყინით იქაურობას აყრუებდა, თავმჯდომარის თვითოულ სიტყვაზე რეტიანივით თავს იყაცუნებდა.

IX

სიტყვის გათავების შემდეგ, თავმჯდომარემ მიმართა დამნაშავეთ.

— სეიჩონ კარტინკინო, ადექით,— სთქვა მან.

სიმონი სწრაფად წამოვარდა და ორივე ლოყა ძალზე შეაცმა-ცუნა.

— თქვენი სახელი?

— სიმონ პეტროვიჩ კარტინკინი, — სწრაფად წამოიძახა წინდა-წინვე მომზადებული პასუხი.

— თქვენი წოდება?

— გლეხი გახლივარ.

— რომელ გუბერნიისა, რომელის მაზრისა?

— ტულის გუბერნიისა, ქრაპივენის მაზრისა, კუპიანსკის სა-მოურავოსი, სოფელ ბორკიდან.

— რამდენის წლისა ხართ?

— ოცდა თოთხმეტისა, დაბადებული ვარ ათას რვაას...

— რა სარწმუნოებისა ხართ?

— სარწმუნოებისა? ჩუსისა, მართლმადიდებელისა.

— ცოლიანი ხართ?

— არა.

— რა ხელობისა ხართ?

— სასტუმრო „მავრიტანიის“ ტალანტი ვიყავით მოსამსახუ-რედ.

— წინად როდის იყავით პასუხისებაში მიცემული?

— არასოდეს, რადგან ჩვენ ისე ვცხოვრობდით, რომ...

— არ ყოფილხართ?

— არასოდეს, ღმერთმა დამიტაროს!

— საბრალმდებლო თქმის პირი მიიღოთ?

— მივიღე.

— დაჯერით.— ეფემია ივანოვნა ბოჩქოვა,— მიმართა თავმჯდო-მარემ შემდეგ დამნაშავე ქალს. სეიმონი ისე ისე იდგა.

— კარტინკინო, დაჯერით.

კარტინკინი ისე იდგა.

— კარტინგინო, დაუკეთ!

მავრამ კარტინკინი მანამდე იღდა, სანამ აń მივირდა გაბრაშე-
ბული ბოქაული, რომელმაც კისერი განზე მოიგრიხა და ტრალიკუ-
ლის ჩურჩულით ჩასძახა: „დაჯერით, დაჯერით“—ო.

კარტინგვინი ისე სწრაფად დაჯდა, როგორც აღდა. შემოიხეოა ხალათი და შინანდებური ლოკები შეათავსა.

— თქვენი სახელი? — დაკიოთხა თავმჯდომარე მეორე დამნაშავე ქალს და ზედაც არ შეუხედნია, რაღაც ქალალდს დაუწყო სინჯვა. საქმე ისე წევულებრივი იყო თავმჯდომარისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს შეეძლო თრი საქმე ერთად გაეკატებინა.

— ბოჩქოვისა 43 წლისა იყო, წოდებით — კოლომენის შდაბით მოქალაქე, ხელობით — იმავე სასტუმრო „მიერიტანის“ მოსამსახურე. პასუხისმგებაში წინად არასოდეს არ ყოფილა ზიცქმული, საბრალმდებლო ოქმის პირი მიღებული ჰქონდა. პასუხებს ბოჩქოვისა ისე განეპირებულად და რიხით აძლევდა, თითქო ამბობდა: „დიალ, მე ეფუძნია ბოჩქოვა ვარ, ოქმის პირი მიყიდულ და ვამაყომ კიდეც ამით და არავის დაცინების ნებას არ მიეცემო“. გაათვალისწინებული და განვითარებული ბოჩქოვის მარჯვე დაჯდა.

— თევენი სახელი? — მიქმართა თავტჯდომარებმ შესამე დამნაშავეს და, როცა დაინახა, რომ ის ისევ იჯდა, ტებილის ხმით უთხრა: „უნდა ადგეოთ“.

მცილოება სწრაფად წიმოდგი, თვალი თვალში გაუყარა თავ-
მჯდომარეს და მოემზადა.

— ఏం గ్రింగో?

— ლიტერატურას მემახილნენ, — უპისალთა მენ.

ამ დროს ნებლიუდოვს ცუიირხედ სათვალეები წამოედო და დაწინაშევებს ათვალიერებდა. „ეს ყოვლად შეუძლებელია“, — ჰეიქ-რობდა და თვალს არ აშორებდა დაწინაშევე ქალს. მაგრამ ლიუბა საიდუანზე — ჰეიქრობდა, როგორ პასუხი გაიგონა.

თავემჯედომარებელის უნდოდა კიდევ ეკითხნა ჩამო, მაგრამ საოცა-
ლებიანმა მრისხანე წევრმა ჩაიღაც ჭიასჩურჩულა და გაჩერდა: თავ-
ემჯედომარემ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრია და მიმერთა დამნა-
შეეს:

— როგორ თუ ლიტერატურას — სოჭვა მან, — ფქვენ სხვა სახელით ხართ
ჩიტერილი.

დამნაშაული ხდის არ იღებდა.

— මුළු ගැසුවින් සැපුගින්ත්වීමිත, රාජ්‍යාලි ගැසුවින් නාම්පූරුවලේ පාඨ්ගෙනු?

— წინადან კატერინას შეძახდენ.

„ეს ყოვლად შეუძლებელია”, — ამბობდა თავისთვის ნეხლიუროვი და იმავე დროს დარწმუნებული იყო, რომ მას ჭინ იდგა ის ქალი, რომელიც ერთ დროს უყვარდა; დიალ! უკვარდა, შემდეგ სასტიკად მოატყუა, გარუნა, ფეხ-ქვეშ გასთელა მისი უმანეს პატიოსნება და ბოლოს, როგორც უფარგისი ნიერი, ისე მოიგლიჯა გულიდან და გადააგდო. მას შემდეგ ეს ამბავი ერთხელაც არ მოჰვონებია, რადგან პირდაპირ ამტკიცებდა და ჩირქსა სცხებდა მისს პატიოსნებას, რადგან უშმგავსოდ და მხეკურად მოიქცა ამ ქალის ჭინაშე.

— თავიდანვე იგრე უნდა გეთქვათ, — ისევ ტკბილის ხმით უთხრა თავშეჯდომარებ.

— მამის სახელი?

— მე... უკანონო ვარ, — წაილაპარავა ზან.

— მაინც ნათლობის სახელი?

— მიხაილოვნა!

„ნეტა რა დანაშაული ჩაუდენია? — ჭრიქილობდა ნეხლიუდოვი და სულს ძლიერ იბრუნებდა.

— გვარი? — განაგრძო თავშეჯდომარემ.

— დედით მასლოვა ვიწყერებოდი.

— წოდება?

— მდაბიო მოქალაქე.

— მართლმადიდებელის სარწმუნოებისა?

— მართლმადიდებელისა.

— ხელობა? რას აკეთებდით?

— მაქლოვა ხმას არ იღებდა.

— რა ხელობისა ხართ? — განაგრძო თავშეჯდომარემ.

— თქენ თვითონ იცით, — უთხრა მასლოვამ, საცოდავად ვაი-და თვალი მოავლო დარბაზში მყოფ.

ამ სიტყვებსა, ძალდატანებულ ღიმილსა და იმ გადახედვაში, რომილითაც მან თეალი მოავლო დარბაზში მყოფ, ისეთი რაღაც არაიხეულებრივი საიდუმლოება იხატებოდა, რომ თავშეჯდომარემ თავი ჩამოუნა და დარბაზში მყოფი მდუმარებამ მოიკვე. დუმილი ვიღაცის სიცილმა დაარღვევა, ხალხში ვიღამაც დასტვინა. თავშეჯდომარემ თავი მაღლა აიღო და განაგრძო კითხვა:

— პასუხიგებაში იყავით როდისმე მიცემული?

— არასოდეს, — წყნარად წარმოსოქვა მასლოვამ და მწარედ ამოკვენსა.

— საბრალმდებლო ოქმის პირი მიიღეთ?

— მიეიღე.



— დაჯექით, — უთხრა თავმჯდომარებ.

* დამზაშავებ ინწია კაბა, ისე, როგორც მორთული ქალები შელეის აიწევენ ხოლმე, და თვეოლი იპ მოუშორებია თავმჯდომარის-თვის, ისე დაჯდა თავის ალიგას.

შემდეგ დაიწყეს მოწმეების გადაოელა და ექსპერტ ექიმს მოუწოდეს დარბაზში. შემდეგ წამოლგა მდივანი და საბრალმდებლო ოქმის კითხები დაიწყო. თუმცა ხმა-მაღლა კითხულობდა, მაგრამ ისე ჩქარი ამბობდა სიტყვებს, რომ ასოებს ლ და რ-ს ერთმანეთში ურევდა და ერთი აუარებელი ზუსტნი გამოდიოდა. მოსამართლენი მოუთმენლობით ხან მაგიდას დაეყრდნობოდენ, ხან საფარისლის საზურგეს მიაწევებოდენ და ჩუმად ჩურჩულებდენ. ერთმა უანდარმა ის იყო დააღმა პირი დასამთხნარებლად, მაგრამ უცბად თავი შეიძიაგრა და პირშივე ჩაიკლა გულით მომზადებული მოქნარება.

შასლოვის ქალი ხან უძრავედ იჯდა და ყურს უგდებდა მეოთხეელს, ხან უცბად შეკრთხებოდა და, თითქოს გამოპასუხება უნდაო, ჭითლდებოდა, ხან შარედ ამოკენებებდა და ერთ წამს თვეოლს მოაკლებდა ხალხს და ისევ მეტობელს დაუწეუბდა მშერას.

ნებლიუდოვი პირელ რიგში იჯდა და თვეოლს იპ აშორებდ, მისლოვის ქალს. მა დროს მის გულში დიდი სულიერი ბრძოლა იყო.

X

აი საბრალმდებლო ოქმის შინაარსი: „ჩეილმეტ იანვარს 188... წელს სასტუმრო „მავრიტანიში“ ცეცრად გარდაიცვალა კურგანის მეორე გილდის ვაქერი ფერაპონტ ემელიანოვის სმელკოვი.

ადგილობრივ მე-4 უბნის ექიმის შემოუშებით, სმელკოვი გულის სიღამბლისაგან გარდაცვლილიყო, ბევრის მაგარ სასმელების სმის გამო.

სმელკოვის გვამი უკეე მიწას მიაბარეს, როცა რამდენისამე დღის შემდეგ პეტერბურგიდან გამოიიარა მისმა ამხანაგმა ვაჭარმა ტრიმოხინმა, გაიგო დაწვრილებით ცველაფერი და ეჭვი განაცხადა, — სმელკოვი მოწიამლულია.

გამომძიების დროს აღმოჩნდა, რომ: 1) სმელკოვმა სიკედილის შინააღ მიიღო ბანკიდან 3,800 მანეთი, ხოლო მისი ქონების აღწერის შემდეგ იღმოჩნდა მხოლოდ 312 პ. 16 კ.; 2) სიკედილის შინა დღე და ლამე სმელკოვმა გაატარა სასტუმრო „მავრიტანიში“-ში ეილაც ქალ ლიტებასთან (ეკატერინე მასლოვან), სადაც სმელკოვის მინდობილობით, მის შინ არყოფნის დროს, მიეციდა ეკატერინე მასლოვისა და, სასტუმროს მოსამსახურეების სიმონ კარტინკინის და ეფე-



მია ბოჩქოვის თანადასწრებით, გააღო სმელკოვის მიერ გამოტუანჭარისა და ბულ გასაღებით მისი ჩემოდანი და ამოილო იქიდან ფული. ჩემოდანის გაღების დროს იქ კარტინკინმა და ბოჩქოვისამ 100 მანეთიან ქალალდების მთელი შეკვრა დაინახეს. 3) როცა სმელკოვი დაბრუნდა სასტუმრო „მიყრიტანია“-ში, ლიუბკამ, კარტინკინის შთაგონებით, დააღვეინა სმელკოვს ერთი რუმეა კონიაკი და შიგ რაღაც თეთრი ფხენილი შეურია, რომელიც კარტინკინმა მისცა. 4) შეორე დოლით ლიუბკამ (ეკატერინე მასლოვამ) მიპყიდა თავის დიასახლისს, მოწამე როზანოვისას, ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც სმელკოვს ეკუთვნოდა და ვრთომეც ამ უკანასკნელმა აჩექა. 5) ტალანტი მოსახლეობურე ეცუმია ბოჩქოვისამ შეიტანა ბანქში თავის სახელშე 1,800 მანეთი.

სმელკოვის შიგნერულის ქიმიურ გაძოვლებით, განსვენებულის გვაძმი საჭამლავის უტულარი ნიშნები აღმოჩნდა, რითაც ცხადად დამტკიცდა, რომ მოწამლეები იყო მეცნიერი.

ბრალდებულებმა: მასლოვამ, ბოჩქოვამ და კარტინკინმა დამნაშავედ არ იქნეს თავი და დასამტკიცებლად შემდეგი განაცხადეს: მასლოვამ განაცხადა: თუმცა მართლა სმელკოვის ბრძანებით წავედი მისს ბინაზე და გვაღე ჩემოდანი, მაგრამ 40 მანეთის მეტი არ ამომიღია, რის მოწამეც ბოჩქოვა და კარტინკინია; ამათის თანადასწრებით გვაღე და დავყეტე ჩემოდანი. შემდეგ განაცხადა, მეორედ მისელაზე, კარტინკინის შთაგონებით, მართლა დავალევინე კონიაკი, რაღაც ფხენილ-შერეული, რომელიც დასახინებელი მეგონა, იშიტომ, რომ დროინდე დაეღწია თავი და შინ წასულიყო. ბეჭედი თეთრ სმელკოვმა მარქა, როდესაც მცემა, ტირილი დავიწყე და წასელა დავაძირეს.

ეფემია ბოჩქოვამ განაცხადა: მე არაფერი არ ვიყი ფულის დაკარგებისა, რადგან სმელკოვის ოთახში არ შევსულვარო. იქ მარტო ლიუბკა დიასახლისობდა და, თუ კი რამდე დაიყარგა, უთუოდ ლიუბკა მოიპარავდა, როცა ჩემოდნის გასაღებად მივიდო.

ჩემნების ამ ნაწილის კოსხების ფრთის მასლოვის ქალი შეკრთა, გააღო პირი და ბოჩქოვას მიღებრუნდა.

როცა ეფემია ბოჩქოვას წარუდგინეს ანგარიში ბანქში შენა-ხულ 1,800 მანეთისა და პკითხეს, საიდან იშოვნე ეს ფულით, მან განაცხადა: ეს ფულები შევიძინე 12 წლის განმავლობაში მე და სიმონ კარტინკინმა, რომელიც ჩემს ცოლად შერთვას პუიქრობდა. სიმონ კარტინკინმა პირველ ჩემნებაზე სთქვა, რომ მე და ბოჩქოვამ, მასლოვის ქალის შთაგონებით, რომელიც მოვიდა სასტუმროში გასა-ღებით, მოეიპარეთ ჩემოდნიდან ფული და გავიყავითო. ამ სიტყვებშე

მასლოვი ისევ საშინოდ შეკრთა, წიმოხტა მოლად გაწიოლებული და გაცხარებით რაღაც ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ სასამართლოს ბო-კიულმა შეაჩერა. ბოლოს,—განიგრძო კითხვა მდიდარმა, —კარტინგინი იმაშიაც გამოტყდა, რომ მე მივეცი მასლოვას რაღაც დასაძინებელი წიმილი და კუთხარი ვაჭრისთვის დაელევინებიათ. მეორე შეკითხვის დროს კი ყველაფერზე უარი განაცხადა: ფულის მოპარეაში მონაწილეობა არ მიმიღავ, არც საწამლავი მიმიტიაო, და ბრალი სულ მას-ლოვას დასდო. ბანკში შენახულ ფულისა სოქვა, რომ ის ფული მე და ბონიერვამ 12 წლის განმავლობაში შეცინდეთ სასტუმროში, სადაც მომსელელ მიმსელელი ხშირად გვასიუქრებდნენო.

საპრალმდებლო ოქმის დასკუნა შემდეგი იყო:

ეს ბრალდება ექვემდებარება სასჯ. დეპ. 1453 სტ. მე-4 და მე-5 მუხლებს, ამიტომ სისხლის სამართლის წესდებათა 201 სტ. ძალით, სიმონ კარტინგიძის, ეფემია ბოჩკოვა და მდიბიო მოქალაქე ყარტ-რინე მასლოვა ექვემდებარებიან სოლქო სასამართლოს, ნაფიც-ჟულთა თანადასწრებით.

ასე დაბასრულა საბრალმდებლო იქმის კითხვა მდგრადი. შემდეღ
დაპეტრა ქალალდები და დაჯდა თავის ალაგის. ყველამ თავისუფლად
ამოისუნთქა, რომ ახლა დაიწყობდა გამოკელევა, ყველაფრიდ ნით-
ლიდ გამოირჩევოდა და სიმართლე თავისას გაიტანდა. მარტო
ნებლიუდოვი არ იყო იმ გვარის გრძნობით გამსჭვალული. ის მოლად
იმ ფიქრს მოეცვა, თუ როგორ მოქსდა, რომ ის შისლოვის ქალი,
რომელსაც ის იცნობდა, ასეოთის საშინელის საშინი ჩამდინი შეიქმნა.

როცა საბრალმდებლო იქმის კითხვა გაათავეს, თავშეჯობის, წევრებთან შეთანხმებით, მიუბრუნდა კარტინკის და ისეთი სახის გამოხეტყველება შილო, თითქოს ეუბნებოდა, ახლა ყველაფერი გი-
ცით და კველაფერს გავიგებთო.



— გლეხი სიმონ კარტინკინი,—დაიწყო მან და მარცხნივ ში-
ბრუნდა.

სიმონ კარტინკინი საჩქაროდ წამოხტა, ხელები გაჭირა და ლო-
ციბი ჩვეულებრივად შეათამაშა.

— ბრალი გედებათ, რომ 17 იანვარს 188... წელს თქვენ, ეფე-
მია ბოქტოვასა და ეკატეტრინა მასლოვასთან შეთანხმებით, მოიპარეთ
ვაჭარ სმელკოვის ჩემოლნიდან მისი ეუთვილი ფული, შემდევ მოუ-
რანეთ დარიშხანა და ურჩიეთ ეკატეტრინე მასლოვის დაელევინებინა
ვაჭარ სმელკოვისთვის, რის გამოც სმელკოვი გარდაიცვალა. დამნა-
შევედ სცნობთ თქვენს თავს, თუ არა? — წარმოსონება თავმჯდომარებ
და მარჯვნიდ გადიხარა.

— ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ჩვენი საქმე მხოლოდ
სტუმრების სამსახურია...

— შემდეგ იტყვით. დამნაშავეთ სცნობთ თავს თუ არა?

— სრულიადაც არა. მე მხოლოდ...

— შემდეგ იტყვით. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ არა? — დაბე-
ჯითებით განუშეორა თავმჯდომარებ.

— არ შემეძლო ეგ მექნა, ამიტომ რომ...

ისევ სასამართლოს ბოქაული მიუხსა სეიმონ კარტინკინს და
ტრადიციულის ჩურჩიულით შეაჩერა.

თავმჯდომარებ ამით გაითხეა კარტინკინის შეკითხვა და შემდეგ
ეფემია ბოქტოვას მიუბრუნდა.

— ეფემია ბოქტოვა, ბრალი გედებათ, რომ 17 იანვარს 188...
წელს, სასტუმრო „მავრიტანიაში“, სიმონ კარტინკინთან და ეკატე-
ტრინე მასლოვასთან ერთად, მოპარეთ ვაჭარ სმელკოვს ჩემოლნიდან
ფული და შემდეგ, ავაზეკობის დასატარივიდ, დაალევინეთ სარამ-
ლევი, რის გამოც იგი გარდაიცვალა. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ
არა?

— მე არაფერში დამნაშავე არა ვარ, — თამაშიდ და ხმამაღლა
წარმოსონება მან. — მე ოთახშიც-კი არ შევსულვარ... უთუოდ ეს სამა-
გელი ჩაიდენდა ამ საქმეს.

— თქვენ შემდეგ იტყვით, — უთხრა აბილად თავმჯდომარებ. —
მაში, დამნაშავედ არ სცნობთ თავს?

— მე არ ამილია ფული და არც არაუერი დამილევნებია მის-
თვის. ოთახშიც-კი არ შევსულვარ. რომ შევსულიყვანი, ამ საძალეს
უთუოდ გაჩედ გავაგდებდი.

— დამნაშავედ არ სცნობთ თავს?

— არასოდეს!



36135920
31321190133

— ମାଲ୍ଲିଗାନ୍ ପାର୍କୁଣ୍ଡି.

— ქართველი მასლოება, — მიუბრუნდა თავმჯდომარე მესამე დამნაშავეებს: — თქვენ ბრალი გედებათ, რომ როდესაც ვაჭარ სმელკო-
ვის ოთახში მიხედით, სასტუმრო „მავრიკანიაში“, იმის ჩემონის გასაღებად, მოიპარეთ ჩემონიდან ფული და ბეჭედი, — ასე ლაპარა-
კობდა თავმჯდომარე, თითქო გაზიპირებული აქვთ და ცალი ყური
ერთის წევრისაკენ ჰქონდა მიტესული, რომელაც ეჩურჩულებოდა, რომ
ნიეთიერ საბუთებში საწამლავის შეზა ცკლიაო... — მოიპარეთ
ჩემონიდან ფული და ბეჭედი, — განიმეორა თავმჯდომარემ, შემდეგ
გაიყავით ნაპარევი და, როდესაც სმელკოვთან ერთად ისევ სასტუმ-
როში დაბრუნდით, დაალევინეთ საწამლავი, რის ვამოც იყი გარ-
დათყვალა. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ არა?

— օրոցյրի օր ձանձնողութեան օր առ զար,— Միհագյալ Քաղաքաբարոյա ծրագլութեալմա: — Խոցորդ Քոնաց ըստյան, աթուաց ուս զամեռն, հոմ առ Քամուրա, առ Քամուրա, առ Քամուրա, ահօցյրի օր Քամուրա լա ծեպութու կո տուտուն ծահովք:

— არა სცნობთ თავსი დამწაშავეთ, რომ 2,500 მანეთი მოიპარეთ? — ჰერონთა თავმჯდომარეობა.

— გორგანებით, რომ არის უკრია არ წამილია, გარდა 40 მანეთისა.

— მამ, არც იმაში სკონბთ თავს დამნაშავედ, რომ ვაჭარ
სმელკურის საწამლავი მიეკით?

— ეგ კი მართალია, მხოლოდ მე მეგონა დასაძინებელია-მეოქი და არა საწამლავი. ეგეც მხოლოდ იმიტომ მივეცი, რომ დაშეძინებია. არც ეფიქრობდი და არც მინდოდა მისი სიკედილი, ღვთის წინაშე ვამზობ, რომ არ მინვორთა, — წარმოსტექვა მან.

— მალინ კარგი; მაშ დამნაშავედ არ სკრიპტ თავს, რომ მოქარეთ ვაჭარ სმელუოს ფული და ბეჭედი და იმის ამბობთ მხოლოდ, რომ მიღვით საწამლავი? — შეკითხა თავტეჯორმარე.

— ეგ საწამლავი მე მხოლოდ დასაძინებელი მეგონა. მისი სი-
კრიტიკა არა მინთოურა და არა მითიქიზოა.

— კარგი! — ემაყოფილების კილოთი უთხრა თავშეცვალებებს, რაյე საქორო პასუხი მიიღო: — მაში, მომიყენეთ, როგორ იყო საქმე — უთხრა მან, სავარაუდოში გადაწყვა და ხელები მავიდაზე დააწყო. — მოჰყენეთ ყველაფერს, როგორც იყო. შევიძლიანთ წრფელის გრ-ლით აღიაროთ ყველაფერი; ამით დიდ შეღავას შესცემთ თქვენს თავს.

მისლოდა მისჩერებოდა თავმჯომარეს და ხშას ორ ილებდა.

— მოაწყევით, როგორ იყო საქმე.



— როგორ იყო? — უეცრად დაიწყო მასლოვამ. — მიკედი ჰესტრებულია როში. შემიყვანეს ოთახში. ის ძლიერ მოერალი იყო. — მასლოვამ თვალები და განვიტა და უფრო გარევით წარმოსოქვა სიტყვა „ის“. — მინდოდა წავსულიყვი, მაგრამ არ გამიშეა.

ქალი უცბად შეჩრდა, თითქო რაღაც დაივიწყდაო.

— შემდეგ?

— შემდეგ რა? დავრჩი და მერე სახლში წავედი.

ამ დროს ბრალმდებლის ამხანაგმა ნახევრად წამოიწია.

— გსურთ პეითხოო რამე? — შეეყითხა თავმჯდომარე და, რავი თანხმობის პასუხი მიიღო, თითოთ ანიშნა, შეგიძლიანთ ლაპარაკიო.

— მინდა ერთი რამ ვყითხო: იცნობდა თუ არა დამნაშავე სიმონ კარტინკინს წინად? — პეითხა ბრალმდებლის ამხანაგმა, ისე, რომ მასლოვისთვის არც კა შეუხედნია.

თავმჯდომარემ განუშეორა კითხვა. მასლოვა შეშინებული მისჩერებოდა ბრალმდებლის ამხანაგს.

— სიმონს ვიცნობდი, — უთხრა მან.

— ახლა მინდა შეეიტყო, რა ნაცნობობა პეინდა დამნაშავეს კარტინკინთან? ხშირიდ პხედვედნ ერთმანეთს?

— რა ნაცნობობა გვეკონდათ? მიკვავდი სტუმრებთან, სხვა არა-ფერი ნაცნობობა არა მქონია, — უპასუხა მასლოვამ.

— მინდა გავიგო, რაღა მარტო მასლოვა დაჭყავდა კარტინკინს და სხვა არა? — მეფისტოფელურის ლიმილით დაეყითხა ბრალმდებლის ამხანაგი და თვალები მიღლულა.

— რა ვიცი? ეგ საიდგან მეცოდინება? — უპასუხა მასლოვამ, შეშინებულმა მოიხედა და ერთ წუთს თვალები ნებლიუდოვნე შეაჩერა: — ვინც უნდოდათ, ის მიკვაედათ.

„ნუ თუ მიცნო“, — გაიციქრა ნებლიუდოვმა და საშინლად გაწითლდა, მაგრამ, მასლოვას ის სხვებისგან არ განურჩევია, მალე თვალი მოაშორა და ისევ ბრალმდებლის ამხანაგს დააშტერდა.

ბრალმდებლის ამხანაგმა, რადგანაც ნახული პეინდა, რომ ბრალმდებელი და ვექილები მოხერხებულ შეეითხეის შემდეგ სტერდენ, რაც საჭირო იყო მოწინააღმდევების შესამუსრავეად, დაიწყო წერა, მაგრამ ნამდვილად კი არაფერს სტერდა და მზოლოდ დაშერილ ასოებს აყოლებდა კალამს.

— შემდეგ რა მოქსდა? — განაგრძო თავმჯდომარემ.

— მიკედი სახლში, — განაგრძო უფრო თამაბად მასლოვამ, — და დასაძინებლად დაეწევი. ის იყო, დამეძინა კიდევ, რომ ჩერნი გოგო ბერტა მაღვიძებს; „ადე, შენი ვაჭარი ისევ მოვიდა“-ს. იმას ლეინო



უნდოდა,—მისმა ხსენებაშ კვლავ შემაძრტუნა,—მაგრამ ფულადსწორებული ქვეოდა თან და მე გამგზავნა სასტუმროში, მითხრა, რამდენი იყო უცლი და რამდენი წამომელო. მეც წავედი.

ამ ლაპარაკის დროს თავმჯდომარე მარტინი ერთ წევრს ება-ასებოდა და მასლოვას სიტყვები ერთიც არ გაუკონია და, რომ ეჩერენებინა, ვითომი ზელაფერი გაიგონა, გაიმორა უკანასკნელი სიტყვა:

— წახვედით? მერე?—ჰეითხა მან.

— წავედი და ცველაფერი ისე მოვიქმედე, როგორც მიბრძანა: შევედი ოთახში, მაგრამ მარტო კი არა, სიმონ მიხაილოვის დავუძიხ და აი იმას,—სოქეა მასლოვაშ და ბოჩკოვაზე შიულითა.

— სტუის, მე არც კი შევსულვარ...—დაიწყო ბოჩკოვამ, მაგრამ მალე ჩაიწერს.

— ამათ თანადასწრებით ამოვილე თოხი წითლიანი—განაგრძო მასლოვამ.

— ხომ არ შეუნიშნავს ბრალდებულს, როცა 40 მანეთს იღებდა, რამდენი იყო სულ ფული?—შეეითხა ისევ ბრალდებულს ამხანაგი.

მასლოვა შეერთა. მან ინსტინქტიურად იგრძნო, რომ ბრალდებულს მისთვის სიკეთე არ უნდოდა.

— არ დამითელია, დავინახე მხოლოდ, რომ ას მანეთიანები იყო.

— ბრალდებულს დაუნახავს, რომ ას მანეთიანები იყო! ეგ მინდოდა მხოლოდ ვამეგო.

— მერე, მიუტანეთ უცლი?—განაგრძო კითხვა თავმჯდომარები და საათს დაძხედა.

— მივუტანე.

— მერე!—ჰეითხა თავმჯდომარე?

— მერე ისევ თან წამიყვანა,—უასტეა მასლოვამ.

— აბა, ეხლა მითხარით, როგორ გაურიცო სასმელშია საწამლავი,—შეეკითხა თავმჯდომარე.

— როგორ გაეცირე? ჩაყარე შიგ ფხენილი და დავალევინე.

— რად დაალევინე?

ამასედ პასუხი არ გასცა და მწარედ ამოიკენსა.

— არ მიშევებდა,—უარი სიჩემის შემცუებ დაიწყო მასლოვამ,—და ძალიან შევსწუხდო. გამოეცი ტალანში და სიმონ მიხაილის კეუბნები: „დავილალე, ნეტა ერთი სახლში გიმიშვას-მეტქი“. სიმონ, მიხაილის შეუბნება: „ჩვენც მოჯვაბეზრა თავი, გვინდა ძილის წამილი დავალევინოთ, დაიძინებს და მერე წაღიო“. მე უუთხარი: „კარგი,



მოცელი მეტქი". მე მეგონა, წამილი არაფერს ავნებდა. სიმონმა მთ-
მცა რაღაც ფხენილი. შევედი ოთახში, ლოგინში წევს. ჰაშინვე კო-
ნიაქი მომთხოვა. ავილე ფინ-შამპანის კონიაქი, დავასხი ორ ჭიქაში,
ერთი მისთვის და ერთი შემთვის. მის ჭიქაში/ის წამილი ჩავყარე
და მიეცე. რომ მცოდნოდა, განა მიცეცმდი? მაგრამ არ ვიცოდი!

— ბეჭედი როგორ-ლა განჩდა თქვენს ხელში? — ჰეითხა თავ-
მჯდომარებ.

— ბეჭედი თვითონ მაჩუქა.

— როდის გაჩუქათ?

— როცა მიეცე; მინდოდა ადრე წამოვსულიყვავი. ცემა დაძი-
წყო. მე ტირილს მოვაცე და წასვლა დაეპირე. ოლონდ ნუ წახეალო
და ბეჭედს გაჩუქებო; წაიძრო თითიდან ბეჭედი და მომცა.

ამ დროს ბრალდებლის ამხანგმა წინანდებურად წამოიშია,
ნება-რთვი მიიღო, რომ მიემართნა ბრალდებულისათვის და ეკითხნა.

— მინდა გავიგო, რამდენ ხანს დარჩა ბრალდებული ვაჭარ-
თან?

მასლოვას ისევ გააერტოლა შიშით და სწრაფად წამოიძახა:

— არ მასხოვს, რამდენ ხანს.

— მაშ, არც ის ახსოვს ბრალდებულს, ვაჭარ სმელკოვიდან
წამოსული, სხვა ოთახში თუ შევიდა სადმე?

— გვერდზედ ცარიელი ოთახი იყო და იქ შევედი, — სთქვა-
მან.

— რად შეხვედი? — გატაცებულმა პირდაპირ მიშმართა ბრალ-
დებლის ამხანგმა.

— მეტლეს ველოდებოდი.

— კარტინკინი იქ იყო, თუ არა?

— ისც შემოვეიდა.

— რათ შემოვეიდა?

— ვაჭარს ფინ-შამპანი დარჩა და ერთად დავლიერ.

— ჰოო, ერთად დალიეთ. ძალიან კარგი ჰქონდა თუ არა ლაპა-
რაკი ბრალდებულს სიმონთან, და თუ ჰქონდა, რაზედ ილაპარაკეს?

მასლოვამ უცებ კოპები შეიკრა, საშინლად გაწითლდა და ან-
გარებით წარმოსთქვა:

— რაზე გვეონდა ლაპარაკი? მე მეტი არაფერი ვიცი და, რაც
გინდათ, ის გადამიწყვიტეთ, მე დამნაშავე არა ვარ — მორჩა და
გათავდა. რაც იყო ყველაფერი ვსთქვი!

დუმილი ჩამოვარდა.

— გაქვთ კიდევ რამე სათქმელი?



— ცუცულაფერი ვსთვეთ.

თავმჯდომარემ გამოიცხადა, სხდომა 10 წელით შესწყდა, საჩქაროდ აღვა და გავიდა დარბაზიდან.

მოსამართლეთა შემდეგ წამოდგენ ნაფიცნი მსაჯული, ვექილები, მოწმენი და, იმ მოსაზრებით, რომ მნიშვნელოვანის საქმის ერთი ნაწილი გავითავეთ კიდევკა, აქეთ-იქით გაემირთნენ.

ნებლიუდოვი გავიდა ნაფიც-მსაჯულთა ოთახში და ფანჯარის მიღწედა.

XII

დღალ, კატო იყო!

პირველად ნებლიუდოვი შეპხვდა კატოს მაშინ, როცა უნივერსიტეტში მესამე კურსშე გადავიდა და მთელი ზაფხული თვითმმართვის გაატარა. მუდამ ზაფხულს დედითა და დით მოსკოვის ახლო ტედის მამულში ატარებდა. მაგრამ იმ წელს და გათხოვდა, დედა საზღვარგარედ წავიდა და ნებლიუდოვმა გადასწყვიტა დეიდებთან წასელი, რადგან თანხულება ჰქონდა დასაწერი და იქ ხელს უერავინ შეუშლიდა. თან დეიდებს ძლიერ უყვარდათ და იმასაც ძლიერ მოსწონდა მათი გარტიერ ცხოვრება და ძელებური ოჯახი.

იმ ხანად ნებლიუდოვმა წაიკითხა სპეცისტების „სოციოლოგიური სტატიკა“ და სპეცისტების მსჯელობაში კერძო მიწადმულობელობის შესახებ ლრმა შთაბეჭდილება დასტოეა მის გულსა და გონებაში, მით უმცრეს, რომ მდიდარ მემამულის შეილი იყო. თუმცა მამი მდიდარი არ იყო, მაგრამ დედამ მშითვად 10 ათასი დესეტინა მიწა მიიღო. ნებლიუდოვმა პირველად გაიგო მთელი უსამართლოება მიწად-მფლობელობისა და, როვორც ერთი იმ ჯვრუთაგანი, რომლის-თვისაც ზერობრივ მოთხოვნილების დასაქმეყოფილებლად მსხევრპლი უმაღლესი ბედნიერებაა, გადასწყვიტა არ ესარგებლნა კერძო საკუთრებით და მაშინვე დაურიგა გლეხებს მამის დატოვებული მიწა. ამ თემაზე სწერდა თანხულებასაც.

დეიდებთან ზაფხულს ასე ატარებდა: დილით ადრე ადგებოდა, ხშირად სამ საათზე და წყალზედ მიდიოდა საბაზოად. ხან დილიდანე მიუჯდებოდა თხზულებას და სწერდა. უცრო ხშირად კლდელრებში ხეტიალს უნდებოდა, საღილის წინად ხშირად ბალში ეძინა ჩრდილ ქვეშ. საღილს შემდეგ ხშირად ცხენით სეირნობდა, ან ნავით დაცურავდა წყალში. საღიმოს კითხულობდა და სწერდა, ან იჯდა დეიდებთან და ქალალდა შლიდა. როცა მთვარიანი დამე იყო, გარედ ატარებდა დროს და ოცნებით გატაცებული სტკებებოდა ბუნების მშენიერებით.



ასე გაატარა დეიდებთან ერთი თვე და ორაცითარი ყურადღება არ მიუქმედია შავთვებლა ცერიალა კატოსათვის.

დედის ფრთხოეთა ქვეშ იღზრდილი ნებლიუდოვი 19 წლის კაბუკი იყო და სრულიად უმანეს. ოცნებობდა ქალებზე, მხოლოდ როგორც ცოლზე. ყველა ქალი, მისი აზრით, რომელსაც მისი ცოლობა არ შეეძლო, მისითვის ქალი კი არა, უბრალო ადამიანი იყო. მანაფულს დეიდებს ესტუმრენ მეზობელა ქალიშეილები, რომლებსაც თან ახლდა გიმნაზიის მომწაფელე ძმა და ახალგაზრდა მხატვარი.

ჩაის შემდეგ ახალგაზრდები გავიდენ მინდობრზე სათამაშოდ, თან კატოც წილებანეს. ნებლიუდოვსა და კატოს ხშირიად მოუხდათ ერთად გაქცევა. ეს გარემოება ძლიერ სასიამოენოდ ჰქონდა ნებლიუდოვს, მაგრამ თავის დღეში ერ წარმოიდგენდა, რომ იმასა და კატოს შორის შეიძლებოდა სხვანაირი რამ დამოკიდებულება გაჩინილიყო.

— ახლა ამათ ეიღა დაიკერს, — ამბობდა შენებარე, მხიარული მხატვარი და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, გარბოდა გაქცეულების დასპერად, მაგრამ რას დაეწეოდა თავის მოქლე და მრუდე ფეხებით.

— ფეხი არ წამოსდო-რასმე.

— დიალ! როცა დამიკიროთ, მაშინა სოქვით.

— ერთი,-ორი, სამი.

დაქქრეს სამჯერ ტაში. კატო ჩიტივით შეფრთხიალდა, შეუცვალა ალაგი ნებლიუდოვს, ჩატკიდა თავის პატარა ნამუშევარი ხელი და გაიქცენ.

* ნებლიუდოვი, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, გარბოდა, რომ მხატვარი არ დასწეოდა. როცა უკან მოიხედა, დაინახა, რომ მხატვარი კატოს გამოსდევნებოდა. კატო მარდად გარბოდა. წინ იასამანის ბუჩქი იდგა, რომლის იქითაც არავინ გარბოდა, მაგრამ კატოს მოჰქედა ნებლიუდოვს და ანიშნა გასცილებოდა ბუჩქს. საუბრდუროდ, ბუჩქს იქით რუ იყო, რომლის არსებობაც ნებლიუდოვმა არ იყოდა, წამოსდო რაღასაც ფეხი და კინჭრებში გაიშელართა, მაგრამ მაღაწამოვარდა და სიცილით გავარდა მინდორზე.

სახე-გაბრწყინებული კატო ჩიტივით მიპჭროდა ნებლიუდოვთან და ხელი ხელში სტაცა.

— მეონი ხელები ჭინჭარში დაისუსხეთ,—უთხრა შან და თავისი მაყვალივით შავი თვალები შეანათა.

— არ გიციდი, თუ იქ რუ იყო,—უპასუხა ნებლიუდოვში.

კატომ ხელ-ახლა მიიწიდა ყმაწვილ კაცისაკენ.



ჩეცად, რაღაც ინსტიქტის ძალითა, ნებლიუდოვშა თავისდა უნებურად შეიზიდა თავისკენ კატო და შიგ ტუნიში იყოცა.

— ეს კარგი ამბავია! — წამოიძახა კატომ, გაუსხლტა ხელიდან და გავარდა.

ამ შემთხვევის შემდეგ ნებლიუდოვსა და კატოს შორის სულ სხვა კავშირი დაიბადა. ისეთი, როგორიც უმანქო ქალსა და ვაუს შორის არის ხოლმე.

როცა კატო ან ნებლიუდოვის ოთახში შევიდოდა, ან ნებლიუდოვი შორისი მოჰკრადა თვალს მისს თეთრ წინასაფარს, რაღაც ტკბილი ურუანტელი დაუკელიდა ხოლმე ტანზი, ყოველივე მაშინ საინტერესო იყო მისთვის, გამოცუცხლებული, იღმამურენი. ამასვე პერძინბდა კატოც. როცა ნებლიუდოვი ან უსიამოვნო ჭერილს მიიღებდა, ან თხზულების წერის ვერ ახერხებდა, საქართვის იყო მოეგონებინა, რომ ქვეყანაზე არსებობს კატო და მისი ნახვა ნებლიუდოვს თამაშად შეუძლიაო, ყოველივე მოწყენა-უსიამოვნება უცბად ჰქონდა.

კატოს თუმცა ბევრი საქმეები ჰქონდა, მაგრამ მუდამ თავის დროზე ასწრებდა საქმეებს და თავისუფალ დროს კითხვას ანცომებდა. ნებლიუდოვშა მისცა დოსტოევსკისა და ტურგენიევის თხზულებანი რომელიც თვითონაც ეხლა ხანს წაეკითხა. ყველაზე მეტად კატოს ტურგენიევის „მუყდრობა“ მოსწონდა. ლაპარაკი ხშირად ჰქონდათ ტალანტი შეხვედრის დროს, აივანზე, ეზოში და ხანდისან დეიდების მოსამსახურე ქალის მატრონა პავლოვნას ოთახში, სადაც იდგა კატო და სადაც შეხვედრა ყველაზე მეტად სასიამოვნო იყო მათთვის.

ასეთმა კავშირმა კატოს და ნებლიუდოვს შორის მოელს ზაფხულს გასტანა. ეს შეპნიშენები დეიდებმა და ისე შეშინდენ, რომ წერილიც კი მისწერეს საზღვარ-გარედ ქნეინა ელენე ივანოვნას, ნებლიუდოვის დედას. დედა მარია ივანოვნა შიშობდა, დიმიტრის საქმე არა დაეჭირა-რა კატოსთან, მაგრამ ტურილი იყო მისი შიში. ნებლიუდოვს ისე უყვარდა კატო, როგორც უყვართ უმანქო ადამიანებს, და ამგვარი სიყვარული იფარავდა ორივეს დაცუმისაგან. ნებლიუდოვს არამც თუ არ უნდოდა მისი ხორციელად დამორჩილება, არამც იმის წარმოდგენაც კი თავზარსა სცემდა, რომ ვითომ შესაძლებელი იყო ასეთი კავშირი. სოფორ ივანოვნა შიშობდა, ვაი თუ დიმიტრიმ, თავის ახირებულ ხასიათის შეკალობით, კატოს შერთვა გაიღიქოსო და შეაძლენის თვისი გვარი და წოდებათ. ეს შიში კი უფრო საბუთიანი იყო.



ნებლიუდოვს რომ იმ დროს კარგად გაეთვალისწინებინა ქართველი კატეპსაფმი სიყვარული, ან ვინმეს ეთქვა, ამ ქალიშვილის შერთვა ყოველად შეუძლებელია, მაშინვე გადასწყვეტდა, არავითარი მიზეზი არ დამაბრკოლებს შევირთო ის ქალი, რომელიც მიყვარს, რა გვარისა და წოდებისაც უნდა იყოს. დეიდებს არაფერი არ გაუმხელიათ მისთვის და ისე წავიდა შინ, რომ კარგად არც კი შემონდა შევნებული კატეპსაფმი. სიყვარული.

დარწმუნებული იყო, რომ ეს გრძნობა იმ კარგის მდგომარეობის შედეგი იყო, ჭომელშიაც ის იმყოფებოდა მთელი ზაფხული. როცა შინ მიღიოდა, გარედ გამოჰყენენ დეიდები და თან კატოც გამოიდა. კატოს თვალები აცრემლებული ჰქონდა და, რა შეპნიშნა ეს ნებლიუდოვმა, იგრძნო, რომ რაღაც ძეირებასს ნიერს სტოვებდა იქ. ნებლიუდოვი მეტის-მეტად დაღინდა.

— მშევიდობით, კატო, გმადლობთ, გმადლობთ, — უთხრა კატოს და ჩაჯდა ეტლში.

— მშევიდობით, დიმიტრი ივანოვიჩ, — უპასუხა კატომ, თავის ნაზისა და სასიამოვნო ხმით, თვალები ცრემლებით აეცსო და თავი ძლიერ შეიმაგრა, საჩქაროდ შემობრუნდა, გაიქცა დერეფანში და გულამოსკენით დაიწყო ქვითინი.

XIII

მას შემდეგ გავიდა სამი წელიუდოვს კატო ერთხელაც არ უნახავს. ნახა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ოუიური იყო, იმში მიემგზავრებოდა და გზად დეიდებთან გამოიარა, მაგრამ სადღა იყო ის სიცოცხლით სავსე, აღფრთვოანებული ნებლიუდოვი, რომელმაც სამის წინად მოტელი ზაფხული გაატარო დეიდებთან! წინანდელ ნებლიუდოვი და ეხლანდელს შორის დიდი განსხვავება იყო. რამდენადაც წინანდელი ნებლიუდოვი პატიოსანი და ყოველ კეთალ საქმისთვის თავდადებული ახალგაზრდა იყო, იმდენიდ იძლანდელი ნებლიუდოვი გახრმილი, დაწყრილმანებული ეგოისტი და მხოლოდ საკუთარის „მე“-სთვის თავდადებული და თაყვანისმცემელი იყო. წინად თუ ოცნებით გატაცებულს ქვეყანა რაღაც საიდუმლებად ეჩვენებოდა, ეძლა ყველათერი აშკარა და განსაზღვრული იყო მისთვის. წინად მარტო ბუნებასთან და იმ ადამიანებთან ჰქონდა საქმე, რომლებიც მხოლოდ მისთვის სცოცხლობდენ და აზრიუნობდენ (ფილოსოფიუსები, პოეტები); ახლა მისთვის სხვა-და-სხვა საქეიფო, დროს-გასატარებელ დაგილებისა და დარდივანდ ამხანაგების გარდა აღარაფერი არსებობდა. წინად თუ ქალი საიდუმლო არსება იყო მი-



სთვის, ახლა კი, ნათესავთა და ამხანაგთა ცოლების გარდა, იმ უბრალო იარაღთაგანი იყო, რომლის სიტყბოებაც მან უკვე სციდა. წინად თუ შეეძლო ეკონომიკით ცხოვრება, და კი კუთხით შესამეც ნაწილით, რომელსაც დედა უგზავნიდა, შეეძლო უარი ეთქვა იმ მამულზე, რომელიც მამიმ დაუტოვა, და მიეცა გლეხთათვის, ახლა ხშირად უსიამოვნო ლაპარაკი მოსდიოდა დედასთან, რაღაც 1,500 მანეთხედ მეტს არ აძლევდა და ეს ფული კი კერ აქმაყოფილებდა ნებლიუდოვის აღვირ-წახსნილ მოთხოვნილებათ და ხშირად თავები დანავარდობდნენ მის ჯიბეში. წინად თუ საკუთარ ნამდვილ ამე“-დ თავისი სულიერი არსება მიაჩნდა, ახლა თავისი ჯან-სალი, სიკოცხლის მიმდევარი და პირუტყვული „მე“ გაეხადა სათაყვანოდ.

ეს ცელილება მოხდა ნებლიუდოვის არსებაში იმის წყალობით, რომ საკუთარი რწმენა კარგა ხანია დაპერარგა და სხვების უფრო მეტად იქმნენა, რაღაც საკუთარის რწმენით ყოველივე თავის „მე“-ს წინააღმდეგ უნდა გადაეწყვეტა და ეს კი, ცოტა არ იყოს, მაინცა და მაინც სასიამოვნო არ იყო მისთვის. სხვების რწმენით-კი არაფერი არ ჰქონდა გადასაწყვეტი და ხშირად, როცა თავის რწმენით ხელმძღვანელობდა რაიმე საქმეში, სხვები მსჯავრსა სდებდნენ მისს მოქმედებას, ემდურებოდნენ, ხოლო სხვისის რწმენით თუ მოქმედებდა, მოწონებისა და ქების მეტი არა ესმოდა-რა.

როცა ან კათხულობდა და ან ლაპარაკობდა ლმერთსა, სიმართლესა, სიმღიდრესა და სილარიბეზე, თითქმის ყველა სასაცილოდ უგდებდა და ამგვარ ლაპარაკს უალიგოდ სთვლიდენ. დედა და დედები ითრე cher philosophe“-ს ეძახდენ ხოლმე. როცა ნებლიუდოვი რომანებს კითხულობდა, ამბობდა ურცხვად სხვა-და-სხვა უმსგავსო ანეგდოტებს, დადიოდა ფრანგების თეატრში სასაცილო ვოლევილებზე და შემდეგ მხიარულად უამბობდა ვისმე, მაშინ ყველა იქებდა და აქეზებდა. როცა საჭიროდ პედაგვად რამდენადმე ტრატები შეკვეუცნა თავის მოთხოვნილებისათვის, იცვამდა ძეველ პალტოსა და ლეინოზე უარს ამბობდა—ყველა გავირვებული იყო ასეთის საქციელით და, როცა ნადირობაზედ ან კაბინეტის მოსართავად ჰელანგავდა აუარებელ უწლს, ეს ყველის მოსწონდა და საჩუქრადაც უგზავნიდენ ძეირების ნიეთებს. როცა ნებლიუდოვი უმინჯო არსება იყო და უნდოდა ქორწინებამდე ასე დარჩენილიყო, მშობლები მლიერ შიშობდნენ,—ეს ცუდ გავლენას იქონიებს მის ჯანმრთელობაზეო და თითქმის ესია-მოვნათ კიდევ, როცა გაიგეს, რომ მითმა შეიღმა მოსტაცა თავის ამხანაგს ვიღაც ფრანგის ქალი, რითაც თავისი ვაჟკაცობა დაამტკი-



ცამ. ის ამბავი კი, რომ ნებლიუდოვს კატოს შერთვა მოსვლელებული ქრისტი, შიშის ზარსა სცემდა ქნეინა-დედას.

ამ გვარადვე თავშიარ დამცემი იყო მისის დედისა და ნათესა- ვებისათვის, როცა გაიგეს, რომ ნებლიუდოვმა მამას დატოვებული მიწა გლეხებს მისცა. ყველა ნათესავი სახაცილოდ იგდებდა და ჩის- ჩინებდენ: სარგებლობის მაგიტრ, პირიქით, ზარალი მოუტანე გლე- ხებს, რადგან გამართეს სამიკიტნოები და მუშაობაზე ხელი იიღეს. როცა ნებლიუდოვმა გვარდის ჭარში შესვლის დროს ქალალდში წააგო ამხანაგებთან იმდრენი ფერი, რომ ეფუძნე იყანოვნა იძულებუ- ლი შეიქმნა ძირითად თანხმისთვის მოეკლო, არც კა სწყენია ესა და თითქმის სასიმოვნოდაც დაუტჩია, რადგან, მისის აზრით, ეს საბო- ლოოდ კარგი იქნებოდა.

დილაბნ იბრძოდა ნებლიუდოვი. ყველა ის, რაც სწამდა და კარგი იყო, სხვის არა სწამდა და ავ საქმედ მიაჩნდა, ხოლო რაც ნებლიუდოვისათვის ცუდი იყო, ის სხვებს მოსწონდათ. გათვედა მით, რომ დაანება საკუთარ რწმენას თავი და სხვებისა ირწმუნა. საკუ- თარ თავის უარყოფა თუმცა ძნელი წარმოსადგენი იყო წინად ნებ- ლიუდოვისთვის, მაგრამ თან-და-თან შეურიცდა ამ აზრს და ბოლოს, როცა ლოთობასა და პაპიროსის წევას შეძყო ხელი, ვიღის ახსოვდა თავისი თავი!

ისე შესტოპა ნებლიუდოვმა ამ ფუქსავატ ცხოვრებაში, რომ გულშივე ჩაქელა ის ხმი, რომელიც მისცან სულ სხვისა თხოვლობდა. ასეთი ამბავი დაიწყო პეტრიშურგში გადასცელის შემდეგ და დასრულ- და სამხედრო სამსახურში შესვლით.

ნებლიუდოვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა სრუ- ლიად განთავისუფლდა უოველისავე ზერობრივ პრინციპისაგან და ეგოიზმის ნამდვილ სიგრეესა ჰგრძნობდა.

* ამ მდგომარეობაში იყო ნებლიუდოვი, როცა სამის წლის შემ- დეგ ხელმეორედ შეიარა დეიდებთან.

XIV

ნებლიუდოვმა შეუწიო დეიდებთან, რადგან ის მამული, სადაც დეიდები სცხოვრობდნენ, იმ გზის ახლოს იყო, სადაც ჯარს უნდა გაეელო, ამიტომ დეიდი გზა არ გაუმრავდებოდა ნებლიუდოვს იქ შეცვლით, თან დეიდებიც სახოვდენ შეველო მათთან. უმთავრესდ კი ნებლიუდოვს კატოს ნახვის სურვილი ეწეოდა იქით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კატოს შესახებ ცუდი აზრი ჰქონდა ახლა და ამ განხრახვით მიღიოდა იქ? მაგრამ ცხადად ვერა ჰგრძნობდა ანას. უნდო-



და მხოლოდ ენაბა ის ადგილები, სადაც მან სიამოვნებით გვისაკერძოდ ერთ დროს ზაფხული. უნდოდა ენაბა დეილები, რომელებსაც იმაზე ამოსდიოდათ მშე და მოვარე, და მათთან ერთად კატოც, ის კატო, რომელშეედაც ბევრი ტებილი მოგონებანი ჩარჩენოდა ხსოვნაში.

ესტუპრა დეილებს მარტის მიწურულში, ვნების კვირას, მთლიად გაწუშული და სიცეისგან იყნებალებული, მაგრამ ჩეეულებრივ მშნე და მხიარული „ნეტა ვიკოდე, დამხედება თუ არა“—გაიფიქრა ნებლიუდოება, როცა დაუახლოედა ნაცნობ ჭელებურ სახლს, რომლის სახურავიდანაც ჩამოყრილი თოვლი გორაკებიყით იყო დაზინებული. ნებლიუდოები გულის ფანცქალით კლოდა, როცა მოვიდა სახლში, იმ ახლა გამოვიტოდება კატო, იმ ახლა, მაგრამ არა სჩანდა. ავანშე გამოვიდა ორი დედაკაცი, რომელებსაც ეტურბოდათ, რომ იატაქს რეცხავდენ, რადგან ფეხ-შიშველნი იყვენ. ნებლიუდოები გადმოხტა ეტლადან და შევიდა წინა ოთახში. იქაც გაცურულდა მოლოდინი, კატოს მაგიერ სოფიო ივანოვნა გამოევება ცოცხით ხელში.

— უმ! რა კარგი ჰქენი, რომ მოხვედი, — უთხრა სოფიო ივანოვნამ და ჩავკოცნა, — მაშინ ცოტა შეეიტოდ შეიქნა, დაიღილა ეკლესიაში დგომით; დღეს ვეზიარებით.

— მაში, მომილოცნია, დეილი სონა — უთხრა ნებლიუდოება სოფიო ივანეს ასულს და ხელშე იყლა.— მაპატიეთ, დაისცელდი.

— წადი შენს ოთახში. სულ დასველებულხარ. გაზრდილხარ. გამშვენიერებულხარ... კატო, კატო! ყავა მართვი ჩეარა.

— ეხლავე! — მოისმა ნაცნობი ტებილი ხმა ტალანიდან.

ამ ხმამ ნეტრარივით დაუარა ტანში ნებლიუდოებს და გულმა დაგა-დაგო დაუწყო. მხიარულად გაძყვა ლაქია ტიხონს თავის წინანდელ ოთახში ტანისამოსის გამოსაცვლელად.

ნებლიუდოებს უნდოდა ეკითხნა ტიხონისთვის კატოს აშშავი როვორ არის, ან ხმა არ გათხოვილო, მაგრამ ტიხონი ისეთი შრდილი და თან სასტიკი იყო, რომ ნებლიუდოება ეკლარ გაუბედა კატოს ამბის გამოყითხა, ჰქითხა მხოლოდ, შენი შვილის. შეიღები როვორ არიანო; მურა ძალლის ამბავიც იყითხა, მაგრამ შარშინ თურმე გაცოფიანებულიყო.

ის იყო ნებლიუდოება გაიხადა სველი ტანისამოსი და შშრალის ჩაცმა დაიწყო, რომ უცბად ჩეარი ფეხის ხმა და კარების კაცუნი მოესმა. ნებლიუდოება იცნო კატო ფეხის ხმაზე. ასე მხოლოდ ის დაიღია.

საქართველო გადიოცვა სველი შინელი და მიერიდა კარებთან.

— შემობრძანდით.

ეს იყო კატო. ისეთივე მშევნიერი და ტამაზი, როგორც წინად. მოიტანა დეივას გამოგზავნილი ახლად გახსნილი სუნილოვანი საპონი და ორი პირსახოვი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დიმიტრი ივანოვიჩ,— ძლიერ-ძლიერობით ჭარმისტევა და გაწითლდა.

— გამარჯობა! გამარჯობათ! — არ იცოდა „შენობით“ თუ „თქვენობით“ დაწყო ლაპარაკი და ისიც გაწითლდა: — როგორ გიყითხოთ?

— მადლობა ღმერთს... აი დეიდამ თქვენი საყვარელი ვარდის-ფერი საპონი გამოგვიგზებით, — უთხრა მან და დასდო საპონი მაგიდაზე.

— თავისი საპონიცა აქეთ, — სთვეა ტიბონმა და თავმომწონედ გადამსხედა ჩითქებით, ზუშებით, ფიქსატუარებითა და სხვადასხვა „დუხებით“ საესე დიდ ვერცხლის ნესესერს.

— მადლობა მოახსენე დეიდა-ჩემებს. რომ იცოდეთ, როგორ მოხარული ვარ? — ტებილად უთხრა ნებლიუდოვმა და მეტის სიამო-ვნებისაგან გულიანად გაიღიმა.

კატო გავიდა ოთახიდევნ.

დეიდებს გულით უყვარდათ ნებლიუდოვი და დიდად სასიამოვნო იყო მათთვის მისი ნახვა; ეხლანდელი ნახვა კი მით უმეტეს საჟირო და სასიამოვნო იყო, რომ, ვინ იცის, იქნება მერე ელარც კი ენახათ, რადგან თმში ზიეგზავრებოდა და იქ შეიძლება ან დაეჭრათ და ან მოკლათ. ეს ფიქრი ძალიან აღელვებდა დეიდებს.

აქაც აგრე მოხდა. ასეთი განაჩენი იმიტომ კი არ დაადგინეს, რომ კურლინი დალლილნი იყვნენ, პირველად იმიტომ, რომ თავმჯდომარებრ დაივიწყა ეთქვა მათოვის, რომ შეეძლოთ ასე გადაეწყვეტათ: დიალ, დამწაშავე, მავრამ სიკედილის განზრახვა არა ჰქონია; მეო-



რედ იმიტომ, რომ პოლკოვნიუმა ძალიან გააჭიანურა თავის მარცხელის მის ამბავი და ყველას თავი მოაბეჭრა; მესამედ იმიტომ, რომ ნებლიულოვანია, მეტის მღელვარების გამო, ეწრ შეპიშა ეს და ჰფიქრობდა: რაკი ჩისწერეს „გაძარცვის განზრახვა არა ჰქონიათ“, ეს გარემოება გააქარწყლებს მის დანაშაულსათ; მეოთხედ იმიტომ, რომ პეტრე გრასიმოვიჩი იმ დროს გავიდა ოთახიდგან, როცა თავმჯდომარებ წაიკითხა გადაწყვეტილება და, ბოლოს, უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ყველა დიდს დალლილობასა ჰერონობდა და, რომ აღრე განთავისუფლებულიყვენ, დასთანხმდენ იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც აღრე მოულებდა საქმეს ბოლოს.

ნაფიცმა მსაჯულებმა ზარი დააწეარწენს. ეამდარჩმა, რომელიც კარებთან იდგა, ხმალი ქარქაშში ჩააგო და მოეცალა მსაჯულთ. თავთავიანთ ილაგას დასხდენ და ნაფიცმი სათითაოდ გამოიყიდენ ოთახიდან.

სახე-გაბრწყინებულ თავმჯდომარეს მხიარულად მიქეონდა ფურცელი. მიეკიდა სასამართლოს თავმჯდომარესთან და გაფასცა ქალალდი. თავმჯდომარებ წაიკითხა, გაოცებულმა ხელები გაშილა და ამხანაგებს მიუბრუნდა მოსალაპარაკებლად. თავმჯდომარე გააოცა იმან, რომ, როცა ნაფიცმა მსაჯულებმი განმიარცეს: „გაძარცვის განზრახვა არა ჰქონია“, არ განუმარტავთ მეორე საგანი: „მოყვლის განზრახვაც არა ჰქონია“. ნაფიცმ მსაჯულთა განაჩენით ასე გამოდიოდა: მასლოვის არც ფული მოუპარეს, არც გამარცვალის ვაჭირი, მაგრამ ამისთანავე უმიზეშოდ მოწამდა კაციო.

— ნახეთ ერთი, რა სისულელე დაუწერით, — უთხრა მან წევრს მარცხნივ. ეს ხომ კატორდაში გაგზავნაა სრულიად უდანაშაულოსი...

— დიალ, როგორ არა, უდანაშაულოსი! — უთხრა მრისხანე წევრმა.

— სწორედ, დამნაშავე არ არის; ჩემის აზრით, ეს შემთხვევა კანონის 878 მუხლს ექვემდებარება (878 მუხლი ამბობს, რომ უკოთუ სასამართლო იცნობს უსამართლოდ ნაფიცმ მსაჯულთა განაჩენს, შეფრთვიან გააუქმისო).

— თქვენ რას იტყვით? — მიუბრუნდა თავმჯდომარე კუთილ წევრს.

— შეც იმას ვიტყვი, რაც საჭიროა.

— თქვენა? — მისმარტა თავმჯდომარემ მრისხანე წევრს.

— არასოდეს! — სთქვა მან გადაჭრით. — ისედაც გაშეთვი ქვეყანას აყრუებენ, ნაფიცმი მსაჯული ავაზაკებს ამირთლებენთ და



ამა, მაშინ რას იტყვიან, როცა გაიგებენ, რომ თვით სახამითლოს
გამართლოანი! მე არას დროს არ გიქნები ამის თანახმა.

თავმჯდომარემ საათს დაპხედა.

— სამწუხაროა, მაგრამ რა ვქნათ, — სთქვა მან და გადასცა
ნაფიცთა თავმჯდომარეს ფურულელი. ყველანი წამოდგენ, ნაფიცთა
თავმჯდომარემ ჩაახველა და ჭაკითხა. ყველა მოსამართლე, მდივანი,
შექილები და თვით ბრალმდებელიც განცვიურებაში მოვიდენ. ბრალ-
დებულნი არსეინად იჯდენ, თითქოს არაფერიც, რადგან წაეკით-
ხულის მნიშვნელობა ვერ გაიგეს. ყველანი დასტდენ და თავმჯდომა-
რე შეკითხა ბრალმდებულის ამხანაგს, რა სასჯელის ლირსნი არიან
ბრალდებულიო. გამარჯვებული ბრალმდებულის ამხანაგი წამოდგა და
სახე გაბრწყინებულმა სთქვა:

— სიმონ კარტინინი უნდა დაისაჯოს სასჯელთა დებულების
1452 სტ. და 1453 სტ. მე-4 მუხ.- ძალით. ეფუძია ბოჩკავა 1659 სტ.
ძალით და ეკატერინე მასლოვა 1454 სტ. ძალით.

ეს სასჯელი უსასტყესი იყო.

— სასამირო გაეთ განაჩენის დასადგენად, — სთქვა თავმჯდო-
მარემ და წამოდგა.

ყველანი წამოდგენ; ზოგი გარეთ გაფილა და ზოგის იქვე დაი-
წყო სეირნობა.

— კაცო-და, ჩეენ ხომ სამარცხეინოდ შევსციდით? — სთქვა პეტ-
რე გერასიმოვიჩმა, როცა ნებლიუდიუთან მიიღიდა. — ის საწყალი ხომ
კატორლაში გავეგზავნეთ!!..

— რას ამბობთი? — შესძიხა ნებლიუდოვმა და ალარავითარი
კურადღება ალარ მიაქცია მასწავლებლის უსამოვნო ლაყობას.

— მაში, როგორა გვინდათ? — სთქვა პეტრე გერასიმოვიჩმა,
— სულ დაგვაეციშვდა ჩაგვეწერა: „დამნაშავეა, მაგრამ მოკვლის გან-
ზრახვა არა ჰქონია“. — ახლა მეუბნებოდა მდივანი, რომ ბრალმდე-
ბელს უნდა 15 წლით კატორლა გადაუწყვიტო.

— ჩეენ რომ აგრე გადაუწყვიტო? — სთქვა ნაფიცთა თავმჯდო-
მარემ.

— პეტრე გერასიმოვიჩი შეეკამათა: ცხადია, თუ უული არ მოუ-
პარაგს, არც მოკვლის განზრახვა ჰქონია.

— სანამ გამოვიდოდით, გადაუწყვეტილება წაეკითხე და არა-
ვინ წინააღმდეგი არა ყოფილა, — იმართლებდა თავს ნაფიცთა თავ-
მჯდომარე.

— მე იმ დროს კარში გავედი, — უთხრა პეტრე გერასიმო-
ვიჩმა, — თქვენ სადღა იყავით? როგორ გამოეცარათ ეს გარემოება?

— თაეის დღეში ვერ წარმოედგენდი მაგას, — უპასუხა ნეხლო-
ულოება.

- ვერ წარმოიდგენდით და იხლა რაღა იქნება.
- შეიძლება გამოვასწოროთ საქმე, — უთხრა ნეხლიულოება.
- არა, იხლა გვიანლაა, ყოველივე ვათხოვდა.

ნეხლიულოება გადაპეტა დამნაშვერთ, ისინი, ეისი ბეჭილბალიც
ჩავთ გადაწყვეტილი იყო, ისე ისე უძრავიდ ისხდნენ. მასლოვა რა-
ლახედაც ილიმებოდა.

ნეხლიულოვს გულში რაღაც ცუდმა აზრმა გაუყოფა. ცოტა
წინად-ეკი რყევაში იყო და ჰფიქრობდა, როგორ მოექცე ამ ქალს,
როცა გამართლებენ და ქალაქში დარჩებათ. მასთან რაიმე დამოკი-
დებულება ჩავთ შეუძლებელი იყო, რადგან კატორლა და ციმბირი
ყოველივეს ერთბაშად სპობდა. დაჭრილი და ჯერ ეიდე ცოცხალი
ფრინველი ფართხალს არ შესწყვეტდა ნადირის ჩანთაში და ძალა-
უნებურად გააბსენებდა თაეის მონაცირეს.

XXIV

პეტრე გერასიმოვიჩს აზრი სრულიად გამართლდა.

მოსამართლენი გამოვიდენ თოახილან. თავმჯდომარემ აიღო
ქალალდი და წაიყითხა:

„188... აპრილის 28 დღესა, მისის იპერიატორებითის უდიდ-
ბულესების პრინცეპით, №-ს საოლქო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის განყოფილებაში, ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით, სასჯე-
ლთა დებულების 771 სტ. 3 მუხ., 776 და 777 სტ. ძალით, დაადგინა: გლეხს სიმონ კარტინკინს, 33 წლ., და ეკატერინე მასლოვას,
27 წლ., ჩამოერთვას ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაგზავ-
ნილ იქმნას კატორლაში. კარტინკინი 8 წლით, ხოლო მასლოვა — 4
წლით.

ეცემია ბოქსოვას ჩამოერთვას ყოველივე უფლება-უპირატესო-
ბანი და დაპატიმრებული იქმნას სატუსალოში 3 წლით. სასამართლოს
ხარჯი განაწილებული იქმნას თანასწორათ დამნაშვერთ შორის და,
შეკორე ვერ შესძლებენ გადახდას, ხაზინას იყისროს მისი გადახდა.

ნიკოლე საბუთები გაიყიდოს, ბეჭედი დაუბრუნდეს პატრონს
და შეუშები დაიმტვრეს.

კარტინკინი მდგა გამოჭიმული და ლოცები ძალზე უთამაშებდა.
ბოქსოვა თითქო სრულიად დამშევიდებული იყო. მასლოვას ქალი,
ვანაჩენი რომ მოისმინა, საშინლად გაწითლდა.



— მე არა გარ დამნაშავე! — საზარელის ხმით შესძახა შეცისა, — არა გარ დამნაშავე! ამის სურვილი არა მქონია, ფიქრადაც არ მომსელია! — ქალი დაეშეა სკომშე და ქიოთინი წასკდა.

როცა კარტინკინი და ბოჩქოვა გავიდენ, ის ისევ იჯდა უა მდუღარე ცრემლს აფრევევდა. ბოლოს უანდარმშა მოჟყიდა ხელი ღა ვაიყვანა.

„არა, ამ საქმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია, — სოქვა თავისთვის ნებლიუდოვმა და გაეშურა დერეფნისაკენ, რომ ერთხელ კიდევ მოევლო თვალი კატუსათვის. როცა დერეფნიდან ტალანტი გაფილა, მასლოვა უკე კარგა შორის იყო. გამოუდგა უკან ჩქარის ნაბიჯით, თუმცა ყველა გაოცებული უცეროდა, მაგრამ არავისთვის უურადლება არ მიუტევია. გაუსწრო წინ და გაჩერდა. მასლოვა შეკვიდაშვიდებულიყო, მხოლოდ ხანდისხან მწარედ ამოიკენესებდა ხოლმე და ხელსახოცით ნატრიიალევ და დაწითლებულ თვალებს იწმინდდა. ნებლიუდოვისათვის არც კი შეუხედნია, ისე გაუარა გვერდით. ნებლიუდოვმა თავი დაანება მასლოვას და ისევ უკან გამობრუნდა, რომ თავმჯდომარისთვის მიესწრო და ენახა, მაგრამ ის უკე წასულიყო და კარებში ძლიერ დაიწია.

— ბატონო თავმჯდომარევ, — მიქმართა ნებლიუდოვმა იმ დროს, როცა თავმჯდომარე პალტის იცვამდა და ის იყო ვერტელის ჯოხი აიღო ხელში: — შეიძლება მოელაპარაკოთ იმ საქმის შესახებ, რომელიც დღეს გაირჩია! მე ნაფიცი მსაჯული ვარ.

— რატომ არა. ნებლიუდოვი ბრძანდებით? წინადაც შევხედრივართ ერთმანეთს, — უთხრა თავმჯდომარემ და სიამოენებით ხელი გაუწოდა, — რითი შემიძლიან გემსახუროთ?

კოტა შეცდომა მოშედა მასლოვას შესახებ ნაფიცთა გადაწყვეტილებაში. ის უდანაშაულოა მოწიმლვაში და კატორლა კი გაზაუწყვიტეს, — დალერემილის სიხით ჭარმოსსტევა ნებლიუდოვმა.

— სასამართლომ თქვენგან მოცემულის გარდაწყვეტილების ძალით დაადგინა განაჩენი, — უპასუხა თავმჯდომარემ და კარებისაკენ გასწიო, — თუმცა გარდაწყვეტილება ნაფიცთა არ ეჩენა საქმეთა ვითარების შესაბამის.

დაპირა იქსნა ნებლიუდოვისათვის, რომ თქვენი გადაწყვეტილება: „დიალ, დამნაშავეომ“, მოკლის განზრახვის უარუყოფელად განზრახ მოკლის ამტკიცებდა, მაგრამ რაეკ ძალიან ეჩქარებოდა, აღარიაფერი სოქვა.

— განა შეუძლებელია შეცდომის გასწორება?



— კისაციის საბუთები ყოველთვის შეიძლება იპოვოს კაცია. ვექილს უნდა მიმართოთ, — უთხრა თავმჯდომარებ და ისე გაიწია კარებისაკენ.

— დიალ, მაგრამ ეს ხომ საშინელებაა!

— როგორც ჰქედავთ, მასლოვას ორში ერთი მოელოდა, — ზრდილობიანდ უთხრა თავმჯდომარებ და ბაკები გაისწორა, კოტად შემოტრიალდა და გასწია კარებისაკენ, — თქვენც ხომ მოდიხართ?

— დიალ, — უთხრა ნებლიუდოვნია, საჩქაროდ გადაიცა პალტო და გაძყვა.

გაფიდენ ქუჩაში. მხე ძალში იქმინებოდა. ეტლების რახა-რუხის გამო ისეთი ერთიმული იყო, რომ კარგა ხმა-მალლად უნდა ელაპარაკნათ რომ გაეგონათ ერთმანეთის სიტყვები.

— როგორც ჰქედავთ, გასაოცარი შემთხვევაა, — განაგრძო თავმჯდომარებ, — მასლოვას ორში ერთი მოელოდა — ან სარულიად გამართლება და ან კატორლა. სხვა ვზა არ იყო. რომ მიგემატებით „სიკედილის განძრახვა არა ჰქონია“, ა. უსათუოდ გამართლებოდა.

— საუბედუროდ, ვერ შევნიშნე, — უთხრა ნებლიუდოვნია.

— საქმეც ვე არის, — ღიმილით უთხრა თავმჯდომარებ და საათს დახედა. კლარას დანიშნულ ვადამდე მხოლოდ 45 წერთი დარჩენილიყო.

— თუ გნებაფო, ახლა ვექილს მიმართეთ. განსაჩინორების საბუთები უნდა ხელთ იქმნიოთ. ეს ადეკვატი საქმეა. — დოკორიანსკის ქუჩაშე, — უთხრა მან მეეტლეს, — 30 კ. შეტს თავის დღეში არავის გაძლევა.

— მობრძანდით, თქვენო აღმატებულება.

— მაქეს პატივი გამოიერთოვთ. თუ საჭირო ვარ და შემიძლიან რითომე გემსახუროთ, მობრძანდით დეორიანსკის ქუჩაშე, დეორიკიონების სახლებში.

მდაბლად თავი დაუკრა და წავიდა.

XXV

თავმჯდომარის სიტყვებმა და შმინდა ჰაერმა ცოტათი დაამშევიდა ნებლიუდოვნი. დლევანდელი გრძნობა ახლა გადამეტებულად ეწერნებოდა, რაღვენ დილიდანვე შეუჩეველს გარემოებაში ჩავარდა.

„რასავეორეველია, გასაოცარი და თავ-ზარ დამცუმი შემთხვევაა. საჭიროა ყოველივე ღონე ვიშმარო, რაც შეიძლება, ჩეარა შევუძლებული მდგომარეობა. ჯერ უნდა შევიტყო სასამართლოში, სად სცხოვრობს ფანარინი ან მიკიშინი“. მოაგონდა ორი შესანიშნავი ვექილი.

ქადაგი მტხვეთმტკობები



ნებლიუდოვი დაბრუნდა სასამართლოში. გაიხადა პალტო და ავიდა ზევით. პირველ ტალანტიცე შექვედა ფანარინს, განერა და უთხრა, საქმე მაქვსო. ფანარინი იცნობდა ნებლიუდოვს და მაშინვე შეჩერდა.

— თუმცა დავიღოლე, მიგრამ, თუ დიდი ხანი არ მოგინდებათ, მითხარით, რაშია საქმე. წამომზრდით აქვთ.

ფანარინმა შეიცვანა იმ ოთახში, რომელიც მოსამართლის კაბინეთი უნდა ყოფილიყო, და მიგიღის მიუსხდენ.

— აბა, ბრძანეთ, რაშია საქმე?

— თავდაპირველად გთხოვთ, — უთხრა ნებლიუდოვმა, — არავინ გაიგოს, რომ მე ამ საქმეში მონაწილეობას ვიღებ.

— ეგ ხომ თავისითავად ტხადია. მაშ...

— მე ახლა ვიყავი ნაფიც მსაჯელად და უდანაშაულო ქალს კატორდა გადავთშვიტეთ. მე ეს მტანჯივს.

ნებლიუდოვი თავისიდა უნებურად გაწითლდა და ნერწყვის ყლაპეა დაიწყო. ფანარინმა შეჭედა, მაგრამ ჩქარა ძირს დაიწყო ყურება და სმენად გადაიქცა.

— დიალ! შესმის... წარმოსთქეა მან მხოლოდ ეს ორი სიტყვა.

— დავსაჯეთ უდანაშაულო იდამიანი და მინდა განეასაჩიქრო საქმე უძალეს სასამართლოში.

— სენატში? — სთქვა მან.

— დიალ, და გთხოვთ იყისროთ ეგ საქმე.

ნებლიუდოვს უნდოდა, უფრო სამშიმო რაც იყო ამ საქმეში, მაშინვე გაეთავებინა, და უთხრა:

— გასამრჯვლოს და ყოველსავე ხარჯს მე ეყისრულობ.

— ეგ არაფერია, მოყრიგდებით, — ლიმილით უთხრა ვიქილმა, — რაშია საქმე?

ნებლიუდოვმა უამბო ყოველივე დაწერილებით.

— ძალიან კარგი, ხეალ გავსინჯვად საქმეს ან ზეგ... მაგრამ არა, ხუთშაბათს მობრძანდით ჩემთან, ექვსს საათზე და პასუხს მოგცემთ. ასე, მაშ, ახლა. წავიდეთ... მე კიდევ კოტა საქმე მაქვს აქა.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა და გამოიყიდა.

ვექილთან ლაპარაკმა კიდევ უფრო დაამშეიდა ნებლიუდოვი. გავიდა ქუჩაში. დარი მშევნეორი იდგა და ხარბად დაუწყო ყლაპეა განაფხულის წმინდა ჰეერს. თუმცა მეერლები თავს აბეზრებდენ და იწვევდენ ეტლში ჩასაჯდომად, მაგრამ ფეხით წასვლა არჩია, გზა-და-გზა კატოს ფიქრმა სულ გაიტაცა. „არა, ამის ყოველსავე შემდეგ მოვიტიქრებ, — სთქვა მან. — და ახლა კი საჭიროა კოტაოდენი



გართობა და გადაეყრა ამჟენ უსიამოვნო ფიქტისა". მოაგონილმა ჩახმატების სადილად კორჩაგინებისას უნდა ყოფილიყო და სათას დაპხედა. ჯერ კიდევ გვიან არ იყო. ახლოს ცხენის რეინის გზის ვაკონის ზარის წერტილი მოესმა. გაიქცა და შეხტა ვაგონში. მოედანზე გადმოვიდა, ჩაჯდა ეტლში და ათის წუთის შემდეგ ჩავი კორჩაგინების დიდის სახლის კარებთან გაჩერდა.

XXVI

— მობრძანდით, თქენონ ბრწყინვალებავ,—უთხრა ჩასუქებულმა ლაქიამ და წყნარად გაულო დიდი მუხის კარები.—ეს არის ახლა დასხვენ სადილად და გთხოვთ შემობრძანდეთ.

მექარე მიღიდა კიბესთან და ზარი დააწერარუნა.

— არის ეინშე?—დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ბ-ნი კოლოსოვი და შიხაილ სერგეიი, დანარჩენები სულ ჩვენები არიან.

კარებიდან ლამაზმა, ფრაქში გამოწყობილმა ლაქიამ გამოიხედა.

— მობრძანდით, თქენონ ბრწყინვალებავ,—უთხრა მან,—ნაბრძანები მაქს სთხოვეთ.

ნებლიუდოვი აცყვა კიბეს, გაიარა ნაცნობი ვეებერთელა დარბაზი და შევიდა სასაცილო ოთახში. მაგიდას შემოსხდომოდა მთელი ოჯახი, გარდა დიასახლისისა, რომელიც არას დროს არ გამოდიოდა თავის კაბინეტიდან. სუფრის თავში იჯდა ბებერი კორჩაგინი, მის გვერდით მარცხნივ—ექიმი, მარჯვნივ ივან ივანის კოლოსოვი, თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღვრლი და აბლა-კი ბანკის მმართველობის წევრი; შემდეგ მარცხნივ—Miss რედერი, მისსის პატარა დის იმშზრდელი ქალი და ოვით 4 წლის პატარა ვაკონა; მარჯვნივ პირდაპირ მისსის ძმა, კორჩაგინების ერთად ერთი ვაჟი, გიმნაზიის მე-III კლასის მოწაფე პეტრე, რომლის გულისოვისაც დარჩენილიყო ქალაქში მთელი ოჯახი, და სტუდენტი-რეპერტორი; ქვემოდ, მარცხნივ—ეკატერინე ალექსეევნა, 40 წლის ვაკონვარი ქალი; პირდაპირ მიხეილ სერგეიი, ანუ მიშა ტელეგინი, მისსის ბიძაშვილი; სუფრის ბოლოში თვით მისსი იჯდა და კვერდით ხელუხლებელი ერთი ხელი თევზები და დანაჩანგალი ელაგა.

— ძლიერ სასიამოვნოა, დაბრძანდით, ჯერ მხოლოდ თევზი გიახელით — ძლიერ-ძლიერით წარმოსთვევა ბებერმა კორჩაგინმა, რადგან ამ დროს მოზრდილი ლუკა ჩაიდო პირში და საცოდავად ილოლნებოდა ჩასმულ კბილებით.



— სტეფანე! — მიჰმართა მან სქელ-სქელ საკუჭნაოს გამგეს და თვალით რაღაცა ანიშნა.

თუმცა ნებლიუდოვი წინადაც იცნობდა ბებერ კორჩაგინს და არა ერთხელ და არა ორჯელ უნახავს, მაგრამ დღევანდულმა მისმა შესახედაობამ — ჩასისხლიანებულმა თვალებმა და სქელმა კისერმა — ზიზრი მოჰვევარა.

ნებლიუდოვმა ძალაუნებულიდ მოიგონა რაც იცოდა ამ კაცის სისასტეინის შესახებ, რომელიც თუმცა მდიდარი და მიღებული კაცი იყო და მისთვის საჭირო არ იყო ვისტე წინაშე დაბრახუება, მაგრამ ის მაინც ამათრახებდა და ახრჩობდა ხალხს, რაც ამ მხარის უფრო სად იყო.

— ამ წერთში, თქეენო ბრწყინვალებაც, — უთხრა სტეფანემ ბებერ კორჩაგინს, საკუჭნაოდან დიდი კოვზი გადმოიიღო, შემდევ ლაპაჲ ლაქიას წევრით რაღაც ანიშნა. ლაქია ცეკვიტად მიიღდა მისსის გვერდით მაგიდასთან და თეფშებსა და დანანა-ჩანგალს წმენდა დაუწყო.

ნებლიუდოვმა ჩამოუარა მაგიდას და სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა. ბებერ კორჩაგინსა და ქალების გარდა, ყველანი წამოდგენ. ასეთი ცერემონია სასაკილოდ ეჩერნა ნებლიუდოვს. ბოდიში მოხადა დავვინანებისათვის და მისსისა და ეკატერინე ილექსეევნას შეუ ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ ბებერმა კორჩაგინმა სხოვეა, თუ არაუს არ დალევთ, ხიზილალა, ყველი და თევზი მიირთვით ცალკე მაგიდაზეო. ნებლიუდოვს არ ევონა, თუ ეშივებოდა, მაგრამ რაკი დაწყო ყველისა და პურის ჭამა, თავი კულაზ შეიმაგრა და ხარბად ილუქ-მებოდა.

— აბა, როგორ გამოუთხარეთ ძირი სახელმწიფოს საფუძველს? — სოქვა კოლოსოვება და დაცინების კალოთი იხმარა ტერმინი ერთის რეტროგრადულის გაწეთისა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგი იყო. — გაამართლეთ დამნაშავენი და უდანაშაულონი დასაჯეთ?

— გამოუთხარეთ საფუძველი... გამოუთხარეთ! — სიცილით გაიმურა ბებერმა თავიდმა, რომელსაც ისე სწამდა თავის ამხანაგის ნათევამი, რომ ნამდეიღ კეშმარიტებად მიაჩნდა.

ნებლიუდოვმა პასუხი არ გისცა კოლოსოვს, მიუჯდა ცხელ სუფს და მაღიანად დაუწყო ხერება.

— მიართეთ საჭმელი, — ღიმილითა სოქვა მისსიმ ისეთის კალოთი, რომ გამოხატა მასთან ახლო დამოკიდებულება.

კოლოსოვი ხმა-მალა ლაპარაკობდა იმ წერილის შინაარსის შესახებ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგ იყო დაწერილი,



მას მიჰყეა მიხეილ სერგეიჩი და იმავე გაზეთის მეორე წერილი მისამართის ნაარსს მოჰყეა.

მისი დღეს ჩეცულებრივზე უფრო მშენიერი იყო.

— მეორია ძალიან დალლილხრით და მოგშივნიათ კიდეც,— უთხრა მისი ნებლიუდოვს და დაუწყო ლოდინი, სანამ ლუქმას და- ლუკედა და გადაპყვლაპვედა.

— მაინცა და მაინც არც ისე ძლიერ. იყავით სურათების სანა- ხავად? — ჰქოთხა ნებლიუდოვმა.

— არა, სხვა დროისთვის გადავდეთ. დღეს ლაუნ ტენისის სხედ ეყიყეით, საღმატოვებისას. მართლაც, მისტერ კრუქსი სამაგალითოდ თამაშობს ხოლმე.

ნებლიუდოვი იმ აზრით მოვიდა აქ, რომ ცოტათი მაინც გარ- თობილიყო, მაგრამ დღეს კი, საეკირელია, ყველაფერი, ქალაქიდვან დაწყებული მშენიერ მისსამცე, რომელიც დღეს ჩეცულებრივზე უფრო ლამაზი და მშენიერი იყო, მხოლოდ ზიზღსა ჰვერიდა. საზიზღარი იყო კოლოსოვის ლიბერალური კილო, საზიზღარი იყო ბებერ კორ- ჩაგინის უშნო ტანი, საზიზღარი იყო ეკატერინე ალექსანდროვნას ფრანგულად ტიტინი, საზიზღარი იყო აღმზრდელის ქალისა და სტუ- დენტის დარცხვენილი სახე და, ყველაზე უფრო საზიზღარი კი იყო შინააურულად თქმული მის შესახებ: „მოართვით საჭმელო“. მისი შესახებ ნებლიუდოვი თრუოფა გრძენობით იყო გამსჭვალული. ხან ჰაბიბლავდა იგი თვეის სიმშევნიერითა და ხან კი აშეარად ჰედავდა თვეთუელ მის ნაკლულევანებას. დღეს ასეთი იყო მისთვის მისი. აშეარად ჰედავდა თვეთუელ ნაოშს მისს შებლზე. ჰედავდა, როგორ ხელოენურად ჰქონდა თბი გაკეთებული და უმთავრესიდ ეხამუშებოდა ცერის დიდი ფრჩხილი, რომელიც მ.მეს ფრჩხილს მოგავრცებდათ.

— ძალიან მოსაწყენი თამაშობაა ტენის სხედ, — სოჭვა კოლო- სოვმა. — უფრო მხიარული თამაშობაა ბურთობა, ბავშვობისას რომ ეთამაშობდით.

— არა, ალბათ არ გამოგიყდიათ, ძლიერ გასართობია, — გაე- პასუხა მისი და, როგორც ნებლიუდოვს მოგჩენა, რილაც სხვა კა- ლოთი წარმოსთვევა სიტყვა „ძლიერ“.

გაიმართა კიმათი. შიხეილ სერგეიმა და ეკატერინე ალექსეევ- ნამაც მიიღეს მონაწილეობა, ხოლო სტუდენტი, აღვნდელი ქალი და ბავშვები ჩუმიდ იყვნენ.

— მუდამ კამათობენ, — სოჭვა ბებერშა კორჩაგინშა, გულიანად გადინარხარა და წამოდგა სუფრიდან.



იმას მიპყვნენ დანარჩენებიც. სათითაოდ მივიღენ პატარა გა-
ვიდასთან, რომელზედაც გამშადებული იყო პირის გამოსარეცხა სუნ-
ნელოვანი წყალი. გამოირეცხეს პირი და განაგრძეს ისევ უინტრუქს
ლიაბრაჟი.

— მართალია, ზომი? — მიპართა მისისიმ ნებლიუდოვს და დაუწყო
მტკიცება, რომ არაფერში ისე არა სიანს აღამიანის ხასიათი, რო-
გორც თამაშობაშიო.

— სიმიართლე უნდა გითხრათ, არ ვიცი, მე არასოდეს არ მა-
ფიქრინია მაგაზე, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

— დედაჩემთან არ შეხვალო? — ჰეითხა მისიმ.

— დიალ, დიალ, — უპასუხა ნებლიუდოვმა ისეთის კოლოთი, რო-
მელიც ნათლად ამტკიცებდა, რომ მაინც და მაინც არ უნდოდა
წასულა, და პაპიროსი ამოიღო.

მისისიმ გაკუირვებით შეხედა. ნებლიუდოვს შერცხვა და გაწი-
ოლდა.

„მართლაც, ეს არაფერს არა ჰგავს: მიხვიდე სტუმრად და ყვე-
ლა მოაწყინო“, სოჭეა მან თავისითვის და რომ მხიარულად ეჩვენე-
ბინა თავი, უთხრა მისისი, რომ დიდის სიამოვნებით ვნახავ ქნეინას,
თუ მიშილებსო.

— დიალ, დიალ, დიდად მოხარული იქნება. პაპიროსის მოწევა
იქაც შეგიძლიანთ. იყან იყანიჩიც იქ არის.

ქნეინა სოფიო ვასილიევნა მუდამ ლოვინში იწვა და ძეირად
წამოდგებოდა ხოლმე. შერეე წელიწადი იყო, რაც იწვა სხვა-და-
სხვა სამკაულით მორთულ ლოგინში, ფერად-ფერად ლენტებში და
ხავერდებში იყო ჩაფლული; არსად არ დადოდა და ამ მდგომა-
რეობაში იღებდა იმათ, ვინც უფრო დაახლოვებული იყო მასთან, ე.
ი. ეისაც სხვა ხალხისაგან არჩევდა. ნებლიუდოვიკ ამ დაახლოვებულ-
თა ჯგუფს ეკუთვნოდა, როგორც კევიანი ახალგაზრდა და თან მისის
საქმრო.

ქნეინა სოფიო ვასილიევნას ოთახი დიდ და პატარა სასტუმრო
ოთახებს შეუ იყო. დიდს სასტუმრო ოთახში გაელის ფროს მისი
უცბად შექრებდა და თვალი თვალში გალუარა ნებლიუდოვს.

მისისი ძალიან უნდოდა გათხოვება და ნებლიუდოვიც სწორედ
მისი შესაფერი იყო. გარდა მისია, მისისი მოსწონდა ნებლიუდოვი
და მუდამ იმის ფიქრში იყო, რომ ნებლიუდოვი იქნება ჩემი, და არა
მე ნებლიუდოვისათ, და ყოველსავე ლონეს პაპირობდა, რომ ასე მომ-
ხდარიყო. მისისი გადასწუუიტა ეხლავე აეხსნა ყველაფერი.



— ევროპი, რაღაც შეგემთხვეთ, — უთხრა მან, — რა პრეტენზია თქვენს თავს?

— დიალ, შემემთხვეა, — უთხრა ნებლიუდოვამა, რაფგან სიმართლის თქმა უნდოდა: — საქორელი, არაჩვეულებრივი და შესანიშნავი შემთხვევაა.

— რა? განა არ შეიძლება სოქვათ, რა შევთხვევაა?

— ეხლა არ შემიძლიან. ნება მომეცით, არა ვსოქვა; მოქმედას, რაც ჯერაც ვერ მომიტიქრებია კარგად, — უთხრა მან და გაწითლდა.

— განა მე უნდა დამიმალოთ?

ნებლიუდოვა გაფიტოდა.

— არა, არ შემიძლიან, — უპასუხა მან და იყრძნო, რომ იმ პასუხს თავის თავსაც ეუზნებოდა; დარწმუნებული იყო, რომ რაღაც დიდი რამ შემთხვეა.

— მაში ჭავიდეთ.

ქალმა შეარჩია თავი, თითქო უსიამოვნო ფიქრები უნდა მოიშოროს, და ჩეარჩის ნაბიჯით გასწიო.

ნებლიუდოვს მოეჩენა, თითქო მისსიმ ისე მოკუმა პირი, რომ ცრემლებს იმაგრებსა, საშინლად შერცხეა და გაწითლდა, რომ აწყუნინა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ კულ-ინდილობით მთლად დაიღუპებოდა. დღეს ყველაზე მეტად ამას ლურთხოდა და ამიტომ ხმაც არ ამოულია, ისე მიციდა ქნეინას კაბინეტთან.

Français

XXVII

ქნეინა სოფიო ვასილიევნას ნოყიერი სადილი უკე ვაეთავებინა; მუდამ შარტო საფილობდა, რაფგან არ უნდოდა ენაბა ვისმე ამ არა პოეტურს მდგომარეობაში. ტახტის ახლო პატარა მაგიდაზე ფინჯანით ყავა ედგა და პახიტოსეას შეექცეოდა. ქნეინა ძალიან გამზღარი იყო, მოვრძო კბილები და დიდრონი თვალები საშინლად აუზნებდა მისს ისედიც უშნო პირისახეს.

ექიმსა და იმის დამოკიდებულებას ცუდად იხსენიებდენ. ეს გარემოება არ ახსოვდა ნებლიუდოვს, მაგრამ ახლა, როცა ქნეინას ტახტის ახლო დაინახა ექიმი თავის დაბზნილის წვერებით, ზიზღი აღეძრა.

სოფიო ვასილიევნას გვერდით, მაგიდის ახლო, რბილ სავარელში იჯდა კოლოსოვი და ყავას ურევდა კოვზით.

მისსი შემოვიდა ნებლიუდოვთან ერთად, მაგრამ ოთხში აღარ დარჩა.



— როცა დედა დაიღუბა და გამოვადებთ გარეთ კუნძულების მიმაბრძანდით, — უთხრა მან ნებლიუდოვს ისეთის კილოთი, თითქო მათ შორის არაფერი მომზდარიყოს, და უებაქუეფით გავიდა თაბახილგან.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობარო! — მიესალმა კნეინა სოფიო ვასილიევნა ნებლიუდოვს და ისე ოსტატურად გაიღიმა, რომ ნამდევილი ღიმილი გაეონებოდათ, — ამა, დაბრძანდით და მიიმშეთ: მითხრეს, რომ სასამართლოდგან ძლიერ დაღონებული დაბრუნდათ. მე მგონია, რომ გულ-კეთილ ადამიანისათვის ძალიან ძნელია მაგის-თანა შემთხვევა, — სთვა მან ფრანგულად.

— დიალ, მართალია, — უთხრა ნებლიუდოვმა, — ხშირად ჰერმობთ, რომ... ჰერმობთ, რომ არა გაქვთ კაცთა ვასამართლების უფლება.

— Comme C'est vrais! — წამოიძახა კნეინამ, — ჟო, მართლა, როგორ არის თქვენი სურათი? სწორედ გითხრათ, ძალიან მეონტერესება ნახვა, — დაუმატა ზან, — ჩემი უძლურება, თორემ დიდი ხანია მინდა თქვენსა მოსვლა.

— კარგა ხანია, რაც თავი დავინებე, — უგემურად უპასუხა ნებლიუდოვმა, რომელიც ნათლად ამნენედა კნეინას ჰილერობას; ასევე ცხადად ამნენედა, რომ კნეინა ჰმალავდა თავის სიბერეს. ნებლიუდოვმი გერას გზით ვერ მოახერხა ალექსიანად ლაპარაკი.

— ტყუილად დაგინებებით თავი. თქვენც კარგად იცით, თვით რეპინმა მითხოვა, რომ დიდი ნიჭი აქვს მხატვრობისათ, — უთხრა კნეინამ კულოსოვს.

„როგორ არა სცხენია ისეთის ტყუილებისაა, — გაჯავრებული ჰუიქრობდა ნებლიუდოვი.

რაინ კნეინა დარწმუნდა, რომ ნებლიუდოვი არ იყო გუნდაშე და ამისთანა საგანშედ ლაპარაკი მოუხერხებელი იყო, მიუბრუნდა ისევ კოლოსოვს და ერთის ახალ დრამის შესახებ დაუწყო მუსაიტი, იმ კილოთი, რომელიც ნათლად ამტკიცებდა, რომ კოლოსოვის აზრი მისთვის ჭრიარიტება იყო. კოლოსოვია საშინალად გაქიცხა, როგორც დრამი, ისე მისი აეტორი, და ხელოვნების შესახებ ლექციის კითხვა დაიწყო. კნეინამ მოიხდომა დრამის აეტორის დაცვა, მაგრამ ისე გაიტაცა კოლოსოვის მციცქმეტყველობამ, რომ ან ეთანმებოდა და ან არც აქეთ იყო, არც იქით. ნებლიუდოვი შესცემეროდა მოსამართეთ, მაგრამ მისი გონება კი შორისა ჰუიქრინავდა.

. ხან სოფიო ვასილიევნას შექხედავდა და ხან კოლოსოვეს. ნათლადა ჰედავდა, რომ არც კნეინასა და არც კოლოსოვს არაეითარი დარღი არა ჰქონდათ არც დრამისა და არც ერთმანეთისა და, თუ



ასე გაცხარებით კამათობდენ, ეს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილი ტესტები და მოცემული იყო. უნდოდათ გაძლიმის შემდეგ ენისა და ყელის ძალებულის მოძრაობაში მოვყენოთ. გარდა ამისა, შეცდავდა, რომ კოლოსოვი მეტის დალექით მოვრალი იყო, მაგრამ იმდენად კი არა, როგორც ღვიძნის შეუჩეველი გლეხები თვრებიან ხოლმე, ისე იყო მოვრალი, როგორც დათვრება ისეთი კაცი, რომელსაც მეტი სმა ჩვეულებად გადაძექცია. — თუმცა არ ბარბაცობდა და სისულელესაც ნაკლებად ამბობდა, მაგრამ არა ნორმიალურ და ოლტაციაბულ მდგომარეობაში იყო. თანაც ენეინა, ლაპირიაკის დროს, წამ-და-უშუმ სარქმელისკენ იცურებოდა, საიდანაც მზის სხივი შემოდიოდა და ამ სხივს შეცემო მისი სიცერის გამოჩენა.

— მართლაც, რომ ეგ სრული კეშმარიტებაა,— სოფელი მან კო-
ლოსოფის ერთ შენიშვნაზე და კიდელზე ზარის ღუვების თითო დაკირა.

ექიმი, როგორც შინა კაცი, წამოდგა და გავიღა ოთახიდგან. ქნეინამ თვალები გააყოლა.

— ფულლისე, თუ ლმერთი გწამს, სარკმელს ფარდა ჩამოაფარე, —
უოხრა ბან ლაპაზ ლაქების, რომელიც ზარის ტეატრზე შემოვიდა.

— ამა, როგორც გინდათ, ისე სოჭეით, მაგრამ იმ დროშიაში
რაღაც მისტიკიზმია და უმისტიკიზმიდ პოეზია ხომ შეუძლებელია? —
ამბობდა კწევინა და ყალის თეატრით ლაქის მისჩერებოდა, რომელიც
ამ დროს ფარიდას ასწორებდა.

— მისტიკურიზმი უპოეზით ცრუმონაწმუნობდა და პოეზია უმისტიკურიზმოდ კი — პროზა, — დალონებულმა წარმოსთქვა და თან ლაქიას თვალს არ აშენებდა.

— ფილიპე! — ეს ფარდა კი არა, იმ დრო სარემოსა გაასწორე, — დიდის გაჭივრებით წარმოსოდეს მან და დასამშეციდებლად მაშინევ სუნდღოვან პაზიტივს დაუწიყო წევა.

ფილიპემ მდაბლად თავი დაუკრა და წყნარის ნაბიჯით დღიდ
სარქმლისკენ წაიღიდა. გულმოლგინედ დაუწყო უარდას დაშვება, რომ
არც ერთი სხივი კნეინას არ მოჰქეოდროდა, მაგრამ ვერც აქ გააკე-
თა კნეინას გემოზე, რის გამოც კნეინამ შესტყვიტა ლაპარაკი და
მიმმართა ლაქიას. ერთ წუთს ფილიპეს თვალიზე კუნთლით ინით.

„ეშმაქმა წაილოს შენი სული და ხორცი, ეინ მიქვედება, რა ჯან-
დაბა გინდა“. — იტექტი ალბად ლაქიამ, როცა ფარდას ასწორებდა.
ლონიტერმა, ლამაზემა ლაქიამ მაინც სწრაფად დაჭრარა თავისი მოქ-
თმენლობა და დაშვეიდებით დაუწყო ფარდას სწორება, ისე, რო-
გორც უბრძანა ულონომა და მთლად ყალბმა ენეინა სოფიო ვასი-
ლიევნამ.



— რასაკეირელია, დარეინის მეცნიერებაში ბერი სიმბოლიზმის განვითარების დროის განვითარების უძრავი სიმბოლიზმია კოლოსოვები, გადაითხლაში რბილს საკარძილში და ძილ-მორული თვალები კნეინის მიაპყრო.

— მაგრამ მეტის მეტად შორის მიღის.

— განა მემკეიდრეობა ვწიაშო? — შეეკითხა სოფიო ვასილიევნა ნებლიუდოვს, რომ გამოეწვია სალაპარაკოდ.

— მემკეიდრეობა? — გაიმეორა ნებლიუდოვმა, — არა, არა მწიაშის. ამ დროს მისი გონება შთანთქმული იყო იმ ფიქრებით, რომელიც რაღაც მიშეზით წარმოუდგა თვალ-წინ. წარმოიდგინა ლონიერ, ლამაზ ფილიპეს გვერდით შიშეელი კოლოსოვე, მისი საზამთროსებური მუცელი, მოტელეპილი თავი და უბარლევ მონიშნელილი მკლავები, მაგრამ ეს წარმოდგენა სასიამოები არ იყო ნებლიუდოვისათვის და ძლიერს ძლიერიბით მოიშორა თავიდან.

სოფიო ვასილიევნამ თვეოლი აავლ ჩაიგლო ნებლიუდოვს.

— მართლა, თქვენ ხომ მისი გელოდებათ? — უთხრა მან, — წადით მასთან, უნდოდა დაეკრა თქვენთან შეუძინის ახალი პიესა, — საინტერესოა.

„კარგად ვიცი, რაც უნდა დაუკრას და როგორ საზიზლრადაც სტუუით“, — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, საჩქაროდ წამოდგა, ჩამოართვა კნეინას ხელი და გავიდა ოთახიდან.

სასტუმრო ოთაბში ეკატერინა ალექსეევნა დაბედა და მაშინვე ლაპარაკი დაუწყო.

— როგორც ვხედავ, ნაციც მსაჯულის მოვალეობა თქვენს ცუდად მოქმედებს, — ჩვეულებრივ ფრანგულად უთხრა მან.

— დიალ, მაპატიეთ, დღეს ვერა ვარ კარგს გურებაზე და არავითარი უფლება არა მაქეს სხევებიც მოვაწყინო, — უპასუხა ნებლიუდოვმა.

— რადა ხართ ცუდს გურებაზე?

— ნება მომეცით არა ესთქვა მისეზი, — უპასუხა მან და ქუდის დაუწყო ძებნა.

— თქვენ-კი მუდამ იმას იმზობრით, რომ იდამიანმა სიმართლე უნდა ილაპარაკოსო, რატომ არ გინდათ ახლა სთქვაო?

— გახსნებს, მისი? — მიპართო ეკატერინე ალექსეევნამ მათთან გამოსულ მისსის.

— იმიტომ, რომ მაშინ ეგ ხუმრობა იყო, — დაფიქრებით უპასუხა ნებლიუდოვმა; — ხუმრობაში შესაძლებელია და ნამდევლად კი ისეთი საძაგლები ვართ, ე. ი. მე ვარ ისეთი საძაგლო, რომ არ შემიძლიან სიმართლე ესთქვა.



— არა, სიტუაცია ბაზნედ წუ ისურით, უმჯობესია სოფელი, რომა ვართ საძიგლები? — უთხრა ეკატერინე ალექსანდრიამ.

— იმაზე ცუდი არა პის-რა, როდესაც აღამიანი აშჩობს, უგუნდა ვარო, — სთქვა მისსიმი: — ეს თვეის დღეში არ ვიტუვი და ამიტომ მუდამ კარგ გუნდაზე ვარ. რას უყურებთ? წიამოდით ჩემთან. ველები გავფანტო თქვენი ცერტივარება.

ნებლიუდოვის მდგომარეობა პერიოდი იმ ცხენის მდგომარეობას, რომელსაც ჯერ ზურგშე ხელს უსმენ და ეფერებიან, რომ შემდეგ ლაგამი მოსდომ და მეტე შეიძინ ეტლში. ეს მან აშეარად იკრძნო; ბოლოში მოიხადა, რომ სიხლში მიეკიარებიო, და გამოეთხოვა. მისის ჩეკულებრივშე უფრო დიდხანს ეჭირა მის ჩამოსართმევად კაჭ-გდილი ხელი.

— არ დაგვიწყდეთ, რომ ის, რაც თქვენთვის არის საყურადღებო, ისე საყურადღებოა თქვენის შეკობრისთვისაც, — უთხრა გან ნებლიურობებს, — ხელი ხომ მოხეაროთ?

— არა შეონის, — უპასუნა ნებლიუდოვნება და ისე შერცხდა, რომ
სკოლა გაწითლდა და საჩქაროდ გამოძრონდა.

— ეს რა ამბავია? — სთვედი ცუატერინე ალექსეევნამ, როცა ნებ-ლიუდოვი წიგიღდა, — უთუოდ შევიტყობ, რაც ამბავია ჩევნის დიმიტ-რის თავსა.

მისისის უნდოლა რაღაც მკეთხე სიტყვა, ეთქვა, მაგრამ ალარა სთქვა.—ყველა ჩვენგანს შეემოხევეთ კარგი და იყო,—წაილაპარა-
კა შან.

„ნუ თუ ესეც მომატულებს, —იდეიქრა მისსიმ, —ყველა იშის ზემოვანი, რაკე მომენტია. ეს საშინელოება იწნიბა იმის მხრით“.

ରୁହି ଗ୍ରୈନିଟନ୍ଦାତ ମିଳସିଲେଟାଇସ, ରୂପ କ୍ରିଶନ୍‌ଏଲ୍ଡା ଯୁ ଫିନାଲ୍‌ଲେବ୍ରୀଆ, ଏରୋଫ୍ରେଣ୍ଟର ପେସ୍ଟକ୍ସ ଦ୍ୱାରା ମନ୍ଦପ୍ରେସିଡାନ୍ଟ。 ତାଙ୍କାପ୍ରଥମ ପ୍ରେସିଡେନ୍ସି କ୍ଷେତ୍ରରେ, ରୁହି ଉଚ୍ଚବ୍ରତା ଦ୍ୱାରା ନେବ୍ରାଲ୍‌ମ୍ୟୁଲିକ୍‌ସିଲ୍ବର୍‌ସିଲ୍ବର୍ ପେସ୍ଟକ୍ସ ଶିଳ୍ପିଙ୍କର ତ୍ୱରାଲ୍‌ସାହିନୀଙ୍କ ଏହା ପ୍ରତିକିଳା-ରୁ ଦ୍ୱାରା ପ୍ରେସିଡେନ୍ସିଲ୍‌ଏଫ୍ରେଣ୍ଟର ମିଳସାଲାର୍‌ଦିନ୍‌କ୍ରିଷ୍ଟିନ୍ ପିଯାର, ମେଡରାମ ମାନିନ୍‌ପ୍ରଥମ ନେବ୍ରାଲ୍‌ମ୍ୟୁଲିକ୍‌ସିଲ୍ବର୍ ତାଙ୍କାପ୍ରଥମ ପ୍ରେସିଡେନ୍ସିଲ୍ବର୍ ଦ୍ୱାରା ମିଳ୍ ଦ୍ୱାରା ପାର୍କିଂଗ୍‌ରେଜାର୍ ଦ୍ୱାରା ପାର୍କିଂଗ୍‌ରେଜାର୍ ମେନିନ୍‌ଗ୍ରାମରେ।

XXXVIII

„მრცველიან და მეზობელება ჩემი თავის,— პფიქტობდა ნეხლიუ-
დოვი, როცა სახლისკენ მიდიოდა. ის გრძნობა, რომელიც მისისთან
ლაპარაკით გამოსცადა, არ შორდებოდა. ჰერიტონბდა, რომ ფურმა-
ლურად, თუ შეიძლება ისე ესთქათ, არაფერი არ აყავშირებდა მი-
სისთან, რადგან სიტყვა არ მიუკია, მაგრამ ნამდვილად კი ჰერი-
ნბდა, მათ შორის ისეთი კაშირი იყო, რომ უკაველად უნდა შეირ-



თო. დღეს კი იგრძნო, რომ არაფრის გულისათვის არ შეეძლო მისი შერთვა. „მრცხვენიან და მეზიზლება ჩემი თავი,—იმეორებდა თავი—სთვის არა მარტო მისსის გამო, არამედ ცველატრის გამო. უცვლე-ფერი საზიზღარია და სამარცვინო“, იმეორებდა ნებლიუდოვი, რო-ცა თავის სახლის კიბეზედ დაიიდა.

— ვამშემი არ მინდა—უთხრა კორნეის, რომელიც შემოქმედ სასტუმრო ითახში, სადაც გაშლილი იყო სუფრა და მომზადებული იყო ჩა. —წადი.

— ბატუნი ბრძანდები,—უპასუხა კორნეიშ, მაგრამ არ წიფიდა და მაგიდას დაუწყო ლაგება. ნებლიუდოვი უშესერდა კორნეის და ბრძანი მოსდიოდა. უნდოდა მარტოდ ყოფნა და თითქოს განგებ ყვე-ლა ხელს უშლიდა, თავს აბეზრებდა. კორნეიმ აალავა ჩის იარაღი და გაფიდა გარედ. ის იყო ნებლიუდოვი მიციდა სამოვართან, რომ ჩაინიქში ჩა ჩიყარა, და აგრაფინა ჰეტროვნის ფეხის ხშაც გაიგო-ნა. რომ არ შეხვედროდა, საჩქაროდ გვეიდა სასტუმრო ითახში და კარები გაისურა. ეს ის სასტუმრო ითახი იყო, რომელშიაც ამ სა-მის თვის წინად სული დალია მისმა დედაშ. ახლა, როცა განათებულ ითახში გადაპხედა დედის სურათს, მოაგონდა როგორ ეჭყოდა ბო-ლოს დროს, და შესწუხდა. ესეც სამარცვინო და საზიზღარი საქმე იყო. ნებლიუდოვს მოაგონდა დედის ავადმყოფობის დრო და ისიც, თუ როგორ უნდოდა, რომ დედა იღრუ მოკედარიყო, რათა განთა-ვისუფლებულიყო ტანჯვისავან. ნამდევრად კი მიტომ, რომ თვი-ოთონ განთავისუფლებულიყო დედის ტანჯვის ცეკვისავან.

ნებლიუდოვმა გადაპხედა დედის სურათს, რომლის დახატვა—შეაც 5,000 მანეთი მისცეს ერთს შესანიშნავს მხატვარს. ეს სურათი იყო დახატული შევის ხაფურდის გულ ამოქრილ კაბაში. მხატვარს ულველივე ღონე ეხმარა, რომ კარგად გადმოელ შესანიშნავი გულ-მეტრდი და ბროლიერი თეთრი კისერი. ეს კი მთლად საძაგლი და სასირცხო სანახევი იყო. სასირცხო იყო მით უფრო, რომ ამ სამის თვის წინად ამავე ოთახში იწვა გაძვალტუაებული ჩინჩხი ამ ქალი-სა და საზინულის ტანჯვით სულს ჰლევდა. ნებლიუდოვს მოაგონდა, თუ როგორ აიღო დედამ მისი ხელი და უთხრა: „წუ დამტმდერები, მიტრო, თუ მე ისე არ მოვიქცი, როგორც საჭირო იყო“, და მის მიბნებილსა და ჩავარდნილს თვალებზე ტრემლები ჩიმოქრიალდა. „ჩა საძაგლობა“, —სთვევა თავისითვის ნებლიუდოვმა და ერთხელ კა-დევ გადაპხედა ნახევრად შიშველ ქალს, ვიბერითელა ბროლიერი თეთრის კისრით და გულ-მეტრდით. შიშველმა გულ-მეტრდმა ნებ-ლიუდოვს მოაგონა სხვა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ დღეებში



ჰნახა, სწორედ ეგრე გულ-გახსნილი. ეს იყო მისი, რომელშეც მქონეობის ლილიდოვი მიიწევია ერთ სტამის იმიტომ, რომ ეჩერებინა საბალო ტანისამოსი: ნებლიუდოვმა ზიზლით მოიგონა მისის გაშიშელებული მქლავები. „საძაგლობაა და სასირცხო, სასირცხოა და საძაგლობა“.

„არა, არა, — ჰეიქრობდა ნებლიუდოვი, — უნდა განვთავისუფლდე კორჩავინებთან ყველა ამ ყალბ დამოკიდებულებისან, მარია ვავასილიერნასგან, მამულებისა და ყველათრისგანაც... დიალ, თავისუფლად უნდა ამოვისუნთქო. წავალ საზღვარ-გარედ—რომში, და განვაგრძობ მხატვრობას“. აქ მოაგონდა თავისი ურიკობა და ენაზე იქმინა. „მიგრამ სულ ერთია, ოლონდ თავისუფლად ამოვისუნთქო. პირველად სტამბოლში. შემდევ რომში, ოლონ უ, რაც შეიძლება, ჩეარა მოვიშორო თავიდები ნაფიც-მსაჭულობა და ეს საქმე მოვაწყო 30-ქილომან“.

უცბად თვალ-წინ დაუდგა შავთვალა ტუსალი-ქალი. ოქ, როგორ გულ-ამოსკენით ატირდა საწყალი ქალი დამნაშავეთა უკანასკნელ სიტყვაზე! ნებლიუდოვმა საჩიროდ გადააგდო ჩამქერილი პაპიროსი, მოუკიდა მეორეს და დაწყო თავახში წინ და უკან გაჩერებით სიარული. ახლა თვალწინ წარმოუდგა ყოველივე წუთი, იმ ქალთან გატარებული, მოიგონა უკანასკნელი მასთან შეხვედრი, როცა ნებლიუდოვი ისე საშინალად გაიტაცა ვნებათა ლელვის სურვეიმა, მოიგონა ცისფერ ლენტიანი თეთრი კაბა, მოიგონა ცისკრის წესის შესრულება. „მე ხომ მიყვარდა ის, წრთველის გულით მიყვარდა, წმინდა, უმანქო სიყვარულით, მიყვარდა წინადაც, როცა დეილებთან ვსცხოვრობდი ზაფხულში, და მერე როგორ მიყვარდა! — ჰეიქრობდა ნებლიუდოვი. მან წარმოიდგინა თავისი თავი ისე, როგორიც იმ დროს იყო, და გულზედ რაღაც ლოდივით დააწვა.

ეხლანდელს ნებლიუდოვსა და წინანდელს შორის ისეთი დიდი განსხვავება იყო, როგორიც კელესიაში მდგომ კატოსა და იმ კატოს შორის, რომელსაც დღეს ასამართლებრდნ. წინად ნებლიუდოვი იყო სიკუცხლით ხავსე ახალგაზრდა, რომლისთვისაც კვილაფერი შესაძლებელი იყო. ეხლა კი უახრო და უშინეო ცხოვრების მონა, გათელილი ადამიანი. მოაგონდა, როგორი თავგამოცემით იბრძოდა წინად სიმართლისთვის და მუდამ სიმართლეს ამბობდა, ეხლა კი საზიზლარის სიკრუის მორევში სცურავდა. იმ მორევიდები გამოსასვლელი გხა არსად იყო. შესტუმა ამ მორევში, გაითხუპნა და ისე შეეჩევია, რომ ნაზად გორავდა შიგ და გამოსვლა კი არ უნდოდა.

„როგორ გავსწყოირ კავშირი მარია ვასილიერნასა და მის ქმართან ისე, რომ შემდევ პირნათლად შეეხედო როგორც იმათ, ისე



მათს შეიღებს? როგორ გაფსწუვიტო უმიზეშოდ მისისითან კავშირი? როგორ მოფექცე დედის-მიერ დატოვებულს მამულებს, როდესაც კი-რძო მიწად-მფლობელობის წინააღმდეგი ვარ? როგორ შევინანო კა-ტოს წინაშე დანაშაული? კუელა ამაების ასე დატოვება შეუძლებე-ლია! არ შეიძლება ასე უურადღებოდ მივატოო ის ქალი, რომე-ლიც მიყეარდა; არ შეიძლება დავყმაყოფილდე იტით, რომ მიესცე ვექილს ფული და დავიხსნა კატორლიდგან, რომელიც არაფრით არ დაუშესახურებია. ან წინანდებურად მიესცე ფული და შევინანო და-ნაშაული?

მოაგონდა ის წუთი, როცა კატოს დაეწია დერეფანში, ძალად მიაჩერა ხელში ათ თუმნიანი და გაიქცა. „ოჟ, ეს ფულია!—ზიზღით მოიგონა ნებლიუდოვმა ის წუთი,—ოჟ, ომ! რა საზიზღოობა!—წამო-იძახა ხმა-მაღლა.—მშოლოდ უსინდისო, საზიზღარ იღამიანს შეეძლო ამ საქმის ჩადენა.—და ეს საზიზღარი და საძაგლი იღამიანი კი მე ვარ, მე!—წამოიძახა ნებლიუდოვმა.—ნუ თუ მართლა?—გაჩერდა ის, — ნუ თუ მართლა საზიზღარი იღამიანი ვარ? მაშ ვინ არის, თუ არ მე?—უპასუხა მანეე თავის თავის.—მერე ვანა ეს ერთი?—განაგრძო თავის მხილება:—ნუ თუ საზიზღოობა არ არის ჩემი მარია ვასილი-ევნიათან და მის ქმართან კავშირი? ჩემი მამულთან დამოკიდებულე-ბა? იმ აზრით, რომ ფული დედის წყალიბაა, ვისარგებლო იმ სიმ-დილრით, რომელსაც უკანონოდ ვსთელი? ნთელი ჩემი ფუქსავატი ცხოვრება და კუელა ამის დაფნის ვეირგენი—ჩემი საქციელი კა-ტოსთან?! საძაგლო, საზიზღარო!... ხალხში, როგორც სურს, ისე გა-მისამართლოს, მე თამად შემიძლიან მათი მოტულება, მაგრამ თავის თავს კი ვერასოდეს ვერ მოვატულებ.

ნებლიუდოვს არა ერთხელ მოსელია თავის ცხოვრებაში, თუ როგორ იძახდა „სულის გაწმენდას“. „სულის გაწმენდას“ ის ეძახ-და იძახ, როცა კარგა ხნის შემდეგ შეატყობდა, რომ სულიერი ცხო-ვრება შეჩერებული იყო, და მიკყოფდა ხელს იმ ნაგავის გამოწმენ-დას, რომლის მიზეზითაც იყო ცხოვრება შეჩერებული.

ამ გვარ გამოფხიზლების შემდეგ ნებლიუდოვი აწესრიგებდა თავის ცხოვრებას და ალთქმისა სდებდა, არ გადახეხია ამ წეს-რიგი-სათეის;—სწერდა დლიურს, იწყებდა ახალს ცხოვრებას, რომლის ღა-ლატსაც თავის დღეში არ იფირებდა—turning a new leaf,—რო-გორც ის ამბობდა ხოლმე. მაგრამ გადიოდა დრო და ნებლიუდო-ვიც ივიწყებდა კვილაფერს და ისევ ითევდა გახრწილი ცხო-რება.



ასე და ამ გვარიად, რამდენჯერმე გამოფხიზლურიდა და გაიწინდებოდა ხოლმე ნებლიუდოვი. ასე მოჟედა, როცა პირველად დეიდებს ესტუმრა საზაფხულოდ. ეს ყველაზე უფრო ძლიერი და ოლტაცებული გამოფხიზლება იყო, რომლის შედეგიც დიდხანს გავრჩელდა. შეორე გამოფხიზლება სამოქალაქო სამსახურის მიტოვებისა და სამხედრო სამსახურში შესვლის ღრის მომზღვა, შემდეგი გამოფხიზლება მოჟედა მაშინ, როცა გამოიყიდა სამსახურიდან, წავიდა საზღვარ-გარედ და მხატვრობის მიმკო ხელი.

მას შემდევ კარგა ხანი გავიდა, როცა ის არ გაწმენდილა სულით, ამიტომ არასოდეს ასე არ გაჭერებიანგრძლა, არასოდეს ასეთი უთანხმოება არ ჩამოვარინილა მის ცხოვრებასა და სინდისის მოთხოვნილებას შორის, როგორც ეხლა. ის შიშის ზარბა აიტანა, როცა შინაგან ცხოვრების ასეთი უფსერული დაითანა.

თოთქმის მედი დაეკარგა განწმენდისა. „ხომ სცადე ხასიათის გამოცვლა და გადაგვარება, რომ უკეთესი ყოფილიყავი, მაგრამ არა-ფერი გამოვიდა“, — უბნებოდა იღუმალი მაცულერი ზმა: — „მაშ რალა გინდა? რასა თხოვლობ? მარტო შენ ხომ არა ხარ, ყველა ასეთია, ასეთია ცხოვრება“, — უბნებოდა იღუმალი ხმა მაგრამ იმ სულიერმა არსებობს, რომელიც მხოლოდ ერთად ერთი არის ჭეშმარიტი, ყოვლად ძლიერი და საუკუნე, უკვე გაიღვიძა ნებლიუდოვში. ნებლიუდოვს არ შეეძლო არ ერწმუნა ამ სულიერის არსებისა. თუმცა წინანდელსა და ახლანდელს შორის დიდი მანძილი იყო, მაგრამ სულიერ არსების-თვის ყველაფერი შესაძლებელია.

„რათაც უნდა დამიჯდეს, დავამსხვრევ ამ სიცრუის ბორკილს, რომელსაც აგრე შევუბოკივარ; ყველას ნამდევილ სიმართლეს 30ტ-ყვი, — გადაჭრით ლიხრა თავის თავს. — ვიტყვი მისის, რომ მე უნაშეს ვარ, არ შემიძლიან მისი შერთვა და ამდენ ხანს-კი ტუკილად ვაწუხებდი; ვიტყვი მარია ვასილიერნის — წინანდლოლის ცოლს... მართლა, მიასთან არაფერი მაქვს სათქმელი... — ვიტყვი მის ჭმირს, რომ მე საზინლრად ვატყუებდი; მამულს ისე მოიხმარ, როგორც სიმართლე მოითხოვს. კატოს ვიტყვი, რომ მე საზინლარი აღამიანი ვარ, დაიდი დანაშაული მიმიდლვის მის წინაშე და ყოველსავე ღონეს წინაშე, რომ შევუმსუბუქო ტანჯვა. დიალ, ვნახავ კატოსა და ესთხოვ, მაპატიოს დანაშაული. დიალ, ესთხოვ პატიებას ისე, როგორადაც პატები სთხოვენ ხოლმე.

ნებლიუდოვი შეჩერდა.

— და ცოლადაც შევირთავ, თუ კი საჭირო იქნება.



აქ გამეტდა და ხელები გულშე დაიკრიტა ისე, როგორც ბავ-
შეობისას იცოდა ხოლმე; თვალები ზეცისაცნ ალაპურო და წარშო
სთქვა:

— უფალო, შემეტიე, მასწავლე რამე! მოვედ ჩემთანა და წმინ-
და მეყვენ მე ყოვლისაგან ბიწისა.

ლოცულობდა, სთხოვდა ღმერთს სულით გაწმენდას, მაგრამ გა-
ნწმენდა უკვდ აღსრულდა. ნებლიუდოვმა მხიარულად იგრძნო თავი
და თავისუფლად მიიღოსუნთქა. ყველაფერი, რაც კი კეთილია და აჭა-
მიანს შეუძლიან — მეც შემიძლიან ებლა გავაკეთოო, — ჰერძნობდა ნე-
ბლიუდოვა. ამას რომ ამბობდა, მეტის სიხარულისაგან თვალები აუ-
ცრებლდა, რომ იმ სულიერმა არსებამ, რომელსაც ამდენ ხანს ეძინა,
უკვდ გამოილება.

ნებლიუდოვს საშინლად დასკახა, მიუიდა სარქმელთან და გა-
აღო. სარქმელი ბალისაცნ იყო; მშვენიერი წყნარი, მთვარიანი ღამე
იყო. ქუჩაში ეტლია გიარა და ცვლაუერი მიუყენდა. სახლის სახურა-
ვები მთვარის მეტიალს სხივშე მარმარილოსებრ კრიალებდენ; ნებ-
ლიუდოვი სიამოვნებით უცექროდა ამ დიად სანახობას და ხარბად
ჰყლაპავდა გამაცოცხლებელს ციფ ჰაერს.

XXIX

მასლოვის ქალი სალაშოს ექვს საათშე დაბრუნდა თავის კამერა-
ში მშიერი და თანაც სასტიკის განაჩენით საშინლად გულ მოკლული.
ქვებზე სიარულის გამო ფეხები საშინლად სტკიოდა და მთლად და-
ქანულიყო.

როცა სასამართლოში საქმის შეწყვეტის დროს მოსამსახურები
არხებინად პურა და კვერცხს შევეტყოდენ, მასლოვის ქალს პირი
ნერწყვით იეკს და მისხდა, რომ ძალიან მომშიეროდა, მაგრამ თხო-
ვნი დიდ თავის დამკარებად მიაჩნდა. ამ მდგომარეობაში იყო, რო-
ცა უცერად სასტიკი განაჩენი წაუკითხეს. პირებელად ვითომ ეგონა,
კარგად ვერ გავიგონეო, არ უნდოდა ისე უცბად დაეჯვრებინა ის,
რაც გაიგონა, არ შეეძლო ეფიქრი კატურლაშე, მაგრამ როცა მო-
სამართლებისა და ნაუიც-მსაჯულთა დამშვიდებული სახე დაინახა,
გაბრაზდა და სახარელის ხმით დაიყვირა: „მე დამნაშევე არა ვარო“.
მაგრამ როცა დაინახა, რომ ვერც ამ დაყვირებით გამხდა რასმე და
არც არის არ გაცვირებია, გულ ამოსკენით დაიწყო ტირილი, რად-
გან იგრძნო, რომ უნდა დამმორჩილებოდა იმ მეაცრ განაჩენს, რომე-
ლიც სრული უსამართლო იყო. კატოს მეტის-მეტად უკვირდა, რომ
ასე სასტიკად მოუქცნენ ის ახალგაზრდა ვაკეაცები, რომელნიც ისე

ალექსიანად შეცუტრებდენ მის აღმდენსამე წუთის წინად. მხოლოდ ბრალმდებლის ამხანგი ვერ იყო კარგ გუნდებაზე და კატოსკენ ერთხელაც არ მოუტენია, როგორც თეოთონ კატომ შეპიშნა. მასლოვას ქალი ხშირად ხედავდა, როგორ გადიოდენ ახალგაზრდები ოთახში ვითომ-და საქმისათვის, ნამდვილად კი უნდოლათ თვალი გადაეცლოთ მისთვის. ამ კაცებმა კი კატორლა გადაუწყვიტეს, თუმცა სრულიად უდანაშაულო იყო. დიდხანს სტიზოდა, შეძლევ ტირილი შესწევიტა და ელოდა როდის გაიყენდენ. ეხლა მხოლოდ ერთი რამ უნდოლა — პაპირისი. ამ მდგრამაზრობაში ნახეს კატო ბორჩოვას ქალმა და კატორნიქიმა, როგორ ისინი განჩინების გამოსაცხადებლად შემოიყვანეს. ბორჩოვას ქალმა მაშინვე ჩხუბი გაუმართა კატოს და „კატოუნიკა“ უწოდა.

— օս, Ցյ Տօմացըլլոն, ցըրցո զան՞ Գամեհնութե ուզո՞ Նոց ցի-
նոս, յարցըքո մոցապոլլուս, մշոնոս, Ցյ Տօմացըլլոն! Իսկ Ըամեսաեցորդ,
ուս ցըրցո. ցեղալ յու Ըամենցեք յարոհնութե ցիշոնձաս ուզուս.

მასლოვის ხალათის სახელოებში ხელები შეეყო, უძრავიდ იჯ-
რა და იატაქს დაცულებდა.

— მე თქვენ არას გიშევებო და თქვენც თავი დამინებეთ, — უთხრა კატომ და დაჩიტოდა. კატო ცოტათი მოკლებლდა, როგორ კარტინჯინი და ბორკელის ქალი გაიყენეს; შემოვიდა მოსამსახურე და სამი მინეტი მიუტანა.

— შენ მასლოვა ხარ? — ჰეკთხა მოსამსახურები, — ჰა! ეს კილმა-ტონიმა გამოიგიზზენი, — უთხრა მან და ვალასცა სამი მანეთი.

— የዚህንም አገልግሎት ተደርጓል?

ეს ფული ქნმა კიტაევამ გამოუგზავნა მასლოვას ქალს. სასამართლოლოდგან გასცლის დროს კიტაევა დაეკითხა ბრძანელს: ამ შეიძლება კოტა ფული გადასცეთ მასლოვას ქალსაორ ბოქაულმა უთხრა,— შეიძლებათ. ქნმა კიტაევამ ნაზად ჩიოყო ჯიბეში თავისი ფულთული ხელი, მოილო ახალ-მოდის ჭისა და იქიდგან მოილო ახალ-მოქრილი კუპონი, ერთი 2 გ. 50 კ. მიუმატა 50 კ. და გადაიკაბდა ბრძანელს. ბოქაულმა დაუმახა მოსამსახურეს და კიტაევას ოვალწინმისავარ ეს რელი კატოს გადასცემისდ.

— სწორედ გალავცი, გეთაყვა, — უთხრა მოსამსახურეს კაროლინა ლიბერტინინამ.

მოსამსახურებმ შეურაცხყოფად მიიღო ასეთი უნდობლობა და
ამიტომ იყო, რომ ისე გაჯაფტებით შექვედა მასლოვას ქალს. ფუ-



ლი ძალიან გაეხარდა კატოს, რადგან ეხლა შეეძლო ეშოვნა, რაც გულით უნდოდა.

„ოღონდ კი პაპიროსი ვიშოვნო და გულიანად მოესწიო“, — პეტერობდა მასლოვა და სხვა არა ახსოვდა-რა. ისე საშინლად უნდოდა პაპიროსის მოწევა, რომ თამბაქოს კვამლით გაელენთილ ჰაერსაც ხარბად ეწაფეოდა.

დიდის ხნის ლოდინის შემდეგ, ნაშუადლევის 5 საათზედ, წაიყვანეს მასლოვას ქალი სასამართლოდან. კატომ დერეფანში გადასცა ერთს ჯარის-კაცს. ამაზი და სოხოვა: ორი ნაზექი და პაპიროსი მიყიდეთ. ჯარის-კაცმა გაილიმ და უთხრა: „კარგი, ვიყიდიო“, გამოართვა ფული, როგორც რიგი იყო, უყიდა ჭველაფური და ხურდაც მიუტანა. ვზაში მოწევა არ შეიძლებოდა და ამიტომ სატუსალში მისელამდე ვერ აისრულა კატომ გულის წადილი. იმ დროს, როცა კატო სატუსალის კარებს მიაღდა, რეინის გზის სადგურიდგან ასამდე სხვა-და-სხვა ჯარის ტუსალი მიიყვანეს.

ტუსალები — წევრიანები, წევრ-მოპარსულები, ახალგაზირდები, მოხუცნი, რესები და სხვა-და-სხვა ტომის ხალხი, ზოგი ნახევარ-თაყ-მოპარსულები მორკილების ჩხარა-ჩხურითა და ხმა-მაღალის ჩიჩქოლით იქაურობას აყრუბდენ. ტალანში საშინელი მტევრისა და ოფ-ლის მყრილი სუნი იდგა, მასლოვას ქალს ტუსალებმა გვერდით აუარ-ჩამოუარეს, დაათვალიერეს და ზოგი კიდეც გაეხუმრა.

— უმ, რა კარგი გოგონაა, — სოქევა ერთმა.

— მამიდა ჩემს გაუმარჯოს! — სოქევა მეორემ და ეშმაკურიად თვალი დაახამძამა.

ერთი შე-შევი, თავ-მოპარსული ტუსალი, მორკილების ჩხარუნით მიერთდა მასლოვასთან და გადაეხედა.

— ნუ თუ ვერ მიცანი, გრინავეალუ? ქმარა თვალთ-მაქცობა! — დაიყვეირა მან და საშინლად დააკრაქუნა კბილები. მასლოვამ, როგორც იქმნა, მოიშორა.

— რასა შერები, შე საზიზდარო! — დაულრიალა ციხის უფროსის თანაშემწემ, რომელიც შეესწრო ამ სცენის.

ტუსალი ბურთივით მოიქუნტა და უკან გამობრუნდა. თანაშემწერმ მასლოვას შეუტია:

— შენ აქ რა გინდა?

მასლოვას უნდოდა ეთქეა, სასამართლოდგან მომიყენესო, მაგრამ ისე დალლილი იყო, რომ ხმის ამილება ვერ შესძლო.

— სასამართლოდგან მოიციცანეთ, თქვენო კეთილ-შობილებავ! — უთხრა უფროსმა დარაჯმა ჯარისკაცმა, და ხელი ქულშე მიიდო.



— მიშ, ჩავბერე უთეროს... ის რა ემზადა ამ?

— මිශ්‍රිතය, තේගීන්ත සොයා-සුදුසුදායා

— სო კორონა. ჩემიძეანი — თვილის და თანამდებობა.

უფროისი მეოთვალყურე მიციდა მასლოვასთან, წაუკიტავა და ქალების ტალანისკენ წაიყვანა. ექვემდებარებოდა გასჩერიკეს და, რაც ეკრაფერი უპოვნებს (პატიორისი მასლოვამ ნაზურში დამალა), ისევ შეაგდეს იმ კარგებში, რომლილგანაც დღეს დილით გამოიყანის.

xxx

კამერა, რომელშიცაც მასლოდას ჭალი იჯდა, სრული ოთხი იყო, სიგრძით 9 ალბი და სიკინით 7, ორი სარქმელი ჰქონდა, დანგრეული ბუბარი, ერთი ხის ტანტი, რომელსაც მოელის ოთხის ორი მესამედი ალაგი ეცირა. შუაში კადელზე ჭველი ხატი ეკიდა, ხატის ქვეშ ლურსმანზე მიწერებული იყო თაფლის სანთელი, სულ ჰეემოდ იმმორტელის გამზიარი ყვავილი ეკიდა, კარების ახლოს მარცხით მყრილი კასრი იდგა; იატაკი სხვა-და-სხვა სიბირისურის გამო მთლიად გაშავებულიყო. ტუსალების შემოწმება უკეთ გათვალი და კამერა დაეცემოდა.

ამ კამერაში სულ თხოვთმეტი მდგმური იყო: თორმეტი ქალი და სამი ბავშვი. ჯერ კიდევ მთლად არ დაიმიტულიყო და მშოროდ თრი ქალი იწვა ტახტზე: ქრისტი სულელი, რომელსაც ხალათი შემოეხედა თავზე და რომელიც უპასპორტობის გამო იყო დაქრილი და თითოების მუდამ ეძინა, მეორე კი ჭლექიანი, რომელიც ქურდობაზე დაეჭირათ. ჭლექიანს არ ეძინა, ხდეათი თავქვეშ შემოედო, თვალები დაეცუიტა, ძლიერ იმიღოვნებდა თავს, რომ ყულში მომდგარი ბეჭდი შეეცვებინა. დანარჩენები, თავშიშველი, მაგარ ტილოს პერანგებში, ზოგი იჯდა და ჰერიავდა, ზოგი სარქმელთან იყო მომდგარი და თვალს აღეცნებდა ეზოში მოსეირნე ტუსალებს. მეერავ ქალებში ერია ის ბებერი დედაკაციც, რომელმაც ამ დილით სასამართლოში ვაკილა შასლოვას ქალი. ეს იყო კარაბლიოვისა, მრისხანე შეხედულობისა, მაღალი და ღონიერი დედაკაცი. კატორადა ქერინდა გადაწყვეტილი ქმრის ნაჯახით მოკელისათვის. ეს მეცვლობა იმიტომ ჩაიდინა, რომ ქმარი მოსვენებას არ იძლევდა მის ქალიშვილს და საზიზუროდ ექცეოდა. კარაბლიოვისა კაშერის უფროსად იყო დანიშნული და არყოთაც ვაჭრობდა. თვალებზე სათვალეები ჰქონდა გაკეთებული და ისე ჰერიავდა. ნემსი თავის მძლავრის ხელით ნამდებლების დედაკაცით ეჭირა სამს თითოები და წვერი თავისიკენ ჰქონდა. მის გვერდით ერთი ვაჭა ცხვირიანი შავგვრემანი ჩაით იჯდა



და ტომჩებს აკერძოდა. ეს იყო რეინის გზის დარაჯი-ქალი; პიცინ
თვით სატუსალო ჯდომა ჰქონდა გადაწყვეტილი, რაღაც მარტარებ-
ლის გაფლის დროს ბაირალი არ უჩევნა, რის გამოც უბედულება მო-
ქმდა—მატარებელი დაიმსხერა. მესამე მეცრავი ქალი თეოდოსია იყო.
უცნიჩა (ასე ეძახდენ აშხანავი ქალები) ჯერ სულ ახალგაზრდა იყო,
თეოდოსეროვანი, ცისფერი ბავშვურ თვალებიანი და ორი გრძელი
ნაწინები თავზე ჰქონდა შემოხვეული. სატუსალოში ქმრის მოწიმლების
განზრახვისათვის იჯდა. ქმრის მოწამლაც განიზრახა გათხოვებისა-
თანავე, როცა ჯერ ისევ 16 წლისა იყო. რვა თვე თავდებობით იყო
გამოშვებული და იმ შენის გამმიელობაში ისე შეუყვარდა ქარი, რომ
ხელი-ხელ ჩაიყდებული ტყბილად სცხოვობდენ. ეს ამბავი სასა-
მართლომაც იცოდა და, თუმცა ქმარი და სიმარი, და განსაკუ-
თრებით კი სიღდერი, რომელსაც სიძე საშინლად შეუყვარდა, ყო-
ვილსავე ლონეს ჰმიარობდენ, რომ გაემართლებინათ როგორმე თეო-
დოსია, მაგრამ სასამართლომ მაინც კატორდაში გაგზავნა გადაუწ-
ყოტა. კეთილი, მხიარული, და მუდამ მოლიმარე თეოდოსია კატის
მეზობლად იწვე ტახტზე და არამც თუ შეუყვარდა ის, არამედ მო-
ვალედაც სთვლიდა თავის თაქს, მუდამ ეზრუნა და მოეცლო მისთვის.
ტახტზე კიდევ ორი ქალი იჯდა, ერთი იქნებოდა ასე თომოცის
წლისა; წინად, ეტყობოდა, ძალიან ლამაზი იყო, ახლა-კი გამხდარი
და გაფითრებული. ხელში ბავშვი ეჭირა და ძუძუს აწოვებდა. მისი
დანაშაულობა ის იყო, რომ როცა სოფლიდან სამხედრო ბეგრის მო-
სახდელად ახლად კენჭნარებინი გილვიეს, რომელია, გლეხების
აზრით, უკანონოდ მიქაელდათ, ხალხმა გააჩერა თემის უფროსი და
წაართვა ახალი ჯარის კაცი. ან ქალმა, როგორც უკანონოდ წაყვა-
ნილის მამიდამ, პირველმა ჩაველო ხელი ცხენის ლაგამს, რომელზე-
დაც მისი ძმისწული იჯდა. კიდევ ტახტზე იჯდა შეათანა ტინის მო-
ხუცი დედაკაცი, წელში მოხჩილი და დანაოცებულ პირისახიანი. ეს
დედაკაცი ბეგრის ახლოს იჯდა ტახტზე და იწევდა აქეთ-იქით, ერ-
თომც უნდოდა დაეჭირა ოთხის წლის თმა-გაერექილი, ჩამრგვალებუ-
ლი ბავშვი, რომელიც მის ახლოს გარბოდა და გულიანად ხარხარებ-
და. ბავშვი პერანგის მარა დარბოდა და სულ ერთსა და იმავეს
იმეორებდა: „ჰმ! ხომ ვერ დამიჭირეზ!“. ამ მოხუც დედაკაცს თავის
ვაერშეილთან ერთად ცუცხლის წაკიდება პბრილებოდა და ამიტომ
იჯდა სატუსალოში; საცოდავი დამშეიღებით იტანდა ყოველსავე ტა-
ნჯვას, მაგრამ სწორზა მხოლოდ შეიღისათვის, რომელიც იძავე სა-
ტუსალოში იჯდა, და უფრო კი მოხუცის ქმრისათვის, რომელიც სა-
ხლში დარჩენილიყო და მომვლელი არიგინა ჰყავდა.

ამ შვიდ ქალს გარდა ოთხი კიდევ სარქმელთან იდგა წილი ჩატანა
ნებითა და ყველილით ებმაურებოდენ ეზოში გამელელ ტუსალებს.
რომელთაც ტალანში შეიჩრეს მასლოვას ქალი. ერთი ამათგანი მე-
ტარი ჩატებული და ამასთანავე გაყენითლებული იყო, ჩოტური პირი-
სახე ჰქონდა და სქელი კისერი. ეს ქალი ხმა მაღლა ჰყვიროდა უწმა-
წურ სიტყვებს სარქმლიდან. მის გვერდით იდგა ზაფ-შავი ტუსალი-
ქალი, გრძელ ზურგიანი და ძლიერ მოკლე ფეხებითი. პირისახე ჭა-
რბალიერით წამოსწიოთლებოდა, ბრიალა ზაფი თვალები ჰქონდა და
სქელი ბაგები, რომელიც ძლიერ ჰქარისებდა მის გრძელ გრძელ
თეთრ კბილებს. ხან-გამოშვებით გულიანიდ გადინხარხარებდა ხოლმე-
ეს ტუსალი-ქალი, რომელსაც მეტის ეშმაკობის გამო „ბოროშაკას“
ეძახდენ. ქურდობისა და ცეცხლის წაერდებისათვის იჯდა სატუსა-
ლოში. იმის უკან იდგა ძლიერ კუჭყიან ტილოს პერანგიანი გამზღა-
რის სახის ორსული დედაკაცი, რომელიც ნაქურდალის შენახვისა-
თვის იჯდა სატუსალოში. ის ჩუმაც იყო, მაგრამ კმაყოფილების ღი-
მილით უცემროდა ყოველსახე იმას, რაც ეზოში ჰქონდოდა. მეოთხე
დედაკაცი, აგრძელე სარქმელთან მდგომი, ნება-დაურთველად სხვა-
და-სხვა შაგარ სასმელების გაყიდვისათვის იჯდა ციხეში. ის იყო
შეათანა ტანისა და ლონიერი სოფლელი დედაკაცი; თვალები გამო-
კუჭული ჰქონდა და სახის გამომეტყველება კეთილი. იმ დედაკაცს
თან ახლდა სატუსალოში პატარა ბიჭი, რომელიც მოხუც დედაკაცს
ეთამაშებოდა, და შვიდის წლის გოგო; რადგან სახლში არავინ დარ-
ჩენოდა, რომ ბავშვებისათვის მოყელო, ამიტომ ესნიც სატუსალოში
წამოეცვანა. ისიც სარქმელთან იდგა და ეზოში გაიყორებოდა. ხელში
წინდა ეცირა, ჰქონდა და უქმაყოფილოდ თავს აქნევდა, რადგან
ეზოდან უწმაწური სიტყვები ესმოდა. პატარა გოგოც სხეებთან ერ-
თად სარქმელთან იდგა და გულმოფენება ისენდა იმ უწმაწურ სი-
ტყვებს, რომელსაც ტუსალი კაცები და ქალები ერთმანეთს ეუბნე-
ბოდენ და, თითქოს იწეპირებსო, ჩურჩულით იმეორებდა თვითეულ
სიტყვას. მეთორმეტე ტუსალი-ქალი დიაკვნის ქალი შეილი იყო, რო-
მელსაც თავისი ბავშვი დაელრჩო ქაში და ამიტომ იჯდა ციხეში. ის
მაღალ-მაღალი და კარგი ტანადა ქალი იყო. თმის ნაწნაები ბეჭებ-
ზედ გადაეცარა და თვალები მიმინოსახით წამოეცას. არავითარ უუ-
რადღებას არ აქცევდა იმის, რაც მის გარშემო ჰქონდოდა; უებშიშ-
ველა და კუჭყიან პერანგის ამარა დასეირნობდა კამერის ერთის უ-
თხიდან მეორემდე და როცა კუთხეში შივიდოდა, ცაბრუტივით შე-
მოტრიალდებოდა.

XXXI



დაინიხარუნა კლიტემ და მასლოვას ქალი შეიცვანეს კამეროში. ჟელა იქ მყოფნი ცნობის მოყვარეობით მიაჩერდენ. დიაკვინის ქალიც კი ერთს წუთს შეჩერდა, აათვალიერ-ჩათვალიერა კატო, მაგრამ ხმა არ ამოულია, ისევ ისე მიტრიალდა და განავრძო გულმოლენედ წინ და უკან სეირნობა. კარიაბლიოვებისამ დაარცო ნემსი ტილოში და გა-კეირუებით დაუწყო კატოს ყურება.

— ოჲ, ღმერთო ჩემი! დაბრუნდი განა? მე კი მეგონა, რომ გა-გამართლებდენ, — უთხრა მან თავის ჩახრინწიანებულ პოხის ხმით, — სჩანს დაგლუცეს!

ჩამოილო სათვალეები და საკერავი გვერდზე გადასდო.

— ჩენ, ჩემი მშვენიერო, დილხას ვიმასეთ შენს საქმეს და ასე გვიგონა, სულ გაგამართლებდენ; ამბობენ, ხშირად ჰქონდა ასეთ; მგონი ფულსაც კი იძლევიან იმ საათიდან, რა საათიდანაც დაგვე-ვებენ. — მაშინვე დაიწყო გალობის ხმით რკინის გზის დარაჯმა ქალში.

— ნუ იუ გადავიწყვიტეს? — ჰეითხა თეოდოსიამ ალექსიანის ხმით და მისი ბავშვური მხიარული სახე კმუნეის ლრუბლებმა დაჭ-ფარა და ისე მოიქცეს, რომ გვიგონებოდათ, ეხლა იტირდებოთ.

მასლოვას ქალში პასხი არ გაიცა, წყნარად წავიდა ტანტისა-კენ და ჩამოვდა კარიაბლიოვის გვერდით.

— მგონი ჯერ არამეტრიც არ გიჭვია, — უთხრა თეოდოსიამ, წამოდგა და მიეიდა კატოსთან.

კატო ისევ ჩემად იყო. გადასდო სასოფლისაკენ ნაზუქები, გაი-ხადა გამტვერიანებული ხალათი და მოიხადა თავსახვევი.

ტანტის ბოლოდან წამილდგა კუზიანი ბებერი დედაკაცი, რო-მელიც ბავშვს ეთამაშებოდა, და კატოს წინ გაჩერდა.

— ტსსსსს; — წაიბურდურა ბებერმა და საცოდავად გაიქნია თავი.

ბავშვებიც გვერდით ამოულგა ბებერს და პირ-დალებული და თვალებ-დაბრუებილი მისიერებოდენ ნაზუქებს, რომელიც კატომ მოი-ტანა. რა დაინიხა კატომ, რომ ყველა თანავრძნობით უცემეროდა, აუზილდა გული და ტირილი კინალამ დაიწყო. ძლიერ-ძლიერობით იმავრებდა თავს, სანამ ბებერი დედაკაცი არ მიეიდა მასთან, მაგ-რამ როცა გაიგონა ბებრის საბრალო ბუტბუტი და ბავშვს შე-ხედა, თავი ვეღარ შეიმაგრა, სახე საშინლად აუთრითოლდა და გულ-ამოსკენილი ქვითინი დაიწყო.

— იქ გეუბნებოდი, ნამდვილი ვექილი დაიქირავდ-შეგვეჭდას უხსრა კარაბლიოვისამ.

ეცნოთ და საავალმყოფოში წაეყვანათ. დანარჩენი ქალები ცველანი გადასახლებული სარეცხსა რეცხდენ. ბებერი დედაკაცი ტახტზე იწვა და ეძინა. ბავ-შეები ტალანტში თამაშობდენ. ვლადიმირსკაია ბავშვითა და გზის და-რაჯი ქალი ჩულჭით ხელში, რომელსაც მუდამ ჰქონედა, მიუახლოე-დენ მასლოვის ქალს.

— რა ამბავია, რა ნახე? — შეეყითხენ ორივენი.

მასლოვის ქალი ხმას არ იღებდა. იჯდა მალალ ტახტზედ და ძირს ჩამოშევებულს ფეხებს აქვევდა აქეთ-იქით.

— რა ამბავია, რა მოვიგიდა? — უთხრა დარაჯმა ქალმა, — უფრო იმას ეცადე, რომ სულით არ დაეცე.

მასლოვის ქალი ხმას არ იღებდა.

— ჩვენებს სარეცხი უდინათ. ამბობენ, დღეს დიდ მოწყალე-ბას არიგებენო. ბეჭრი რამეები მოიტანესო, — სოქეა ვლადიმირ-სკაიამ.

— ფინაშვა! — დაიყვირა კარებში გზის დარაჯმა ქალმა, — სად დაიკარგა ის ლაწირავი?

მან დაანება ჩულჭის ქსოვას თავი და გავიდა ტალანტში.

ამ დროს მოისმა უეხის ხმა და ქალების ლაპარაჯი ტალანტში.

ქალები შემოვეიდენ. თვითეულ მათვანს ზოგს თითო და ზოგს ორ-ორი ბულეკი ეჭირა. თეოდოსია მაშინვე მიეიდა მასლოვას ქა-ლთან.

— რა ამბავია? ცუდი ამბავი ხომ არაფერი შეგიტყვია? — ჰეი-თხა თეოდოსიამ და თავისი საყვარელი ცისფერი თვალები შეანათა მასლოვის ქალს: — აი, ეს ჩაისოვის, — სოქეა მან და დააწყო ბულკები ტახტზე.

— რაო, იქნება შემს შერთვაზე უარს ამბობს? — დაეყითხა კა-რაბლიოვება.

— არა, უარს არ ამბობს, მაგრამ მე არ მინდა, — უპასუხა მას-ლოვის ქალმა.

— სულელი თუ გინდათ, ეს არის! — სოქეა ბოხის ხმით კარა-ბლიოვებამ.

— თუ კი ერთად არ იცხოვრებენ, რის მაქნისია ცოლქმრო-ბა, — სოქეა თეოდოსიამ.

— ეგ მართალია, მაგრამ შენი ქმარი ხომ მოდის შენთან ერ-თად? — დაიწყო გზის დარაჯმა ქალმა.

— მეტე რა? ჩვენ ხომ კანონიერად ჯვარ-დაწერილები ვართ? — უთხრა თეოდოსიამ, — იმან რად დაიწეროს ჯვარი, თუ კი ერთად არ იცხოვრებენ?



— ამ სულელი! რათა? რათა და მათა, რომ შეირთავს ტურქეთის მეფეს
სულ ოქტომბერი ჩასვაშს.

— ასე სოქეთა, სადაც უნდა გავგზავნონ შეც შენთან წამოვალო, —
სოჭვა მასლოვას ქალმა; — წამოვა და წამოვიდეს, არა და — ნუ მოდის.
მე არ შევეხვევები. ახლა ის პეტერბურგში აპირებს საქმის გასაკე-
თებლად წასელას. იქ კველა მინისტრები მისი ნათესავები ყოფი-
ლან, — განავრძო მან: — ეჭ, მე იმათი არა მესმის-რა.

— დიდადც, — უცბად დაეთანხმა კარაბლიოვისა და რალასაც
ძებნა დაუწყო ტომარაში: — არაყი მაინც დაელიოთ, — სოჭვა მან.

— მე არ დაედევ, — უპასუხა მასლოვას ქალმა, — თქვენ დალიეთ,
თუ გინდათ.

XI

ქართველი

ნაწილი მთხოვთ.

I

ა თრი კვირის შემდეგ მასლოვას საქმე სენატში უნდა გარჩეულიყო და ნებლიუდოვიც ემზადებოდა ამ დროისთვის პეტერბურგს წასასელელად. უკეთე საქმეს წააგებდა, უძალლეს სახელობაშე უნდა მიერთმია თხოვნა. უკეთე საქმე აქაც უცურადლებოდ იქმნებოდა დატოვებული, რაც კერილის აზრით, იდეილი მოსალოდნელი იყო, რადგან სიკასაცია სასუთები ვერ იყო მაინც და მაინც თვალსაჩინო; მასლოვას ქალს სხევთან ერთად გაპეტაუნილენ ივნისის დამდეგს. ამიტომ, რათა გამზადებულიყო მასლოვას ქალთან ერთად ციმბირში წასასელელად, — რაც მტკაცედ გადაწყვეტილი პეტონდა ნებლიუდოვა, — საჭირო იყო ახლაც წასულიყო სოფელში, რომ მოეწესრიგებინა იქ ყველა თავის საქმე.

პირველად ნებლიუდოვი გაემგზავრა სოფელ კუშმინსკში, სადაც დიდი მამული ჰქონდა და უმთავრეს შემოსახუალს იქიდან იღებდა. ბაეშეობისას ამ მამულში სცხოერობდა, შემდეგ ვაუკაცობაში ორჯელ იყო და ერთხელაც. დედის თხოვნით, მოიყვანი მოურავი, ტომით გერმანელი, და მასთან ერთად შეაძინა მთელი მამული, ამიტომ დიდი ხანია იკოდა მაძულის მდგრამარეობა და გლეხების დამოკიდებულება კანტორისთან, ე. ი. მიწის მფლობელთან. ნებლიუდოვმა იკოდა გლეხების მდგრამარეობა თითქმის სტუდენტობიდანვე, როცა პეტრი ჯორჯის მოძღვრებას პქალავებდა, და ამ მოძღვრების წყალობით აჩვენა გლეხებს მამის დანატოვებით მამული, თუმცა, სამხედრო სამსახურის შემდეგ, როცა უკავ დაჩვეული იყო 20 თასობით ფლანგებს, სავალდებულოდ აღარ მიაჩინდა ეს მოძღვრება და ერთხელაც არ დაიკიტებულა, საიდან მოსდიოდა ამდენი ფული, რომელსაც დედა აძლევდა, და არც უნდოდა ეფიქტა, მავრამ დედის სიკეთობა იძულებულ ჰყო თვითონვე მოევლო თავის მამულისთვის და ამან კი ძალაუნებურად თვალ-წინ დაუყენა ის საკითხი, თუ რა დამოკიდებული



ლება პქონდა კერძო მიწად-მფლობელობისთან. ერთის თევს წინაღ თამამიად შეეძლო ეთქვა ნეხლიუდოვს, რომ ისევ ძველი წეს-რიგი დარჩენილიყო მამულის მართვა-გამგეობაში, რადგან თეოთონ არ უცლიდა მამულს და, ცოტად თუ ბევრად, დამშეიდებული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მამულზე შორსა სცხოვრობდა და ფულს ისე იღებდა. ახლა კი გადასწყვეტია, რაიც ციმბირში მეზაერობა მომელის და სულ სატუსალოებთან მექნება საქმე, ფული საკირო იქნებაო, ამიტომ შამულის საქმესაც ძველებურს მდგომარეობაში ვერ დავტოვებ. მე თვითონ აღარ დავტოვებურს მამულს და ისევ ვლეხებს მოუყენო; თუმცა ეს საზარალო იქნება ჩემთვის, მაგრამ მაინც ძირიანად უნდა შეკვეთალ ჩემი მდგომარეობაო. ამ აზრით, ნეხლიუდოვმა გადასწყიოტა მიეკა გლეხებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში მიწები, რათა ამით საშუალება მიეკა დამოუკიდებელნი გამხდარიყენ მემამულისაგან.

შუალე იქნებოდა, როცა ნეხლიუდოვი კუნძინსკეში მიეციდა. იმდენად შეამოკიდა ამ ბოლოს დროს თავისი მოთხოვნილებანი, რომ დეპეშაც კი არ გაუგზავნა მოურავს—მოცდივარი; დაიქირავა ეტლი და წავიდა. კოხტად ჩატულმა ახალგაზრდა მეტლებმ გზა და გზა ბასი გაუმართა ნეხლიუდოვს და, სხვათა შორის, უამბო როგორ იქცეოდა მოურავი კუნძინსკე; მეეტლებმ არ იცოდა, თუ ის იყო მამულის პატრონი. ნეხლიუდოვმაც განვებ არ უთხრა თავისი-კინომბა.

— კოხტა გერმანელია,— ეუბნებოდა მეტლე ნეხლიუდოვს,— შინური ეტლი გაიჩინა და თავის მეუღლით ხან აქეთ დასეირნობს და ხან იქით; ზამთარში შობის ხე პქონდათ დიდ სახლში და მე სტუმრები მივიყვანე; ისეთი მორთული იყო, რომ რაღა გითხრათ,— გუბერნიაშიც ვერ ნახავთ ისეთს; ჭევუანა გაყვლითა და ფული ბზესავით მოხვეტა. რაღა უჭირს, ჰყელაფერი მის ხელშია. ამბობენ, დიდალი მამულები იყიდაო.

ნეხლიუდოვი თუმცა პლიტკობდა, სულ ერთია ჩემთვის, როგორც უნდა, ისე მოურაროს მამულს მოურავმათ, მაგრამ მეეტლეს სიტკეებში მაინც მეტად ცუდს გუნებაზედ დაიყენა. ის შეპხაროდა მშენიერ დღეს, მწვანედ მობიბინე მინდორ-ველსა და ამ სიმინებას უშხამევდა რაღაც მწარე მოგონება. როცა დაეკისხებოდა თავის თავს ამ მოგონების გამო, მაშინვე მოაგონდებოდა მეეტლეს ხიტკობი მოურავის შესახებ, რომელიც თავისუფლად ფართაშობდა მის მამულში— კუნძინსკეში.



მიერთა თუ არა ნებლიუდოვი მამულში და შეუდგა-რა მთხვეს საქმეებს, უკვე დაავიწყდა ეს უსიამონება.

კანტორის წიგნების განხილვამა და მოურავის სიტუებმა, რო-
მელიც ამტკიცებდა, რომ გლეხებს უმრავ მიწა აქცი და გარშემორ-
ტყმულნი არიან ბატონის მიწებით, რაც უფრიად სასაჩვებლოა მემა-
შულისათვისო, უფრო დაარწმუნა ნებლიუდოვი, რომ დიდი უსიარ-
თლობა ამოდენა მამულების მფლობელობა იმ დროს, როცა თით-
ქმის ახლო მახლო მცხოვრები გლეხები ძალა-უნდებურად ჩემგანაა და-
მოკიდებულია, და მტკიცედ გადასწყიტა, ხელი აეღო მამულებზე
და მიეცა გლეხებისათვის. კანტორის წიგნებიდანა და მოურავის სი-
ტუებიდან ნებლიუდოვმა გაივი, რომ მამულის ორ მესამედ ნაწილს
თვით მისი მუშები ამუშავებდენ კარგის სამეურნეო იარაღით, და-
ნარჩენს-კი გლეხები; ესენი შრომის ფასად ხუთ მანეთს იღებდენ
დესეტინაზედ, ე. ი. ხუთ მანეთად გლეხს სამჯერ უნდა მიეჩნა და
დაეტარუხა ერთი დესეტინა მიწა, შემდეგ მოეთიმა და კალაზე უნ-
და მიეტანა. გლეხები ტყავს იძრობდენ, შრომობდენ, მაგრამ მაინც
მუდამ ვალდებული იყენენ კანტორისაგან. ერთ დესეტინა მიწაზედ,
რომელსაც გლეხებს აძლევდენ დასამუშავებლად, თითქმის მიწის ლი-
რებულებას აძლევენებდენ საფასელ.

ნებლიუდოვმა თუმცა წინადაც იცოდა ეს ამბავი, მაგრამ ასეთი
მაინც საშინლად გაუკეირდა და ვერ წარმოედგინა, როგორ ვერ
მიეცდი ამდენ ხანს, ან სხვები თატომ ვერა პხელივენ ამგვარ დამო-
კიდებულების სრულს სიყალბეჭაო. მოურავის სიტუებმა: — მამულების
გაყიდვით დიდ ზარალს ნახავთ და გლეხებიც მიწას შესაცერად ვერ
დაამუშავებენ, უფრო დაარწმუნა ნებლიუდოვი, როგორც საჟიროე-
ბა თხოულობს, ისე ვიქცევით, როცა გლეხებს აძლევდა მიწებსა და
თვითონ იკლებდა შემოსავლის მეტ ნაწილს. ნებლიუდოვმა გადას-
წყვიტა, მისვლისთანავე გაეთავებინა საქმე. რაც უძრავი ქონება პქო-
ნდა, მოურავს უნდა გაეყიდა ნებლიუდოვის წასელის შემდეგ. მის-
ვლისთანავე სხხოვა მოურავს, შეექიმა მეორე დღისათვის საშის
სოფლის გლეხნი; რომელიც კუშინისკის გამულის გარშემო სცხოვ-
რობდენ, რომ გამოეცხადებინა თავისი განხრაზე და ფასზე მორი-
გებოდა.

ნებლიუდოვს ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა, რომ ვერც მოურა-
ვის საჟოვება და ვერც სხვა რამემ ვერ შეიჩინა მისი განზრახვა
და მტკიცედ გადაწყვეტილა პქონდა, ეხლავე სისრულეში მოეყვანა-
გამოვიდა კანტორიდან და გიმართა საყვაეილესაკენ.



აქ მოიგონი მოკლე სიტყვა, რომელიც გლეხებისთვის უნდა ეფქვა, და წიგიდა მოურავთან. ჩიის დროს კიდევ მოელაპარაკა მოურავს შამზელების შესახებ და დიდად ნასიამოვნები იყო, რომ კუთილ საქმეს ასრულებდა. ნებლიუდოვი შევიდა დიდ სახლის ოთახში, რომელიც მუდამ მზად იყო სტუმრების მისაღებად.

კონტიად მორთულ პატარა ოთახში, რომელიც ვენეციურ სხვა-და-სხვა სურათებით იყო მორთული, იდგა პატარა კობრა საწოლი და მაგიდა, რომელზედაც წყლით სისქე გრაფინჯა იდგა. სარკის წინ მაყიდაზე იდგა მისი დიდი ჩემოდანი, საიდანაც მოსინდა ნესესერი და წიგნები: რუსული — „ვაზაკობის კანონების გამოკულევის ნიმუში“ და ამ გვარისათვე შინაარსისა ერთი გერმანული და ერთიც ინგლისური. უწყოდა სოფელში მგზავრობისას თავისი უფალ დროს წაეკითხა ეს წიგნები, მაგრამ ახლა, როცა გადახედა ამ წიგნებს, თავი გიოქნია. ახლა სულ სხვა საქმე ჰქონდა გასაკუთხებელი.

ოთახის ერთ კუთხეში იდგა ძველებური სავარელი. ამ სავარელის დანახვამ დედის საწოლო ოთახში მოულოდნელი გრძნობა აღუძრა ნებლიუდოებს უცბად თითქოს დანანდა ყველაფერი: სახლი, რომელიც უპატრონობის გამო იდრე ჩინგრეოდა, ბაღი, რომელიც მოუკელობის გამო სულ გავერანდებოდა, ტყე, რომელიც სულ გაიჩებოდა, და შენობები, მინქანები, ძროხები და ცხენები, რომელთა მოელა-პატრონობასაც დიდი შრომა მოუნდა. წინად, თუმცა საადგილოდ მიაჩნდა ყველა იმაგინერე ხელის აღება, მაგრამ ახლა კი მისდაუნებურად დანანდა; დანანდა იგრედვე მიწების გაცემაცა და შემოსახლის ნახევარიც, რომელიც ახლა ძალიან სჭირდებოდა, და საძნელოდ ეწევნა. ნებლიუდოვი ფიქრებმა ვიტაცა. დიდი სისულე-ლე იქნება ყველაფერზე ხელი აფილ და გლეხებს ჩაუყარო ხელშიო, —იფიქრა.

„მიწას არ უნდა ვისაკუთრებდე; როცა აღარ მეტება, მაშინ ველაც ამოდენა ოჯახს გაფუძლები. ამას ვარდა, მე ახლა ციმბირში უნდა წავიდე და არც სახლ-კარი და არც მამული ჩემოვის საჭირო არ არის“, — ჩასახოდა ერთი ხმა. — „ვსოდეთ კარგი, — ეუბნებოდა მეორე ხმა, — მოსაწონია ასეთი ქცევა, მაგრამ მოელს შენს ცხოვრებას ხომ ციმბირში ვერ გაატარებ? თუ ცოლი შეიირთე, ხომ შეილები გეყოლება? და როგორც შენ მიიღო მამულები, იმათაც აგრძელე უნდა გარდასცე; ასეა წესი, გაცემა, განადგურება ყველაფრისა, ძალიან ადეკვილია, შეძენა კი — მნელი. ჯერ კარგიად უნდა გაითვალისწინო შენი მომავალი ცხოვრება, თუ რას აპირობ მომავალში, და ისე უნდა მოექცე შენს საკუთრებას, როგორც შენოვის უმ-

ჯობესი იყოს. „შემდეგ—წესიერად იქცევი შენის სინიდისის წინაშე, როცა ხალხისთვის სიკეთე გსურს მარტო იმიტომ, რომ სახელი მოიპოვო მათს თვალში?“—ეკითხებოდა თავის თავს ნებლიუდოვი და არ შეეძლო არ ეთქვა, რომ ხალხის მითქმა მოთქმას მის მოქმედებაზე დიდი გაფლენა ჰქონდა; რამდენსაც მეტსა ჰყიქრობდა, იმდენად მეტს ეკითხებოდა თავის თავს და უმეტესობა უპასუხოდ დასტოვა. რათა ეს ფიქრები თავიდან მოეშორებინა, ნებლიუდოვი ჩაწეა შშენიერს ქვეშაგებში, მაგრამ დიღგან უერ დაიძინა. გალებულ სარკმელში გაბადრული მთვარე კეკლუცად აციმუიმებდა თავის მეტალს სხივებს. ბაყაყებს საუყხოვო კონცერტი გაემართათ. იქცე ახლოს ბულბულიც არაკარაკებდა შშენიერს სიმღერას. ბაყაყების ყიყინმა და ბულბულის ტკბილმა გალობამ მოაგონა ნებლიუდოვს სატუსალოს უფროსის ქალის მუსიკა. სატუსალოს უფროსის მოვონებაზე მისლოვის ქალიც თვალშინ დატევდა მთართოლეარე ტუჩებითა და მოაგონდა მისი სიტუაციი: „სულ დაანებეთ ამას თავითი“. „შემდეგ წარმოუდგა, ეთომ გერმანელი, მისი მამულების მოურივი, ჩავიდა ბაყაყებთან, უნდოდა გაეჩერებინა, მაგრამ არამც თუ გააჩერა, მასლოვას ქალადაც კი გადაიქცა და დაუწყო კვედრება: „შე საკატორლე ვარ და შენ კი თავადიო“. „ირა, არ დაგნებდები“, —იციქრა ნებლიუდოვმა, გაიღვიძა და თავს ძალა დაატანა, რომ არ ჩასინებოდა, და დაყიოთხ თავის თავს: „კარგად ვიქცევი თუ არაო—არ ვიცი, ხვალ შევიტყობ!..“ ჩქარა ნებლიუდოვიც იქითქვენ წავიდა, საითკენაც მოურავი და მასლოვას ქალი წავიდენ, —და იქ კველაფერი გათავდა...

II

მეორე დღეს ნებლიუდოვმა დილის ცხრა საათშედ გაიღვიძა. ახალგაზრდა მოურავმა დაინახა თუ არა, რომ ნებლიუდოვი გაინძრიო, საჩქაროდ მიურბენინა სირეკსავით ვაშმენდილი ფეხსაცმელები და წყაროს ციფი წყალი პირის დასაბანად და მოახსენა: გლეხები უკიდ შეიტყობენ. ნებლიუდოვი წამოხტა ლოგინიდგან. გუშინდელი ფიქრი, რომ ხელს ვიღებ ჩემს ქონებიზე და გლეხებს ვუყრი ხელშიო, სრულიად გაძერი. დღეს მშენიერს გუნებაზედ იყო, რომ ასეთ კეთილ საქმეს ასრულებდა, და სწრაფად ტანხედ ჩატანა დაიწყო. ოთახიდან თვალი მოქრია, როგორ იქრიბებოდენ მოედანზე გლეხები. ბაყაყები ტყუილად არ ყიყინებდენ. დილიდანვე დაუშეა უუეუნა წევიძა და ლამაზ მარგალიტებივით ჩამოიკინწლა ზის ფოთლებზე. ნებლიუდოვმა ტანხე ჩატანის დროს რამდენჯერმე გაიხედა სარკმელში და გადაპხედა, როგორ იქრიბებოდენ გლეხები: კანტი-კუნტიდ მოდიო-



დენ, ერთმანეთს სალაში აძლევდენ და საერთო ბაასი ჰქონილების უფრო მართული. მოკლე პიჯაჭში გამოწყობილმა მოურავება მოახსენა ნებლიუდავს, გლეხები უკვე შეიტობენ და გიცდიან, სანამ ყავას ან ჩაის მიირთმევთ.

— არა, უმჯობესია აზლავე წიფალ,— სთქვა ნებლიუდოვება და რაღაც გამოურკვეველი შიში იკრძნო, რომ გლეხებთან უნდა ელა პარიქნა.

ნებლიუდოვი მიღიოდა გლეხების სურვილის შესასრულებლად, რომელსაც თავის დღეში ვერ იფიქრებდენ ისინი. ნებლიუდოვს უნდა შეიტა გლეხებისათვის იაფად მიწები და იყოდა, რომ ეს კეთილი საქმე იყო, მაგრამ ამავე დროს საშინოდა სკრენოდა, მავრამ რისა, ეს კი ვერ გამოერკვეთა. როკა გლეხებთან მივიღა და უცბად დაინია ქრის, ხუჭუჭომიანი, შელოტი და ჭალარა თავები, ისე დაიზნა, რომ დიღხანს ხმა ვერ ამოელა. წვიმა წინანდებურად ცვარავდა და გლეხების თმასა და წევრს წვეთ-წვეთად იდგა და ბრილიანტიკითა პირკვევინავდა. გლეხები მისირებოდოდენ ბატონს და უცდიდენ რას გვიტაცისო, ნებლიუდოვი კი ისე იპრია, რომ ენა დაიგა და ვერაფერი ეთქვა. სიჩრმე დაარღვია გერმანელმა მოურავება, რომელიც გლეხების ყოველ წერილობინის მცოდნედ სთელიდა თავის თავს და შშევინვრად, თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად.

— თავადს კეთილი საქმე სურს თქვენთვის: უნდა მოგცესთ მიწები, მაგრამ თქვენ მაგის ლირისი არა ხართ,— სთქვა მან.

— როგორ თუ ლირისი არა ვართ, ვასილ კარლოვიჩი? განაჩვენ თქვენთან არ ვმუშაობდით? ჩვენ დიდად კმაყოფილნი ვართ განსვენებულის ქალბატონისა და მაღლობის ესწირავთ ახალგაზრდა თავადს, რომ უცურადლებოდ არა ვვტოვებს.

— საყვედლებს ვერ ვიტყვით ბატონზე, მხოლოდ ეს სიეიშროვე კი... ძალიან ვიტროდა ვცხოვრობთ და გვიკირს, — სთქვა მეორემ, პირ ფართო დიდ-წევრა გლეხმა.

— მეც იმიტომ მოვედი და, თუ თქვენი სურვილიც არის, მინდა მოგცეთ მთელი მამული, — წარმოსთქეა ნებლიუდოვება.

— რა განზრახვით გვაძლევთ? — სთქვა ერთმა შუა ხნის გლეხმა!

— იმ განზრახვით, რომ ცოტა საფასით ისარგებლოთ.

— სამაგალითო საქმეა, — სთქვა ერთმა მოხუცმა გლეხმა.

— მაგრამ საქმე იმაშია, ქირის გადახდას შევიძლებთ? — სთქვა მეორემ.

— რატომაც არ უნდა ვეილოთ მიწა?

— ჩვენთვის ჩვეულებრივი საქმეა, — მიწისგან ვიკვებებით!



— თქვენ კი თავისუფალი იქნებით; ოლონდ ფული აიღოს მაგრა გარეთ არა სხვა არა არა! ბოროტებას კი რამდენს ჩაიდენთ... — მოისმა აქა-იქი-დან ხმები.

— ბოროტებას თქვენ თვითონ ჩადიხართ, — სთქვა მოურაება: — რომ გვემუშავნათ და, წეს-რიგი დაგეცვათ, ხომ უმჯობესი იქნებოდა.

— არ შეუძლიან ჩეუნისთანა ბერია ხალხს, ვასილ კარლოვიჩ. — უთხრა ცხეირ-წვერიანმა მოხუცმა გლეხმა, — შენ ამბობ, ცხენი რად შემოუშეით პურშიო! მერე და ვინ შემოუშეა? მე დღე და ლამ მოე-ლის წლის განმავლობაში წელებზე ფეხს ვითვამ და კიდევ მშიერი ვარ, შენ კი ბელლები და საბჭები სავსე გაქცეს და კიდევ მე მა-ძრობ ტყავს.

— წეს-რიგი უნდა დაგეცვათ.

— რა გიშავს, ილაპარაკე? წეს-რიგიო! რომ აღარა მაქვს ლო-ნე ამ წეს-რიგის დაცვისათვის? — გავაცერებით წარმოსთქვა შეა წვე-რა გლეხმი.

— აյგ გითხარით, ლობე შემოაცლეთ-მეთქი.

— მერე ტყე მოგვეცი? — დაიწყო დაბალმა გლეხმა: — მინდოდა ზაფხულში შემელობა; ორი წელი მოვცერი ტყეში და შენ კი სა-მის თვით ციხეში დამალპე მებრნარებისა და რწყილების შესაჭმე-ლად. მოდი და შელობე ახლა!

— რას ამბობს? — ჰელიუდოვება მოურავს.

— Der erste Dier im Dorle, — უთხრა ნებლიუდოვეს გერმანუ-ლად მოურებია: — ყოველ წელიწადს ტყეში იქცერე, — და მიუბრუნდა მოლაპარაკე გლეხს: — იცოდე, რომ სხვის საკუთრებას პატივი უნ-და სცმ.

— დიალ, მაგრამ შენ პატივს არა გცემთ? — სთქვა მოხუცმა გლეხმა, — არ შეიძლება, რომ ჩენ პატივი არა გცეთ, რადგან ცვე-ლანი შემს ხელში ვართ და ჩვენგან-ე შენ თოქა პერებ.

— დიალ, არავინ არაცერს არ დაგრძელებს, თქვენ რომ არ აწუხებდეთ სხვას.

— როგორ არა — არ დაგიშავებთ! ზაფხულში ყბა მომამტერიეთ და შევრჩია კიდევ. მდიდრებთან სამართალს რომ აღარაუერი ძალა აქვს, ცხადია!

— შენც კანონიერად მოიქცეცი და ის იქნება.

გაიმართა საერთო კამათი, მაგრამ არც ერთხა კი არ იცოდა, ვისთვის ან რისთვის იყო ეს საჭირო.

ნებლიუდოვი დაფაცურდა ჩეირა გაეთავებინა საქმე, დაენიშნა ფასი და გადახდის ერთაც დაედევა.



— მაშ, მიწის შესახებ რას იტყვით? გნებავთ თუ არჩევადას შესახებ?

— მამული თქვენია, თქვენ დაარქვით ფასი.

ნებლიუდოვმა დანიშნა ფასი. თუმცა ნებლიუდოვის ფასი ბევრად ცოტა იყო იმასთან შედარებით, რასაც სხვა გლეხები იხდიდენ, მაგრამ გლეხებმა მაინც დაიწყეს ვაჭრობა. ნებლიუდოვს ევონა, ჩემს წინადაღებას სიხარულით მიიღებენ, მაგრამ მოსტყუდა. ნებლიუდოვი მხოლოდ მაშინ მიჩხდა, რომ მისი წინადაღება სასაჩავბლო იყო გლეხებისათვის, როდესაც მის მიერ აღძრულმა საგანმა იმის თაობაზედ, თუ ვინ იღებდა მიწას: ამხანაგობა თუ მოელი საზოგადოება,—დიდი კამათი გამოიწყოა შეძლებულ და შეუძლებელ კლებთა შორის; შეძლებული არ უნდოდათ შეუძლებელთა ამანაგობა. ბოლოს, როგორც იქმნა, მოუწიავის საქმეში ჩარევით დანიშნეს ფასი, და სთქვევს ფულის გადახდის ვადა და გლეხებიც ყაყანით გაემართენ თევიანთ სახლისაკენ. ნებლიუდოვი კი დაბრუნდა კანტორაში მამულის გაცემის პირობათა შესაღენად.

ცველაფერი ისე მოეწყო, როგორც ნებლიუდოვს უნდოდა: გლეხებმა იღეს მიწა 30 პროცენტით ნაელებ ფასად, ვიდრე გარშემო სოფლების გლეხებსა ჭინდათ; მიწის შემოსახვილი სანიახეროდ შემცირდა, მაგრამ მაინც საქმაო იყო ნებლიუდოვისათვის, რადგან ამ ფასებს მიემატებოდა გაყიდულის ტყისა და ნივთების ფასიც. თითქოს ცველაფერი შევენივრად გათავდა, მაგრამ ნებლიუდოვი მაინც რაღაც დაღონებული და დარცხენილი იყო. " შეარიად შედავდა, რომ თუმცა ზოგიერთი გლეხები მაღლობის უცხადებდენ, მაგრამ საკროოდ ყველა მაინც რაღაც უქმაყოფილო იყო და უფრო დიდ რასე მოელოდენ. ჰერმობლა, რომ ბევრი მოიკლო და გლეხების გული კი მაინც ერ მოიგო.

მეორე დღეს პირობაზედ მოაწერეს ხელი. ნებლიუდოვი ჩაჯდა მოურავის ეტლში და დალონებული, რომ კიდევ რაღაც გაუკეთებელი დარჩა, წავიდა რენის გზის საღვარისაკენ. უკმაყოფილო იყო თავის თავისა, ხოლო რისთვის, ეს კა არ იცოდა.

III

კუშმინსკიდან ნებლიუდოვი პირდაპირ იმ შემულში ჭავიდა, რომელიც დეიდებმა დაუტოვეს და სადაც პირველად ნახა კატო. ამ მამულის საქმეც ისე უნდოდა მოეწყო, როგორც კუშმინსკისა: უნდა მიეცა გლეხებისთვის მიწა; გარდა ამისა, უნდოდა შეეკრიბა ცნობები კატოს შესახებ და გაეგო, მართლა მოკედა ბავშვი თუ არა, ან



როგორ მოჟდა. დილა აფრინად მივიდა პანოვოში და საზოგადოების გაოცემა, როგა იქისტობა მინგრეულ-მონგრეული დაინახა. სახლი, სადაც ისე ტებილი გაატარა ის ზაფხული, რომელიც პლოუებურ-გალად დარჩა მის ხსოვნაში, სიძეველის გამო გვერდზე გადმოხრილიყო, თუნუქის სახურავი განვისგან ვაწითლებულიყო და აქა-იქ ქარს აეგლიჯა, აივანი წინაც და უკანაც დამპალიყო და ჩანგრეულიყო, მხოლოდ მთავირი და იყო გაბობორიქებული; სარკმლებში მინების მავიღი ზოგან ფიცრის ნაჭრები იყო ჩასმული. მხოლოდ მარტო ბალს შერჩენოდა წინანდელი სახე. ხეები გაზრდილიყო და, ფერად უკავილებით მორისულ-მოკაზმული, საუცხოვო სანახავი იყო. სირინოზის ბუჩქი ისევ ისე ჰყავილია, როგორც ამ 14 წლის წინაც, როცა, ჯერ კიდევ 18 წლის ყმაწვილი, კატოსთან ერთად გარბოდა და თამაშობის დროს დიდი და კინკაბრები დასუსხა. ფართო ფოთლებიანი ხე, რომელიც სოფია იყანოვნამ ჩარგო სახლის ახლოს, ახლა ვეებერთელა გამხდარიყო. მდინარეს ნაპირებიდან გადმიერებული და იქაუებული მიეკანებოდა წისქვილისკენ დაბლობზე. მდინარის გაღმა მინდოოზე გლეხების ოთხ-უეხი საქონელი სძოვდა. მოურავი, რომელსაც სემინარია ჰქონდა დამთავრებული, ლიმილით შეეგება ნებლიუდოვს ეზოში, ლიმილითევ შეუძლეა კინტორაში და გალიმებული, თოთქო ამ ლიმილით რაღასაც უქადის ნებლიუდოვსაო, გავიდა გამეოთ რაღაც იჩურჩულეს და ჩაჩქმდენ. ნებლიუდოვმა ცოტაოდენი ფული აჩექა მეტლეს, რომელმაც მაღლობა გადაუხადა და წავიდა. იქაურობა სიჩრემეშ მოიცა. ცოტა ხნის უკან სირქმელის ახლო გაირჩინა ფერშიშველა გლეხის გოგოშ, მას შემდეგ გაირჩინა გლეხმა, რომელსაც დიდრონი წალები ეცა.

ნებლიუდოვს მიუჯდა სარკმელს და დაუწეო იქაურობას თვალიერება. სარკმელში გაზაფხულის სიო შემოდიოდა, მდინარეზე განცუშვეტლივ ისმოდა „ტრა-პა-ტაპ“, ტრა-პა-ტაპ“—ქალების სატყე-პელის ხნა.

უცბად ნებლიუდოვს მოაგონდა, რომ ოდესლაც. როცა ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, ესმოდა ამგვარი ხმა მდინარიდან. მოაგონდა, რომ იმ დროს სიცოცხლით საეს ახალგაზრდა იყო და საოცნებო მომავალს მოელოდა; მოაგონდა ყეელა ეს და საშინლად დალონდა, რადგან ახლა ვერაცერ სანუგეშოს შეხდავდა ცხოვრებაში.

— როდის მიირთმევთ საუზმეს?—ჰქითხა მოურავმა ლიმილით.

— სულ ერთია, როცა იქნება. ჯერ კი სოფელში წავიდა და მოვიველი.



— სახლის დათვალიერება ხომ არა გნებავთ? იქ ყველაფრთხოება რიგზე მაქას. ინგენტ დათვალიერება, ან გარედან...

— არა, მცრე იყოს. ახლა ეს მითხარი, გეთაყვა: თქვენთან აქ ქალი არის... მატრონა ხარინა? კატოს დეიდა რომ იყო?

— როვორ არა, სოფელშია და ისეთი როვამი რამ არის, რომ ვერაფერი ვავაწყვეტ მასთან. მუდამ ველაპარაკები, მიგრამ ვერაფერი გვარივე; ოქში რამ შეუფლიონ—მეცოდება, მოხუცი დედა-კაცი და თან შვილის-შვილებიცა ჰყავს.—უთხრა მოურიება ლიმილით, თითქო მით უნდა ნებლიუდოვს ასიამონების.

— სადა სცხოვრობს? მინდა მასთან მისვლა.

— სოფლის ბოლოზე, იქითა მხრიდან, მესამე ქოხში. მარტინით აგურის ქოხი და მის უკან იმისი ქოხმახი სდგას. თუ გნებავთ, მე თეთონ მიგაცილებთ იქამდე,—სიხირულით უთხრა მოურიება.

— არა, გმადლობთ, მარტო წავალ; თქენ-კი, გეთაყვა, შეატყობინეთ გლეხებს, რომ შეიკრიბონ; მინდა მიწის შესახებ მოყელა-პარაკო,—უთხრა ნებლიუდოვმა. უნდოდა ისე გაცოლებინა საქმე, როვორ(?) კუნიმინსკში და, თუ მოხერხდებოდა, ამ სალამოსვე.

IV.

გამოვიდა თუ არა ეზოდან, ნებლიუდოვი შეეფეთა ფეხშიშველი გლეხის გოვს, რომელიც მარტენა ხელს ძალზე აპანტურებდა სიატულის დროს და მარჯვენათი მაგრად ჩაეგლოუჭებია წითელი მამალი, რომელიც, თითქოს დაშვიდებულიათ, თავის შევ ფეხებს ხან მალლა აიწევდა და ხან ძირს დაუშვებდა. გოგომ დაინახა თუ არა ბატონი, უკლო სიატულს, წყნარის ნაბიჯით მიიახლოდა, მდაბლად თავი დაუკრა და, როცა ცოტათი გამოშორდა, სირბილით გაუდგა გზის. ჭის ახლოს ნებლიუდოვი შეხვდა ბებერ დედა-კაცს, რომელიც წელში სამაც მოხრილიყო და ძლიერ-ძლიერობით მიქვენდა წყლით სახე დოქები. დედა-კაცი ფრთხილად დასდგა დოქები და პატარა გოგოსავით მდაბლად თავი დაუკრა. ჭის იქით სოფელი იწყებოდა. მოწმენდილი დღე იყო და სიცხე იდგა: თუმცა ხან-და-ხან ლრუბლები ეფარებოდა მხეს, მაგრამ 10 საათზედ მაინც საქმოდ დაცა. ქუჩი ცერალი სუნი იდგა, რადგან იქ-იქ ეზოებში ნაგავი გეგშალათ. ძონძებში გამვეული გამურული გლეხები, რომელთაც ურმები მიძყაბდათ, შერით შეურებდენ მალილ-მილალ, ჩაუქებულ ბატონს, რომელიც სოფელისკენ მიღიოდა მძიმე ნაბიჯით. მინდვრიდან მომავალი გლეხები მიარისხინებდენ ცარიელ ურემს და გოცელული მიწტურებოდენ უკხო კაცს, რომელიც იმათს ჭრიანედ მიღიოდა; დადა-კაცები



ბი გამოიდენ ქუჩაში და ერთი-მეორეს უჩენებდენ ნებლიუდოვშე და თეალებით აცილებდენ.

მეორე ჭიშართან ნებლიუდოვი შეაჩერა სასუქით დატყირ. თულმა ურჩებდა, რომელიც ეხოდან გამოქაყდათ. ურჩებს ექვსის წლის ფეხშიშეველა ბავშვი მოსდევდა. ცენტრის ახალგაზრდა გლეხი ზოგრეებოდა. მეორე ურჩებს მოსდევდა მოხუცი კაცი, ისიც ფეხშიშევლა. როცა ურჩები გავიდენ სწორე გზაზე, მოხუცი მობრუნდა უკან და ნებლიუდოვს მდაბლად თავი დაუკრა.

— ჩვენს ბატონიანთ ქალების დისტული უნდა იყოთ?

— დიალ, დიალ!

— ეთილი იყოს თქვენი მაბრძანება. იმიტომ მობრძანდით, რომ გაიგოთ ჩვენი ამბავი? — შეეყითხა მოხუცი.

— დიალ, დიალ! რასა, იქთ, როგორა სცხოვრობთ? — უთხრა ნებლიუდოვმა.

— როგორ უნდა ესცხოვრობდეთ, ძალიან ცუდად! — თითქოს სიამოენებით უპასუხა მოხუცი.

— რატომ სცხოვრობთ ცუდად? — ჰყითხა ნებლიუდოვმა და ჭიშარში შეეიდა.

— აა, რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება? საძაგელი ცხოვრებაა, უთხრა მოხუცმა და გამყეა ნებლიუდოვს. ნებლიუდოვი მოხუცითურთ შევიდა ალაყაფის კარებში.

— აი, იქ თორმეტი სული სარჩენი მყავს, — განაგრძო მოხუცმა და ორ დედა-კაცე მიუთითა, რომელნიც, ორთითით ხელში, ნეხეით გათხოვნულნი იღენ სანებვეზე. — რამდენიც თვე გადის, იმდენი 6 ფუთი უნდა ვიყიდო... საიდგან ვიშოვნო?

— განა საკუთარი არა გყოფნის?

— საკუთარი? — მწარე დაცინების კილოთი შეეყითხა მოხუცი, — მე მოლად სამის სულის სამყოფი მიწა მაქვს და წელს კი მხოლოდ 8 კონა მოვაგროვეთ. შობამდეც არ მიგვყოლია!..

— მაშ, ეხლა რას აპირობთ?

— იმას, რომ ერთი მოჯამავიტედ დაეაყენე და თქვენგანაც ცოტაოდენი ფული მიიღილე. რაც მქონდა, სულ მოვრჩით და გარდა-სახადი კი ჯერაც გარდაუხდელია.

— რამდენია გარდასახადი?

— ჩვენს ეზოს 17 მანეთი ჰევდება და სამშედ უნდა გაიყოს, აა, ღმერთი! ასეთ ცხოვრებას სიკედილი სჯობიან. განა ასატანია ასეთი ძალური ცხოვრება?

— შეიძლება თქვენს ქოხში შემოვიდე? — ჰყითხა ნებლიუდოვმა, წინ გასწია, გაიარა გაწმენდილი ალავი და შესდგა უები ჯერ კი-



303-1110133

დევ სულ ეშველ, გადაუბრუნებელ ნეხვე, რომელიც ზაფრანის საერთო კუითელი იყო და მოლად აყროლებდა იქაურობას.

— რატომაც არა, მოპერძენდით! — უთხრა მომუკება, ჩქარის ნა-
პიჯით გაუსწრო წინ და ჭოხის კარგზე გაულო.

დედა-კაცებმა თავსახურები მოიჩრეს თავიდგან, კაბა ჩამოსუშვეს და შეშინებული უცქეროდენ ბატონს, რომელსაც პალტოს სახელებზედ თქმიოს ფოლაქები ჰქონდა და რომელიც მათი სახლში შედიოდა.

ქონიდან გამოვიდა პერანგის მიარა ორი პატარა გოგო. ნებ-ლიუდოვიმა ქული მოიხადა, დაიხარა და ძლიერ-ძლიერობით შეეიდა დაბალს, მყრალსა და ბინძურს ქოხში. ლუმელთან იღვა ბებერი და-და-კაცი, რომელსაც დაემქალებინა თავისი გამსმარი ხელები.

— ია, ჩვენი ბატონი გვესტუმბრა! — სოქეთა მოხუცმა კაცმა და
სახლში შეუძლეა.

— მოპრესანტით, დიდად სასიამოვნოა! — სოჭეა მოხუცის დე-
და-ქაციება.

— მინდოლა მეწარა, როგორა სტაციურობთ! — უთხრა ნებლიუ-
როვაძე.

— ეს ცხოვრიბთ ასე, როგორცა ჰქედავთ. საცაა, ქონი. წიაკ-
ცუვა; ნერთ არიგის. გასპულიტდეს და მოჰქლედეს, თორებ სხვებს ვ-ნა
სჩივის. ეს ჩემი ბებერი კი ამზობს, ესეც ქარგია. მა, ასე ეს ცხოვ-
რიბთ, ვერთობთ რაღა — ამზობდა მოხუცი დედა-კაცი: — ახლავე სა-
დილს შეფუძვები. მუშა ხალხს უნდა ვაჭიმო...

— କାହିଁବା ପାଇଁବିତ ଶାନ୍ତିଗଳାଏ?

— რასა კვირთ? სიჭმელი კარგია. პირველი კურმა პური და კვასია, მეორე—კვასი და პური, — უბასუხა მოხუცმა დედა-კაცმა და თაღისი დაბოაგული გამოიტანი დაქრიცება.

— არა, ხუმრისა იქით იყოს, მიჩვენეთ, რასა სჭამთ დღეს სა-
რილიარ.

— რასა ვჭამთ? — სიცილით უთხრა მოხუცმა გლეხმა, — ჩვენი
საჭმელი ძნელი გამოსაცილმა არ არის, აჩვენე ბებერო! — მიუბრუნდა
მოხუკ დედა-ქაუს.

ମନ୍ଦିରରୁଥିବା କ୍ଷେତ୍ରରୁଥିବା କ୍ଷେତ୍ରରୁଥିବା କ୍ଷେତ୍ରରୁଥିବା

— ჩეცნებულ, გლეხულ საჭმლის ნახვა გსურთ! საკიონელი კაცი
ყოფილხართ, ბატონი! ყველაფრის გავება გინდათ. გითხარით პური
და კვისი-შეთქი და კიდევ შეი, შემდეგ ქართოფილი. ეს არის სულ-

— მეტი აჩაფურის?

— მეტი რა უნდა იყოს. შევათეორებო კოტათი რძით, — სოჭვა
დედა-ქამა, გაიცინა და კარებისკენ გაიხედა.



კარები ლია იყო და დერეფანი ხალხით გაჭიდილიყო. ზიქერი, გოგოები და დედა-ქაცები ძემშტოვიარი ბავშვებით ერთო-მეორეს აწებოდენ კარებისკენ და გაიცებულნი უცემროდენ საკირველ ბატონს, რომელიც გლეხის საჭმელს სინჯავდა. მოხუცი დედა-ქაცი უთუოდ ამაყობდა, რომ ბატონს შესატერად ექცეოდა.

— დიალ, თქმა აღარ უნდა, უუთია, უუთი, ბატონო, ჩვენი ცხოვრება, — უთხრა მოხუცმა გლეხმია: — ეი, სად მოაქრებით! — დაუკვირა მან კარებში მდგომო.

— ნახვამდის! — უთხრა ნებლიუდოვმა და თავისდა უნებურად ჟერტვა, თუმცა სირტებილის მიზეზი კი ვერ აეხსნა.

— დიდად გმადლობო, რომ გვინახულეთ, — უთხრა მოხუცმა გლეხმა.

ტალანტი მდგომმა ხალხმა გზა მისცა. ნებლიუდოვი გავიდა ვარედ და შეცვა სოფლის ზემოდ. გავიდა თუ არა, ტალანტიან გამოედა ორი პატარა პერანგის ამარა ბიჭი და გამოუდგენ უკან. ნებლიუდოვმა მოუხედა.

— ახლა საუ მიღიხარი? — დაეკითხა თეთრ-პერანგიანი ბავშვი.

— მატრონა ხარინასთან, — უთხრა ნებლიუდოვმა, — იცით სადა სდგას?

კარდის უერ პერანგიანმა პატარა ბავშვმა რაღაშედაც გაიცინა, უფროსმა კი დინჯად ჰქითხა.

— რომელი მატრონა? ბებერია?

— ჰო, ბებერია.

— ოოო! — გაჭიანურებით წარმოსთვეა მან, — სიმონანთ მატრონას ამბობს; ვიცი, სოფლის ბოლოზე სდგას; ჩვენ გაგაცილებოთ. თედო, აბა, გავაცილოთ.

— ცხენები?

— არა უშეავს-რა!

თედო დასთანხმდა და სამწივე გაუდგენ გზას.

V

ნებლიუდოვი ბავშვებთან უფრო თავისუფლადა პერძნობდა თავს ეიდრე დილებთან და გზა-და-გზა დაუწყო მუსაიური. ვარდის უერ პერანგიანმა პატარა ბიჭმა დაანება სიცილს თავი და ახლა კუკიანად და დალაგებით დაიწყო ლაპარაკი.

— აბა, მითხარით, ვინ არის თქენები ცველაზე უფრო ღარიბი, — დაეკითხა ნებლიუდოვი.

— ვინ არის ლარიბი? მიხეილია ღარიბი, სიმონ მაკაროვი და კიდევ მართა.

— ანუსია? ის ხომ ყველაზე უფრო ღარიბია? ძროხაც კი არა ჰყავს! — სთქვა მეორემ.

— ძროხა არა ჰყავს, მაგრამ სამნი არიან და მართას კი ხუთი სული ჰყავს შესანიში, — სთქვა უფროსმა.

— კი, მაგრამ ის რომ ქვრივია? — სთქვა უნცროსმა.

— შენ ამბობ ანუსია ქერივია; მართაც ხომ ქვრივზედ უარეს მდგომარეობაშია, — განაგრძო უფროსმა, — სულ ერთია, რაკი ქმარი აქ არა ჰყავს — ქვრივია.

— სად არის ქმარი? — ჰეთხა ნებლიუდოვმა.

— სატუსაღოში ტილებსა ჰყებავს! — უპასუხა უფროსმა ბიჭმა და იხმარა მათში შემოლებული ჩვეულებრივი გაძოთქმა. — ზაფხულში ბატრინიან მაშულში თრი ღერი ნეკრისალი მოსჭრა და ამიტომ ჩასვეს. მეტესე თვევა იქა ზის. საწყალი დედა-კაცი წელებშე ფეხს იდგამს; სამი ბავშვი ჰყავს და ერთი კუტი ბებერი-დედაკაცი, და-ლაგებით უამბობდა ბავშვი.

— სადა სცხოვრობს? ჰეთხა ნებლიუდოვმა.

— აი, ამ ეზოში, — უთხრა ბიჭმა და იქეე ზელო სახლშე მიუ-თითა; სხლის პირდაპირ თავთეთრა პატარა ბიჭი იდგა ქუჩაში.

— ვით, სად დაიკარგე, შე ქეციანი! — დაუყვირა ქალშა, რო-მელიც ამ დროს სახლიდან გაძოვიდა ტან-დაფლეთილი და, თითქმ ნაცარი აყრიათ, ისეთი გათუთხნული კაბა ეცვა. გადაურბინა წინ ნებ-ლიუდოვს, აიტაცა ბავშვი და გაარბენინა ქოხისაკენ, თითქოს ეში-ნია, ნებლიუდოვმა არათერი უყოს მის ბავშვისამ.

ეს იყო იმ გლეხის კოლი, რომელიც ნებლიუდოვის ტყეში ნე-კერჩლის მოქრისათვის იჯდა სატუსაღოში.

— მატრინაც ღარიბია? ჰეთხა ნებლიუდოვმა, როცა მატრი-ნას სახლს დაუახლოედენ.

— ის არყით გაჭრობს. — გადაჭრით უპასუხა პატარა ბიჭმა. სადაცრი ღარიბია!

როცა ნებლიუდოვი დაუახლოედა მატრინას ქოხს, გაუშვა ბი-ჭები და შეეიდა პირდაპირ ქოხში. მატრინას ქოხი ძალიან პატარა იყო, ასე რომ ტაბტე, რომელიც ლუმელს იქით იდგა, ვერ ვამარ-თებოდა მოზრდილის ტანის კაცი: ამგონი თეით ამ ტაბტე მოლო-გინდა საწყალი კატო, — გაითიქრა ნებლიუდოვმა. ნებლიუდოვს ფეხ-და ფეხ შემცვენ ქოხში დედა-კაცის შეილის-შეილები და კარებთან გაჩერდენ.

— ვინ გინდათ? — გაჯავრებით ჰეთხა მოხუცმა დედა კაცმა, რომელიც, ეტუობოდა, ვერ იყო დღეს კარგ გუნებაზედ.

— მე მემამულე ვარ. მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება.

მოხუცი დედა-კაცი დაშემდგრა და გაშტერებით დაუწყო ყურება უკხო ვაცს. კოტა ხნის შემდეგ უცბად სახე გაუბრწყინდა.

— ამ, შენა ხარ, ჩემო მშენიეროს მე სულელმა კი ვეღარ ვიცინი. მეგონა, კილაც გამოლელია-მეთქი, — უთხრა მოხუცმა დედა-კაცმა, — მაძარტიეთ, ლეთის გულისათვეის.

— როგორმე მარტოდ მოვილაპარაკოთ, თუ შეიძლება, — უთხრა ნეხლიუდოვნა და კარებისკენ მოიხედა, სადაც იდგენ ბავშვები და მათ უკან გამზღარი დედა-კაცი ვაადჰიოფის ბავშვით.

— რა ამბავია, კაცი არ ვინახავთ? რას უყურებთ? დამაცა-დეთ: მოძეული ჩემი, ჯოხი! — დაუყვირა მოხუცმა დედა-კაცმა კარებში მდგომარეობა. — მოხუცეთ კარები.

ბავშვები მოშორდენ კარებს და გამზღარმა დედა-კაცმა მოხუცი კარები.

— ვიფუიქრე, ვინ უნდა იყოს-მეთქი? თურმე ჩენი ბატონი უთუილია, ჩენი მშენიეროს, — დაიწყო მოხუცმა დედა-კაცმა. — აბა, სად შემობრძანდით, რატომ არ შეგეზარათ აქ შემოსელია? ამ, ჩემო ძირი-ფასო ბრილიანტი! აქ დაბრძანდით, თქვენი ბრწყინვალებაა, აი, აქ, — ეუბნებოდა ბებერი. — ვიფუიქრე, ვინ ეშმაკი შებოდის მეთქი და აერ თვით თქვენი ბრწყინვალება, კარგი ბატონი, მოწყალე, ჩენი მარჩენალი ბრძანებულხართ. მაპატიეთ გამოსულელებულ ბებერ დედაკაცს. სწორედ რომ დაებრძიოდ!

ნეხლიუდოვნი დაჯდა. დედა კაცი გაჩერდა მის წინ, მარჯვენა ხელი ლოყაზე მიიღო, მარცხენათი მარჯვენას იდავყი დაიჭირა და ისე დაიწყო მუსაიფი.

— მოხუცებულხართ კიდევ, თქვენი ბრწყინვალებაა! დაბრა-წულ ვაშლივითა გქონდათ ლოყები და იხლა სადლაა? სჩანს, თქვენ-ცა გქონდათ რაღაცა საზრუნვები.

— მე აი, რის საკითხავად მოვედი: გახსოვს კატო მასლოვას ქალი?

— კატერინა! როგორ არ მახსოვეს?!... ჩემი დისტულია, როგორ არ უნდა მახსოვდეს? მერე რამდენი ცრემლები დავლვარე მისოფის. მე ხომ ყველაფერი ვიცი. ვინ არის, ბატონი, რომ ლერთთან არ იყოს შემციდე და მეფესთან დანაშაული, ახალგაზრდები იყავით და მომზდა ცოდვა, რა ვენათ! უპატრონოდ რომ დაგვეგდოთ კიდევ, ჰო, მაგრამ როგორ დაასაჩუქრე: ასი მანეთი მიეცა და იმან კი რა ჰქნა? მკუიანად ვერ მოიქცა. ჩემთვის რომ დაეჯვრებინა, მშვენიერად იც-ხოვრებდა. თუმცა ჩემი დისტულია, მაგრამ სიმირთლეს ვიტყვი, უპ-



კუთ გოგოა. მშევნიერ ალაგზე დავაყენე. მაგრამ არ იქნა, ვერ შეტანა, გალანძლა ბატონი. განა ჩვენ ნება გვაქვს ბატონები ვლანძლოთ?! გალანძლა და ალაგიდანაც დაითხოვეს. შემ უეგ ტყის მცველთან დადგა და შეეძლო ეცხოვჩა, მაგრამ ალარც ის ალაგი ინდომა.

— ბაეშეი ამბავი შინდოდა მექითხნა. ბაეშეი აქ ჰშობა ხომ? სად არის ბაეშეი?

— ბაეშეი? მე მაშინ, ბატონი, კარგიდ მოეიფიქრე. საწყილი ქალი ისე ცუდად იყო, რომ, თუ ადგებოდა, არ მეგონა; ბავშვი მოინათლე, როგორც. რიგი იყო, და იღსაზრდელ სახლში გაეგზავნენ. აბა, როგორ შეიძლებოდა ანგელოზის წვალება, როცა დედა სულსა ჰლევდა. სხევები ასე შერებიან, რომ მიაგრებენ ბავშვს, არ აქმევენ და კედება; მე ვაფიქრე: ასე არ შეიძლება-მეთქი და გავგზავნე აღსაზრდელად, უული გვქონდა და გავგზავნეთ.

— ნომერი არა გვქონდათ?

— არა გვქონდა, მაგრამ ბაეშეი მაშინვე მოკვდა. წამყანი ქალი ამბობდა, როგორც კი მივიყვანე, მაშინვე მოკვდათ.

— ვინ იყო ის ქალი?

— ის ქალი სოფელ სკორდოში სცხოვრობდა და მხოლოდ ამისთანა საქმეებს მისდევდა. სახელად შელანია ერქვა, ახლახან მოკვდა. ძალაან ჭიუკიანი ადამიანი იყო. ის, როგორ იქცეოდა: როცა ბავშვს მიუყვანდენ, ერთ ხას სახლში სტოვებდა და აქმევდა, მანიმდე არ წაიყვანდა, სანამ რამდენიმე ბავშვი არ შეუგროვდებოდა. როცა შეპურებდა სამს ან თოსს ერთად, მიშყავდა აღსაზრდელ სახლში. აქვანიც სამაგალითო ჰქონდა, ისე მორთული, რომ ერთის მხრიდანაც აწევენდა ბავშვსა და მეორე მხრიდანაც. ხანდისხან თოსს დაწევენდა ერთად და ისე მიშყავდა ხოლმე.

— მერე?

— მერე ის, რომ კატოს ბაეშვიც წაიყვანა. სანამ წაიყვანდა, ორი კეირი სახლში ჰყავდა თაუისთან და წაიყვანამდე ავად შეიქნა საბრალო.

— ბაეშვი კარგი იყო? — ჰქითხა ნეხლიულოვამა.

— ისეთი ბაეშვი იყო, ისეთი რომ იმისთანა მეორე არ მინახავს. მოლად შენა გვავდა! — უთხრა ბებიამ და თვალი შუო ნეხლიუდოვეს.

— რად დასუსტდა ბაეშვი, უთუოდ რძეს ვერ აწოვებდენ კარგად?

— წოვება კი არა და!! ცხადია, კარგად ვერ აწოვებდენ, რადგან საკუთარი შეიღლი არ იყო; ოლონდ როგორმე ცოცხალი მიეკანა



და სხეს რას დასდევდა? ამბობდა, მოსკოვიამდე ძლიერ მივიყვანე და იქვე გათავდათ. მოწმობაც კი მოიტანა სიკეთილისა. ჰყელაფური ისე მოახერხა, როგორც რიგი იყო. ჭერიანი დედა-კაცი იყო, — დაუმატა დედაბერმა და გაშუმდა.

მხოლოდ ეს გაიგო ნებლიუდოვმა თავის ბავშვისა.

ნებლიუდოვი გამოიდა ქოხის დაბალ კარებიდან და გავიდა ქუჩაში. იქ ბავშვები უცდიდენ. იქვე თავი მოყვარა რამდენიმე ქალს ძეძუ-მწოვარა ბავშვებით და მათ შორის ის გამზღვარი ქალიც იყო, რომელიც ქოხის კარებთან იდგა; ხელში ძონძებში გახვეული ბავშვი ეკირია. ბავშვი მეტის-მეტის სიგამხდრით მოხუცს უფრო წააგვედა, ვიდრე ნორჩი ყმაწვილს, და ისე საცოდავად ილიმებოდა, რომ ნებლიუდოვის ყურადღება მიიქვია. ნებლიუდოვმა იყითხა, კინ არის ის ქალიო.

— ეგ ის ანუსია, მე რომ გითხარი, — უპასუხა უფროსმა ბიჭა.

ნებლიუდოვი მიუბრუნდა ანუსიას.

— როგორა სცხოვრობდი? — ჰეითხა მან ქალს, — რასა სჭია?

— როგორა ესცხოვრობდი? ესცხოვრობ ასე, ძალლ-უმაღლურად, — უპასუხა ანუსიამ და ატირდა.

ბავშვმა საცოდავად გიილიმა.

ნებლიუდოვმა ამოილო ქისა და მისკა ქალს 10 მანეთი. ეკრც კი მოასწრო რაზო ნაბიჯის გადადგმა, რომ მეორე ქალი გამოუდგა და დაეწია, იმას მიძყვა ბებერი დედა-კაცი და კიდევ ერთი ქალი. შემოეხვინენ და დაუწყეს მოწყალების თხოვნა. ნებლიუდოვმა დაუკრიგა ის 60 მანეთი, რომელიც წერილი პერნდა ჯიშეში, და საშინლად დალონებული დაბრუნდა სახლში. მოურავი ლიმილით შეეგება ნებლიუდოვს და მოასხენა, გლეხები სალამოზე შეიკრიბებიანო. ნებლიუდოვმა მაღლობა გადახსადა, სახლში არც კი შესულა, გავიდა ბაღში და დაიწყო სეირნობა; ჰეიტრობდა დლევიანდელ ამბავის შესახებ: ხალხი იხოცება, გამნდა ცხოვრების ისეთი ეითარება, რომელსაც შედევად მოწყვა ხალხის გაღატასკება და ამან გამოიწყია — ბავშვების სიკეთილი, ქალების გადამეტებული შრომა, საპეტელის უქონლობა, უმეტესად ბებრებისათვის — ის რა მდგომარეობაშია დღეს ხალხი. ხალხი თან-და-თან ეჩვევა ამ მდგომარეობას, ერთა ჰერდის საესებით თავის საშიშარ ყოფას და არც კი ჩინის. ამიტომ ჩენც გულგრილად ვუცემერით ამ ამბავს და გვეკონია, ბუნებრივი ამბავია და ასე უნდა იყოს. ყოველივე ეს ისე ცხადი იყო მისთვის, რომ საშინლად უკეთდა, რატომ ვერ შედაეს ამას ხალხი, ან თეთონ მე რატომ ვერ



ვამჩნევდი ამდენსანს იმას, რაც ასე დღესაცით ნათელი და ცალკიანო. ცხადი იყო, რომ ბაეშეები და ბებრები ურმეობით იხოცებოდნენ, რაც არა პქონდათ იმიტომ, რომ არ პქონდათ მიწა, საძოვარი, რომ საქონელი ემოცებინათ და პური და თივი დაეთვესათ.

აშეარაა, რომ ხალხის მთელი უბედურება და სილარიბე, ან და სილარიბის მთავარი შიშქი იმაში მდგომარეობს, რომ მიწა, რომელიც მას ასაზრდოებს მის ხელში არ არის, არამედ ისეთი ხალხის ხელში, რომელიც სარგებლობს რა ამ უფლებით მიწაზე, ამ ხალხის შრომით სცხოვრობს. მიწას კი, რომლის გულისთვისაც იხოცება ხალხი, ის გალატაკებული ხალხი ამუშავებს იმისათვის, რომ იქ მოსული პური გაიყიდოს საზღვარ გარეთ და მიწის მებატრონეებს შეძლება მიეცეთ იყიდონ შლიაბები, ტროსტები, ეტლები, ბრინჯაო და სხვა. ახლა ეს იმისთვის ისეთი ნათელი და აშეარა იყო, როგორც ის, რომ ჩიხში მომწყვდერლი ცხენები, რომლებმაც შესჭამეს რაც იქ ბალახი იყო, სულ მთლად გახდენ და იხოცებიან, სანამ მათ შეძლებას არ მისცემენ ისარგებლონ იმ მიწებით, სადაც მათ შეუძლიათ საძოვარი იშვიათონ. ეს საშინელებაა, ეს ასე არ უნდა იყოს. უნდა გამოინახოს საშუალება, რომ ეს ასე არ იყოს ან და თვითონ მაინც არ მიიღოს მასში მონაწილეობა. „ამ ამ საშუალებას უსათუოდ გამოვიყელეც ფიქრობდა ის და წინ და უკან დადიონდა ხეივამში. სამეცნიერო საზოგადოებაში, მთავრობის დაწესებულებაში და განხეობში ხმა-მალა გაპერიოან ხალხის სილატაკის მიზეზებზე და ამ სილატაკის თავიდან ასაშორებელ საშუალებაზე, მხოლოდ იმ ერთი ნამ დევილ საშუალების შესახებ, რომელიც უსათუოდ იხსნის ხალხს, ჩვენ კრინტსაც არ ესძრავთ, ჩვენ არაუერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ გადავსცეთ გლეხს ჩვენ მიერ წართმეული მიწეზი. მან უბათ მოი-ვონა გენრი ჯორჯის ძირითადი საფუძლები და თავის გატაცება მით და გაეცირებული იყო როგორ დავიწყა მან ყველაფერი ეს. „არ შეიძლება მიწა იყოს საკუთრების ყიდვა-გაყიდვის საგნად, როგორც წყალი, როგორც პერი, როგორც მშის სხივები. ყველას ერთგარი უფლება აქვს მიწაზე და ყველა უპირატესობაზე, რომელსაც ის ძ-ლევს ხალხს. ეხლა მან გაიგო რატომ სცხვენოდა ჩას იმისი მოგონება თუ როგორ მოაგვარა თავისი საქმე კუზმინსკი. ის თავის თავს ატ-უებდა. იყოდა რა მან, რომ ადამიანს არ პქონდა ბინაზე უფლება, მან თავისითვის სცნო ეს უფლება და აჩუქა გლეხებს იმის ნაწილი, რაზედიც მას ლრმად სწამდა, რომ უფლება არ პქონდა. ეხლა ის ამას არ იზამს და სხვა გვარად მოიკცია, ვიდრე კუზმინსკი.



შეადგინა თავის გულში გეგმა, რომ გლეხებისათვის მიეკა შეწევა ბი ფასით, მაგრამ ისე, რომ აღებული ფასი ისევ გლეხებს მოხმარებოდა გადასხადისა და სხვა საზოგადო საჭიროების გასაძლილად. მისი განხრახვა ის იყო უმთავრესად, რომ კერძო საკუთრების უფლება უარ-ეყო.

როცა ნებლიუდოვი სახლში შევიდა, მოურავი მნიარულად მიეგება და თავისებურის ლიმილით სთხოვა, სადილო მიირთვითო.

სურაბაშე, სხვა საჭმელებს შორის, თეთო ის ჩვენი ნაცნობი მამალიც იყო ჩამორიგებული, რომელიც ისე საუცხოვოდ სწევდა უეს ხან ზევით და ხან ქვევით, და ახლა კი რამდენსამე ნაჭრად იყო დაკეპილი. თუმცა მაინცა-ლა-მაინც გემრიელი არ იყო საღილი, მაგრამ ნებლიუდოვი ისე გატაცებული იყო დღემინდელ ამბით, რომ უგრძნობლად ჰკლაპაცედა ლუქმის ლუქმაზედ.

სადილს შემდევ ნებლიუდოვება გაუმებლავნა მოურავს თავისი სურავილი მიწების დარიგების თაობაზე. მოურავი ბებერ ცხენივით თავს აენტრურებდა და თავისებურად უღიმოდა ბატონს, თუმცა ნებლიუდოვი ლაპარაკებისა არაფერი ესმოდა, იმიტომ კი არა, რომ ნებლიუდოვი ვერ უსწინდა რიგიანად თავის განხრახვას, არამედ იმიტომ, რომ მის გულსა და კონქაბაზი მოგრად გაედგა ფესვები იმ აზრს, რომ ყოველი ადამიანი თავის სარეგებლობისთვის უნდა სცდილობდეს, თუნდაც ამას სხვისი დალუპვა და გატელვა მოჰყევს შედეგადათ. ასეთის აზრით მოურავება, რასაცვირველია, ვერ გაიგო ლაპარაკი ნებლიუდოვისა, რომელიც უბნებოდა, მიწებს გლეხებს ვაძლევ და მთელი შემოსავალი გლეხების საზოგადო თანხას უნდა მიემატოს.

— მიეხედი! შაშ, ამ კაპიტალის პროცენტს თქვენ მიიღებთ? — უთხრა მან მთლიად გზბრტყინებულმა.

— რას ამბობთ? გაიგეთ და შეიტყოთ, რომ მიწებს მთლიად გლებს ვაძლევ.

— მაგ თქვენ შემოსავალი სულ იღარა გექნებათ? — შეეყითხა მოურავი და ჩვეულებრივი ლიმილი უცბათ გაპერა მის სახეზედ.

— დიალ, უარს ვამბობ, როგორც შემოსავალზედ, ისე მთელ საკუთრებაზედაც.

მოურავმა ამოიოხრა და შემდევ ისევ გაიღიმა. ახლა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. მიხვდა, რომ ნებლიუდოვი სრულის კუსის პატრონი კაცი არ იყო და მაშინვე დაუწყო ნებლიუდოვის გეგმის ჩხრეკა, რათა თავის სასარგებლო რამ მაინც ეპოვნა შიგა. მოურავი სცდილობდა ისე ვაეგო გეგმა, რომ ცოტა რამ მაინც ყოფილიყო მისი სასარგებლო.



როცა დარწმუნდა, ეგ ტურილი იმედიათ, თავი დაინებდა გეგმის
გამორკვების, მაგრამ, რომ მაინც ესიამოვნებინა ნებლიუდოვისთვის,
ისევ ღიმილი დაიწყო. ნებლიუდოვი მიხედა, რომ მოურავმა ეკრაფე-
რი გაიგო მისი, დაინება თავი, თვითონ მიუჯდა მელნით გათხუპნულ
მიგიდას და დაიწყო თავის ცეკვის შედეგნა.

მზე უკვე გადაბრილი იყო, როცა ნებლიუდოვმა გაათავა წერა.
დაუძახა მოურავს და უგარა, გლეხებს ნულარ დაუძახებ, რადგან მე
თვითონ წიგალ სოფელშით. წამოდგა, დალია საჩქაროდ მომზადებუ-
ლი ერთი ჭიქა ჩაი და წიგიდა სოფელში.

VII

გლეხებს ნაცელის ეზოში ზოეყარათ თავი და ერთი ამბავი
ჰქონდათ. დაინახეს თუ არა ნებლიუდოვი, მაშინვე გაჩუმდენ და, რო-
გორც კუზმინსკში, აქაც სულ პველამ ქუდები მოიშველიპა. აქაური
გლეხები კუზმინსკის გლეხებშე უფრო ღარიბინი იყენ, უმრავლესობას
ქალამნები და შინ გაეკეთებული ხიფთანი ეცვა. ზოგნი პირდაპირ
ყანებიდან მოსულიყვნენ ფეხიშველა და პერანგის ამარა.

ნებლიუდოვმა ძალა დაატანა თავს და დაიწყო ლაპარაკი; აუ-
სნა გლეხებს, რომ მამულები თქეენ უნდა მოგეცათო. გლეხები ჩუ-
მათ იყვნ, და ნებლიუდოვის სიტუაცია არავითარი ცვლილება არ
გამოიწვია მათ სახეზე.

— იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, — დარცხვენით განაგრძობდა
ნებლიუდოვი, — ყველას უნდა ჰქონდეს მიწა და სარგებლობდეს.

— ოლონდაც, რომ იგრე უნდა იყოს! — მოისმა გლეხების ხმა.

ნებლიუდოვმა განაგრძო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ
გაენაშილებინათ ერთმანეთ შორის მიწის მოელი შემოსავალი. ურჩია
გლეხებს, აიღოთ მიწები და ის ფასი გადაიხადეთ, რომელსც მე გა-
დაგიწყვეტავთ, ისე კი, რომ გადახდილი ფული მოლაც მისმატებოდა
საზოგადო თანხას; ეს თანხა თქვენვე გამოიყენეთ თქვენდა სასარგე-
ბოლოდო. მოისმა მაღლობის სიტყვები და გლეხები თან-და-თან უფრო
ჩაიტერდეთ; თვალები, რომლითაც ამდენ ხანს ბატონს მისხერებოდენ,
ახლა ძირს დაიღეს, თითქოს არ უნდოდათ შეარცხეინონ ნებლი-
უდოვით, რადგან მიუხედით ეშმაკობასა და ახლა ცელარივის მოატაჭ-
ებსთ.

ნებლიუდოვი გასაგების ენით ამბობდა და გლეხებსაც ესმოდათ,
მაგრამ მაინც ეკრაფერი გაიგეს ნებლიუდოვის ლაპარაკისა, იმ მიზე-
ზით, რა მისებითაც ეკრას მიუხედა მოურავი. ყველა შათვანი დარ-
წმუნებული იყო, რომ ყოველი კაცი სცდილობს მხოლოდ თავის



სარგებლობისათვის. განსაკუთრებით მემამულებია შესახებ ჭურულებულისათვის. დარწმუნებულნი იყვენ, რომ ისინი მარტო თავის სარგებლობისათვის სკულოლობდენ, რადგან ეს გამოცდილებითა პქონდათ შევნებული.

— აბა როგორა გვინიათ, რამდენი შეგიძლიანთ გადაიხადოთ მიწის ფასადი? — ჰეითხა ნებლიუდოვმა.

— ჩენ საიდან შეგვიძლიან მაგის თქმა? მიწა თქვენია და თქვენი ნებაა, — უპასუხეს.

— ეს ფული ხომ ისევ თქვენი იქნება, თქვენვე ისარგებლებთ საზოგადო საჭიროებისთვის.

— ჩენ არ შეგვიძლიან. საზოგადოება თავისითვის იყოს და ჩენ კიდევ ჩენთვის.

— გაიგოთ, რომ თავიადი გაძლევთ მიწებს და იქედან იღებული ფული ისევ თქვენა გრჩებათ საზოგადო საჭიროებისთვის, — ჩაერთო ლაპარაკში მოურავდ, რომელიც ნებლიუდოვის შემდეგ მოვიდა.

— ძალიან კარგათ გვესმის, — სთქვა უკიდო მრისხანე ბებერებია: — აი, ისე ბრძანებთ, როგორც ბანქშია, ხოლო ვადაზე უნდა გადაეიხადოთ ფული; ჩენ ეგ არ გვინდა, იმიტომ, რომ ისედაც გალატაებული ვართ და სულ ტყიეს გაგვაძრობს.

— ეს საჭირო არ არის. ისევ ძველებურად ვიქნებით, — მოისმა რამიდენიმე უქმიურილო ხმა.

გლეხები უფრო უარზე მაშინ დადგენ, როცა ნებლიუდოვმა აუხსნა, რომ შევიდგენ პირობას, რომელზედაც თითეულმა თქვენგანმა და მეც ხელი უნდა მოვაწეროთ.

— რად უნდა მოვაწეროთ? ჩენ როგორც გვიმუშავინია, ისე უნდა ვიმუშიოთ. ეგ რაღა საჭიროა? ჩენ გაუკებარი ხალხი ვართ.

— იმიტომ არა ვართ თანაბმა; რომ მივისოთან საქმე არ გვიცდია. როგორც ყოფილა, დევ, ისევ ისე იყოს, ისევე ვიმუშავებთ.

— მაშ არ გვინდათ მიწა აიღოთ? — მიმმართა ნებლიუდოვმა /შეახნის ფეხშიშევლა გლეხს, რომელსაც ძონძები ეცეა და მარცხნა ხელით ისე მაგრად ჩაებლუჯა დაგლევილი ქული, თითქოს ეშინია, არიყინ წამართვისო.

— დიაღ, აგრე გამლავთ! — უპასუხა გლეხმა.

— მაშ, როგორცა სხანს, საქმაოდა გქონიათ მიწები? — ჰეითხა ნებლიუდოვმა.

— სწორედ რომ არ გვინდა! — უპასუხა ყოფილმა ჯარისკაცმა, რომელსაც ისე ეჭირა ქუდი, თითქოს აწვდიდა უკელის, ვისაც კი სურდა გამოერთმიაო, და განგებ მშიარული სახე მიიღო.



— ყოველ შემთხვევაში, კარგად მოიფიქრეთ, რაც მტკიცისჩერით, — უთბრა გაცემის მულტი ნებლიუდოვმა და გაიმეორა თავისი რჩევა.

— არაფერი არა გვაქვს-რა მოსაფიქრებელი, როგორც ესთქვით, ისე უნდა იყოს, — გაჯავრებით წიაბუტბუტა უქბილო ბებერმა კაცმა.

— ხვალაც აქ დავრჩები და, თუ შესცვალოთ თქვენი აზრი, ვამოგზავნეთ ეინმე და შემატყობინეთ.

გლეხებმა არა უპასუხეს-რა.

ამგვარად, ნებლიუდოვმა ერაფერი გააწყო გლეხებთან და დაბრუნდა კანტორაში.

— უნდა მოგაბეჭნო, თავადო, — უთხრა მოურაემა, როცა სახლში დაბრუნდენ, — რომ მაგ ხალხთან ვერას გააწყობთ, ჯიუტები არიან. როცა ყრილობაზე არიან, გაჯიქდებიან და აღარას შეისმენენ ხოლმე, ყველაურისა ეშინიანთ და იმიტომ. არ, თუნდა ის ვიღარა და ზავთმიანი გლეხები — ძალიან კვეიიანები არიან! მოაწყევთ კანტორაში, დასვიმთ, დაალევინებთ ჩაის და ისინიც დალაგებით შეისმენენ ავალიურს, ისე, როგორც რიგია; ყრილობაზე კი სულ სხვა ნაირად იტკევიან...

— მაში, თუ შეიძლება, დაიყმახოთ აქ რამდენსამე მაგისთანა შეგნებულს გლეხს, — უთხრა ნებლიუდოვმა, — დაწვრილებით აფუხსნი ჩველაფერს!

— რატომ, შეიძლება, — უთხრა ლიმილით მოურაემა.

— მაში, გეთაცემა, ხეალისათვის დაიბარეთ.

— ყველაფერი შეიძლება, ხეალისათვის დაეიბარებ, — უთხრა მოურაემა და მხიარულად გაიღიმა, რადგან ამ დროს კარებში ორი დედაკაცი დაინახა გაქერებული.

რაღაც ანიშნა დედაკაცებს და გავიდა უპან აივანზე. დედაკაცები გაცყენ უკან.

ნებლიუდოვმა გავიდა კანტორაში, ჩამოჯდა კიბეზე და დაიწყო თავის გეგმის მოსახურება. ამ დროს შემოესმა დედაკაცის გაბრაზებული ლაპარაკი. დაუგდო უშრი.

— რომ აღარ შემიძლიან, ხომ ხედავ? რა ამბავია, რომ კვეიოს მაცეი! — ამბობდა გაბრაზებული დედაკაცი.

— შემოვიდა მხოლოდ, ხომ არაფერი წალხდენია? — ამბობდა მეორე: — მომეცი-მეთქი, გეებნები, ტყუილად საქონელს შიშილით მოპკლავ მე კი ბაეშევები ურძეოდ მეხოცება.

— ან გადამიხადე და ან სამაგიეროდ მუშით მომებმარე, უპასუხა დამშვიდებულმა მოურაემა.



ნებლიუდოვი გამოეიდა სახლიდან და გაეიდა უკანა აჩქანიშვილი, სადაც დედაკაცები იდგენ, ერთი იმითგანი, როგორც ეტყობოდა, ორსულად უნდა ყოფილიყო. კიბის საფეხურზე პარუსინის პალტოს ჯიბეში ხელებ ჩაწყობილი იდგი მოურავი. დაინახეს, თუ არა შატონი, დედაკაცებმა თვეშუები გაისწორეს თავზე. მოურავმა ამოილო ჯიბიდან ხელები და ლიმილი დაიწყო.

საქმე იმაში იყო, რომ, როგორც მოურავი ამბობდა, გლეხები განგებ უწევებდენ თავიანთ ძროხებს და ბარებს ბატონიანთ ყორულებში. ახლა ამ დედაკაცების თარი ძროხა დაეცირათ და არ ანგებებდენ. მოურავი თითო ძროხაზე 30 კაბ. თხოულობდა ან და როის დღის მუშაობას. დედაკაცები ამტკიცებდენ, რომ ძროხები მხოლოდ შეეიდენ და არაფერი არ შეუჭამიათ, რომ ფული არა გვაქვს და, თუ დაგვირდით მუშაობაში მოხმარებას, ახლავე უნდა გამოუშეოთ ძროხები, რომლებიც დილას აქვთია უკმერლი არიან და საცოდვად ბლუკიანო.

— რამდენჯერ უთხარი მე მაგათ, — სთქვა მოურავმა და ნებლიუდოვს გადახსედა, თითქოს მოწმედ იწყევსო, — რომ თქვენს საქონელზე თვალი გეჭიროთ, არსად გადავიდენ — მეთქი.

— ის იყო ბავშვთან შეეირჩინე და ძროხაც ვადასულიყო.

— რავი აძოვებდი, აღარსად უნდა წასულიყავი.

— ბავშვს ეინდა მიპარდავდა?

— ძროხებს ერთი ბეჭო ბალახიც არ მოუძოვნიათ, მხოლოდ შევიდენ ყურულში, — ამბობდა მეორე დედაკაცი.

— მთელი სათიკე გადაძოვა მაგათმა საქონელმა, — მიუბრუნდა მოურავი ნებლიუდოვს, — რომ არ გადავახდევინოთ, ერთი ბეჭო თავა აღარ მოვვიდა.

— ნუ სკოდავ ღმერთს, — შეტყვირა ორსულში დედაკაცმა, — ჩემი ერთხელაც არ გადასულა სათიკეში.

— გადასულა! როგორც გნებავდეთ, ან გადაიხადეთ...

— ჰო და კიმშეავებ. მხოლოდ ძროხა გამოუშეი, ნუ ჟელავ შეიშილით! — გაბრაზებით დაუცემირა მან; — ერთი დღე რა არის, ერთი დღე მოსკვენება არა შაქტი. მამამთილთ ვადა მყავს, ქმარი დამეკარგა. კეელატერი მარტო ჩემს კისერზეა. აღარა შაქტის ლონე, არა, გაიგონე, დასალრჩეობა! დაუცემირა მან და ქვითინი დაიწყო.

ნებლიუდოვმა სხოვა მოურავს, გამოუშეი ძროხებით და თვითონ გაკიცირებული შეეიდა ოთახში. „მიკვირს და გამკვირებია, როტომ ვერა ხედავს ხალხი იმას, რაც ასე დღესავით ნათელია!



— პხედავთ, რა გაქნილია? — ამბობდა თმა-დაუკარუსზე ულავშეთა უკან
ზი, რომელიც ფაშატ ცხენზედ იჯდა და ძონძებში ვახვეულ გლეხ-
თან ერთად მიდიოდა ლამე მინდობრში.

გლეხები მიდიოდენ და უნდოდათ ცხენები ებალახებინათ და
იქედან ბატონიანთ ტყეუშიც ჩუმად შესულიყვნენ.

— გესმის, როცა თივე შემოვა მინდობრში, უქმე დღეს დედავა-
ცები გავეგზავნოთ; აქა-იქ გამოვგლივენ ბალაზი, თორებ ცელს და-
გვიმტვრევეს, — სოჭვა ერთმა გლეხშია.

— დაუკინიათ, ხელი მოაწერეთო, — განიცრძო თმა-გაბურძვე-
ნილმა გლეხშია და ბატონს გადაპერა სიტყვა, — მოაწერავ და ცოც-
ხლივ-კი გადაგულაპაეს!

— ოლონდაც, მაშ! — მიუგო ბებერმა.

გლეხები დაიწყოდენ და ამის მეტი აღარა უთქვამთ-რა, მხოლოდ
ცხენების უების ხმა-ლა მოისმოდა გატეეცილ გზიდან.

— მუქთად მოვცემთ მიწებს, მხოლოდ ხელი მოაწერეთო, განა
საქმიანდ არ გავეგზეს ტყავი მაგათ? არა, არა, მათ და მევობარო,
ახლა ჩვენც გაეიგეთ, როგორც არის საქმე და ასე ადვილად ვერ
მოგვატყუებოთ! — დაუმატა მან და დაუწყო ძაბილი კვიცს, როგორიც
უკან ჩამორჩა. დიდხანს უძახა, მაგრამ კვიცი არა სჩანდა, უკვე ბა-
ტონიანთ ყორულში გადასულიყო.

— ია, ზე სამგლევ, სად ვადასულა, — წაილაპარავა შავშია გლეხ-
მა, როცა მოესმით თქარა-თქური კვიცისა, რომელიც გამალებული
მორჩოდა მინდოებილან.

VIII

ნებლიუდოვი შეეიდა კანტორაში, სადაც ლოგინი უკეე ვაეშა-
ლათ. მოურავმა მიართვა ვახშიმი, მაგრამ ნებლიუდოვმა უარი სთქვა;
მოურავმა ბოდიში მოიხადა, შესაფერი მატივი ვერ გეცითო, და გა-
ვიდა გარედ. ნებლიუდოვი მარტო დარჩა.

გლეხების უარს სრულებით არ შეუშინებია ნებლიუდოვი. პირ-
იქით, კუზმინსკის გლეხებმა რომ სიხარულით მიიღეს მისი რჩევა და
მადლობა უთხრეს, აქაურებმა კი, არამც თუ არ მიიღეს მისი აზრი,
არამედ ვერც კი დარწმუნდენ, რომ საკეთილო საქმეს ურჩევდა და
თითქმის მტრულის თვალით დაუწყეს ყურება სასიამოვნო დარჩა. კან-
ტორაში საძეგვლი სუნი იდგა. ნებლიუდოვი გამოვიდა გარეთ და
უნდოდა ბალში გასულიყო, მაგრამ მთავონდა ის ლამე, სამოახლო
ოთახის სარქებლი, უკანა კიბე და ველარ შესძლო გაევლო იმ მხა-
რეს, რომელიც საზიზლარის მოვონებით იყო წაბილწული. ჩამოჯდა



კიბეზე და დიდხანს უშერდა ბალს და ყურს უგდებდა ბულბულის მომავალი სტენის; მოურიეს თოახში სანათი ჩაპერა. ბორცურდა ბაღრი მთვარე და მკრთალი ნათელი მოქფინა არე-ზარეს. უცბად შორილიან ქუნილის ხმა მოისხა და კუპრივით შეი ღრუბლები ელვის სისწრავით გასრიალდა ცის სივრცეში, გაიძაბა და ცის მეოთხედი ნაწილი დამფარა. ბულბულებმა სტენა შესწყვიტეს, წყლის ხმაშრობასთან ერთად მოისმა ბატების ყიყინი, აქა-იქ მამლებმა დაიწყეს ყივილი, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ, როცა ცუდი ღამეა ან ჭექა-ქუნილი ასტყდება. ნათევამია, კარგი მამლები აღრე ყივიანო. ნებლიუდოვისათვის ეს ლაშე სასიხარულო და ბედნიერი იყო. წარმოუდგა თვალშინ ის ბედნიერი ზაფხული, რომელიც მან უმანქო ახალგაზრდობაში გაატარა. აქ, და იგრძნო, რომ ახლაც ისეთივე ვარ, როგორც მაშინაო. არამც თუ მოიგონა, არამერ იგრძნო კიდეც, რომ ისეთივე ვარ, როგორც წინად: როცა 14 წლის ყმაწვილი დარიქილი ცვედრებოდა ლექრის, სტიროლი დედის კალთაში, როცა შორცებოდა, და აღუთქვა, მუდამ კეთილი ვიქნები და არაფერს გაწყენინებო; იგრძნო, რომ ისეთივე იყო, როგორც მაშინ, როცა ისა და ნიკოლეა ირტენიერი სიტყვის აძლევდენ ერთმანეროს, ხელი შეეწყოთ ერთმანერთისათვის და ყოველი ღონე ესმართ ადამიათა გასაძელნიერებლად.

მოიგონა, როგორ დანანდა თვახი, ტყე და მინდორი, და შეეკითხა თავის თავს: ახლაც მენანება თუ არაო. თითქმის გაოცდა, როცა დარწმუნდა, ახლაც პლეივის ჩემს გულში გრძნობა დანანებისაო. თვალშინ დაუდგი ყველაფრი, რაც პნევა დღეს: ბავშვებიანი დედაკაცი, რომლის ქმარიც სატუსალოში იჯდა ნებლიუდოვის ტყეზი ხეების მოკრისათვის, მოიგონა საშინელი შატრონა და მისი რსტატობა ბავშვების საქმეში, მათი იყვანა და წაყვანა ალსაზრდელ სახლში, მოიგონა უჭერელობით გამხდარი ბავშვი, რომელსაც ბებრის შექედულობა ჰქონდა, მოიგონა ორსული დედაკაცი, რომელსაც ძალაუნებურად უნდა ემუშავნა მისს სასარგებლოდ, იმიტომ, რომ, ფრიად ტანჯულში იუტანელის ჯაფით, თვალ-ყური ვერ უგდო თავის მშეერძოვნას...

მოვარე ამოსცილდა საკუპნაო სახლის სახურიეს და მორცხვად მიანათო თავისი მკრთალი სხივები ბალის ყოველ კრწულს.

ამ საუკეთევო სანახაობის ეშხით დამთერიალმა ბულბულმა აამუსიკა თავისი ენა და სულის წარმტაცი გაღობა ჩააკავანა.

ნებლიუდოვიმა მოიგონა, რას ჟოიერობდა კუნმინსკში თავისი ცხოვერებაზედ, როგორ დაბნა სხვადასხვა მოქორებულ ფიქრთა შორის და ვერ გადასწყვიტა ვერაფერი, რადგან მისი მომავალი ცხოვ-

ნებლიულოვანი გადასცა გრაფინია კატერინე ივანოვნას წერილი. ამოილო საღარბაზო ბარიათ, მიყიდა მაგიდასთან, რომელზედაც სტუმრების სახელებისა და ვერას ჩასაწერი წიგნი იდგა, და ის იყო დაიწყო წერა: „ვწუხეარ, რომ ვერ გნახეთო“, რომ ლაქია კიბისენ გაექანა, კუთხეში გაჩერდა, ხელები ჩამოუშეა და გაიჭიმა. გამოვიდა მეყარე და დაიყვერა: „ეტული მოიყეანე“. კიბეზე მისი ლირსების შეუცემებელის სირბილით ჩამოვიდა კომწია ქალბატონი. მეკარემა და ლაქიებმა მოწიწებით თაყვენი სცეს და მანამდე თვალი არ შეუშორებიათ, სანამ ქალბატონი კარებს არ გასცდა.

მარიეტრას შეი კაბა ეცა და თავზე ვებერთელა შლიაპა ეხურა, თითქო მოთელი ბალი სულ თავზე ჩამოუცამსო; ხელზე ხელთათმანები ეცა და პირბადე ჰქონდა ჩამოუარებული.

დაინახა თუ არა ნებლიულოვა, პირბადე აიწია და თავისის მგზნებარე თვალებით გაოცებით მიაშტერდა.

— აა! ქრისტიფილი ივანოვიჩ! — მხიარულის ხმით უთხრა მან, მინდოდა შემეტყო...

— როგორ, განა თქვენ ჩემი სახელიც გახსოვთ?

— როგორ არა, მე და ჩემს დას გვიყვარულით კიდეც ქრისტოს! — დაიწყო მარიეტრამ ფრანგულად: — მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილზართ! რა დაგემართოთ? ეწუხეარ, რომ წასელის ვაპირებ. მაგრამ არა უშავს-რა, დაებრუნდები, — უთხრა მან და ყოშმანობდა, თითქოს უნდა გადასწყიტოს, დაებრუნდე თუ არაო.

მარიეტრამ შეხედა კულიის საათს.

— მაგრამ არა, არ შეიძლება! კამენსკაიასთან მიცდიდობ პანაშვილზე... საწყალი საშინელს მდგომარეობაშია.

— ვინ არის ეგ კამენსკაია?

— განა არ გაგიგიათ? მისი შვილი დუელში მოქალეს. პოზენთან მოუხდა დუელი. მერე დედის ქრთა იყო! იმის მეტი მის დედას აღარივინ გააჩნდა. საშინელება! საბრალო დედა ლამის ჯავრით მოჰკვდეს.

— დიალ ყური მოვეარ.



— არა, უმჯობესია, მე წავალ და თქვენ ხვალ ან დღეს სალა-
მოზე შემოიძირეთ, —უთხრა მან და წასასულელად შორიშადა.

— დღეს საღამოზე არ შემიძლიან. თქვენთან საქმეზედ მო-
ვედი.

— რა ამბავია?

— აი, წერილი დეიდასაცინ, —უთხრა ნებლიუდოვში და პატა-
რა კონფერტით ბარათი გადისცა —აქედან ყველაფერს გაიგებთ.

— ვიცი! გრაფინია ეკატერინე ივანოვნასა ჰგონია, რომ მე
გაფლენა მაქვს ჩემ ქმართან, შემცდარია! არაფერი არ შემიძლიან
და არც მინდა გავერიო რაიმე საქმეში. მაგრამ გრაფინიასი და
თქვენის გულისათვის შემიძლიან დაეარღვიო ჩემი მტკიცე გადაწყვე-
ტილება. რაშია საქმე?

— სატუსალოში ზის ერთი ავაზმუოფი ქალი, რომელიც სრუ-
ლიად უდანაშაულოა.

— რა გვარია?

— შესტოვის ქალი, ლიდია შესტოვის ასული. წერილში
სწერია.

— ქარგი, ვეცდები მოვახერხო რამე, —უთხრა მარიეტრამ და
შეკულდა ეტლში.

ლაქია მარტად შეხტა კოფოზე და ანიშნა მეეტლეს —წალიო.
ეტლი დაიძრა, მაგრამ იმ წამსვე მარიეტრა ქოლგით შეეხო მეეტ-
ლეს და გათქვირული ცხენები ფრუტუნითა და ფეხების ბაკუნით
გაჩერდენ.

— გეთაყვა, უთუოდ მობრძანდით, —უთხრა ნებლიუდოვს მა-
რიეტრამ და გაიღიმა ისეთის ლიმილით, რომისს ძალაც კარგად იცო-
და. შემდევ ისევ ანიშნა ქოლგით მეეტლეს და გათქეირულმა ცხე-
ნებმა ფრუტუნითა და თქარა-თქურით გააქანეს ეტლი.

XVI

ნებლიუდოვშა შოიგონა მარიეტრას ლიმილი და თავი ჩაიქნია.
„უკან მოხედვასაც კი ვერ მოასწრებ, რომ ისევ ამ ცხოვრებაში ჩა-
ებიები“ — იუიქრა ნებლიუდოვში და მევები იგრძნო, რომელიც იმ-
ნაირ ხალხთან დროებითმა დამოკიდებულებამ გამოიწვია, რომელთაც
პატიცს არა სცემდა.

მოიტექრა, სადა სჯობია უწინ შესულა, რომ უკან დაპრუნება
არ დამტირდეს, და პირელად სენატში წავიდა. შეიკვენეს კანტე-
ლარიაში, სადაც დაინახა მეტად ზრდილობიანი და სუფთად ჩაცმუ-
ლი მოხელეები.



ნებლიუდოვს უთხრეს, რომ მასლოვას ქალის საქმე გადაცემული აქვს სენატორ ვოლფს, რომელთანაც გრაფ ჩარსკის წერილი ჰქონდა.

— სენატის სხდომაში ამ კეირაში იქნება და, არა მეონია, რომ მასლოვას ქალის საქმე ამ სხდომაზედ გაირჩეს. თუ სთხოვთ შეიძლება მოხერხდეს და ახლა გაირჩეს, — უთხრა ქრისტიან მოხელემ.

სენატის კანცელარიაში ნებლიუდოვს ყოველის მხრიდან მხოლოდ ერთი და იგივე ლაპარაკი ქმნდა — დუღლისა. იქ პირველად დაწვრილებით გაიგო ყველაფერი ამ ამბის შესახებ, რამაც მთელი პეტერბურგი ფეხში დაიყვნა. საქმე ასე იყო: ერთ დუქანში დამსხდარიყვნენ ოფიციელი, კიბოებს შეეტყოდენ და თან ჩვეულებისამებრ სვამდენ. ერთმა მათგანმა თურმე ცუდად მოიხსენია ის პოლკი, რომელშიც კამენსკი მსახურებდა. იმის გამო კამენსკიმ იმ ოფიციელს ცრუპან-ტილა უწოდა. იმან სილა გაარტყა კამენსკის და იმას მოჰყენა დუღლიკ რომელიც მეორე დღესვე მოახდი. კამენსკის შეუცლში მოახდედა ტუფია და თანის საათის შემდგა გარდაიცვალა. პოზენი და სეუნდანტები თუმცი დაიჭირეს და სატუსალოში ჩასვეს, მაგრამ იმედი იყო, რომ ორის კეირის შემდეგ გამოუშევდებდნენ.

სენატის კანცელარიიდან ნებლიუდოვი თხოვნების მიმღებ კომისიის წევრ ბარონ ვორობილოვთან წავიდა. ბარ. ვორობილოვი დიდი გავლენიანი კაცი იყო და უზარმაზარი სიხაზინო საღვამი ჰქონდა უფასოდ დათმობილი. მეყირება და ლაქიმ სასტიკის კილოთი გამოუკვადეს ნებლიუდოვს, რომ დანიშნულ დღეებს გარდა ბარონის ნახევ ყოველად შეეძლებელია. ნებლიუდოვმა გადასცა წერილი და წავიდა სენატორ ვოლფთან.

ვოლფს კიდევ ესაუზმა და ჩვეულებრივად სიგარას შეექცეოდა. ელადიმერ ვასილის ძე ვოლფი ნამდევილი սა homme très comme il faut-ი იყო და ამ ღირსებას ყველაზე მაღლა აყენებდა და ამაყადაც დაწყურებდა ყველას. არე შეეძლო მაღლა არ დაეყენებინა ეს თვისება, რადგან იმის წყალობით მიაღწია გულის წაღილს: ცოლის შერთვით შეიძინა ისეთი ჭინება, რომელიც 18 თას მანეთს აძლევდა წელიწადში, და თავის შრომით სენატორობამდეც მიაღწია. ვოლფი არა თუ სა homme très comme il faut-ად სთელიდა თავს, არამედ რაინდულ სინდისის პატრონიც კი იყო. მისის აზრით, სინდისი და პატრიოსნება მხოლოდ ის იყო, რომ ჩვემად ქრისტი არ აერთ, ხოლო ბაზინიდან მოთხოვნა სხვადასხვა ხარჯებისა, მაგ., სამგზავროსა, დღიურისა, საიჯაროს და სხვა იმგვარებისა, რისთვისაც ის მონურად ასრულებდა მთავრობის ყოველივე მოთხოვნილებას. სინდი-



სიერად მიაჩნდა. ის უსინდისობად არ სთვლიდა დაელუპა, ტყვეში ჭამითაც ეძრო, გადაესახლებია და დაეტუსაღებინა ასეული სრულიად უდანაშოულო ხალხი, რადგან ისინი შეკავშირებული იყვენ თავიანთ ხალხთან, თავიანთ მამა-პაპათა სარწმუნოებასთან და უყვარდათ იგი, როგორც ამას სწადიოდა ის, როცა პოლონეთის ქერთ ერთ გუბერნიის გუბერნატორად იყო. პირიქით ის ყველა ამას ვატრიოლიშით, კეთილშობილებით და მამაცობით გამოწვეულ გმირობად სთვლიდა. სინდისიერი ქცევა იყო, მისის აზრით, ისიც, რომ გაძარცვა ცოლი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ვოლფი, და ცოლის და. ეს, პირიქით, კანონიერად მიაჩნდა, რადგან ამით თავისი ოჯახური ცხოვრება მოაწყო.

ვლადიმერ ვასილის ძის ოჯახს შეადგენდა: მისი ცოლი, ცოლის და, რომლის მამულებიც ხელო იგდოთ თვითონ, გამყიდა და აღებული ფული ბანქში შეიტანა თავის სახელობაზე, და წყვარი, მშიზარა, ულამაზო ქალიშეილი, რომელიც მხოლოდ ერთად-ერთ სახარებით ერთობოდა და ალინასა და გრაფინია ეკატერინე ივანოვნას დასის მფრინავი წევრი შეიქნა.

ვლადიმერ ვასილის ძემ გააგდოთ სახლიდამ ერთად-ერთი ვაჟი, რომელიც ჯერ ისევ 15 წლისა იყო, როცა წვერ-ულვაში ამოუკიდა და იქცდანვე დაიწყო ლოთობა და გარეუნილი ცხოვრება. ასე ცხოვრობდა 20 წლამდე, როცა სახლიდან გაიგდეს, რადგან ვერ დაამთავრა სწავლა და ისეთ ხალხს დაუახლოედა, რომ აუარებელი ვალები დაედო და ამით მამას სახელი გაუტეხა. მამამ ერთხელ გადაიხადა შეილის ვალი 230 მანეთი, გადაიხადა მეორედ 600 მან. და თან გამოუცხადა, შეეთუ ამ დღიდან მაინც თავს არ დაანებებ ამ გარეუნილ ცხოვრებს და კიდევ ვალებს დაიდებ, სახლიდამ ვაგვადებ და ყოველსა-ვი კავშირს შეესწევად შენთან. მაგრამ არამც თუ გასწორდა, კიდევ ათასი მანეთი ვალი დაიდებ, გაკადნიერდა და უცხრა მამას, რომ ჩემი სახლში ცხოვრება ტანჯვა-შამებაა. მაშინ ვლადიმერ ვასილის ძემ გამოუცხადა: მიბრძანდით, საითაც გინდათ, დღეის შემდეგ ჩემ შეიღად აღარა გთვლიო. ამ შემთხვევის შემდეგ ვლადიმერ ვასილის ძე ისე იქცეოდა, თითქოს ვაჟი არა მყავსო, და ვერც შინაურები უჩედავდენ შეილის გახსენებას. ამგვარად, ვლადიმერ ვასილის ძე სრულიად დარწმუნებული იყო, საუკეთესოდ მოვაწყებ ჩემი ცხოვრებათ.

ვოლფმა ცბიერის ლიმილით შეპხედა ნებლიუდოვს და წერილის კითხვა-დაიწყო.



— გთხოვთ დაბრძანდეთ. ბოდიშს ეიხლი, მაგრამ ჟურნალი ვა-
სეირნო, — უთხრი ვოლფმა, ჩიტყო ჯიბებში ხელები და წყნარის
ნაბიჯით გიარე-გამოიარო ოთახში: — დიდათ მოხარული ვირ თქვენის
გაცნობისა და თან მსურს გრაფის ივან მიხაილიჩის სურეილი ივას-
რულო, — ამბობდა ვოლფმა და თან სუნნელოვან სიგარის ეწეოდა.

— მე მხოლოდ ამასა გთხოვთ, რომ რაც შეიძლება იდრე გა-
ირჩეს საქმე, რადგან, თუ დამნაშავეს კიმბირში წასვლა მოელის,
სასურეილია, ადრე წავიდეს.

— დიალ, დიალ, ნიერიდან პირველის გემით, ვიცი! — სთქვა
ვოლფმა, რომელმაც კვილაფერი წინ-და-წინვე იცოდა, რაზედაც ლა-
პარაქს დაუწყებდენ. — რა გვარია დამნაშავე?

— მასლოვა.

ვოლფი მიერიდა შეგიდასთან და დაპხედა ქალალდს, რომელიც
სხვა საქმის ქალალდების თავზე იდეა.

— დიალ, დიალ, მასლოვა. ესთხოვ ჩემს ამზანაგებს და საქმეს
ოთხშეპათს განვიხილავთ.

— მაში, შემიძლიან ვეჭილს ვაცნობო დეპეშით?

— განა ვეჭილიცა გყავთ? რა საჭირო იყო! მაგრამ, რახან
აგრეა, თუ გნებავო, გაუვზავნეთ.

— შეიძლება განსაჩინერების საბუთები ვერ იყოს მაგარი, მაგრამ, ჩემის
ფიქრით, საქმიდან სჩანს, რომ სისამირთლოს განაჩენი შეცდო-
მის წყალობით მოქნდა.

— დიალ, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ
სენატი საქმის არსებითად განხილვაში არ შედის. სენატი მხოლოდ
თვალ-ყურს ადევნებს იმას, თუ რამდენად წესიერიად ასრულდება
კანონი, სხვა არაფერით...

— მე მგონი, ეს არა-ჩეეულებრივი შემთხვევაა.

— ვიცი, ვიცი, ყველა შემთხვევა არა-ჩეეულებრივია. ჩეენ, რაც
საჭიროა, გავიკეთებთ... იშვიათად დადიხართ პეტერბურგში? — ჰე-
თხა ვოლფმა და თან უფრთხილდებოდა, რომ სიგარის ფერფლი უკა-
ბედად არ დაფარდნილიყო და წიმ-და-უწემ დახედავდა.

საუბედუროდ, ფერფლი უცხად შეინძრა, ვოლფი შეკუპხუნდა,
ფერფლი სიფრთხილით მიიტანა საფერფლესთან და ნაზად დასდო.

— გაიგეთ, რა უბედურება შემთხვევა კამენსკის? სამაგალითო
ანალგაზრდა იყო საწყალი! ყველაზე შეტაც სამწუხაროა დედის მდგო-
მარეობა, — სთქვა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის ამბავი, რომელიც
მოელს პეტერბურგს ენაზე ეკერა.



ვოლფმა კიდევ ცოტა ხანს იღაბარება გრაფინია ეკატერინებული ივანოვნას სარწმუნოებრივ მიმართულებაზე; იგი ოპ ამტუშნებდა და არც ამართლებდა ამ მიმართულებას; ცოტა ხნის შემდეგ ვოლფმა ზარს ჩამოჰქმდა.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა.

— თუ მოახერხოთ, სადილად მოპრძანდით, — უთხრა ვოლფმა და ხელი ჩამოართოვა; თუ გირდ თასჩმაბათს, მაშინ გადაწყვეტილ პესუს მოგცემთ.

რადგანიც ძალიან დაგვიანებული იყო, ნებლიუდოვი პირდაპირ სახლში წავიდა დეიდასთან.

XVII.

გრაფინია ეკატერინე ივანოვნას ოჯახში საღამოს რეის ნახევარ საათზე სადილობდენ; ისეთის ცერემონიითა და წეს-რიგით მოართ-მეედენ სადილს, რომ თავის ღლები არ ენახა ნებლიუდოვეს. საჭმლის ჩამორიგება აქ ხმარებაში აღარ იყო. ლაქიებს შემოჰქმნდათ საჭმე-ლები, სდგომდენ სუფრაზე და ისევ უკან გადიოდენ. მოსადილენი თვითონ იღებდენ თავიანთ კერძს. მამაკაცები, როგორც ლონიერი სქესი, დედაკაცებს არა სარჯავდენ და თვითონ არიგებდენ საჭმელს, თავიანთვისაც და დედაკაცებისთვისაც. როცა ერთ კერძს მიირთ-მეედენ, გრაფინია ზარს დარეკავებდა, შემოირჩენდა ლაქია, გასწმენდ-და, გაასუფთავებდა იქაურობას, გამოსცულიდა ჭურჭლებს და ახალს კერძს შემოიტანდა. საჭმელ-სასმელი მუდამ საუცხოვო გემოვნებისა იყო. დიდია და ნათელს სამზარეულოში გამოცდილი ფრანგი მზარე-ული მუშაობდა ორის თანაშემწით. სადილზე ექვსი სული იჯდა: გრაფი, გრაფინია, მათი ვაჟი — გვარდიის ოფიცირი, რომელიც მუდამ სუფრაზედ იდაყვებით იყო დაყრდნობილი, ნებლიუდოვი, ფრანგის-ქალი და სოფლიდან ჩამოსული მთავარი მოურავი გრაფისა.

აქაც დუელზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ლაპარაკი იმის შესახებ იყო თუ როგორ შეხედავდა ამას ხელმწიფე იმპერატორი. იუდენ, რომ ხელმწიფე ძალიან სწუხდა დედისთვის, უცელა დედაზე სწუხდა. უცელამ იყოდა, რომ თუმცა ხელმწიფე მწუხარებას გამოსოვნამდა, მაგრამ არ უნდოდა სასტიკი ყოფილიყო კეკლელის შესახებ, რომელ-მაც მუნდირის პატიოსნება დაიცვა. კეკლელი თანაგრძობას უცხადე-ბდენ პოზენს, რომელმაც მუნდირის პატიო დაიცვა; მხოლოდ გრა-ფინია ეკატერინე ივანოვნა წინააღმდეგი იყო და პოზენს ამტუშნებდა.

— დაიწყებენ ლოთობასა და მშვენიერ ახალგაზრდებს უსპობენ-სიცოცხლეს; არაფრის გულისთვის არ ვაპატივებდი, — სთვეა გრა-ფინიამ.



— სრულიად არაფერი არ მესმის,—სთქვა გრაფშა. პირადადობის

— ვიცი, რომ არას დროს არ გესმის ჩემი ლაპარაკი,—უთხრა გრაფინიამ და ნებლიულოეს მიუბრუნდა: — კუელას ესმის და ჩემ ქმარს კი არა. მე ვამბობ, განსცენებულ კამენსკის დედა ძალიან მეუკოდება-მეოქი, თორებ ის კი არ მინდა, რომ პოზენმა მოქელას და მით და-კიმყოფილდეს.

ამ დროს წამოდგა მისი ვაერ და გამოექომავა პოზენს. უზრ-დელის კილოთი დაუმტკიცა დედას, რომ პოზენს, როგორც იფიციერს, არ შეეძლო სხვატრივ მოქცეულიყო, რადგან, წინააღმდეგ შემოზვევა-ში, ამხანაგები პოლკოფებან გააგდებდენ. თუმცა ნებლიულოები ლაპა-რაკში არ ერეოდა, მაგრამ, როგორც იფიცირად ნამყოფს, კარგად ესმოდა ახალგაზრდა ჩარსკის საბუთები და თან მკელელ იფიციერს იმ ტუსაღს ადარებდა, რომელიც სატუსალოში ნახა და რომელსაც კაცის მკელელობისათვის კატორდა ჰქონდა გადაწყვეტილ.

ნებლიულოება უამბო მათ ეს შემოხვევა, პირველად გრაფინია-ეკატერინე ივანოვნა თითქოს დაეთანხმა, მაგრამ შემდეგ, როგორც ყველანი, ისიც დაშემტდა და ნებლიულოება იგრძხო, რომ თითქო რა-ლაც უზრდელობა ჩაიღინა.

საღამოზედ, საღილს შემდეგ, ვეუბერთელა დარბაზში, თითქო ლექციების კითხვას ეპირებიანო, ისე ჩამწყრივეს სკამები, შუაზე დასდგეს მაგიდა და რბილი სავარძელი. დღეს კიზივეტერს უნდა ექადაგნა.

მაყურებელნი თან-და თან ჰქონედებოდენ. ქრის კარებთან ძეირ-ფასი ეტლები იდგა. დარბაზში ისხდენ ძეირფას კაბებიანი ქალები და მათ შორის რამდენიმე კაცი სამოქალაქო და სამხედრო ტანსაცმელ-ში, ორი მეეჭოვე, მელუქნე, ლაქია და მეტლე.

კიზივეტერი, რომელსაც ჭალარა სამაოდ შერეოდა, მაგრამ მაინც მაგარის აგებულობისა იყო, ინგლისურს ენაზედ ქადაგებდა და შემდეგ მის ნათქვამს ახალგაზრდა სათვალებიანი ჭალი სთარებითა.

კიზივეტერი ამბობდა: ჩეენი ცოდვები ისე მძიმეა და იმიტომ ისეთი სასტიკი და აუცილებელია სასჯელი, რომ მის მოლოდინში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

— როცა მოვიგონებით, საყვარელნო დანო და ძმანო, ჩეენს ცხოვრების: რას ვაკეთებთ, როგორ ესტონერთ, როგორ ვაწვალებთ უოვლად მოწყალე ღმერთს, როგორ ვაწვალებთ ქრისტეს, ცხადად დაინიახეთ, რომ პატივება და სინა-კი არ მოგველის, არამედ და-ლუპევ ცველას! დიალ, დალუპევ, საუკუნო ტანჯვე მოგველის,— ამბობ-და ათროლებულის ხმით:— როგორ ვიხსნათ თავი, ძმანო? როგორ-



ერთობისა და თავი ამ საშინელ ცეცხლისაგან? ცეცხლში უკვე შეიწყოთ თავის...

კი ზედეტერი გაჩუმდა. მის კოტათი, ოღნავ დანაოცებულს ლოკებზე ცრემლები ჩამოდიოდა. რე წლის განპაელობაში ისე ქვეინდა განეპირებული ეს სიტუები, რომ, როცა დანიშნულ ილავს მიაღწიება, სუნთქვას მოუხშირებდა, ცხვირის ნესტოები ებრებოდა და ოვალუბიდან ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა ხოლმე. ცრემლებს უფრო მლელვარებაში მოჰყავდა იგი. გრაფინია ეკატერინე ივანოვნა პატარა მაგიდასთან იყო მიმჯდარი და მოლად სმენად გადაქცეულიყო. ხან-და ხან ოთახში მწარე ჭეითინი ისმოდა, მეტლე თვალიაქცეტილი მისჩერებოდა გერმანელს, თითქოს ელოდა, ეს არის ახლა დამეჯახებათ. ვოლფის ქალიშეილი უკანასკნელ მოდაზე იყო გამოწყობილი, დაიოქილი იდგა და ოვალებზე ხელები დაეფარებონა.

ორატორმა უცბად პირი დააღო და ნაზის, მიმზიდველის ხმით დაიწყო.

— არის ხსნა, ადვილი და სასიამოვნო! ეს ხსნა—სისხლია, რომელიც ჩეინთეის დაანთხია ერთად-ერთშა ძემ ლეთისამან და მისცა თავი სატანჯველსა, რათა დაეხსნა მთელი კაცობრიობა. იმისი სისხლი გვიხსნის ჩეინა, ძმანო და დანო,—დაიწყო ისევ ტირილის ხმით,—მაღლობა უცძლვნათ უფალს, რომელმაც ჩეინის დახსნისათვის თავისი პირშით ეს სატანჯველს მისუს. მისი წმინდა სისხლი...

ნებლიუდოვნა ეელარ გაუქმო ორატორის სისულელის მოღვას, ადგა და თავის თათაბისკენ ისე გაიპარა, რომ არავის არ გაუგია მისი გასცლა.

XVIII

მეორე დღეს, დილით, ის იყო ნებლიუდოვნა ტანთ ჩაიცვა და პირს ჩასცლას დპირებდა, რომ ლაქიამ შემოუტანა მოსკოვილ ვაჭილის ბაზათი. ვექილი თავის საკუთარ საქმისათვის ჩამოსულიყო პეტერბურგს და თანაც უნდოდა მასლოვას ქალის საქმის გარჩევასაც დასწრებოდა, თუ ადრე გაირჩოდა. ნებლიუდოვნის გაგზავნილ დეპეზას მისთვის აღარ მიესწრო. როცა ვაიგო ვექილმა, თუ როდის და ორმელი სენატორები გაირჩევდნ მასლოვას ქალის საქმეს, გაიღიმა და სთქვა:

— სწორედ, სამივე სენატორების ტაპები არიან: ვოლფი—პეტერბურგელი „ჩინოვნიერა“, სკოფოროდნიიკოვი—მეცნიერი იური-სტი და ბე—გამოცდილი იურისტი და ამიტომაც ცველაზედ უფრო

— ၁၀၊ დღეს წარალ ბარონ ვორობილეთან. გუშინ ვიყავი, მაგრამ არ მიმიღო.

— մալուստ քարցո, թա՛թ, ընտառ წայուղեր, մե մոցովոյանտ.

ଏ ରୂପ ଘର୍ଷଣା ଦ୍ୱାରା କିମ୍ବା ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି।

„Pour vous faire plaisir j'ai agi tout à fait contre mes principes, et j'ai intercéde auprès de mon mari pour votre protégée... Il se trouve que cette personne peut être relâchée immédiatement. Mon mari a écrit au commandant. Venez donc უანგვაროლ. Je vous attend. M^e.

— მაში, მე მიგიყვანთ, — უთხრა ეკქილმა, როცა გარედ გამოეიდნენ და მშვენიერო გრძლი კარგბს მოადაა.

35-იანმა უბრძანის შეეტლეს სიციაც უნდა წასულიყო და წუთიც
არ გასულია, რომ ვათქვირებულმა ცხენებმა მიაკენეს იმ სახლის კა-
რებს, რომელიც ბარონს ჰქიარა. ბარონი სახლში არ იყო. წინა ოთხა-
ში ახალგაზრდა მოხელე და ორი ქალი იჯდა.

— თქვენი გვარი? — დაეკითხა ის ნებლიუდოვა.

ნებლივულოვაშია უთხრა თავისი ვინაობა.

— ბარონშია ვითხია თქვენს შესახებ. ეხლავი!

აღისუტან გააღო და მეტილი კარები და გამოიყეანა იქიდან მტრირალი, შეიით მოსილი ქალი, რომელიც გამხდარის ხელებით პირ-ბადეს იყარებდა, რომ ურემლები და ემალა.

— მობრძანდით! — უთხრა ახალგაზრდა მოხელემ ნებლიულოვს, წყნარის ნაბიჯით მოუახლოედა კაბინეტის კარიბს, გააოთ და ვიზირო.

კაბინეტში მაგიდასთან იჯდა შუათანა ტანის ჩასკენილი, მოკლედ თმა-გაერეჭილი კაცი და კარებისაკენ მხიარულიდ იყორებოდა. ნებლიუდოვის დანახვაზე ალექსანდრ გაიღომა.

— ଲୋକାଦ ମିଳନରୀଙ୍କ ତଜ୍ଜ୍ୱରୀଙ୍କ ନାହେଁ; କୁର୍ର ଲୋକ ମେଘନପର୍ବତ ପାଶ୍ଚାତ୍ୟ ତଜ୍ଜ୍ୱରୀଙ୍କ ଲୋକିରୀଙ୍କ ଦେଇଲାବା. ଦୀଦିଶ୍ଵରପାଦିଶ୍ଵରାଙ୍କ ମିଳନକୁର୍ରାଙ୍କ ଦା ଶୈଥିଲୁଗାପ, ଅନ୍ଧାରପାଦିଶ୍ଵରାଙ୍କ ଦେଇଲାବା... ଏହା, ଲୋକରମାନଙ୍କର ଦା ମିଳନପାଦିଶ୍ଵରାଙ୍କ ଶୈଥିଲୁଗାପ ଗ୍ରହିଷ୍ଣାବୁର୍ବାରାଙ୍କ? ଲୋକ, ଲୋକ,—ଏହିମଧିଦା ଯି ଦା କୁର୍ରାଙ୍କରୀତିଲ ତାଙ୍କୁ ଶିଖିଲାଦ ଏକାନ୍ତର୍କର୍ମପଦା, ଲୋକ ନେବେଲାପର୍ବତରୀକ ଯାମିଳନପାଦା ତାଙ୍କରମାନଙ୍କରୀତିଲ



ამბავს.—სოქეიო, სოქეიო, მე ყველაფერი გავიგე. —დიალ, დიალ, მიშვიდან მიშვიდან თლაკ, რომ საზარელი ამბავია. თხოვნა შემოიტანეთ?

— თხოვნა მზადა მაქსი. —უთხრა ნებლიუდოვმა და ჯიბილვან ქალალდი ამოილო, —მაგრამ მინცოდა მეთხოვნა თქვენთვის, რომ ამ საქმისთვის განსაკუთრებული უურადლება მიგვეკიათ.

— ძალიან კარგადაც გიქნიათ. უეჭველად მე თვითონ მოვახსენებ, —უთხრა ბარონმა, რომლის სახეზედაც სიბრაილული აღიბეჭდა: — მეტის-მეტად სავრძნობელია. უთუოდ მაშინ ბავშვი იყო, ქმარი სასტიკად ეტკეოდა და იმიტომ ჩაუდენია ეს საქმე. შემდეგ ისევ ზეუყვარლათ ერთმანეთი... დიალ, უეჭველად მოვახერხებ!

— გრაფმა ივან მიხაილოვიჩმა სოქეა, ბარონს უნდა ესთხოვოთ.

ნებლიუდოვმა ამის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ ბარონს სახე შეიცვალა.

— უკელ შემთხვევაში, მიეცით თხოვნა კანცელარიაში და, თუ რამე შემეძლება, არ დავზოგავ.

ამ დროს ოთახში მანალგაშრდა მოხელე შემოვიდა.

— ის ქალი გიხოვთ თრი სიტყვა კიდევ ათქმევინოთ.

— მაშ დაუძახე... თვე, მეგობარო, რომ იკოდეთ, რამდენი ცრემლები იფრევევა აქ და ყველას მოწმენდა რომ შეიძლებოდეს, ხომ კარგი იქნება! იმას ვაკეთებოთ, რაც შეგვიძლიან.

შემოვიდა ქალი.

— დამავიწყდა მეთხოვნა, ნებჯ არ მისცეთ, რომ იმას მისცეს ქალი, თორემ ყველაფერზე...

— აյი გითხარი, რაც შეიძლება, ყველაფერს მოვახერხებ-შეთქი!

— ბარონ! ლვის გულისათვის, იხსენით დედა!..

მივარდი, გამოსტაცი ბარონს ხელი და კოცნა დაუწყო.

— ყველაფერს გვიაკეთობ.

როცა ქალი გავიდა, ნებლიუდოვიც გამოიხოვა.

— რაც-კი შეგვიძლიან, ვეცდებით. შევეკისხებით იუსტიციის სამინისტროს. ისინი გვიპასუხებენ და მაშინ, როგორც მოსახერხებელი იქნება, ისე მოვიკეციოთ.

ნებლიუდოვი გავიდა.

XIX

ეს კაცი, რომელზედაც დამოკიდებული იყო პეტერბურვის სატუსალოების პატიმართა ყოველგვარი შელავითი, ორდენებით იყო დატვირთული, მაგრამ, გარდა თეთრის ჯერისა, არც ერთს არ ატარებდა; დამსახურებული, მაგრამ, როგორც ამბობდენ, გამოტვინებუ-



ლი მოხუცი გენერალი იყო, გერმანელ ბარონთა შთამომაწყლობისთა: წინად მსახურებდა საქართველოში, სადაც ის თეთრი ჯვარი მიიღო, შემდეგ პოლონეთში, სადაც ის აიძულებდა რუს გლეხებს ჩაედინოთ ბოროტება, რისთვისაც მიიღო ორდენი. და კიდევ საფლაც, და ახლა-კი ის ადგილი ჩაეგდო ხელში, რომლის მეოთხებითაც პეტონდა მშვე-ნიერი სადგომი, თავზედ საყრელი ჯამაგირი და პატივისცემა. უმა-ლლეს მთავრობის აკველვად მოწერილობას სასტუკად ასრულებდა და ძეირად აფასებდა; მოწერილობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა და, მისი აზრით, მთელს ჰევიანაზე ცველაფრის შეცვლა შეიძლებოდა და ამ მოწერილობებისა კი არა. მის მოვალეობას შეა-დგენდა ის, რომ შეენახა სატუსალოებში პოლიტიკური ტუსალი კაცები და ქალები და ისე ინახედა მათ, რომ 10 წლის განმავლობაში ნახევარი მათგანი იღუპებოდა, ზოგი ჰქუაზე სცდებოდა, ზოგი ჰლუ-ქით კვდებოდა, ზოგი თავს იყლავდა: შიმშილით, შეშის ნაჭრით ძარღვების დაჭრით, ჩამოხრიბით და დაწევით.

ძეელმა გენერალმა ცველაფერი ეს იცოდა, ცველაფერი მის თვალ წინ ხდებოდა, მაგრამ ეს ამბივა ოდნავადაც მოვლენას არ ახდენდა მის მიძინებულ სინდისზე, ისე როგორც სტიქიური უბედულებანი და-სეტყვა, წყალდიდობა და სხვ.

ცველა ეს ამბავი ხდებოდა ხელმწიფე იმპერატორის სახელით უმაღლეს მოწერილობის ასრულების გამო. ეს მოწერილობები აუკა-ლებლად უნდა ასრულებულიყო, ამიტომ მის შედეგზე ფიქროც კი ჰე-მეტი იყო. ძველი გენერალი თავის თავს ნებას არ აძლევდა ეფიქრა ასეთ რამეზე, რადგან თავის პატრიოტულ—ჯარის-კაცულ მოვალეო-ბად სთვლიდა არ ეფიქრა, იმიტომ, რომ სისუსტე არ გამოეჩინა, მისი აზრით, ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვალეობის ასრულების დროს.

იმ დროს, როცა ნებლიუდოვი დაუხალოვდა იმ ადგილს, სადაც მოხუცი გენერალი სცხოვრობდა, კოშკის საათმა ჯერ ერთი საექვე-სიო საგალობელი ჩაიგაენა და შემდეგ ორი დაპერა. როცა ნებლი-უდოვი მიადგა გენერალის სასახლის კარებს, ვენერალი და ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც მისი ხელვევითის ძმა იყო, ისწდენ თათხში და ქალალზე ლამბაქს ატრიალებდენ. მხატვარს თავისი ნაშ და ფა-ფუკ ხელის თითები გენერალის გამზარ ხელის თითებში გაეყარა და ისე ატრიალებდენ ლამბაქს ქალალზე, რომელზედაც მთელი ანბანი იყო დაწერილი. ლამბაქს პასტი უნდა მიეცა გენერალისათვის იმაზე, თუ როგორა სცნობენ სულები ერთმანეთს სიკედილის შემდეგ.

იმ დროს, როცა მოსამსახურებ ნებლიუდოვის ბარათი შეიტანა, ეანნა დ'არკის სული ლაპარაკობდა. ეანნა დ'არკის სულმა ცკვდ შემ-

დეგი სიტყვები გამოიყვანა ასოცირდან: „იუნობენ ერთი-მეორეს“—ო. ეს მაშინვე ჩასწერეს. როცა მოსამსახურე შემოვიდა, ლამბაქი ერთხელ ასო „პ“-ზე გაჩერდა, მეორედ „ო“-ზე, შემდეგ მივიდა „ს“-ზე გაჩერდა და ქანობა დაიწყო. ქანობდა იმიტომ, რომ, გენერალის აზრით, შემდეგი ასო „ლ“-ი უნდა ყოფილიყო, ესე იგი კანკა ღარეს უნდა ერქვა, რომ სულნი ქვეყნიურ ყოველგვარ ცოდვათა განწყენდის „შემდეგ“ (*"Hoc.eae"*) იუნობენ ერთმანეთსათ. ამიტომ შემდეგი ასო „ლ“ უნდა ყოფილიყო, რომ გამოსულიყო სიტყვა „*Hoc.eae*“ (შემდეგ). მხატვარის აზრით კი, შემდეგი ასო „ლ“-ი არა, „პ“-ი უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ სული ამბობდა: სულნი ერთმანეთს იუნობენ „ხინათლეზე“ (*"no esetum"*), რომელიც სულების ეფირულ სხეულისაგან გამოვაო. გენერალმა წარბეგი შეიჭმუხენა, წარმოილებია, კათომ ლამბაქი თავისთავად ტრიალებსო, და მიათრევდა „ლ“-სკენ, ახალგაზრდა მხატვარი კი „პ“-სკენ მიიწვედა. გენერალმა კოქები შეიკრა, რადგან ხელი შეეშილეს, წუთის შემდეგ აიღო ბარიათი, გაიკეთა „prince nez“ (სათვალეები) და წამოდგა ძელების ფშვნეტით.

— კაბინეტში მიიწვეი...

— ნება მომეცით, თქვენი აღმატებულებაც, მარტო მე დავისარულო, — უთხრა მხატვარი და წამოდგა.

— კარგი, დაასრულეთ. — უთხრა გენერალმა და თავის დაძაბუნებულის ფეხებით გავიდა კაბინეტიდან.

— ძლიერ სპიაიონოა თქვენი ნახვა, — უთხრა გენერალმა ნებლიუდოვს და საჭერ მაგიდასთან მღვარ საერთელზე მიუთითა, — დიდი ხანია, რაც ჩამოგრძნილია?

— არა, დიდი ხანი არ არის.

— დედა თქვენი ხომ კარგად არის?

— დედამიში კარგა ხანია გარდაიცვალა.

— უკაცრავად! სწორედ რომ ძალიან სამწუხაროა. ჩემმა შეიღმა მითხრა, თავად ნებლიუდოვს შეეხდიო.

შეიღმა ისეთისაც მიმართულებისა იყო, როგორც მამი-გენერალი, და სკელილობდა ისეთიც ადგილი ეწოვნა, როგორიც მამას ეჭირა და იმით კიდეც ამაყობდა.

— მე და მამა-თქვენი ერთად ეყიყავით სამსახურში; დიდი მე-გობრები ეყიყავით.. თქვენ ხომ სამსახურში ხართ?

— არა!

გენერალმა უქმაყოფილოდ გაიქნია თავი.

— თქვენთან სახოვარი მაქს,— უთხრა ნებლიუდოვმა.

— ძალიან მოსარული ვარ. რითი შემიძლიან გეშსახუროთი?



— თუ ჩემი თხოვნა უადგილოა, გთხოვთ მაპატიოთ.

— რა იმზადია?

— თქვენ დაპატიმრებული გყავთ ვიღაც გურული ჩინი. იმისი დე-
და გთხოვთ, რომ შეილის ნახევის ნება მისცემ და, თუ ეს ორ შეი-
ძლება, წიგნების გადაცემის ნება მაინც დართოთ.

ამ სიტუაციაში არაფითარი გავლენა არ იქმნია გენერალზე;
კისერი განხე მოიგრიხა და თვალები დახუჭა, თითქოს დაფიქრდოთ.
ნამდეილად კი არათერზე არა ჰფიქტობდა, რადგან კარგად იცოდა,
რა პასუხსაც მისცემდა. ამ დროს მხოლოდ გონიერით ისევნებდა და
არაუერზე არა ჰფიქტობდა.

— თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ეს ჩვენგან არ არის
დამოკიდებული, — სოქვა ცოტა შესეენების შემდეგ: — ნახვის შესახებ
უმაღლესი განაჩენის დადგენილი და, რაც იქა სწერია, შეიძლება
ასრულდეს, რაც არა — არა. რაც შეეხება წიგნებს, ჩვენ თვითონ ბევრი
წიგნები გვაქვს და, რაც ნებადართულია, იმის აძლევენ.

— დიალ, მაგრამ იჩას სამეცნიერო წიგნები უნდა. სურს იმე-
ცადინოს.

— ნე დაიჯერებთ მაგას! — გენერალი უცბად შექრდა: — სამე-
ცადინოდ კი არა, ის არ გინდათ? ეს მხოლოდ იმათის მოუსდენრო-
ბის ბრალია, სხვა არათერ!

— როგორ შეიძლება? რომ ჩითიმე არ გაერთოს, ყოვლად შეუ-
ძლებელია, ასეთ საშინელ ვითარებაში ყოფნა...

— მუდამ ჩიციან თავითანთ მდგომარეობაზედ. ყევლას ძალიან
კარგად ვიცნობთ!

ისე ლაპარაკობდა პატიმართა შესახებ, როგორც რაღაც განსა-
კუთრებულ ჯიშის ხალხზე.

— ისინი იქ ისე მშვენიერად არიან მოწყობილნი; რომ ძნელად
შეხედება კაცი სხვა საპატიმოროში, — განაგრძო გენერალმა.

მოჰყევა და, თითქოს თავის გასმართლებულად, დაწერილებით
აუწერა ნებლიუდოვს, თუ როგორ კარგად ინახავენ პეტერბურგში
ტუსალებს, თითქოს ამ დაწერის გული უმთავრესი დანიშნულება ის
იყოს, რომ კარგი ბინა მოაწყონ პატიმართათვის.

— წინად, მართალია, ძალიან ცუდათ ეპურობოდენ, მაგრამ ახ-
ლა სულ სხვაა... ისე ინახავენ, როგორც ბატონებს. ყოველ დღე სამ
კურას აძლევენ, ერთი მუდამ ხორციელია — კატლეტი ან სხვა ასმე-
კვირა-უქმე დღებში კი მეოთხესაც აძლევენ — ტბილეულობას. ისე
ინახავენ, რომ ღმერთმა ყველა რუსს მისცეს შეძლება ისე თავის შე-
ნახევისა.



როგორც ბებერ კაცებსა სჭირო ხოლმე, რაკი ერთხელ დამატებულ გენერალმა, მოჰყვა ყველა იშის განმეორების, რაც არა ერთხელ უთქმების ტუსალების უსაბუთო საყველებრის გამო.

— წიგნებს სასულიერო შინაარსისას აძლევენ და კიდევ ძველ უწერნალებს. ჩვენ შესაფერ წიგნების ბიბლიოთეკა გვაქვს, მაგრამ ტუსალი იშვიათად პეითხულობრივ. პირველად, თითქოს ებილისებათ, ხოლო შემდეგ კი ახალი წიგნები ნახევრამდე მთლიად გაუკრელი რჩება და ძველის წიგნების ფურცლები კი გადაუშლები. ჩვენ კიდეც გამოიყენადეთ, — სოქეთა ლიმილით გენერალმა: განგებ ქალალდი ჩაუკარგეთ წიგნში. ეს ქალალდი ისევ ხელუხლებელი რჩებოდა ხოლმე. წერაც შეუძლიანთ, რამდენიც უნდათ: ასპილის დაუასა და გრიფელს აძლევენ და, რაც უნდათ, ისა სწერონ გასართობად. შეუძლიანთ წაშალონ და ისევ დასწერონ, მაგრამ მაინც არაფერსა სწერენ. არა, ჩქარა დამშევიდდებიან. პირველად უჭიროთ და შეფოთავენ ხოლმე, თორემ შემდეგ კიდეც სუქდებიან და სიდინჯე ემატებათ, — ამბობდა გენერალი.

ნებლიუდოვი ისმენდა ჩახრინწიანებულ ლაპარაკის, პერდავდა მისს ვაძეალტყავებულ სხეულს, მიმქრალ თვალებს, მოპარსულ თაქს, თეთრ წევერს, მის თეთრ ჯვარს, რომლითაც ამაყობდა ეს კაცი, უმეტესად—კი იმით, რომ ეს მან მიიღო სასტიკი მოპურობისა და ხალხის ხოცვისათვის და დაწერუნებული იყო, რომ იმასთან ლაპარაკი და სიტყვების ჩიშენელობის ახსნა უსაფუძვლო იყო. შეეკითხა ტუსალ ქალის შესტოვის შესახებ, რომელიც დღეს გაიგო, უნდა გამოიშვათ, თანაბმად ბრძანებისა.

— შესტოვა? შესტოვა... არ მახსოვეს ყველას სახელი. ბევრნი არიან, სად დაიიძსომო ყველანი! — სოქეთა გენერალმა, თითქოს საცეცლრით ამობდა, გამრავლდენ ტუსალებით.

გენერალმა ზარი დააწეარუნა და მწერალი მოითხოვა.

სანამ მწერალი შემოვიდოდა, მამაშევილური დარივება მისკა ნებლიუდოვს, სამსახურში შედითო, რადგან, მისი აზრით, ყველა პატიოსანი ადამიანი უშეველად სამსახურში უნდა იყოს, იმიტომ, რომ ასეთი პატიოსანი კაცება სჭირია სამშობლოსათ.

— მე თუმცა მომუცი ვარ, მაგრამ, რამდენადაც შემიძლიან, კუმსახურები სამშობლოს.

შემოვიდა გამხდარი მწერალი და მოახსენა, შესტოვის ქალის შესახებ არაფერი ქალალდი არ არის მიღებულიონ.

— როგორც კა მივიღებთ, მაშინეუ ვგზავნით, რადგან ძალიანაც არ გვეხალისება, რომ ციხეში ეყარონ... მშვიდობით, მეგობარო, —



სოქეა გენერალმა: — ნუ დამიეციშვებთ. რაღდან მიუვარხაჩო, გერეს ეით, ნურავითარ კაეშის ნუ იქონიებთ იმ ხალხთან, რომელიც კი-ხეშია დიპატიმრებული. არ დაჯეროთ, ვითომც ისინი უდანაშაულონი იყენ... არა, ნამდვილად გარეუნილი ხალხია. ჩვენ კარგად ვიცნობთ ჟეფელის, — სოქეა გადაჭრილის კილოთი. მას მართლაც ეჭეი არ შესდიოდა ამაში, არა იმიტომ, რომ ეს ასე იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მას უნდა ელევარებინა თავის თავი არა პატივსაცემ გმირად, რომელიც ლირსეულად ათავებდა თავის სიცოცხლეს, არამედ არამზადად, რომელმაც გაძიყი-და და მოხუცებულობის ფაშიაც განაგრძობდა თავის სინდისის გაყი-დვას. — ცველაზე უურო კარგი ის იქნება, რომ საშიახურში შეხეიდეთ. ხელმწიფეს პატიოსანი ხალხი უნდა... და სამშობლოსაც, — დაუმატა მან: — ამა, მე, შენ და სხეას რომ არ გვემსახურნა, ვინდა იმსახუ-რებდა? ჩვენ ახლანდელი წეს-წყობილება არ მოგვწონს, საყედურს ვაცხადებთ და ის კი არა გვსურს, რომ დაბშარება გაეუწიოთ მთავ-რობას.

გენერალმა უქმაყოფილოდ გაიქნია თავი და ისევ სასტუმრო ოთახისკენ გასწია, სადაც ელოდებოდა მხატვარი, რომელსაც ფანნა ფარეკის სულის მიცემული პასუხი კიტეც დაეწერა. ჭენერალმა გაი-კეთა სათვალეები და შემდეგი წაიკითხა: „იცნობენ ერთმანეთს „სინათლეზე“, რომელიც ეფიორულ სხეულიდან გამოდის“.

— ააა! — ქმაყოფილებით წამოიძახა გენერალმა და თვალები დახუჭა. — კარგი, მაგრამ როგორ გაარჩევთ, თუ კი ცველის ერთნაირი სინათლე აქვს? — ჰეითხა, ისევ თითები თითებში გაუყირა მხატ-ვარსა და შეგიღას მიუჯდა.

ნებლიუდოვის შეიტლე კარებს მოადგა.

— ძალიან მოწყინდა ლოდინი, ბატონო, — უთხრა ცეკვტლები ნებლიუდოვს, — ეს იყო, კიდეც ვაპირებდა წასელის.

— დიღლ, ცველგან მოწყინილობაა, სხეა არაფერი! — დაეთანხმა ნებლიუდოვი, ლონიერად ჩაპულაპა წმინდა ჰაერი და თვალები მიაპ-ურო კუპრივით შავ ლრუბლებს, რომელიც ელვის სისწრაფით მისირია-ლებდენ ცის სივრცეში.

XX

მეორე დღეს მასლოვას ქალის საქმე უნდა გაერჩიას და ამი-ტომ ნებლიუდოვი სენატში წავიდა. სენატის დიდებული შენობის კარებთან შეხედა ვერებილს. ორივენი აპვენ ვეებერთელა მშვენიერ კიბეს და ავიდენ მეორე სართულში. ვექილმა კარგად იკოდა კველა



კუნკულები და პირდაპირ მარცხნივ კარებისკენ წავიდა, რომელშეც ცი-
ამოცრილი იყო სასამართლოს წესების შემოღების თარიღი: წელიწა-
დი, თვე და რიცხვი.

ფანარინშია გითხადა პალტო პირველ ოთახში, როცა მეკარესგან
გაიგო, სენატორები უკეთ შეიქრიბენო, და ფრაკით მხიარულად შე-
ვიდა მეორე რთახში, სადაც მარჯვნივ იდგა დიდი შეაფი, შემდევ
მავიდა და პეტრებნივ პატარა რეინის კიბე იყო, რომელზედაც ამ
დროს ჩამოდიოდა წარმოსალების შეხედულობის მოხელე პორთფელით
იღლიაში. ყველა იქ მყოფთ ყურადღება მიიქცია პატრიარქის მსგავს
სახის მოხუცემა, რომელსაც გრძელი თეოტი თმა მხრებამდე სწოდებო-
და, ფიჯავი და ნაცრის ფერი შარვალი ეცეა და გვერდით მოსამსა-
ხურე ედგა; ყველანი მოწიწებით მისჩერებოდენ. მთლიად გათეოტე-
ბული მოხუცი შეძერა შეაფში და დაიმილა. ამ დროს ფანარინშია
თვალი მოჰქია ერთ თავის მხანაგ ევეკილს, მივიდა მასთან და ლა-
ბარავი დაუწყო. ნებლიუფლები კი ისევ იქვე იდგა და ოთახში მყოფთ
ათვალიერებდა. ოთახში 15-მდე მაყურებელი იყო, მათ შორის ორი
ქალი — ერთი ახალგაზრდა და მეორე ჭალარა-შერთული. ამ დღეს
ბეჭდეოთი სიტყვით ცილის წამების საქმე იჩერებოდა და ამიტომაც
ჩვეულებრივზე მეტ ხილს მოექარა თავი. ყველანი თითქმის ლიტერა-
ტურის თაყვანისმცემელნი იყვნენ.

ფანარინთან მივიდა გაპენტილ ბამბისაებით თეოტისა და ლამაზ
მუნდირში გამოწყობილი სასამართლოს ბოჭაული და შეეკითხა, რა
საქმისთვის ხართო, და როცა გაიგო, რომ მასლოვას საქმეზე იყო,
რაღაც ჩასწერა ქალალზე და გაბრუნდა. ამ დროს გაიღო შეაფის
კარები და გამოძერა პატრიარქის მსგავსი სახის მოხუცი, მაგრამ ფა-
ჯავში კი არა, ბრწყინვალე მუნდირში გამოწევილი; მუნდირი თით-
ქო ამ ბებერსაც ეხამუშებოდა და ამიტომ ჩქარის ნაბიჯით გაეიდა
პირდაპირ კარებში.

— ეს სენატორი ბე არის, კაცი ყოველად პატიოსანი და სინა-
დისიერი, — უთხრა ფანარინშია ნებლიუფლები, შემდევ გააცნო თავისი
ამხანაგი და მოუყე იმ საყურიდღებო ამბავს, რომელიც დღეს ირ-
წეოდა.

საქმის გარჩევა ჩქარა დაიწყო; ნებლიუდოვი შევიდა სხვებთან
ერთად მარტხნა კარებით სხდომის დარბაზში.

სენატის სხდომის დარბაზი ისლქის სასამართლოს დარბაზზედ
ნაკლები იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მშეენიჭრად იყო მორთული და,
გარდა ამისა, განირჩეოდა იმით, რომ მივიდა, რომლის გარეშემოკ
სენატორები ისხდენ, მწვანე მაულით კი არა, როგორც ისლქის სასა-



მართლოში, არამედ მშენების მაყვალის ფერის ხავერდით იყო და-
ფარული. დანარჩენი მორთულობა ისეთივე იყო, როგორც თლქის
სასამარტოოში.

როგორც იქ, აქაც ისე რიხიანის ხმით გამოაცხადა სასამართლოს ბოქიულმა: „სასამართლო მოდის“-ო, აქაც კვლანი ფეხშე დაგენ. შემოვიდენ სენატორები ბრწყინვალე მუნდოირებით, დასხდენ მაღალ სავარძლებშე და ისე, როგორც ოლქის სასამართლოში, კურდნობოდენ მაგიდას და თავს ძალას ატანდენ, რომ ბუნებრივი სიხე მიეღოთ, როგორც ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები იქცეოდნენ.

სენატორები სულ თოხი იყო. თავმჯდომარე ნიკიტინი — წვერ-მოპარსული, პატარი პირსახისა და მიმინოს შეგვეს თვალებიანი, კოლფი — მოპუშქულის ტუქჩითა და თეთრის ხელებით, რომელითაც საქმის ქაღალდებსა პუშქულავდა; შემდეგ სკოცორიდნიკოვი — ზორ-ბა ტანისა, ნაყვავილევი, ნამდვილი იურისტი, და მეოთხე — ბე, თვითის პატრიიარქის მსგავსი სახის მოხუცი, რომელიც ყველაზე ბოლოს მოედიდა. სენატორების შემდეგ გამოვიდა უფროსი მდივანი და მთა-ვარ-ბრაზმდებლის ამხანგი. თუმცა ნებლიუდოვს ეს უკანასკნელი დიდი ხანია არ ენახა და ბრწყინვალე მუნდირში იყო გამოწევილი, მაგრამ მაინც იცნო ერთი თავის საუკეთესო მევობარი სტუდენტობის ფრთხისა.

— მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგი შესენინია? — დაეკითხა ვი-

— ପ୍ରକଟନ, କୁଳ ଜ୍ୟୋତି?

— ဒေါက်မြန်မာ ပြည်သူတေသန၊ စာမျက်နှာလုပ်တော် ဖော်ပြုခြင်း။

— და მთავრობის ბრალმდებლის კარგი ამხანაგიც ირის, საქმის მოყვარე კაცია. ის, ამისთვის რომ ვეთხოვნათ, კარგი იქნებოდა — უთხრა ფინარინბა.

— ყოველ შემთხვევაში, სინიდისიერად მოიქცევა, — სოქეა ნებ-ლიუდოვიმა, როცა მოიგონა იმასთან ახლო დამოკიდებულება და მეგობრობა და თან როცა მისი წმინდა ლირსეული თვისებანი ჭარ-მოულგა თვალ-წინ.

— მალა დროიც აღარ არის, — წახსუნებულა ფანარინშა და
მთლად სმენად გარდაიქცა, რადგან საჭმის გარზე უკეთ დაიწყო.

ნებლიუდოვნა ყური დაუგდო და სკრილომდა გაეგო რაც მის თვალშინ ჰედებოდა, მაგრამ როგორც ოლქის სასამართლოში, ისე აქაც, უმთავრესი მიზეზი გაუგებრინდისა ის იყო, რომ იმაზედ კი არა ლაპარაკობდენ, რაც უმთავრესი იყო ამ საქმეში, არამედ სულ უ-

რალო სხვა რამეზე. რომელიც სრულიად საგანს არ შეეხებოდა. საქ-
 მე შეეხებოდა განეთში დასტამბულ წერილს, რომელშიაც ერთ სა-
 იქციონერო ამხანაგობის თავმჯდომარის სიყალბე იყო გამოქვეყნე-
 ბული. საქმის უმთავრესი აზრი ის იყო, რომ სააქციონერო საზოგა-
 დოების თავმჯდომარე მართლა სხარცუავდა თავის რწმუნებულთ თუ
 არა და ან რა საშუალება იყო საჭირო იმის ასალადმაცად, მაგრამ
 ამის შესახებ კრინტიკუ არ დაუძრავთ. ლაპარაკი მოილოდ იმას შე-
 ეხებოდა, ჰქონდა თუ არა გამომცემელს ნება დაებეჭდა წერილი თა-
 ვის გაშეოთხი და ან რა დანაშაულობა ჩაიღინა ამ წერილის დაბეჭ-
 დვით — დიფუამაცია თუ ცილის წამება დიფუამაციასაო. კიდევ რალაც
 უმნიშვნელო საგნებზე ჰქონდათ ლაპარაკი: სხვა და-სხვა წერილებ-
 ზე და რომელილაც დეპარტამენტის გარდაწყვეტილებაზე.

ერთმა შემთხვევიდ განცემურებაში მოიყანა ნებლივდოები.

ვოლფი, რომელიც გუშინ არწმუნებდა, რომ სენატი არ შედის
 საქმის არსებითად განხილვაშიო, დღეს-ვი მოიახოვდა მოხსენების
 დროს პალატის განაჩენის გაუქმებას. ამ დროს წამოლგა სელენინი
 და, თუმცა მუდამ თავდაპირილი და წყნარი იყო, მაგრამ გაცხარებით
 წარმისათხევი წინააღმდეგი აზრი. სელენინის ასეთი გაცხარება იმან
 გამოიწვია, რომ კარგად იყნობდა სააქციონერო საზოგადოების
 თავმჯდომარეს, როგორც გარუცნილა და ოქროს მოყვარულ კაცს,
 და თანაც შემთხვევით გაიგო, რომ ვოლფი წინი დღით, საქმის გარ-
 ჩეებდე, ამ კაცთან ყოფილიყო მშვენიერ საღილზე მიპატიუებული.
 ახლა, როცა ვოლფმა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარის
 მხარე დაიკირა, ისე გაუსარდა სელენინი, რომ წინააღმდეგი აზრი
 გამოსთხვა. შეურაცხყოფა მიაყენეს ვოლფს, რომელიც მოუსვენრად
 იჯდა სკამზე, საცოდავად იგრიშებოდა და დაღონებულის სახით გა-
 ვიდა სხვა სენატორებთან ერთად სათათბირო დარბაზში.

— თქვენ განსაკუთრებით რომელ საქმისთვისა ხართ? — ხელა-
 ლა შეეკითხა სასამართლოს ბოქაული ფანარინს, როცა სენატორები
 გავიდნ.

— უკვე გითხარით, მასლოვას ქალის საქმის თაობაზედ გარ-
 მეოქი.

— ჰორო! დღეს განიხილავენ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ეს საქმე თხოთავე მხრის დაუსწრებლად უნდა გარჩეულიყო
 და ამიტომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ სენატორები, მდონია,
 აღარც-ენ გამოცლენ, მაგრამ... მოვახსენებ.



— Ի՞նչո՞ւ?

— მე მოვახსენებ, მოვახსენებ.

სენატორები მართლაც ასე დაიღვედენ. ცილის წამების საქმის განაჩენის გამოცხადების შემდეგ დანარჩენი საქმეები და, მათ შორის მასლოვას ჭალის საქმეები, ნიკია და პაპიროსის შეკცევის დროს უნდა გაერთიანოთ, ისე, რომ სათათიძრო ოთახიდან არ გამოსულიყოდა.

XXI ✓⁴

როგორც კი სენატურები მისუსტენ მაგიდის სათაოშირო ოთახში, მაშინვე წამოდგა ვოლფი, დაიშვი ისევ გაცხარებით ლაპარაკი და დაეინებით თხოულობდა, საქმე უკან დაებრუნებიათ. პალატაში და ხელიხლა განეხილათ.

თავმჯდომარე, ბუნებით სასტუკი, ახლა ძალიან ცუდ გუნდებაზე
იყო. უკვე სხდომის დარბაზში შეადგინა თავისი აზრი, თუ როგორ
დაეპოლოვებინა საქმე, ახლა-კი იჯდა, ფიქრებში იყო გართული და
კოლფის ლაპარაკები ყურას არ უგადებდა. პფიქრობრა იმაზედ, რაც
გუშინ თავის დღიულში ჩიტერა ველიანოვებულ და არა მისი დანი-
შვნის შესახებ იმ წარჩინებულ აღგილზე, რომელსაც დიდი ხანია
კლოდა. თავმჯდომარე ნიკიტინი გულწრფელად იყო დარწმუნებული,
რომ მისი მსჯელობა პირველ ორ კლასის მოხელეებზე, რომლებთანაც
სიქმე და მიწერ-მოწერა ჰქონდა, საყურადღებო საისტორიო მისალა
იქნებათ. გუშინ დასწერა ცრით თავი და სასტუკად შეეხო ზოგიერთ
პირველ ორი კლასის მოხელეებს, იმიტომ, რომ ხელი შეუშალეს დაე-
ხსნა რუსეთი დალუპევისაგან, ნამდევილად კი იმიტომ, რომ ხელი შეუ-
შალეს მიეღო ახლანდელზე მეტი ჯამიერი; ახლა იმის ფიქრში იყო,
რომ ეს ნაწერი დიდი და ძვირფასი განძი იქნებოდა მომავალ თაო-
ბისათვის, როგორც საისტორიო მისალა, რადგან ეს თაობა სულ
სხვანაირად გააშენებოდა ამ ამბებს.

— დიალ, რასაკეირეცელია, — თუმცა არ უსმენდა, უპასუხა მაინც ვოლოც.

ბე დალერემილის სახით უგდებდა ყურს კოლფს და ქალალზე გირლიანდებს ჰატუვდა. ბე ნამდეილი ლიბერალი იყო, ერთგულად იყავდა მესამელე წლების ტრადიციებს და თუ ხანდისხან გადაუხევდა, ისიც ლიბერალიზმისკენ. დღვენდელ შემთხვევაში კი, გარდა იმისა, რომ ბემ კარგად იკოდა, ვინც იყო სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარე, საჩივრის უყურადღებოდ დატოვების მომხრე იყო კიდევ იმიტომ, რომ საჩივრი უურნალისტნე, რომელსაც კილის წამიბას აბრიალებორ, ბეჭედითი სიწყიდის თავის სიტონი შემთხვევლი



იყო. ოოცა ვოლფმა გაათავა სიტუაცია, ბეჭმენი გირლიანდის დახმარევა ვერც კი მოასწრო, წამოდგა და წყნარიად, ტემპილის ზმით დამტკიცა საჩივრის უსაბუთობა და ითხოვა უყურადღებოდ დაეტოვებინათ; გაათავა სიტუაცია, დაჯდა და ხატევა განივრდო.

გაათავა ბეჭმენი სიტუაცია თუ არა, წამოდგა სკოეოროგნიკოვი, ოოცელიც ნაზად იშიტკნიდა წვერს, და სთქვა: მეც ივან სემიონინის აზრისა ვარ ამ საგანშიო, რადგან საქმე არ იყო საქმიოდ დასაბუთებული და საკირო არ იყო ხელ-ახალი განხილვა. თავმჯდომარეც სკოეოროგნიკოვის მიემსრო და საქმე მათგა სასაჩერებლოდ გადასწუდა, ე. ი. გადასწუვიტეს უყურადღებოდ დაეტოვებიათ.

ვოლფი ძლიერ უქმაყოფილო დარჩია საქმის ასე დამოლოვებით და უშერესად კი იმისი, რომ იკრძნო, თუ როგორ დაიჭირეს უსინდილის საქციელში, მაგრამ ეს არც-კი შეიმჩნია, გადაშალა მასლოვას ქალის საქმე და თითქოს აქ არაფერი ამბიციათ, დაიწყო კითხვა. სენატორებმა ზარი დააწერარუნეს, მოითხოვეს ჩაი და დუელის შესახებ მუსაიტი დაიწყეს. ამ დროს შემოვიდა სასამართლოს ბოქაული და მოახსენა, ნეხლიუდოვნა და ვექილს საქმის გარჩევაზე დასწრება უნდათო.

— ეს საქმე მთელი ოომანია, — სთქვა ვოლფმა და მოუყენ სენატორებს, რაც კი იცოდა ნეხლიუდოვნა და მასლოვას ქალის დამოკიდებულებაზედ.

ჩაის შემდეგ სენატორები გამოიიდნ სხდომის დარბაზში, გამოაცხადეს პირეელ საქმის განაჩენი და მასლოვას ქალის საქმეს შეუდგენ.

ვოლფმა დალაგებით წაიყითხა მოხსენება მასლოვას ქალის საკასაციო საჩივრისა და აქცი, თუმცა მთლად კერძოობა არ ემნინოდა, მაგრამ იშეარად სჩინდა, რომ ძალიან მონდომებული იყო სასამართლოს გადასწუყილება გაუქმდებულიყო.

— გაქვთ კადეც რამე სათქმელი? — მიმმართო თავმჯდომარემ ფანარინს.

ფანარინი წამოდგა და ნათლად დამტკიცა, თუ რა უკანონობა ჩაიდინა სასამართლომ ამ საქმეში. როგორ დაარღვეის კანონის ექვისი მუხლი და მოკლედ თეთო საქმის ვითარებაც აუსწნა. ფანარინი თავის სიტუაციაში ბოდიშს იხდიდა სენატორების წინაშე, გაწუხებოთ და, თუმცა ბატონი სენატორთ თავითოთის გამჭრიახობითა და იურიდიულის სიბრძნით უფრო კარგად შექმლიანთ ცეკლაფრის დანახევა და გაგება, მაგრამ იმიტომ მოვახსენებთ, რომ იმის თხოვლობს ჩემგან ნაკისრი მოვალეობათ. ფანარინის სიტუაციის შემდეგ კაცს ეკონებოდა,

სენატი უცხოლად გააუქმებს სასამართლოს გარდაშეყვეტილებასთან. ფანარინი დაჭდა და სიმოვნებით გაიღიმა. ნებლიუფოვს ამ ღომილმა იმედი აღუძმა გულში, მაგრამ გადახედა თუ არა სენატორებს, იმედი უცბად გაუქრა. სენატორებსა და მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგს ისეთი ჩეველებრივი ციფი სახე ჰქონდათ, რომელიც აშკარად ამბობდა, თუმცა თქეენისთანა ვექილებისგან არა ერთხელ გვამენია ასეთი მცენრმეტკვლერი სიტყვა, მაგრამ საქმის მოვების იმედი მაინც ნუ გვექნებათო. ვექილის სიტყვის გათავების შემდეგ თავმჯგდომაზე მთავარ-ბრალმდებლის ამხანაგს მიუბრუნდა. სელენინბა მოკლედ და გარკეევით გამოსთხვა თავისი აზრი, რომ საქმე უყურადლებოდ დაეტოვებინათ, რადგან საქმაო საბუთები არ იყო. შემდეგ მისა სენატორები წამოდგენ და გავიცნ სათათბირო ოთახში. აქ ხმები გაიყო. ვოლფი კასაციის მომზრე იყო; ბეკ, როცა გაიგო, რაშიაც იყო საქმე, კასაციის მომზრე გახდა და ნათლად დაუხატა ამხანაგებს სასამართლოს სურათი და ნაფიც მსაჯულთა შეცდომა. ნიკიტინი, როგორც სასტური ფორმალისტი და ყოველ სასტურ საშუალებ-თა მომზრე, წინააღმდეგი, გახდა. მთელი საქმე სკოლოროდნიკოვის ხმას უნდა გადაეშვერა და ის კი მოწინააღმდეგებთ მიემზრო, მით უმეტეს, რომ ნებლიუფოვის გადაშეყვეტილება მასლოვის ქალის შერთვის შესახებ საზიზლრად მიაჩნდა.

სკოლოროდნიკოვი მატერიალისტი, დარცინის თეორიის მომზრე იყო და ყოველისაც განკუნებითის ზინკის გამოჩენა, და უფრო კი საოწმუნოებრივისა, არა თუ სისიზღრად, თავის თავის შეურაცხმულადაც-კი მიაჩნდა. ზიზღსა ჰგერიდა მთელი მმარტი ამ ზე-დაცემულის ქალის თაობაზედ, რომლის გულისთვისაც ვექილი და ნებლიუდოვი ჩიმოსულიყვენ პეტერბურგში და თავს იტეხდენ მისდა გასამართლებლად. იჯდა, ჩეველებრივიდ წევერებს იტენდა პირში და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ამ საქმის შესახებ არაფერი არ იკოდა, გარდა იმისა, რომ თვალსაჩინო საბუთები არ იყო, და ამიტომ თანახმად თავმჯდომარისა, საქმის უყურადლებოდ დატოვების მომზრე გახდა.

ასეც მოხდა, საქმე უყურადლებოდ დასტოვეს.

XXII

— საშინელებაა, საშინელება,—წამ-და-უწუმ იმეორებდა ნებლიუდოვი, როცა ვექილთან ერთად მისაღებ ოთახში გამოვიდენ.— ასეთ საქმეშიაც კი, რომელიც, როგორც მათთვის, ისე ყველასთვის დღესაცით ნათელია, კიდევ იმაზე ჰბეჭობენ, თუ რამდენად საესებითაა

შესრულებული საქმის გარეგანი, ფორმალური მხარე, და ასე დაუკყირდებლად და გაურჩევლად ჩეცნოვის არა სასარგებლოდ აბოლოვებენ საქმეს. საშინელება!

— საქმე ოლქის სასამართლოში დაუღუძავთ,— სთქვა ვექილმა.

— წარმოიდგინთ, სელენინმაც კი უარი სთქვა: მას კი სწორედ არ მოველოდი. რალა ვენათ ახლა?— სასოწარკერთილებით წამოიძახა ნებლიუფლოვა.

— უმაღლეს სახელობაზედ მიგსცეთ ოხოვნა, სანამ აქა ვართ. მე დაგიწერთ და თქვენ თვისომ მიეცით.

ამ დროს გამოვიდა ვოლფი თავის ბრწყინვალე ვარსკვლავიან შრედირითა და მივიღა ნებლიუფლოვთან.

— აბა, რა უნდა გვეჭნა, საყვარელო თავადო! ღმერთმა ბომი იცის, რომ სულითა და გულით მონდომებული ეყიავით საქმე თქვენდა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, მაგრამ არ მოხერხდა, რადგან საქმით საბუთები არ იყო, — უთხრა ნებლიუფლოს ტებილის ხმით, მშრები აიჩინა, თვალები დანაბა და თავის გზას გაუდგა.

ვოლფის შემდეგ სელენინი გამოვიდა. სენატორებისაგან შეეტყო თავის ამხანაგის ნებლიუფლოვის იქ ყოფნა.

— არ მოველოდი შენს აქ ნახვის, — უთხრა მან ლიმილით ნებლიუფლოს, — არც ის ვიცოდი, თუ ახლა პეტერბურგში იყავი.

— ჩემთვის კი მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ შენ მთავარ-ბრალმდებრელი ხარ.

— მთავარ-ბრალმდებრელის ამხანაგი, — გაუსწორა სელენინმა: — რა საქმე გაეცის სენატში? რა ამხანაგი?

— მოვედი იმიტომ, რომ სამართალს ვეძებდი, მინდოდა დამეხსნა ერთი უდანაშაულოდ დასჯილი ქალი და ვფიქრობდი, აქ ვიპოვნიდი სამართალს.

— რომელი ქალი?

— საქმე, რომელიც ამ წუთში გაარჩიეთ.

— ჰო! მასლოვეს ქალის საქმე? — უნდა გითხრა, რომ არავითარი საბუთი არ იყო.

— საქმე საბუთებსა და საჩივარში კი არაა, იმ ქალს შეეხება, რომელიც უდანაშაულოდ იქანვება.

სელენინმა ამოიოხრა.

— შესაძლებელია, მაგრამ...

— შესაძლებელი კი არა, სრული კეშმარიტებაა.

— მერე და შენ საიდან იცი?

— იქიდან, რომ იმ საქმის გარჩევის დროს, სხვათა ვორის, მეც ვიუავი ნაფიც მსაჯულად და კარგიდ ვიცი, რა შეცდომიც მოგვიყდა.

სელენინი ჩატიქრდა.

— ეს მაშინვე უნდა გაგებზაღებინათ, — სთქვა ცოტა სიჩუ-
მის შემდეგ.

— მე განვატხადე.

— თუ განაცხადეთ, ოქტომბრიც უნდა შეგეტანათ. ეს რომ ყოფი-
ლიყო საქასაცო საჩივართან...

სელენინმა არატერი იკოდა ნებლიუდოვის რომანის შესა-
ხებ და ნებლიუდოვმაც საჭიროდ არ დაინახა ეთქვა გველაფერი.

— კარგი, მაგრამ ახლაც ხომ ცხადი იყო, რომ საქმე სულე-
ლურად გადასწყვიტეს.

— სიმართლე უნდა გითხრა, სენატს არაეითარი უფლება არა
პერნა უკონოდ ეცნო სასამართლოს გარდაწყვეტილება. სენატი
რომ საქმის ძირითად განხილვაში შესულიყო და თავის კერძო შე-
ხედულობით უსამართლოდ ეცნო გარდაწყვეტილება, მაშინ, გარდა
იმისა, რომ დაპარგვედა თავის ლირსებას და დაარღვევდა კანონს,
ამ საქეცილით გაიქარწყლებდა ნაფიც-მსაჯულთა გარდაწყვეტილე-
ბის მნიშვნელობას.

— მე მხოლოდ ერთი ეს ვიცი, რომ ის ქალი უდანაშაულოა
და მის დასხინის უკანასკნელი იმედიც დაკარგვლია. უმაღლესმა და-
წესებულებამ დამტკიცა სრული უკანონობა!

— არატერიც არ დაუმტკიცებია, — წყენით წარმოსთქვა სელე-
ნინმა, — რადგან საქმის ძირითად განხილვაში არასოდეს არ შედის.
მართლა, მინაც ვისთან ხარ? დეიდასთან? — უბად შეეკითხა სელე-
ნინი, რადგან სიტყვის ბანზე იგდება უნდოდა: — მე მხოლოდ გუშინ
გავიგე შენი აქ ყოფნა... გრაფინია ეკატერინე ივანოვნამ მეც მიმი-
წვია ახალ-მოსულ მქადაგებლის კრებაზედ დასასწრებლად.

— დიალ, მქონდა ბედნიერება დაესწრებოდი ამ კრებას, მაგრამ
გრუივით უკანებ გავიქცევი, ისე შემეტიბელა იქაურობა, — გაჯავერებით
უთხრა ნებლიუდოვმა, რა-კი შეატყო, რომ სელენინი სიტყვას ბანზე
აგდებდა.

— რატომ შეგეზიშლათ? თუმცა ეს ცალმხრივი და თითქმის
სექტანტურია, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოებრივ
გრძნობათა გამოჩენაა.

— რაღაც მხეცური უახრობაა, სხვა არატერი!



— სრულიადაც არა! სამწუხარო და თან საკვერველიც არის, რომ ჩეენ ასე ნაელებად გვესმის ჩეენის მკლესის მოძღვრება და წევნივე ძირითადი წესები ახალ წესებად მიგვაჩნაა, უთხრა სელენინმა.

ნებლიუდოვმა გაქვირვებით შექხედა სელენინს, რომლის თვალებშიაც წეენ და თან რაღაც სიძლულის მსგავსი რამ ამოიყითხა.

— უკაცრავიად, შემდეგ მოვილაპარაკოთ, უთხრა სელენინმა ნებლიუდოვს.— მოვალ!—უთხრა მამ მოკრამალებით მოსულს სასამართლოს ბოჭალს და მოტბრუნდა ისევ ნებლიუდოვს:— უბეველად გნახავ, მაგრამ საქმე იმაშია, სად ან როგორ გნახო. 7 საათზე ესადილობ და ამ დროს მუდამ სახლში ვარ— ნადევდინის ქრისტედ ვცხოვრობ. გახსოვს ძეველი დროება? ბევრმა წყალმა ჩინარა მას შემდეგ,— ღიანილით წირმოსთვეა სელენინმა.

— მოვალ, თუ მოვამწარი,— უთხრა ნებლიუდოვმა და აშკარად ივრძნო, რომ ოფესიაც ახლო მევობარი და გულით საყეარელი ამანაგი სელენინი ამ მოკლე ლაპარაკის შემდეგ მისთვის სამუდამოდ უცხო შეიქმნა. X

XXIII

ნებლიუდოვი სტუდენტობის დროს იქნობდა სელენინს, რომელიც სამაგალითო ამხანაგი იყო და, თავის წლოვანებასთან შედარებით, კარგად განათლებული, მუდამ ფაქტი, ლამაზი და თან უსაზღვროდ მართალი და ჰატიოსანი. სამაგალითოდ სწავლობდა. თხულებისათვის ოქროს შედალიც კი მიიღო.

იმის ერთად ერთი მისწრაფება, რომლითაც სულდგმულობდა, ის იყო, რომ ხალხისთვის ემსახურნა და სამსახური კი სულ სხვანისრად ჰქონდა წარმოდგენილი; ეგონა, სახელმწიფო სამსახური იგივე ხალხისთვის სამსახურით და დაასრულა თუ არა სწავლა, გადაათვალიერა ყველა დარგი მოვაწეობისა, რომლისთვისაც უნდა შეეწირა თავისი ძალობრივე, და გადასწუვიტა, ყველაზე უფრო სასარგებლობის უზიდებულესობის საკუთარ კანკელარიის მეორე განყოფილებაში შესვლა იქნებათ, რადგან იქ აღვენდენ ყოველსაფე კანონებს, და შეეიდა კიდევ. საუბედუროდ, ჩეარი დარწმუნდა, რომ შეცდომა მოუვიდა. თუმცა სინდისიერად და წესიერად ისრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ეს არ აქმაყოფილებდა, პედაგდა, რომ მისი შრომა უნაყოფო და უსარგებლო იყო, იქთებდა იმას, რაც საჭირო არ იყო. დაუკავშიროებილმა სტუდენტი გამოიწყო ხშირი შეტაქება წვრილ-ფეხა მოხელეებთან. ბოლოს იმდენად გაბწვავდა საქმე, რომ



იძულებული შეიქმნა გამოსულიყო მეორე განცოტილებიდან და უნიკატი გადავიდა. წინანდელ სამსახურთან შედარებით, თუმცა აქ კარგს გარემოებაში იყო, მაგრამ ქალუფლი შეინც არ იყო, პერძნობდა, რომ რაღაც იქლდა. სენატში სამსახურის დროს მისმა ნათესა-კებმა მოახერხეს მისი კამერ-იუნკრად დანიშვნა და მიტომ ბრწყინ-ვალე მუნდირით და თეთრი ტილოს წინასაფარით უნდა ჩამოველო და სამაგიდრო მაღლობა გადაიხალნა სხვადასხვა ხალხისათვის, რომ მას ლაქის თანამდებობა მისცეს. ის თუმცა ცდილობდა, მაგრამ მა-ინც ვერ შეიცა გონიერული ახსნა ამ თანამდებობისთვის. ახლა მო-შეტებულად პერძნობდა, რომ „ეს ის არ აუთ“, რასაც დიდი ხანია ეყბდა, მაგრამ ერთის მხრით არ შეეძლო უარი ეთქვა ამ თანამდე-ბობაზე, რომ არ ეწყენინებინა იმათვის, რომელთაც, მითის აზრით, კითომ და დიდი სარგებლობა მოუტანეს, და მეორეს მხრით, სასიამოვნო იყო დაინახა სარეკაში თავისი თავი მშევნიერ მუნდირში და იმ პატივცემით ესარგებლნა, რომელიც ამ ალაგზე დანიშვნით ბოპოვე ზოგიერთია თვალში.

მან სამაგიდრო ჩეარა გასწუეიტა ყოველიკე კავშირი სარწმუ-ნოებრივ ცრუმორწმუნობასთან, როგორც მისი წრის და დროის ხილ-ხმა. თუმცა ის პატერაობიდან ამ სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნო-ბის წრეში იზრდებოდა, მაგრამ მას დიდი ძალდატანება არ დასჭირ-და მისთან კავშირის გასაწყვეტად და თეთონნაც არ იყოდა როდის განთავისუფლდა. როგორც სერიოზული და პატიოსანი ის არ მა-ლავდა ამ თავის განთავისუფლებას სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნო-ბიდან პირველი ახალგაზიობის, სტუდენტობის, და ნებლიუდოვთან დაახლოების დროს.

მაგრამ ვაკიდა დრო, ის ასწირეს სამსახურში, საზოგადოებაში კრისტერვატიულმა რეაქტიამ უხები მოიკიდა და ამ სულიერმა თავის-უფლებამ მას ხელი შეეშალა. მიუხედავათ ოჯახური მდგომარეობისა, ურთავერესად მამის სიკედლის დროს, როცა მას პანაშეიდებს უხდი-დენ და დედა ეუბნებოდა მარხეა შეენახა და ყველაფერს ამას მოით-ხოვდა საზოგადოებრივი აზრი — სამსახურში მუდამ უხდებოდა პარაკ-ლისებზე და სხვადასხვა წირვაზე ყოფნა, მას ყველა მისათვის არ შეეძლო გეერდი იქვეია. როცა ის მრავალ ამგვარ მდედრელთ შეახუ-რებას ესწრებოდა, ორში ერთი უნდა ექნა: ან თავი მოქმედებინა (ეს მას არ შეეძლო, რადგან მართლი და მტკიცე ხასიათის იყო) რომ მას სწამდა ის, რაც არ სწამდა, ან და უნდა აღეარებინა, რომ ყვე-ლა ეს გარეგნული ფორმები სიყალბე იყო და ისე მოწყო თავის ცხავრება, რომ იძულებული არ ყოფილიყო მონაწილეობა მიეღო



იმაში, რასაც სიყალბედ სთვლიდა. მაგრამ რომ ეს ექნა ბეჭრი რაშ უნდა გაეკეტებინა: გარდა იმისა, რომ მუდმივი ბრძოლა გაეჩაღებინა ახლობელ ადამიანებთან, ძირიან ფესვიანად უნდა შეეცვალა მთელი თავისი მდგომარეობა, დაეტოვებინა სამსახური და შეეწირა ხალხის-თვის კველა ის სარგებლობა, რომელიც მისი აზრით მოქმედია ხალხისათვის სამსახურში ყოფილია და ფიქრობდა, რომ მომავალშიც მოუტანდა და რომ ეს ასე ექნა ის მტკიცედ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო თავის სიმართლეში. ის მტკიცედ დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, ისე როგორც არ შეიძლება არ ყოფილიყო დარწმუნებული საღ პროცენტის სიმართლეში ჩვენი დროის კველა განათლებული ადამიანი, რომელმაც ცოტიანდენად იყის ისტორია, იყის საზოგადოებრივი სარწმუნოების წარმოშობა და საყვალესიო—ქრისტიანულ სარწმუნოების წარმოშობის და ჩავდევის ისტორია. მას არ შეეძლო არ სცენოფოდა, რომ ის მართლი იყო, როდესაც არ სწავლდა საყვალესიო მოძღვრების ჰეშმარიტება. მაგრამ ცხოვრების უკულმართბამ და მისი პროცენტის გაელენის ქვეშ ყოფნამ აიძულა ეს მართლი კაცი პატარა სიყალბე ჩაედინა, რაიცა იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავის თავს უთხრა: იმის დასამტკიცებლად, რომ უგუნწურება უგუნწურება ჯერ უნდა შეისწავლო ეს უგუნწურება. ეს პატარა სიცრუე იყო, მაგრამ ამ პატარა სიცრუემ შეატოვნია მას იმ დიდ სიცრუეში, რომელშიაც ის ეხლა იყო. მან თავის თავს დაუსვა საყითხი სამართლიანია თუ არა ის მართლმადიდებლობა, რომელშიაც ის დაიბადა და აღიზარდა, რომელსაც მისგან მოითხოვენ კველანი, ურომლისოდაც მას არ შეუძლია განაგრძოს ხალხისთვის სასარგებლო თავის მოღვაწეობა—ამით მან საყითხი წინდაწინ გადასჭრა. ამიტომ ამ საყითხის გამოსარკვევად მან აღლო არა ვოლტერი, შოპენგარერი, სპენსერი, კანტი, არამედ გვეკვლის ფილოსოფიური წიგნები და ხომიაკოვის სარწმუნოებრივი თხზულებანი და მართლაც მათში პოეა ის, რასაც ეძებდა: სარწმუნოებრივ მოძღვრების გამართლება, იმ მოძღვრების, რომელშიაც ის აღიზარდა, და რომელსაც მისი გონიერა ვერ შერიგებოდა, მაგრამ ურომლისოდაც ცხოვრება ათას გვარ უსიამოენობით სავსე იყო, ხოლო ამ სარწმუნოების ცნობით ეს უსიამოენებანი ერთბაშად თავიდან შორიდებოდენ. და მან შეითვისა კველა ის ჩვეულებრივი სოფიშმები იმის შესახებ, რომ ადამიანის ცალკე გონებას არ შეუძლია შეიგნოს ჰეშმარიტება, რომ ერთად ერთი საშუალება მის შესაგნებლად არის გამოცხადება, და სხვა. და ამის შემდეგ მას შეეძლო



დამშეიცვით, გაუტეხლად, რომ სიყალბე და სიურუე ჩაიღინა, დასწრებოდა პანაშეიცვიბზე, წირვებზე და პარაკლისებზე, შეეძლო ემარბულა და პირჯვარი ეწერი სულებზე და შეეძლო გაეგრძელებით სამსახური, რომელიც მას აგრძნობინებდა, თითქოს სარგებლობა და ნუგებში მოქმენდა მის უგმურ უჯახურ ცხოვრებაში, ის ფიქრობდა, რომ სწამება, მაგრამ ის მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ ეს სარწმუნოება იყო რაღაც უსულ სხვა".

ასე შეემთხეა ცოლის შერთვის დროსაც. გამოუჩნიეს დიდებული საცოლო და უარი აღარა სთქვა, პირველიდ იმ მოსაზრებით, რომ არ ეწყენინებინა იმისთვის, ვინც ეს საქმე ურჩია, შეორედ კი—ლამაზი, დიდი გვარიშევილის ქალი მისთვისაც სასიამოვნო იყო. საუბრდუროდ, ცოლის შერთვის შემდეგ უფრო მწვავედ იგრძნო, რომ თავის აზრს ძალიან დაშორდა და სულ თავის იდეის წინააღმდეგ მიღიოდა. პირველის შეილის შემდეგ ცოლმა აღარ ინება, რომ სხვაც გასჩენდა, განცხრომით ცხოვრება დაიწყო და ძალა-უნდებურად ქმარიც ჩაითრია. თუმცა ცოლი გრძნობდა, რომ ამგვარის ცხოვრებით თვითონაცა და ქმარსაც უწამლივდა სიცოცხლეს, მაგრამ მაინც გულმოდვინედ ეწეოდა ასეთ ცხოვრებას. ყოველივე ცდა სელენინისა, რომ როგორმე მოქაველებინა ცოლი და დაენებებინა თავი ამგვარ ცხოვრებისათვის — ამათ შეიქმნა.

ბავშვი, პატარა თმა-ხუცუჭა გოგონა, თითქმის უცხო შეიქმნა მაისითვის, რადგან ისე ინტენსიულა, რომ სრულიად ეწინააღმდეგებოდა მამის აზრებს. ცოლ-ქმარში თანდათან გაიღდა ფესვი ერთმანეთის გაუგებრიობამ და ჩუქი, სხვისთვის დაუარული ბრძოლა დღით-დღე მწვაველებოდა მათ შორის, ისე რომ, სელენინს ზამად გადაექცა სიცოცხლე და მისი სახლში ყოფნა ნამდვილი ჯოჯოხეთი შეიქმნა. აქ, რასაკეირველია, კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო, რომ ეს ის არ იყო", რასაც ეძებდა.

ამგვარმა ცხოვრებამ თითქმის მოსტება იგი და მუდამ დაღონებული გამოიკირებოდა. ნებლიუდოვის დანახევამ მოაგონა ის დრო, როცა იდეებით გატაცებული ემზადებოდა „იმის თვის", და მწარე ტევილები იგრძნო, რომ „ეს ის არ იყო". ამგვარივე გრძნობა აღეძრა ნებლიუდოვსაც სელენინის დანახვაზე.

იმიტომ ოჩივემ აღუთქვეს ერთმანეთს ნახვა, მაგრამ აღთქმა აღთქმად დარჩა და ისე წავიდა ნებლიუდოვი პეტერბურვილგან, რომ აღარა აჩახავს სელენინი.

XXIV

ნებლიუდოვი და ვექილი გამოვიდენ სენატიდვან და გაქცენენ
ქვა-ფენილს. ვექილმა უბრძანა მდეტლეს, უკან გამოგვყენოთ და და-
უწყო ნებლიუდოვს ლაპარაკი ვიღაც კაცზედ, რომლის საყვარელ-
საც მილიონები შეეძინა ბირეაზე, უამბო, როგორ გაყვიდნა ვიღა-
ცას თავისი კოლა და მეორეს ეყიდნა. მოუცხა მოელი ისტორია ის
გამოჩენილ კაცთა გარუენილ ცხოვრებაზე, რომელნიც, სატუსალოს
მაგიდა, სადაც მათი ალაგი იყო, თავმჯდომარის საფარებელში იყვნენ
წამომსხდარინი სხვა-და-სხვა დაწესებულებაში. ეს ამბები, რომლის
დაუტრეტელ წყაროდაც ის გამხდარიყო, სიამონებას პევრიდა ვი-
ქილს, რადგან ცხიდად აჩვენებდა, რომ წაშუალება, რომლითაც ის
ფრლებს შოულობდა, სამართლიანი იყო იმ საშუალებისთვის შედარე-
ბით, რომელსაც პეტრებურგის გამოჩენილი მოლვაწები პემარობდენ.
ამიტომ ვექილს ძალიან გაუკეირდა, როცა ნებლიუდოვს უკანასკნელის
მისი სიტყვებისთვის არც კი მოუცდია, დაიქირვა ეტლი და წაეიდა
სახლში სანაპირო ქუჩაზედ. ნებლიუდოვი ძალიან დაღონებული იყო.
რადგან სენატის გადაწყვეტილება ამტკიცებდა ბეჭერულ მასლოვს
ქალის უმიზეზოდ ტანჯვას. და თვალ-წინ წარმოუდგა თავისი შეურ-
ჩველი, მტკიცე გარდაწყვეტილება მასლოვისთვის შეერთებაზედ.
წყლულს წყლულზე უმატებდა ვექილის მხიარული ლაპარაკი და ოდე-
საც საყვარელ ამხანაგის სელენინის გულ-გრილი შეხვედრი.

როცა ნებლიუდოვი დაბრუნდა სახლში, მექაჩემ გადასცა ბა-
რათი, რომელიც ვიღაც ქალს დაეტოვებინა. წერილი შუსტოვის
ქალის დედისაგან იყო. სწერდა: მობრძანდით ჩეკინა, რათა მადლო-
ბა გადაგიხადოთ შეილის დახსნისათვისთ; ვასილიევის ქუჩაზე ქსცხოვ-
რობთ; ერა ეფრემონასთვისაც ძლიერ საჭირო არის ესაო,— სწერ-
და შუსტოვის დედა და, თუ მოსახერხებელი იქნება, გთხოვთ, ხვალ
დილით მობრძენდეთ.

იმ შოაბეჭდილების წყალობით, რომელიც პეტრებურგში ყოფ-
ნის დროს უკანასკნელშა დღეებმა მოახდინა ნებლიუდოვზე, იგი ძლიერ
უიშედო განდა; არ ეგონა, თუ კიდევ შეეძლო რისამე გაეკეთება. მოს-
კოვში დაწყობილი გეგმა ახლა რაღაც ბავშულ თანხებად ეჩვენებოდა.

ნებლიუდოვმა ამოილო ჯიბიდვან რაღაც ქალალდები და ის
იყო კითხვას შეუდგა, რომ გრაფინა ქატეტრინე ივანოვნას ლაქია
შემოვიდა და სოხოვა, ზევით ამობრძანდით და ჩაი მიირთეთო.

ნებლიუდოვმა დაპეცა ქალალდები, შეინახა და წაეიდა. ზე-
ვით ასკლის დროს სარქმელიდან მარიეტას ქერა ცხენებს მოჰკრა
თვალი, თავისიდა უნდარიდ სიამონება იყრძნო და გაიღიმა.



ფერად ტანსაცმელში გამოწევილი მარიეტტა იჯდა გოაუინიას გრაფით და რაღასც ელურტულებდა. ნებლიუდოვის შესელახე რა- ღაც ისეთი სასაკილო სოქვა, რომ გვლეთილმა, ულვაშებიანმა გრა- ფინია ეკატერინე ივანოვნამ გულიანიდ გადაიხარხა: მარიეტტას თავისი კეპლუცი თავი განხე მოეხარა და ღიმილით შესცემოდა თვალებში.

— შენ იმდენს იხუმრებ, რომ სიცილით მოქლავ, — ეუბნებოდა გრაფინია ეკატერინე ივანოვნა და მეტის სიცილისაგან მუცელზე ხე- ლებს იქცრდა.

ნებლიუდოვი მიესალმა ორივეს და დაჯდა. ის იყო ნებლიუდოვმა დააპირა შენიშვნა მიეცა მარიეტტასთვის, რომ მან დაინახდა მისი სერიოზული სახე და, თავი რომ მოეწონებინა მისთვის,—ეს კი მას წემდევ უნდოდა, როცა პირველად ნახა ნებლიუდოვი,—თვითონაც სერიოზული სახე მიიღო, თითქმის კიდევაც დაღონდა, თითქმის ცხო- ვრებისა დიდი უძაყოფილო ყოფილიყოს. შეეყითხა ნებლიუდოვს საქმეზედ. ნებლიუდოვმა უამბო ჟყვლანდერი, თუ როგორ წაავო საქმე სენატში და რანიორად იმოქმედა იმიზე ძველი მეგობრის სელენი- ნის ნახავა.

— ამ, რა სამაგალითო კაცია, რომ იცოდე! ნამდვილი წმინდა სულია,—ერთხმად წამოიძახეს ორივე ქალებია სელენინის ხსენებიზე.

— მისი ცოლი როგორია?—დაეყითხა ნებლიუდოვი.

— ცოლი? იმის ვერ გავაძმენინებ, მაგრამ თავისი ქარი ვერ იცნო. განა სელენინმაც უარი სოქვა?—პერითხა გულწრფელის თანა- გრძნობით: — საშინელებაა! რა რიგად მეცოდდება ის საწყალი ქალი!

ნებლიუდოვს უნდოდა მუსაიტი გამოეცაალა და შესტროვის ქალ- ზედ ჩამოაგდო ლაპარაკი: შესტროვის ქალი მარიეტტას შუამდგომ- ლობით უკეთ გამოიშეათ სატუსალოდგან. ნებლიუდოვმა მაღლობა გა- დაუხადა მარიეტტას ქმართან შუამდგომლობისათვის და უნდოდა ეთქვა. რომ ის ქალი და ჟყველი მისი ნათესავები მხოლოდ იმიტომ იტანჯებოდენ, რომ არავინ არ მოაგონა მისი თავი ვისაც ჯერ იყო, მაგრამ მარიეტტამ დაასწრო და თვითონ გამოსთქვა საყველერი ამის შესახებ.

გრაფინია ეკატერინე ივანოვნა მხედავდა, როგორ აწონებდა მის დისტულს თავს მარიეტტა და ეს გარემოება ძლიერ ართობდა.

— იცი, რა?—დაიწყო გრაფინიამ, როცა ისინი დაწუმდენ:— მოდი ხეილ ალინასთან, იქ კიზივეტერი იქნება; შენც მოდი, —უოხრა მარიეტტას.

R. M. G.



— Il vous a remarqué,—უთხრა დისტულს,—იმან მითხრა, კუკურულები ვილივი, რაც შენ მიაჩე, — მე კუკურულები ვუამბე, — კარგი ნიშანია და უკუკულად ზედგება ქრისტესა; უთხრი, მარიეტრა, მოყიდეს და შენც მოდი.

— გრაფინია, ფერ ერთი, რომ ნება ორ მაჯეს რაიმე რჩევა შეისცე თავადს, — უთხრა მარიეტრამ და ნებლიუდოვს გადაპხედა და ამით ნათლად გამოხვატა გრაფინიას სიტუების სრული თანხმობა: — მეორეც, კარგად იცით, რომ მე ძალიან ორ ზიყვარს...

— შენ ხომ მუდამ უკულად დალიარ და შენებურად ცეკვებ გვილაფერს!

— როგორ თუ ჩემებურად? არა, გრაფინია, მე ისე მწამს კუკურულები, როგორც კუკულა უბრალო ქალს, — სოჭვა ლიმილით: — და მესამეც, — განაგრძო ძან, — ხვალ ფრანგების თეატრში მიღდივარ...

— ჰორი! განა შენ ნახე ისა?.. ის... არ ჰქვიან?

მარიეტრამ ჩაუჩირჩულა გრაფინიას შესანიშნავის ფრანგ მსახიობ-ქალის სახელი.

— უკუკულად წადი, შესანიშნავი მსახიობია.

— რომელი ვნახო უწინ, დეიდა, მსახიობი ქალი თუ მქადაგებელი? — ჰითხა ლიმილით ნებლიუდოვმა.

— სიტუებში წუ მიქერ, გეთაყვა!

— ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება ჯურ მქადაგებელთან წავიდე და მერე თეატრში, თორემ ნეშინიან, თეატრის შემდეგ ქადაგების გემოვნება მთლად არ დამტკარებოს.

— არა, მე მგონია, უკეთესია ფრანგულ თეატრილგან დაიწყო და შემდეგ სინანულს შეუდგი. — სოჭვა მარიეტრამ.

— თქვენ ძალიანა შედევთ, რომ სასაკილოდ მიგდებთ! მქადაგებელი — მქადაგებლად და თეატრი თეატრილ უნდა იყოს! თავის ხსნისთვის სრულიად საჭირო არ არის ერთს არშინზედ დაიგრძელო პირი და ტირილი დაიწყო. უნდა მტკიცედ გრაფინიას და მაშინ მუდამ მხიარულად იქნები.

— თქვენ, დეიდა, კუკულა მქადაგებელზე უფრო კარგად ჰქიადგებთ.

— იცით რა? — უთხრა მარიეტრამ ცოტა ფიქრის შემდეგ: — მობრძანდით ჩემთან ლოგაში.

— ვშიშობ, რომ ჩემთვის მოუხერხებელი იქნება...

ამ დროს შემოვიდა ლაქია და მოახსენა გრაფინიას, ვიღაც მოვიდაო. ეს იყო მდივანი ერთის საქეულმოქმედო საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარედაც გრაფინია იყო.



— უკელას თავს მოგვაძეშებს, ისეთი კაცია. უშეკობესია, მარ-
ტო მიეიღებ და ისევ ჩეარა მოვალ. მარიეტრა, ჩია დაალევინეთ
მავას,—უთხრა გრაფინიმ და ჩეარის ნაბიჯით დარბაზისაკენ წაეიდა.

მარიეტრამ წაიძრო ხელთათმანი ფუნთულა ხელებიდან, რო-
მელშედაც მრავალი ძვირფასი ბეჭდები ჰქონდა გაყეობული.

— გნებავთ? — დაეკითხა ნებლიუდოვს და ვერცხლის საჩინ
მიღო ხელში.

უცბად დინჯის სახის გამომეტაველება მიიღო და საშინლად
მოიწყით.

— მუდამ საშინლად, საშინლადა მწყინს, რომ ის ხალხი, რომ-
ლის აზრიც ჩემთვის ძვირფასია, სულ სხვა თველით მიუკრებს.

თითქმის მზად იყო უკანასკნელ სიტყვების შემდეგ ქითინი
დაეწყო. თუმცა ეს სიტყვები სრულიად უმნიშვნელო და უაზრო იყო,
მაგრამ ისე მოეჩენა ნებლიუდოვს, რომ თითქო გულის სილრმიდან
ყოფილიყოს ამნაცენესი, რადგან ის მგზნებარე თვალები, რომელიც
ამ სიტყვების თქმის დროს ციცხლებრივ ინთენდული ჰქონდა მარიეტ-
რას, ელექტრონიკით უკლიდა ნებლიუდოვს ტანში და შეიძლავდა.

ნებლიუდოვი ჩემად იყო და ისე მისჩერებოდა მარიეტრას,
თითქოს შევმის უპირებსო.

— განა თქვენა გვინიათ, რომ ვერ გიცნობთ და ვერ ვხედავ,
რაც გვმართებათ? რაც თქვენ ჩაიდინეთ, ხომ ყველამ იყიდი მეც
ძლიერ აღტაცებული ვარ თქვენის საქმეებით და ძალიანაც მომწონს!

— საკეირველია, ღმერთმინი, რად მოდიხართ აღტაცებაში,
როცა ჯერ კიდევ არაფერი გამიკეთებია.

— სულ ერთია. მესმის თქვენი გულის პასუხი და იმისიც, ეის-
თვისაც თქვენ თავი დაგიდევიათ. მან, კარგი, კარგი, ამის შესახებ
აღმრავერს ვიტყვი, — უცბად გასწყვიტა ლპარიავი, რა კი შეატყო,
რომ ნებლიუდოვის სახეზე უკაცყოფილება გამოიხატა: — მაგრამ, განა
ეს გმირობა არ არის, რომ თქვენ იმ საშინელებაში, იმ ჯოჯოხეთურ
ტანჯვა-წვალებაში მყოფთ, რომელიც სატუსალოში არიან, ხელი
გაუწოდეთ და გინდათ დახმარება გაუწიოთ? მესმის თქვენი გმირო-
ბა, რომლისთვისაც მზადა ხართ სიცოცხლეც კი შესწიროთ, რასაც,
თუ კი საჭირო იქნებოდა, არც მე დავიშურებდი, მაგრამ ყველას
თავისი ბედი აქვს...

— განა თქვენ ბედს ემდურიოთ?

— მე? — გავიირუებით შეეკითხა მარიეტრა, თითქოს გაუკეირდა,
რომ ამის შესახებაც შეიძლებოდა შეეკითხა. — მე კმაყოფილი უნდა
ვიჟო და ვარ კიდევაც, მაგრამ არის ერთი მატლი, რომელიც, რო-
ცა იღვიძეს...

— და თქვენც უნდა ეცადოთ მის გაღვიძებას,—უთხრა წერტყმა მარიამ ნაზი ხმა.

შემდეგ ამისა, როცა, ნებლიუდოვს მოაგონდებოდა ხოლო მარიეტტასთან ახლანდელი ლაპარაკი, რისი მოქნილი სიტყვები და ის მწერალე სახე, რომელიც მან მიიღო მაშინ, როცა ნებლიუდოვი უამბობდა სატუსალოების ამბებს, სირცეებისაგან წითლდებოდა.

როცა გრაფინიი დაბრუნდა, ისინი ისე იყვენ ლაპარაკში გართულნი, თითქოს დიდის ხნის მეგობრები არიან და თეთოვეულს თავიანთი, ძროვის ცემა კარგად ესმითო.

ლაპარაკობდენ იმას, თუ როგორ სჩაგრავდა ძლიერი სუსტი, როგორ გაღატაებული იყო ხალხი და ნამდევილი-კი მათი თვალები ლაპარაკის დროს ერთმანერთს ეყითხებოდა: „შეგიძლიან შემიყვარო?“ და პასუხსაც აძლევდა: „შემიძლიან!“ გრძნობა მორცელის სიყვარულისა, მრავალ-გვარად აფერადებული, თან-და თან იზიდავდა ერთმანეთისაკენ.

წასულის დროს მარიეტტამ აღუთქვა დაბმარება, რამდენადაც შესაძლო იყო მისგან, და სოხოვა—რამდენისამე წუთით შემოიარე ხეალ თეატრში ჩერთან, ერთ ფრიად საყურადღებო საგანზე მინდა მოგელაპარაკო.

— ნერა როდის გნახავთ კიდევ?—დაუბატა მან ამოოხვრით და ფრთხილად დაიწყო ხელთათმანების ჩატანა წერთან შემოიარე ხეალ თეატრში ბეჭდებით:—მომეცით პირობა, რომ უკველად მოხვალთ თეატრში.

ნებლიუდოვი დაპირდა.

იმ ღამეს ნებლიუდოვს დიდხანს აღარ დაეძინა. მოაგონდა მასლოვას ქალი, სწნატის გადაწყვეტილება და ის, რომ მაინც გაფაკრილი ჰქონდა ხელი იელო მამულებზედ და კატოს გაძჟოლოდა ციმბირში; ამ დროს, თითქოს ამ სიგნის გადასაწყვეტად, თვალწინ წარმოუდგა მარიეტტა: მისი ამოოხვრა, ის სიტყვები, როცა მან უთხრა: „ნერა როდის გნახავ კიდევათ“, და მისი ღიმილი, ისე ნათლად დაუდგა თვალწინ, თითქო მართლა ჰერდავსო, და გაიღია; კარგი იქნება თუ არა, ციმბირში რომ წიგიღე?—დაეკითხა თავის თავს.

ყოველისავე ამის პასუხი კარგად ვერ გამოერევია. სხვა-და-სხვა ფიქრი დოშნალივით იერია თავში. სკდილობდა გაეხსენებინა წინანდელი აზრთა მსეულელობა, მაგრამ ახლა ამ აზრებს თითქო ქალა დაცემარგაო.

„ვსთქვათ, ყოველივე ეს ახირებაა და იღმოჩნდა, რომ ვერ შეფიქრელი ცხოვრება მაგ ნუგეშით, შეეინანებ, რომ კარგად ვერ მო-



ეიქეცი, და გათავდა.—ეკითხებოდა ამას თავის თავსა, პრეზიდენტი ეპონა და ისეთი სევდა შემოაწევა გულშე და ისეთს განშირულებაში ჩაიყარდა, რომელიც დიდი ხანია აღმა გამოიყარდა. ფიქტურმა მო-
ჰლალა და ჩაეძინა იმ მოუსკენარის ძილით, როგორითაც ჩაეძინებო-
და ხოლმე, როცა ქილოლდის თამაშობაში დიდს ფულს წააგებდა.

XXV

მეორე დღეს გამოლეიძებისათანავე ნებლიუდოვს გაუელვა თავ-
ში ფიქტმა, რომ გუშინ რაღაც დიდი სისაძგლე ჩაეიდინეო.

მოიგონა ყველაფერი და, თუმცა მართლა სისაძგლე არაფერი
ჩაუდენია, მაგრამ ის ფიქტი, რომ წინანდელი ჩემი მოსაზრება: „მი-
ცცემ მიწას გლეხებს, შეეირთავ კატოს და გავყვები ციმბირს-მეთქი,
თითქო უარ-ვყავ და ძნელი მეჩვენა, სამძიმოდ დაესახე და ისევ წი-
ნანდელი ცხოვრება ვარჩივ. აი, ეს არის ყველა სისაძგლეზე უარესი.
აი, ეს სისაძგლე ჩაეიდინე გუშინაონ“.

როცა ნებლიუდოვის მოიგონა გუშინდელი ფიქტები, საშინლად
გაუკიდება, როგორ და საიდან დამებადო. მტკაცედ მქონდა გარ-
დაწყვეტილი, როგორც საქმე თხოვულობდა, ისე მეცხოვრა და წი-
ნანდელის ცხოვრების დაბრუნება, რაც უნდა ტებილი და სასამოვნო
ყოფილიყო, ყოვლად შეუძლებლად მიეკინიეო. გუშინდელმა ამბავმა
თვალ-წინ დაუყენა ის კაცი, რომელიც ვილეიძებს და, თუმცა არ
ეძინება, მაინც უნდა ცოტა ხანს კიდევ იჯორიოს ლოგინში და ინგებივ-
როს, იცის კი, რომ ადგომის დროა, რადგან ფრიად დიდი და სასია-
მოვნო საქმე ელის.

რადგან ეს დღე უკანასკნელი იყო პეტერბურგში ყოფნისა,
დილით ადრე წავიდა ვასილიევის კუნძულზედ — შესტოვასთან.

შესტოვას ბინა მეორე სართულში იყო. ნებლიუდოვი, მექანიკები
ჩერნებით, აცყვა უკანა კიბეს და პირდაპირ თორნესავით გახურებულ
სხვა-და-სხვა საჭმელების სუნით გაეღლენთილ სამხარეულოში ამომქო
თავი. საჭმელების გასაკეთებელ ღუმელის წინ იდგა შუა ხნის დელა-
კაცი წინსაფარითა და ცხელს ქვაში კოვში ურევდა.

— ვინა გნებავთ? — დაეკითხა ნებლიუდოვს და სათვალეების
ზემოდან გადაწედა.

ნებლიუდოვმა ვერც კი მოაწერო თავის გვარის თქმა, რომ
დედაკაცს უცხად ფერი ეცავლა და სიხარულმა აიტაცა.

— თქ, თავადო! — შესძინა დედაკაცმა: — აქელან რაღ აძობჩან-
დით? ჩეგნო მხსნელო! მე იმისი დედა ვარ... ჩეგნო მხსნელო! —
იმეორებდა მოხუცი დედაკაცი და იწევდა ნებლიუდოვისაკენ, რომ



ხელუბი დაეყოცნა. გუშინ ვიყავი თქვენთან. მეტის მეტად შემძევება. ახლა აქ არის. აქეთ მობრძანდით, თავადო, აქეთ,—უებნებოდა შესტოვას დედა ნებლიუდოვს და გრძელ, ვიწრო ტალანისაკენ მიუძლებოდა: —ჩემი და კორნილოვის ქალია. —უთუოდ გაიგონებდით, —ჩირქილით დაუმატა მან,—ისიც იყო საქმეში ჩარეცლი... დიდი ჭყვიანი დედაყაცია.

შესტოვას დედამ შეიყვანა ნებლიუდოვი პატარა ოთახში, სადაც ტაბტე იჯდა შეუათანა ტანის ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ხუჭუჭობიანი. მის პირდაპირ საერთელში იჯდა სიყვლო მოქარებულ ჩუსულ ხალათით ახალგაზრდა კაცი, ახლად აკოკრებულ წვერ-ულვაშით. ისე გაცხარებულად ლაპარაკობდენ, რომ ნებლიუდოვის შესვლა არც კი გაუვიათ.

— ლიდა! თავადი ნებლიუდოვი. ის...

ახალგაზრდა ქალი ამ სიტყვებზე საშინალოდ გატითოდა, წამოხტა ზეშე, თმები გაისწორა და შეშინებული თეალები ნებლიუდოვს მიაშტერა.

— მაში, თქვენა ბრძანდებით ის საშიში ქალი, რომლისთვისაც ვერა ეფრემოვნამა მოხოვა დაბმურება? —უთხრა ლიმილით ნებლიუდოვმა და ხელი გაუწოდა.

— ლიდა, თავადო, სწორედ ის ქალი ვარ, —უთხრა ლიდამ და ნამდევილის ბაეშეურის ლიმილით გაიღიმა: —დეიდას ძალიან უნდოდა თქვენი ნახეა. დეიდა! —გასძახა კარებისკენ თავის ნაზის ხმით.

— ვერა ეფრემოვნა ძალიან შეწუხებული იყო თქვენის დაჭრით, —უთხრა ნებლიუდოვმა.

— დაბრძანდით, თავადო, აი აქ, —უთხრა მან და რბილი სავარელი ანიშნა, სიცდანაც ის-ის იყო ახალგაზრდა კაცი წამოდგა, —ჩემი ბიძაშვილია—ზახაროვი, —გააცნო ნებლიუდოვს ახალგაზრდა კაცი.

ისიც ისეთის სიხარულით მიესალმა ნებლიუდოვს, როგორც ლიდა და, როცა ნებლიუდოვი იმის აღავას დაჯდა, მან აიღო სკამი და გვერდით მოუჯდა. ოთახიდან გამოიდა ქერა გიმნაზიელი, ასე თექსტეტის წლისა, და სარქმლის თამჩაზედ ჩამოჯდა.

— ვერა ეფრემოვნა დეიდას დიდი მეგობარია, მე-კი თითქმის არც-კი ვიცნობ, —უთხოა ლიდამ.

ამ დროს ოთახიდან გამოვიდა ხნიერი, ქვეითის სახის ქალი.

— გამარჯობათ! დიდად გმადლობთ, რომ მობრძანდით, —დაიწყო მან, როგორც კი დაჯდა ტაბტე ლიდას გვერდით: —ამა ვერას შესახებ რას იტყვით? როგორ იტანს თავის მდგომარეობას?

— არა უშავს რა, თითქმის არც კი ჩივის. ნამდევილის ოლიმპიურის დამშევიდებითა ვარო, —უპასუხა ნებლიუდოვმა.



— ამ, ვეროჩქა, ვეროჩქა! ვიცნობ, ვიცნობ ოოგორისკი პირველია და ლიმილით სთქვა დეიდამ: — სწორედ დევ-გმირია. ყველასთვის თავდა-დებულია და თავისთვის კი არასა ვზრუნდეს.

— ლიაღ, თავისთვის არაფერს არა ნდომობდა, მხოლოდ თქვე-ნის დისწულისთვის იყო შეწუხებული. უფრო ისა სტანჯავდა, რომ ტყუილად დაიჭირეს, უბრალოთამ.

— მართალია, შემაძრწუნებელი ამბავია! უფრო ჩემის მიზეზით დაიტანჯა.

— სრულიადაც არა, დეიდა: — შეეკამათა ლიდა: — უთქვეროდაც წაეილებდი ქალალდებს.

— დამაცა, მე შენშედ კარგად ვიცი, როგორც იყო საქმე, — განაგრძო დეიდამ, — ერთმა მთხვევა, დროებით ჩემი ქალალდები შეი-ნახეო და, რადგან ბინა არ შქონდა, ემს მიუურანე. სწორედ იმ ღა-მეს-კი გაჩირიეს, წილებს ქალალდები და თვითონაც დაატუსალეს. ამდენი ხანი დაცერილი ჰყავდათ და ეუბნებოდენ, სთქვი ეისგან მიიღე ქალალდებით.

— მეც არა ვსთქვი! — სწირაფად წამიობახა ლიდამ.

— არც მე ვამბობ, რომ შენა სთქვი-მეთქი, — უპასუხა უეიდამ.

— თუ მიტინიც დაიჭირეს, ეგ სრულებით ჩემი ბრალი არ იყო, — სთქვა ლიდამ, გაწითლდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო.

— შაგას თავი დაანებე, ლიდოჩქა, — უთხრა დედამ.

— რათაო, მერქ? მინდა ყველაფერი უუამბო.

— გუშინდელი ხომ გახსოვეს, როცა შემს ამბავს მოჰყევი?

— სრულიადაც არა... თავი დამანებე, დედა. კი არ მითქვამს, მხოლოდ გავრუმდი. როცა ორჯერ ჩენება ჩამომართებს და დეიდისა და მიტინის ამბავი მეთხეს, არაფერი არ ვათხარი და გამოუცხა-დე, პასუხს არ მოგცემთ-მეთქი. მაშინ იმ პეტროვა-პეტროვი ჯა-შუშია, უანდარმი, დიდი გაიძევრა, ჩაურთო დეიდამ, — დამიწყო ქალა-გება: „არასაც მეტყვით, არავის ზიანს არ მისუმშო, პირ-იქთაო... თუ იტყვით ყველაფერს, უდანაშაულოებს გაანთავისუფლებთო... მე მაინც ვათხარი, არაფერს არ გეტყვით-მეთქი. მაშინ მითხრა: „მაშ, კარგი, ნურაღერს ნუ იტყვი, მხოლოდ იმის უარს ნუ იკისრებ, რასაც მე ვიტყვი და ვისაც მე დავისახელებო“, და მიტინი-კი დაასახელა.

— ნუ ლაპარაკობ, კარგი, — უთხრა დეიდამ.

— ნუ მიშლი, დეიდა... — და წარმიოდებნო, — განაგრძო მან, — მეორე დღეს კაკუნით მატყობინებენ, მიტინი დაიჭირესო. უფიქრობ, ალბად მე გავეცი-მეთქი და ამან ისე დამტანჯა, ისე დამტანჯა, რომ კინალამ კეთაზე შევიშალე.



ნებლიუდოვმა გამოიართვა წერილი, შეპირდა გადავსცემო, გა. მოეთხოვა და გამოვიდა ქუჩაში.

წერილი არც კი წაუკითხნია, დაპეტედა და გადასწუყიტა და-ნიშნულებისამებრ გადაეცემო.

XXVI

ნებლიუდოვი იმავე დღეს აპირებდა პეტერბურგიდან ჭავლას, მაგრამ მარიეტტას შეპირდა თეატრში მოვალო და, თუმცა იკოდა, რომ ეს არ უნდა ექნა, მაგრამ მაინც წავიდა, რადგან მოვალეობად მიაჩნდა თავისი სიტყვა შეესრულებინა. მარიეტტას ნახვის გარდა უნდოდა ერთხელ კიდევ ჩარეცლიყო იმ ცხოვრების ფერხულში, რომელიც წინად ასე ჰქონდა შეთვისებული და ასლა თითქმის კი-დევაც გადავიწყებოდა.

„შეიძლიან განა ვეზინააღმდევო ამ ცდუნებას?“ — ჰუკერიობდა გულში: — „ენაზე უკანასკნელად“.

გამოიცვალა ტანისამოსი, ჩიკვა ფრაი და მეორე მოქმედებაზე მივიდა თეატრში. თამაშობდენ მეასჯევრ ერთსა და იმავე „Dame aux camellias“ და ახალ-მოსული „მსახიობი ქალი ასრულებდა მარ-გარიტა გოტიეს როლს.

თეატრი მთლიად სავსე იყო ხალხით. ნებლიუდოვს ზრდილო-ბიანად უწევნეს ის ლოეა, სადაც მარიეტტა იჯდა.

კარები ლაქიამ გაუღო და მოწიწებით თავი დაუკრა, როგორც ძველ ნაცნობს.

ლოებიდან და პარტერიდან ყველა თვალ-გაფაციცებით მის-ჩერებოდა ახალგაზრდა მსახიობ ქალს, რომელიც ხრინწმიორეულის ხმით მონილოგს ამბობდა. ნებლიუდოვმა შეალო კარები და შევიდა ლოეაში.

აქ ისხდენ: მარიეტტა, ვილაც უცნობი ქალი წითელ-ფერის მო-სახურავითა და ხშირის თმით, და კიდევ ორი კაცი: გენერალი — მარიეტტას ქმარი, და ქურა, მელოტი კაცი. მარიეტტამ პირველში შეპირნა ნებლიუდოვმი, უკანა სკამი ანიშნა და ისეთნაირად გაულიმა, რომ აშეარად აგრძნობინა, შენი მოსელა დიდად გამეხარდათ. ქმარ-მა ჩეკულებრივ მშეიდად შეპხედა ნებლიუდოვმს და ოდნავ დაუკრა თავი. შემდევ გადაპხედა ცოლს და მით დაუმტკიცა, თავი მომწონს. ასეთის ლამაზის ცოლის ბატონ-პარტონი რომ ვარო.

გათავდა თუ არა მონილოგი, თეატრში ისეთი საშინელი ხმა-ურობა და ტაშის ცემა ასტუდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. მა-რიეტტა ნაზად წამოდგა, აიწია, ქოხტად შრიალა აბრეშუმის კაბა,



გავიდა ლოტის უქან და გააცნო ქმარს ნებლიუდოვი. გინზეჭლია-კუთხა
ერთთავად იღიშებოდა.

— დღეს უკერელად უნდა წავსულიყავი, მაგრამ, რაფი სიტყვა
მოგეცით,—მოვეცი,—უთხრა ნებლიუდოვმა მარიეტტას.

— მონისა, წაგებული არ უნდა იყოთ, რომ დარჩით; თუ ჩემი
ნახვა არ გეინტერესებოდათ, მშენიერი მსახიობი ქალი ხომ წნახეთ
მაინც, — უთხრა მარიეტტამ, რაფი მიუხვდა ნათქვამის აზრს: — მარ-
თლაც და, რა მშენიერად თამაშობს! უკანასკნელ სცენაში მაინც:
შეუდარებელი იყო, სწორედ ალტაცებაში მომიყვანა,—მიუპრუნდა
ქადარს.

ქმარმა თავი ჩაჰლუნა და ხმა არ ამოუღია.

— მე ეგ სრულიად არ მაღლევებს... ამ მოკლე დროში იმდენი-
ნამდევილი უცდელერება ენახე და გამოესცადე, რომ...

ქმარი ყურს უცდებდა და თანდათან ირონიულად იღიშებოდა.

— ვიყავი იმ ქალთან, რომელიც დიდი ხანია სატუსალოში იჯ-
და. საშინლად გამხდარა საწყალი.

— ეგ ის ქალია, მე რომ ვითხარი, —უთხრა მარიეტტამ ქმარს.

— დიდა ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ მოვახერხეს
მისი განთავისუფლება, — თავის ქნევით წარმოსთვევა გენერალმა და,
როგორც ნებლიუდოვმა შეპიშანა, დაცინებით ჩაიცინა ულვაშებში:—
მე წავალ, პაპიროსს მოვსწერ.

ნებლიუდოვი მოუთმენლად ელოდა, როდის ეტყოდა მარიეტტა-
მს „რაღაცას“, რაც უნდა ეოქვეა, მაგრამ მარიეტტა არა ჩეკარობ-
და, იჯდა არხეინიდ და პირის შესახებ ლაპარაკობდა.

ნებლიუდოვი დაიწმუნდა, რომ მარიეტტას მხოლოდ ის უნდო-
და, თავისი სილამაზე ეჩვენებინა, თავისი მშენიერი მორთულობა,
და ეს-კი სასიამოვნოც იყო და საწყენიც მისთვის.

ნებლიუდოვი უმშერდა მარიეტტას, სტკბებოდა მისი მშენიე-
რებით და ამავე დროს პხედავდა, რომ ჟელა ის, რაცა პხიბლავდა,
ყალბი და ხელ-ქმნილი იყო; ყალბი იყო მარიეტტა, რადგან ისეთი
ჯოვე ქმარი უცვარდა, რომელიც მუდამ იმასი პლიქრობდა, თუ რო-
გორ აემალლებინა თავი, პხედავდა, რომ ეს ქალი ყოველის ლონის-
ძიებითა სცდილობდა შეეცვარებინა ნებლიუდოვისთვის თავი. ნებლი-
უდოვისთვის მარიეტტა მიმშიცველიც იყო და საზიზლარიც. რამ-
დენჯერმე მოემზადა წასასულელად, აიღო ქუდი, მაგრამ ისეც დარჩა,
ხოლო როცა მარიეტტას ქმარი შემოვიდა და ირონიულად გადაწე-
და ნებლიუდოვს, ვიყივით წიმოვიდა, კარებძის მიხურვა არც-კი და-
უცდია, გამოვიდა ლოტიდან, ჩაიცა პალტო და წავიდა სახლში.



გზაში დაეწია ერთ მაღალს, მშევნივრად მორთულ ქალს ჩატარებული მეტერის თვალით დააცემადა. ქალი ლამაზი იყო, უთუოდ ბევრი ფერ-ფერული ჰქონდა წასმული. მან ლიმილითა და სიამოვნებით შეხედა ნებლიუდოვს. საკვირეელია, ნებლიუდოვს მაშინათვე მარი-ეტრა მოაგონდა და ისეთივე გრძნობა აღეძრა, როგორც მარიეტრას მიმართ. ნაბიჯს უმატა, გაუსწორ წინ, გაჯავრებით შეუხედია მეორე ჭურაში და გაცხარებით დაიწყო იქ ბოლოს ცემა.

„იმინაც ასე გამილომა, როცა თეატრში შეეციდი“, — გაიფიქრა ნებლიუდოვმა: — ორივეს ლიმილი ერთისა და იმავე იზრისა იყო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს პირდაპირ და უბრალოდ მაგებინებს რაც უნდა, ის კი თავს იკატუნებს, ვითომეც აქ არაფერია, და რაღაც მაღალის იდეალებით სცხოერობს, მაგრამ საფუძველი კი ორივეს ერთი და იგივე აქვს. ეს მართალს მაინც ამბობს, და ის კი ყოველ ნაბიჯზე სტუის“. ნებლიუდოვმა მოიგონა კავშირი მაზრის თავალ-აზნაურთა წინამდიღოლის ცოლთან და თეალწინ წარმოუდგა თავისი სამარცხენი მოქმედება. „საზიზლარია ადამიანის მხელური ბუნება, ნამდვილის პირუტყვლის ალლოთი გაელენთილი, — ჰფიქტობდა ნებლიუდოვი: — მაგრამ, როცა ეგ სიმხეცე ხალასია, შეურყუნელია, შენის სულიერ ცხოვრების სიმაღლიდანა ჩედავ, გეზიზლება და ჰეიცხავ; დაეცი თუ გაუმაგრდი ცდუნებას სულ ერთია, ვაინც ისეთივე დარჩები, როგორიც წინად იყავი; სულ სხვაა, როცა ეგ პირუტყვობა, ეგ მხეცური ბუნება ცრუ ესტეტიკურ და პოეტურ ტყავში ეხვევა და თხოვლობს, მუხლი მოიდრიკეთ და თაყვანი მეცითო; თუ ამ ცხოველს აღმერთებ და მითლად ემონები, საშინელებაა!“

ნებლიუდოვისთვის აბრა ცველაუერი ცხადი და აშეარა იყო. ცხადი იყო, რომ რაც მნიშვნელოვანი და კარგი ეგონა, უმნიშვნელო და საზიზლარი აღმოჩნდა. ცველა ეს: გარეგნული სიმშვენიერე, ფუტურიზმითა და განცხრომით ცხოვრება, პუარავს ძველს იგზაკონას, რომელიც ცვლის სთვის შეკეცული ჭირია და არამც თუ დაუსჯელად რჩება, არამედ თავიც მოაქვს გამარჯვებულიერით.

ნებლიუდოვს არ უნდოდა ეუიქრა ამ საგანშედ, მაგრამ მაინც ცველაუერი თეალ-წინ ედგა. მართალია, ვერა ჩედავდა იმ სინათლის წყაროს, რომლის წყალობითაც ცველაუერი ცხადი იყო, თუმცა ეს სინათლე ცველაუერი და არა-ბუნებრივი იყო, როგორც უმთვაროდ განათებული პეტერბურგის ლაშე, მაგრამ მაინც აშეარად ჩედავდა ცველა ამ თაღლითობას და ერთსა და იმავე დროს სიამოვნებასაც ჰერმონბდა და მოუსევენრობასაც.



XXVII

თუმცა ის დიდს არაფერს გამოელოდა იქ წასკლით, მაგრამ ბოგატირევის რჩევით ნებლიუდოვი წავიდა ტოპოროვთან, იმ პირთან რომელზედაც დამოკიდებული იყო სექტანტების საქმე.

თანამდებობა, რომელიც ტოპოროვს ეკირა, თავის დანიშნულებით შინაგან წინააღმდეგობას შეადგენდა, რომლის დანახვა არ შეჰქმდო მხოლოდ ჭონებით ჩლუნგს და ზნეობრივი გრძნობის მოკლებულ ადამიანს. ტოპოროვს ორივე ეს უარყოფითი თუისება ჰქონდა. წინააღმდეგობა, რომელიც მის თანამდებობაში იყო, გამოიხატებოდა იმაში, რომ ხელი შეეწყო და დაეფარა გარეგანი საშუალებებით, ძალდატანების გამოყელებლად, ის ყელესია, რომელიც დამყარებული იყო თვით ღმერთის მიერ და, რომლის შერყევა არ ჰქონდო არც ჯოჯოხეთს და არც ადამიანთა არაეთიარ ძალას. ამ ლუთაებრივ და შეურყეველ დაწესებულებას უნდა მხარი დაეჭირა და დაეფარა ის ადამიანური დაწესებულება, რომელსაც სათავეში ედგა ტოპოროვი თავის მოხელეებით. ტოპოროვი ვერ ხედავდა ამ წინააღმდეგობას, ან არ უნდოდა დაენახა და ამიტომ ძლიერ სერიოზულად ზრუნავდა იმისთვის, რომ რომელიმე ქსენს, პასტორს ან სექტანტს არ დაენგრია ის ეკლესია, რომლის დანგრევა თვით ჯოჯოხეთის ძალებს არ ჰქონდოთ. ტოპოროვს, როგორც ყელი ხალხს, არ ქონდა ძირითადი სარწმუნოებრივი გრძნობა, ხალხთა ძმიბა-ერთობის ზეგნება, სრული დარწმუნებული იყო, რომ ხალხი სულ სხვა არსებისგან შესცდება, ვიდრე თვითონ და ხალხისთვის საჭიროა ის, ურომილისოდაც ის მშენიერად გასძლებდა. თვით მას თავის სულის სიღრმეში არაფერ არ სწამდა და ასეთი მდგომარეობა საუკეთესოდ და სასიამოწნოდ მიაჩნდა, მაგრამ ეშინოდა თვით ხალხი არ მისულიყო ასეთ მდგომარეობამდე და თავის წმინდა მოვალეობად სოფლიდა დაეხსნა ხალხი ამისაგან.

ისე, როგორც ერთ სამხარეულო წიგნში სწერია, რომ კიბოებს უყვართ, რომ ცოტბლად სწევავნ, ის სრული დარწმუნებული იყო, ფიქრობდა და ამზობდა რომ ხალხს უყვარს იყვეს ცრუმორწმუნე.

ის ისე ექცევდა იმ სარწმუნოებას, რომელსაც მხარის უკერდა, რაგორც მექაომე ლეშს, რომლითაც ქათმებს ჰკეცხავს; ლეში ძლიერ არა სასიამოწნოა, მაგრამ ქათმებს უყვართ და სპამე მას, ამიტომ მათ უნდა ვაქამოთ ლეში.

რასაკეირეულია უცელა ეს ივერიის, ყაზანის და სმედენსკის — დიდი მოუხეშავი კერპთაყვანისმცემლობაა, მაგრამ ხალხს ეს უყვარს



34135920

და უნდა მხარი დატვირთოთ ამგვარ ცრულობრივობას — ისეკე ფრანგი რობდა ტოპოროვი და კერ გაეგო ის, რომ ხალხს იმიტომ უყვარდა ეს ცრულობრივობა, მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ იყვენ და ეხლაც არიან ისეთი სასტიკი დღისანები, როგორიც თვით ტოპოროვი იყო, რომლებმაც მიიღეს განათლება და ამ განათლებას იმაზე კი არ ხმა-რობენ, რაზედაც უნდა მოეხმირათ, ხალხის სიბრძლიდან და უფიცი-ბიდან გამოყენაზე, არამედ ხმირობენ იმაზე, რომ ეს ხალხი უფრო მეტად დაბრელონ და უფიციბის მახვილ გააბაა.

როცა ნებრიულოდები მის მისაღებ ოთახში შევიდა, ტოპოროვი
ელაპარაკებოდა მონოზონ — ილუმინიას, განბეჭდავ არისტოკრატებს,
რომელიც მთარს უკერდა და ავრცელებდა ქრისტიანობას დასაცლე-
თის მთარეს მართლმადიდებლობასთან ძალად მოწევილ უნიატების
შორის.

საგანგებო საქმეთა მოხელეები, რომელიც მისალებ როახში იყო, გამოკითხა ნებლიუდონის მისი საქმე და როცა გაივრო, რომ ნებლიუდონის კინირა გადაეცა სექტანტების თხოვნა ხელმწიფის მფლობელის, პეტონის მომ არ შეუძლია მას გადასცეს თხოვნა გადასათვალიერებლადო. ნებლიუდონმა გადასცა თხოვნა და მოხელე ამ თხოვნით წავიდა კაბინეტში. გრძელი შავი შლეიფით, ლამაზი თეთრი ხელებით, რომელშიც კრიალოსანი კეიირა, გამოვიდა მონობონი და კარების სკენ წავიდა. ნებლიუდონის ჯერ კიდევ არ გაატიქებოდენ შესულიყო. ტოპორები თხოვნას კითხულობდა და თავს იქნებდა. ის გავვირვებული იყო, როცა მი გარკვეულ და მძლავრად დაწერილს თხოვნის კითხულობდა.

მას ასიოდე ამ სექტანტების საქმე, მას უკვე ჰქონდა მათი თხოვნა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ნართლმადიდებლობას ჩამოშორებულ ქრისტიანებს ჯერ არიგებდნენ და შემდეგ მისცეს სამართალში, მაგრამ სასამართლომ ისინი გაამართლა. მაშინ არქიეპისტი გუბერნატორთან ურთად გადასწყვერტა არა კანონიერ ქონქინების საფუძველზე გაეგზავნათ ქმრები, შეიღები და კოლები სხვადასხვა- ვადასასახლებელ ადგილებში. და აი ეს მამები და კოლები თხოვ- ლობდნენ, რომ იგინი არ დაეშორებიათ ერთმანეთისათვის. ტოპო- როვმა შოთვონა ეს საქმე, როდესაც ის პირველად მოხვდა ხელში. მაშინ ის რყევაში იყო - მოესპონ ეს საქმე თუ არა? მაგრამ იშით



არაფერი დაშეცდებოდა, რომ დაემტეს კუპი განკარგულება ცალკევის მიზანისათვის ნა ამ იჯახების წევრები ცალ-ცალკე სხვადასხვა იღვილას; ხოლო მათ ადგილზე დატოვებას უუდი შედეგი მოჰყვებოდა სავა მცხოვრებლების მართლმადიდებლობაზე ჩიმოშორების მხრით, გარდა ამის ეს ამტკიცებდა არქიელის ერთგულებას და ამიტომ მან მისცა მსელელობა ამ საქმეს.

ეძლა კი ისეთი დამკუცელის წყალობით, როგორც ნებლიუდოვია, რომელსაც დიდი ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა პეტერბურგში, შეიძლება საქმე წარდგენილი ყოფილიყო ხელმწიფესთან, როგორც რაღაც საშინელი რამ ან და ჩაიტანოდა უცხოეთის განვითარებს, ამიტომ მან მაშინვე მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება.

— გამარჯობათ — უთხრა მან საქმეებით დატერიტული კაცის კილოთი, ფეხზე მდგომი შეხვდა ნებლიუდოვს და მაშინვე საქმეს შევდგა.

— მე ვიცი ეს საქმე. როგორც კი დაგხელე გვარებს, მე მაშინვე მომავინდა ეს უბედური საქმე — სთქვა მან. აიღო ხელში თხოვნა და ნებლიუდოვს უჩვენა — მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ მომავინეთ იგი. ეს გუბერნიის მთავრობამ გადააჭარბა...

ნებლიუდოვი კი ჩრდილ იყო და უუდი გრძნობით უყურებდა გაეყითრებულ სახის უძრავ ნილაბს.

— მე მოვახდენ განკარგულებას, რომ ეს ზომები გააუქმონ და ის ხალხი დააბრუნონ თავიინთ ადგილებზე.

— ასე რომ საჭირო აღარ არის ამ თხოვნას მსელელობა მიეცე? — შეეკითხა ნებლიუდოვი.

— მე თქვენ გადაჭრით გპირდებით — სთქვა მან და მაგრათ წარმოსითქვა სიტყვა „მე“, აღბად დარწმუნებული, რომ მისი პატიოსნება, მისი სიტყვა ცეკვებზე მეტი თავდები იყო — უკეთესია მე ებლავე დაესწერ. გთხოვთ დაბრძანდეთ.

ის მიეციდა მაგიდასთან და დაიწყო წერა. ნებლიუდოვი არ დაჯდა, ის ზეეიდინ დამყურებდა ამ პატარა მოტელების თავს, ლურჯ ძარღვებიან ხელს, რომლითაც ის სწრაფად სწერდა და უკვირდა, რატომ შეტებოდა ის მას, რასაც შეტებოდა და ისეთის მზრუნველობით აქეთებდა ეს აღბად უცელაფერზე გულგრილი აღამიანი?

— მაში აგრე — სთქვა ტოპოროვმა და კონფერტი დააწება, — გამოუხადეთ ეს თქვენ კლიერტებს, დაუმატა მან და რაღაც ღიმილის მაგვარი გამოეხატა ტუჩებზე.

— რატომ იტანჯებოდა ეს ხალხი? — უთხრა ნებლიუდოვმა და კონფერტი გამოართვა.



ტოპორიოებმა თავი მაღლა ითქო და გაიღიმა, თითქოს ნებლიუ-
დოვის კითხვამ მის სიამოვნება მიაყენა.

— ეს მე არ შემიძლია გითხრათ მხოლოდ,
რომ ხალხის ინტერესები, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ, ისეთი მნიშვნე-
ლოვანია, რომ სარწმუნოების საკითხისადმი ზედმეტი ერთგულების გა-
მოჩენა იმდენათ საშიში არ არის, როგორც ეხლა გავრცელებული
სარწმუნოებისადმი გულგრილობა.

— ეი მაგრამ როგორ ხდება, რომ სარწმუნოების გულისფერის
არღვევენ სიეკის პირველ მოთხოვნილებას და აშორებენ იჯახის
წევრებს ერთმანეთს.

ტოპორიოები ისევ ისე თავმდაბლად იღიმებოდა, რაღვან უთუოდ
სასტურებლად სცნობდა რასაც ნებლიუდოვი ლაპარაკობდა. რაც უნდა
ეთქვა ნებლიუდოვს ის მაინც სასიამოვნოდ ჩასთვლიდა იმ სიმაღლი-
დან, როგორც თვითონ ფიქრობდა, ფართო სახელმწიფოებრივ მდგო-
მარეობიდან, რომელზედაც ის იდგა.

— კერძო პირის თვალსაჩრიისთ ეს შეიძლება ისე ჭარმოვი-
დგინოთ—უთხრა მან—მაგრამ სახელმწიფოებრივ თვალთახედების ის-
რით სულ სხვა წარმოგევიდგება. სხვათა შორის ჩემი პატივისცემა—
უთხრა ტოპორიოებმა, თავი დახარა და ხელი გაუწიოდა.

ნებლიუდოვიებმა ხელი ჩამოართვა, საჩქაროდ გამოვიდა და ნა-
ნობდა რომ ხელი ჩამოართვა.

„ხალხის ინტერესები“—გაიმორა მან ტოპორიოების სიტყვები.
„შენი ინტერესები, მხოლოდ შენი“—ფიქრობდა ის, როცა ტოპო-
რიოების სახლიდან გამოდიოდა.

მან უკად მოიგონა ყველა ის ხალხი, რომლებზედაც თავს
იქნდა დაწესებულებების მოღვაწეობა, რომლებიც სამართლიანობას
აღვენ, იცავდა სარწმუნოებას და წვრთნიდა ხალხს. მოიგონა დე-
დაყაცი, რომელიც დაესჯათ ლეიინის უპატენტოთ გაყიდვისთვის,
პატარა ქურდობისთვის, მაწაწალა და ცუცლის ჭარებიდებელი,
ბანკირი გაფლანგებისთვის, ეს ლიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან
შეიძლებოდა გაეგოთ საჭირო ცნობები, სექტანტები—მართლმადი-
დებლობის დარღვევისთვის, გურკევიჩი იმიტომ, რომ არ უნდოდა
კონსტიტუცია და სხვა. ნებლიუდოვს აშვარა აზრი მოუვიდა, რომ
ემ ხალხს იკურდენ, სტანჯავდენ და ასახლებდენ არა იმიტომ, რომ
ისინი არღვევდენ სამართლიანობას ან და სჩადიოდენ უკანონობას,
არამედ იმიტომ, რომ ისინი ხელს უშლიდენ მოხელეებს და მდიდ-
რებს დაუფლებოდენ იმ სიმღიდრეს, რომელსაც ხალხისგან იღებდენ.



ხელს უშენიდა დედაყაყა, რომელიც უპატენტოთ მჭებელის მშენებელს კალაქში მოხერიალე ქურდი, ლიდა პროკულამიაციებით და სექტანტები, რომლებიც არღვევდენ ცრუმისტშენოვებას და გურკევინი კონსტიტუციით.

ამიტომ ნებლიუდოვი ხდედა, რომ ყველა ეს მოხუცები შისი
დეიდის ქმარიდან, სენატორებიდან და ტოპოროვიდან დაწყებული
ჰატრარი მოხელეებამდე, რომელებიც სამინისტროში მაგიდებს უსხდენ,
ოდნავაც შეშეფრთხებული არ იყვნო იმით, რომ ასეთ წესების დროს
იტანჯებოდენ უდანაშაულონი, არამედ მუღამ ზრუნავდენ მხოლოდ
იმაზე, რომ თავიდან მოეშორებინათ ეს საშიში ხალხი.

ასე რომ კი არ ასრულებდენ იმ წესს, რომ გვატიცებით ათი-
დამნაშაცესთვის, რომ არ დაესაჯათ ერთი უდინაშაულო, არმედ წი-
ნააღმდეგ, სჯიდენ ათ უდინაშაულოს, რომ ერთი ნამდევილი საშინი-
დამნაშაულ მოეშორებინათ.

კულტურული ეს განმარტება ნებლიუდოვს უბრალო რამეც ეწვენებოდა, მაგრამ ეს უბრალოება აიძულებდა ნებლიუდოვს რყევაში ყოფილიყო. მიეღო ის თუ არა, შეუძლებელია, რომ ასეთ ჩაულ მოვლენას ასე-თი უბრალო და საშინელი განმარტება ჰქონდეს, შეუძლებელია კვი-ლი ის სიტყვები სამართლიანობის, კეთილის, კანონის, სარწმუნოე-ბის და ღმერთის შესახებ მხოლოდ მარტო სიტყვები იყოს, რომელთა ჭერი იმალება გაიძვერობა და სისასტეკ.

მიეკიდა თუ არა მოსკოვში, ნებლიუდოვი მაშინც სატუსალოს
სააგადმყოფოს სკრ გაექანა, რომ ენახა მასლოვას ქალი და გამოეცხა-
დებინა სამწერარო ამბავი: უნდოდა კიმბირში ჭასასელელადაც მო-
ეძიას უბინა.

ერთად ერთი იმედი მხოლოდი ის-ლა დარჩენოდა, რომ უვალ-
ლეს სახელობაზე ჰგავნილა თხოვნას, რომელიც კექილმა დაუწერა,
და ახლა მასლოვას ქალთან მიჰქონდა ხელმოსაწერად. საკვირველია,
ახლა სრულიადაც არ უნდოდა გაემარჯვნა იმ საქმეში. ახლა მხო-
ლოდ ციმბირში ცალკედა ეხატებოდა თვალშინ და კერ წარმოედ-
გინა, ვანი როგორ მოვაწყობდი ჩემს ცალკედას, მასლოვას ქალი-
რომ არ გაეგზავნათ კიმბირშიო.

საავადმყოფოს მექანიკმ მაშინვე იცნო ნებლიუდოვი და ატრიბუტი, მასლოვის ქალი აქ აღარ არის.

— მაშ სად არის?

— ისევ სატუსალოშია.

— მერე, რატომ გადაიყვანეს? — ჰყითხა ნებლიუდოვი.

— ოქ, რომ იცნოდთ, თევენო ბრწყინვალებავ, რა ხალხია, — უთხრა მექარემ და ზიზით გაიღიმა: — ფერშალტან არშიყობა გამართა და უფროსმა ექიმმა უკანევე გაპეზავნა:

ნებლიუდოვი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ მასლოვის ქალი ასე დაახლოებული იყო მისი, ამ ამბავმა სწორედ თავზარი დასცა. ისე იმიქმედა, რომ დიდებანს გონს ვერ მოვიდა. პირველად უხომო სიჩუხეილი იგრძნო, რომ ასე მოსტყუდა მასლოვის ქალის შესახებ, რომელიც საკეთილოდ გამოცდილი ეგონა. მოაგონდა მისი სიტყვები, როცა მტკიცე უარს უბნებოდა, არ მოვიდე შენგან შავისთანა მსხეურპლისათ, და ეხლა კი დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს გარეუნილი ქალის ონები იყო, რათა მეტი ფული დაეტყუვნა მისათვის. გაახსენდა, უკანისენელ ნახვის დროს კიდეც შევამჩნიე, რომ მთლად გასწორებული არ იყო კიდევათ. ინსტინქტიურად ქუდი ჩამოიტარა თავზე და გამოიდა საავადმყოფოდან.

„რა უნდა ვქნა აბლა? — დაიყითხა თავის თავს, — განა მისი ასე-
თი ქცევა არ მინთავისულებს ჩემის მოვალეობისაგან?“

მაგრამ როგორც კი ესა ჰყითხა თავის თავს, მაშინვე მისხედა, რომ, თუ განთავისულებულად მივიწინე ჩემს თავს და უპატრიონდ დაესტყოვებ კატოს, იმას კი არ დაესჯი, არამედ თეითონ მე დავის-
ჯებიო, და შეძრწუნდა.

„არა, რაც მოხდა — მოხდა, ჩემს მტკიცე გადაწყვეტილებას ვე-
რაფითარი შემთხვევა ვერ შემაცლებულებას. ის კი ისე მოიჩქეს, რო-
გორც მის სულიერს მდგომარეობას შეეფერდა. ფერშალტან არში-
ყობს? იარშიყოს — ეს საკუთარი მისი საქმეა. ჩემი საქმე კი ის არის,
რასაც ჩემი სინილისი თხოულობს“, — სთქვა მან გულში. — „ჩემი სი-
ნილისი კი იმასა თხოულობს, რომ ჩემი თავისულება მსხეურპლად
შეესწირო ჩემის ცოდვების გამოსასყიდლიც და ჩემი გარდაწყვეტი-
ლება, რომ ის ქალი მე ცოდად უნდა შევირთო და გაეჭვე ციმბირ-
შე, შეუცალელი დარჩება“, — სთქვა მან და მტკიცე ნაბიჯით სატუ-
სალოს კარებისაკენ წაეიდა.

როცა კარებთან მიეიღო, სთხოვა მორიგეს, შეატყობინეთ უფ-
როსს, რომ მასლოვის ქალის ნახვა მინდაო. მორიგე იცნობდა ნებ-
ლიუდოვს და, როგორც ნაცნობს, შეატყობინა სატუსალოს ახალი



ამბავი, კაპიტანშია სამსახურს თავი დაიანება და მის აღგილებულ წერილი დაცული აქალი, სასტრიქო უფროსი დაინიშნეს.

— ისეთი სასტრიქია, ისეთი, რომ რიღა ვითხრით... ახლა აქ არის, ებლავი შევატყობინებ,—უთხრა მორიგე ზედმხედველმა და წევიღა

მართლაც, უფროსი სატუსაღოში იყო და ჩემარა გამოვიდა ნებ-ლიუდოვთან. მაღალი იყო, გამზღარი კაცი, მრისანე შეხედულობისა.

— ნახეა ჩხოლოდ წინაღვე აღნიშნულ დღეებში შეიძლება და ისკრ კერძოდ ამისათვის დანიშნულ თახმში,—სთქვა მან ისე, რომ ნებლიუდოვისთვის არც კი შეუხედნია.

— მართალია, მაგრამ მინდა ხელი მოვაწერინო თხოვნაზე, რო-მელსაც უშალლესს სახელობაზე ვაძლევ.

— შევიძლიანთ მე გადმომცეთ.

— მე თვითონ მინდა ენახო. წინად მუდამ მაძლევდენ ნახვის ნებას.

— ეგ წინად იყო, ახლა კი სულ სხვა არის! უპასუხა უფროს-მა და ცალის თვალით გადამხედა ნებლიუდოვს.

— გუბერნატორისაგან მაქვს ნეპა,—დაიკინა ნებლიუდოვმა და „ბუმიანიკი“ ამოილო.

— გვიბოძეთ, —უთხრა უფროსმა, გამოართვა ქალალი და წა-იკითხა: —მობრძანდეთ კანტორაში, —უთხრა მან.

კანტორაში ახლა არიენი იყო. უფროსს უწდოდა კანტორაში დარჩენილიყო მათის ლაპარაკის დროს, მიუჯდა მაგიდას და ქალალ-დების გადათვალიერება დაიწყო. ნებლიუდოვი შეეკითხა: შეიძლება თუ არა პოლიტიკურ დამნაშევის ბოვოლუხოვსკიას ქალის ნიხვით; უფროსმა მოულედ მოუჭრა — არა.

— პოლიტიკურ დამნაშევეთა ნახვა ალკიმალულია, —უთხრა მან და ისევ ქალალდებს მიუბრუნდა.

ნებლიუდოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩინარდა, რადგან ბო-გოდუხოვსკიასთან წერილი ჰქონდა და გადაცემა შეუძლებელი შეიქმნა.

როგორ მასლოვას ქალი შემოვიდა, უფროსს არც კი შეუხედნია, ისე უთხრა: „შევიძლიანთ ილაპარაკოთო“, —და განაგრძო თავისი საქმე.

მასლოვას ქალს წინანდებურაზ ეცვა ტანს. მიეღიდა ნებლიუ-დოვთან და, რაერ შეპნიშია ზისწილით იღესილი სახე, ვარხალივით გაწითლდა, თავი ჩაპლუხა და უაზროდ ხელების ფათური დაიწყო. მასლოვას ქალის ასეთმა ქცევამ დაარწმუნა ნებლიუდოვი, რომ სა-ავადმყოფოს შევარეს სიტყვები მართალია.



უნდოდა წინანდებურად მოჰქეულდა მასლოვას ქალს, ჟიგულიშვილისა
და შესძლო, ისე ეზიშლებოდა ახლა.

— სამწუხარო ამბავი მოვიტანეთ, — უთხრა ნებლიულოვები ისე,
რომ არც კი შეუხედნია: — სენატში უარი ვვითხრეს.

— ვიცოდი, აგრე იქნებოდა, — უპასუხა მასლოვას ქალმა ისე-
თის ყრუ ხმით, რომ კაცს ეგონებოდა, იღრჩობათ.

წინად რომ ეთქვა ეს მასლოვას ქალს, ნებლიულოვები უთუოდ
ჰქითხებდა მიწებს, ახლა კი მხოლოდ შეჭირა: მასლოვას ქალს
ცრემლები ადგა თვალებზე.

— მ ცრემლებში არა თუ მოარბილა, კიდევაც გააბრაზა ნებლი-
ულოვი.

უფროსი წამოდგა და ილთის ცემა დაიწყო ოთხში. თუმცა
მასლოვის ქალის ნახეამ საი ხელი ზიზღი აღუძრა ნებლიულოვეს, მა-
ინც საჭიროდ დაინახა სიბრალულით მოპყრობოდა.

— მაინც იმედს ნუ დაპყარებეთ, — უთხრა მან, — იქნება ამ
თხოვნილან გამოვიდეს რამე. იმედი მაქვს, რომ..

— არა, მე მიგისთეის კი არა... — ისეთის საცოდებების ხმით და-
იწყო მასლოვას ქალმა, რომ გარეინებულ ადამიანის გულიც კი
ათრითოლდებოდა.

— მაშ რა?

— საავადმყოფოში იქნებოდით და უთუოდ გიტყოდენ რასმე
ჩემზე...

— მერე რა, ეგ საკუთარი თქვენი საქმეა, — ციფად უთხრა ნებ-
ლიულოვები.

შეურაცხოფილი გრძნობა, რომელიც მიყუჩებული იყო, უფრო
ძლიერად შეირყა, როცა მასლოვას ქალმა საავადმყოფო ახსენა. „მე
ისეთი კაცი ვარ და ისეთ ჯგუფს ვეკუთვნი, რომ ჩემს ცოლობას
არა ერთი და ორი სიუკეთესო ქალიშვილები ნატრობენ; სურვილი
განვალებულე ამ ქალის შერთვაზედ და ამან კი ვიღაც ფერშალს და-
უწყო აზშეცვინა!“ — ჰყოიკრობდა ნებლიულოვე და ზიზღით უმხერდა
კაროს.

— აი, ამ თხოვნას მოაწერეთ ხელი, — უთხრა მან და ქალალდი
დაუდო წინ.

მასლოვას ქალმა თვალები მოიწმინდა, დაჯდა მაგიდასთან და
დაექითხა, სად ან როგორ მოეწერა. ნებლიულოვები უჩვენდ, საღაც
უნდა მოეწერა. ნებლიულოვე თავსა ადგა და მისჩერებოდა მის მო-
ხრილ ზურგს, რომელიც ირთოდა შეკავებულის ქეითინის გამო. ნებ-
ლიულოვეს გულში ათასგვარი გრძნობა აღიძრა. ბოლოს სიბრალუ-
ლის გრძნობაში დაიჭირა მეტი ალაგი.



წინანდელს ცოდვების წყალობითა თუ სიბრალულით, ნებლი-
უდოება იგრძნო თავის თავი დამნაშავედ და შეებრალა მასლოვას
ქალი.

მასლოვას ქალმა ხელი მოაწერა, გაიწმინდა მელნით გათხუ-
ნილი ხელი და წამოდგა.

— რაც უნდა მოპტდეს, რაც უნდა შეგემოხვეს, ფრაფერი ვეზ
შემაცელეცინებს ჩემს მტკიცე გადაწყვეტილებას,— უთხრა ნებლიუ-
დოება.

იმ მოსაზრებამ, რომ მე ვაძატიკ მასლოვას ქალს ჰყელადერიო,
უფრო მეტი სიბრალული იღუდრა გრძეში და მოინდომა მისი ნუგე-
შის ცემა.

— რაცა ვსოქეი, აეისრულებ. სადაც უნდა გაგვზაენონ, უთუოდ
შენთან ვიქნები.

— ტყუილად იწუხებთ თავს,— გააწყვეტინა მასლოვას ქალმა
და უცბად სახე გაუბრწყინდა.

— ხომ იცი, რომ სამეზაეროდ მომზადება გჭირია.

— მეონია, მაგდენი არაფერი. მადლობელი ვარ.

უფროსს წამოდგა და მიეიდა მათთან. ნებლიუდოება სიტყვის
თქმაც კი არ დააცალა მასლოვას ქალს, ისე გამოიერთოვა. ისეთის
გრძნობით იყო ალვსილი, რომ ასე არასოდეს არ ყოფილა.

ერთად ერთი აზრი, რომელიც მის გულს მაღამოსავით ეცხე-
ბოდა, ის იყო, რომ რაც უნდა ცუდად მოქუცულიყო მასლოვას ქა-
ლი, მაინც უყვარდა. „როგორც უნდა, ისე მოიკეცეს, ეისაც უნდა,
იმას ეკურეულოს, თუ გინდ ფერშალსაც, ეს საკუთარი მისი საქმეა,
მე მაინც მიყვარს იმიტომ, რომ ვალდებული ვარ ასე მოიკეცე“.

ის ამბავი, რომელისთვისაც მასლოვა დაითხოვეს სააფადშემოფო-
დან და რომელიც მაშინვე დაიჯერა ნებლიუდოება, ასე მოპტდა: ერ-
თხელ მასლოვა, ფერშალ ქალის ბრძანებით, მიეიდა აფთიაქში თვე-
ლის ჩიისათვეის. იქ ფერშალი უსტინოვი დაუხდა, რომელსაც დიდი
ხანია თვალი ეჭირა მასლოვას ქალზე და მოსევნებას არ აძლევდა.
შევიდა თუ არა მასლოვას ქალი, ფერშალი მხეცივით მივარდა და
ხელები მოპხეია. მეტის სიბრაზით მასლოვას ქალმა ისე მძლიერად
მოიქნია უსტინოვს, რომ შეუშების სუტრის დაეჯახა და ორი შეშა
გასტრება.

ამ დროს ტალანტში უფროსი ექიმი დაიდოდა და, გოიგონა თუ
არა შეუშების მტკიცევა და როგორც კი თვალი მოპერა, რომ აფთია-
ქილგან თმა გაწერილი და გაწილებული მასლოვას ქალი გიმოვარ-
და, დაუყვირა:


— ქალბატონი! შენ თუ ასეთი ამბები დაიწყე აქ, იცოდე, რომ გაგიადებ. რა ამბავია? — მიჩნართა მან ფერშალს და საოვალეების ზემოდან მრისხანედ გადაპირდა.

ფერშალმა თავის მართლება დაიწყო. ექიმი საჩქაროდ გავიდა და უთხრა უფროსს, რომ მასლოვას ქალის ადგილას სხვა, უფრო ზრდილობიანი ქალი გაღმოყენანა.

საავადმყოფოდან დათხოვნა მით უფრო თავ-ზარ დამცემი იყო მასლოვას ქალისათვის, რომ სრულიად უდანაშაული იყო ამ საქმეზე. მერე ისიც ახლა, როცა ნებლიუდოვს კელად შეპხვდა, მამაკაცითან საქმის დაჭრა, წინადაც შეძულებული, უფრო მეტად შეეზიზდა. იმ გარემოების გამო, რომ აქაო და ამ ქალს საეჭვო წარსული ჰქონდა, ცყვლა თამაშად ერთანებოდა, რაც საშინლადა სწყინდა და სულ გულს უთუთქვდა. როცა ნებლიუდოვთან გამოიყიდა, უნდოდა თავი გამართლებინა, მაგრამ შეატყო თუ არა, ნებლიუდოვს არ სჯერა ჩემი სიმართლეო, მაშინვე დაჩუმდა და თვალები ცრემლებით აეცსო.

მასლოვას ქალი არწმუნებდა თავის თავს და ნებლიუდოვსაც განუსადა, რომ არ მიპატივებია შენოვის დანაშაულით და მეზიზლები კიდეცაო, მაგრამ ნამდებილად კი დიდი ხანია ისევ შეუყვარდა და ყოველსაფე მის ბრძანებას სიყვებით ასრულებდა: დაანება თავი თამბაქოს წევის და ლვინის სმას და მისი ბრძანებით საავადმყოფოზი დაბეგა მოსამსახურედ. თუ ამდენ ხანს ციფს უარსედ იზგა მიეღლო მისგან მსხვერპლი, ეგ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ჩემი ცოლობა უბეჭურების მეტს არას მოუტანიო. მან მტევნედ გადასწყვიტა არ მიეღლო მისგან არაეთარი მსხვერპლი და თან სამწუხაროდ მიანწიდა, რომ ნებლიუდოვი ზინზით უშერდა და ვერ ამჩნევდა, რა ცვლილებაც დაიტყო. ახლა მას უფრო მეტად ისა სტანჯაფლა, რომ ნებლიუდოვმა მის შესახებ ცუდი ამბავი გოიგო საავადმყოფოში, ვიდრე ის, რომ საბოლოოდ გადასწყვდა მისი წასელა კატორდაში.

XXVIII


 შესაძლებელი იყო მასლოვას ქალი ტუსალების პირველ ჯგუფთან ერთად გაეგზავნით, და ამიტომ ნებლიუდოვი მზიდების შეუდგა. საუბრულებელოდ, იმდენი საქმე გამოუწინდა, რომ, რამდენი დროიც უნდა ჰქონოდა თავისუფალი, ყოველად შეუძლებელი იყო ცველა საქმე გაეკეთებინა. წინად განგებ უნდა მოვკონა, რა გავაეკორო და თვით საქმის თავი და ბოლო იყო დიმიტრი ივანეს ქე ნებლიუდო-



ვი. თუმცა ცხოვრების მთელი ინტერესები მარტო დიმიტრი ფლიქსი უკავშირდა დის ნებლიუდოვის გარშემო ტრიალებდა, მაინც საქმე მეტად მოსაწყვენი და მოსაბეჭრებელი იყო. ახლა მისი გასაკეთებელი საქმე სულ სხეას შეეხებოდა და არა დიმიტრი ივანეს ძეს, და მაინც უფრო სახალისო და მიმშიდველი იყო. ასეთი საქმეები აუარებელი აღმოჩენიდა.

ახლანდელი საქმეები ნებლიუდოვმა სამ კატეგორიად გამჟღადა, ამისდა მიხედვით, სამს პოროფელში ჩაალაგა ცალკეალკე.

პირველი საქმე. რასაკირველია, მასლოვის ქალს შეეხებოდა. ეს საქმე იყო უმაღლესს სახელობაზე დ მიცემულ თხოვნის ოვალ-ყურის დევნება და ციმბირში სამგზავრო მომზადება.

მეორე საქმე შეეხებოდა მამულების გაწესრიგებას. პანოვის მიწები გლეხების ქეონდათ გადაცემული იმ პირობით, რომ მიწაში აღებული ფისი ისევ იმათვე მოეხმარებინათ საზოგადო საჭიროებისათვის. ამ საქმის დასაბოლოებლად საჭირო იყო პირობების შედგენა და ხელის მოწერა გლეხებისაგან. კუზმინსკში ისე იყო საქმე, როგორც თვითონ გაარიგა: ე. ი. მამულებისაგან აღებულ ფულს თვითონ იღებდა თავის საჭიროებისათვის, მხოლოდ ახლა საჭირო იყო ფულის გადახდის ვადის დანიშნა და ანასთანავე ფულის საქმის გაწესრიგება, რომ წინადევ გადაწყვეტილი ყოფილიყო, რამდენ აეღო თავისთვის და რამდენი მიუკა გლეხებისთვის. არ იკოდა, რამდენი მოუნდებოდა სამგზავრო და ამიტომ ეს შემოსავალი მოლად თავისთვის გადასდო, თუმჯა ნახევრად შეამცირა-კ.

მესამე საქმე შეეხებოდა საზოგადოდ ყველა ტუსალთა შეელადაბმარებას, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად მიჰმართავდენ ხოლო დაბმარებისათვის.

წინად, როცა რომელიმე ტუსალი მიჰმართავდა ხოლმე ნებლიუდოვს დაბმარებისათვის, მაშინვე იწყებდა შუამდგომლობას, რომ მაღე შეემსუბლებინა ტუსალისთვის საკული, მაგრამ შემდეგ, რა-კი ტუსალებმა გაიგეს ეს ამბავი, იმდენი მოხოვნელები მიაწყდა, რომ ნებლიუდოვი იძლებული შეიქმნა ამ საქმისთვის ცალკე მეოთხე განყოფილება შეედგინა, რადგან ამდენ საქმეს მეტი ენერგია და შრომა უნდოდა.

ამ მეოთხე საქმემ შედეგი საკითხი დაუყენა თვალ-წინ: სიდან ან რისთვის გაჩნდა ეს საკირველი დაწესებულება, რომელსაც სისხლის სასამართლო ეწოდება და რომლის შედეგიც სატუსალოა, ის სატუსალო, რომლის მცმოვრებნიც, ცოტად თუ ბევრად, გაიცინ ნებლიუდოვმა, და კიდევ ყველა ის სატუსალოები, პეტრე-პავლოვ-სკის ციხიდგან დაწყებული სახალინამდე, სადაც ამ სისხლის სამარ-



თლის კანონის წყალობით ასი და ათასი მსხვერპლი სასტიკ ტანჯულიშვილის მიერ გამოცხლის.

კერძო დაცვირებით, ვექილისა, სატუსალოს მღვდლისა და ციხის უფროსის გამოკითხვით, ნებლიუდოვმა გაიგო, რომ ტუსალები, ეცრედ-წოდებული ავაზაკები, ხუთ რიგად განიყოფებოდენ. პირველ რიგს ეკუთხნოდენ სჩულიად უდანაშაულო ხალხი, სასამართლოს შეცდომის მსხვერპლი, როგორც მისლოვას ქალი და სხვანი. მღვდლის გამოკლევით, ამ კატეგორიის ტუსალები ცოტანი იყვნენ, ასე რომ მთლიად ტუსალების 7 პროცენტს შეადგენდენ, მაგრამ მათი მდგრადი მეტად დანაშაულობის ჩადენისათვის დასჯილნი, როგორც, მაგალითად, სიბრაზე და სიმთრალეა. ისეთის დანაშაულობისთვის, რომელიც არა ერთხელ ჩაუდენიათ თეთრი იმით, ვინც მათ ასამართლებდენ, ნებლიუდოვის დაკეირებით, თითქმის მთლიად ტუსალების ნახევრამდე იქნებოდენ. მესამე რიგს ეკუთხნოდენ ის ტუსალები, რომელთაც, თავიანთის აზრით, კარგი საქმე ჩაიდინეს, მაგრამ სხვების აზრით კი, რომელნიც ყველაფერს კანონშე მცარებენ, მათი საქციელი დანაშაული იყო. ამ რიგს ეკუთხნოდენ ვაჭარნი, რომელნიც ჩუმად ჰყიდდენ არაყს, მემამულისა და სახელმწიფო ტურდან შეშის გამტანინი. ამ რიგსვე ეკუთხნოდენ ქურდი მთიელებიც.

შეოთხე რიგს ეკუთხნოდა ის ხალხი, რომელნიც, მისი აზრით, საზოგადოების უმრავლესობაზე ზნეობრივად მაღლა იდგენ და ეს იყო მათი დანაშაული. ასეთები იყვნენ სექტანტები, პოლონელები, ჩერქეზები, რომელებიც არეულობას ახდენდენ, თავიანთ დამოკიდებლობისთვის იმპოზატენ. ასეთები იყვნენ პოლიტიკური დამნაშავეებისოციალისტები და გაფიცულები, რომლებსაც სასჯელი ჰქონდათ გადაწყვეტილი მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის, ასეთი ხალხი იყო საზოგადოებისაგან დევნილნი, ცხოვრებისგან გათელილნი, რომელთაც უყველ ფეხის გადადგმაზე ხაფანგი ჰქონდა დაგებული და უბედურება ელოდათ, როგორც, მაგალითად, ის ბავშვი, ძველი ჩულები რომ მოიპარა, და ათასი სხვა, რომლებიც ნებლიუდოვმა ნახა სატუსალოში; ამ სატუსალოს ეკდლებს გარეშე თითქმის ცხოვრების ფითარება სისტემატიურად იმ მდგრადირებაზი აყენებს კაცს, რომ იძულებული მხდებიან ისეთი საქმეები ჩაიდინონ, რომელსაც ავაზაკობა ეწოდება. ამათ რიცხვს შეადგენდენ მრავალნი ქურდი და კაცის მკელელნი. ამ ჯგუფს მიუმატა ნებლიუდოვმა ყველა გარყენილი და წამხდარი ხალხი, რომელთა აზრი მდგრადი საზოგადოებაზი სისხლის სამართლის კანონისა და დასჯის საჭიროების უმთავრესი



შედევია. ეს, ეგრედ წოდებული გარევნილი ხალხი, არა-ნორმალური ტიპები იყენებ; მთ წინაშე, ნებლიუდოვის აზრით, უფრო მეტად და-ნაშაული იყო საზოგადოება, ეიდრე მსინი საზოგადოების წინაშე.

ერთმა ამათგანმა, რეციდივისტმა ქურდმა ოხოტინმა, მეტად ვაძევირვა ნებლიუდოვი. ის იყო ზნედაცემულის ქალის უკანონო შეილი, ლამის თავშესაფარის მოწაფე. მთელი თავისი სიცოცხლე ამ კაცს ქურდებსა და ავაზაკებში გაეტარებინა. თანაც ისეთი ხუმარა იყო ეს ოხოტინი, რომ ძალა-უნებურად იზიდავდა აღამიანს. მან სთხოვა ნებლიუდოვს დახვარება გაეწიო მისთვის და თან მასხარიდ იგდებდა თავის-თავს, მოსამართლებს, სატუსალოს და, არა თუ მარტო სისხლის სამართლის კანონებს, თვით საღმრთო წერილის კანონებსაც-კი. მეორე იყო ახალგაზრდა ფედოროვი, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მოვალ ვიღაც ბებერი „ჩინოვნიკი“ და გაემარცვა. ის იყო ერთის ღმისის ვლეხის შეილი, რომელსაც უკანონოდ წა-ართვეს მთელი საცხოვრებელი და შემდეგ ჯარში გაიწვიეს, სადაც სასტრიდ დასიჯეს, რადგან ერთის თვითურის საყვარელი ქალი შეუყიდებდა. იქეე მნახა ნებლიუდოვმა ერთი მაწანწეოლი კაცი და ერთი ქალი, რომელნიც ისეთის იდიოტურის შემედულობისანი იყვნენ, რომ ზიზღა ჰგვრიდენ აღამიანს.

აი, ეს საკითხი: რადა ზის ამდენი სხვადასხვა ხილხი სატუსა-ლოებში და სხვები-კი—ისეთივე ხალხი—თავისულად დათარებობენ გარედ, ასე გასინჯეთ ასამართლებენ კიდეც ამათაო, შეიცავდა მეოთხე საქმეს.

ნებლიუდოვს პირველიდ ევონა, რომ ამ საკითხის პასუხს წიგნებში იპოვნიდა და თითქმის რაც-კი ამ საგნის შესახები წიგნები იყო, უკელა იყიდა; იყიდა ლომისჩრთხო, გაროფალო, ფერრი, ლისტი, მაულელე და ტარდი და გულმოდგინებდ დაიწყო კითხვა, მაგრამ რაც დრო გადიოდა და კითხულობდა ამ წიგნებს, თანადათან იმედი უცრუცდებოდა. ნებლიუდოვსაც ის დაემართა, რაც ისეთ ხალხს მოუვა ხოლმე, რომელნიც ეხებიან მეცნიერებას, იმიტომ-კი არა, რამე როლი ითამაშონ მეცნიერებაში, სწერონ, იმსჯელონ, ისწავლონ, არა-მედ იმიტომ, რომ გაიგონ პასუხი ზოგიერთ ცხოვრების უბრიალო საკითხშე. მეცნიერება თას სხვადასხვა ბრძნულ პასუხს იძლეოდა სისხლის სამართლის კანონების შესახებ, მაგრამ იმ საკითხისა, რომელიც ნებლიუდოვს უნდა გაეცო, ვერავითარი პასუხი ვერ იპოვნა. სულ უბრიალო საგნის გარკვევა უნდოდა: რად არის, რომ ერთი ხალხი ამწყვდევს, აწვალებს, ასახლებს, თავსა სჭრის სხვა ხალხს, როდესაც თეთოთ ისინიც ისეთები არიან, როგორიც ის ვისაც სტან-



ჯავენ? ამ საკითხზე პასუხს აძლევდენ ასეთის მსჯელობით, შესრულებული თუ არა კაცი დაისახოთ იგაზაფად საკუთარის თვითის ქალის გასინჯეთი? რა როლს თამაშობს შემცველრეობა იყაზაკობაში? არის თუ არა თან-შესრდილი უზნეობა? რა არის სიგილი? რა არის გადაგვარება? რა არის ტემპერამენტი? რა გაფლენა იქვე იგაზაკობაში ჰავის, საქმეს, უზრდელობას, მიბაძეს და პიპნოტიშმა? რა არის საზოგადოება? რა არის მისი მოვალეობა? და სხვ., და სხვ.

ამ მსჯელობამ მოაგონა ნებლიუდოვს ერთის ბავშვის მსჯელობა, რომელიც სკოლიდან მოდიოდა. ნებლიუდოვი დაეკითხა ბავშვს: ისწავლე თუ არა კითხვაო? ბავშვმა უპასუხა „ვისწავლე“-ო. აბა, წაიკითხ „თათი“. — „რომელი თათი? — ძალისა?“ ეშმაკურის ლიმილოთ უპასუხა ბავშვმა. ასეთსავე პასუხებს ჰპოულობრდა ნებლიუდოვი სამეცნიერო წიგნებში იმის თაობაშედ, რის გაგებაც უნდოდა.

ამ წიგნებში ბევრი სინტერესს რამ იყო, მავრამ არადითარი პასუხი არ იყო იმისი, თუ რათ სჯიდა ხალხი ერთი მეორეს? არა თუ პასუხი არ იყო, პირიქით, უოველი მსჯელობა იმისაკენ იყო მიეცული, რომ აეხსნა და გაემართლებინა დასჯა, რომლის საჭიროებაც ჰქონდა და იყო აღიარებული. ნებლიუდოვი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰკითხულობრდა წიგნებს და ეს ეკონა მიზეზი, რომ პასუხი ცერ იპოვნა და იმედოვნებდა, ბოლოს მაინც ეიპოვნიო.

XXIX

ტუსალებია, ის ჯგუფი, რომელთანაც მასლოვის ქალიც უნდა წასულიყო, 5 ივლისს უნდა გაეგზავნათ. ნებლიუდოვიც ამ დღისთვის მოეხსადა წასასელელად.

ნებლიუდოვის და, ნატალია ივანოვნა რაგოეინსკისა უფროისი იყო ძმაშე. ნებლიუდოვი თითქმის მთლად მის გავლენის ქვეშ იზრდებოდა. დას სულითა და გულით უყვარდა ძმა და გათხოვების წინადისე დაუმეგობრდენ ერთმნეთს, როგორც თანასწორენი: და იყო 25 წლისა და ძმა კი 15-სა. დას მაშინ ნებლიუდოვის ამხანაგი ნიკოლა იჩტერნიცევი უყვარდა. ორივეს უყვარდათ ნიკოლა, იმიტომ, რომ ნიკოლა ბევრ კარგს თვისებას იჩნდა.

მას შემდეგ განვლო ეამბა და ორივენი წამოიზარდენ. ნებლიუდოვმა მთლად შესტოპა გარეუცნილს ცხოვრებაში და ის კი გამჟყვი ცოლად ისეთ კაცს, რომელიც სრულებით არ უყვარდა, თუმცა თეთონ დარწმუნებული იყო, გაგიღებით მიყვარსო. გათხოვებამ დიდი გავლენა იქონია მის მომვალ ცხოვრებაშე—სულ გამოიცეალა. ის, რაც წინადა სჭამდა და ძვირფასად მიაჩნდა, ახლა არამც თუ არა



სწამდა, არამედ აღარც კი იცოდა ჩა იყო, და უკელა მისი მისწრა-
ფება განვითარებისა და ხალხის სამსახურისა, რომლითაც თდესლაც
სკოცხლოპტა, უბრალო მიზნით იყო გამოწვეული, რომ ხალხის
თვალში სახელი მოეხვევა.

რაგოვებისკი ისეთი კაცი იყო, რომელსაც ჯრც სახელი ჰქონდა,
არც ქონება და სიმდიდრე, მაგრამ ისეთი ეშმაკი და გაქნილი კაცი
იყო, რომ ხერხიანად მიჰყავდა თვეისი საქმეები. ლიბერალიზმისა და
კონსერვატიზმის იმას იჩინევდა, რომელიც ფრთისა და შემთხვევის
მიხედვით მეტ სარგებლობას მოუტანდა. თან ლიბერალი იყო და ხან
კონსერვატორი. უკელა ამასთან ისეთი უნარი ჰქონდა, რომ ყველა
ქალი ალტაციაში მოჰყავდა. ასეთის ხრისებით მშენიერი თბილი
ალაგიც იშოვნა სასამართლოში. ასე, შუაბნის კაცი იქნებოდა, როცა
საზღვარგარედ შეშვდა ნებლიუდოუებს და გაიცნა; მოხერხებულის
ქცევით თავი შეაყვარა ნატაშას და, თუმცა დედა წინააღმდეგი იყო
მათის ქორწინებისა, მაინც შეირთო; ნებლიუდოებს, თუმცა თავს ძა-
ლას ატანდა, მაგრამ მაინც ეზისუბოლდა სიძე. არა თუ წარმოდგენა,
ერთი იმის მოვონებაც კი, რომ მისი საყვარელი ნატაშა ამ საძაგლ
კაცის ცოლი იყო, სიცოცხლეს უწიმლავდა ნებლიუდოებს. მის ბავ-
შეებაცაც კი თითქმის ზისლით ქმნილი და გაიცნა. როცა გაიგებდა ხოლმე,
რომ ნატაშა ფეხ მძიმედ არისო, ისეთი გრძნობა აღეძეროდა, თითქოს
ეცოდებოდა თავისი და, რომ რაღაც სენი გადაედვა ამ მისთვის
უცხ კაცისაგანათ.

რაგოვებისკები შარტონი მოეიდნ, ბავშვები თან არ წამოვყენ—
ნათ—ბავშვი ორი ჰეთათ: ვაური და ქარო —და საუკეთესო სასტუ-
მროში ჩამოხტენ. ნატალია იყანებონ მაშინვე წავიდა ძეველ ბინაზე,
სადაც წინად დედა სკოვერობდა, მაგრამ ნებლიუდოები არ დაუხედა,
და როცა აგრძელინა პეტროვნისაგან გაიგო ნებლიუდოების სასტუმრო-
ში გადასვლა, იქ წავიდა. სასტუმროს ბეჭლსაც და ბინძურს ტალანტი
შეშედა მოსამსახურე და შეატყობინა, რომ თავადი სახლში არ არისო.

ნატალია იგანვენა შეფილა ძმის ოთახში და გულმოდგინედ და-
ათვალიერა იქაურობა. ყველაფერი რიგზე და წმინდად იყო. მაგი-
დაზე ნაცნობი პრესი დაინახა. იქე კლავა: რიგზე დაწყობილი პო-
რაფიელები, ქალალდები, საწერ-კალამი; რამდენიმე ტომი სასჯელთა
დებულებისა, ინგლისური წიგნი ჰენრი ჯორჯისა და ფრანგული—
ტარდისა, რომელშიაც სპილოს ძელის წიგნის საჭრელი დანა იყო
ჩადებული.

მიუჯდა მაგიდას და დასწერა წერილი; სიხოვდა ძმას, უპი-
ლად მოდი ჩემთანაო, და ამ სანახაობით გაოცემული, დაბრუნდა
თვეის ოთახში.



ნატალია ივანოვნას ორი რამ აწუხებდა ძმისა: უნდოდა გაეჭულა გარემონდა მართლა ირთავს კატოს და გლეხებს მართლა მისცა მიწები თუ არაო, რასაც კედლა ლაპარაკობდა. ზოგიერთებს ეს ამბავი რაღაც პოლიტიკურ საქმებაც მიაჩინდათ. კატოს ცოლად შერთვა ერთის მხრით მოსწონდა ნატალია ივანოვნას. ესიამოვნებოდა ეს გადაწყვეტილება, თითქო წარსულს ავონებდა, იმ შშენიერ დროს, ვიდრე გათხოვდებოდა, მაგრამ თან შემის ქართი დაუცლიდა ხოლმე ტანში, როცა წარმოიდგენდა, რომ მის ძმას ასეთი საშინელი ქალი უნდა შეერთო. უკანასკნელი ვრმობა უურო ძლიერი იყო და გადასწყიტა ყოველი ლონე ეხმარა და დაეშალა ძმისათვის ეს საქმე, თუმცა იცოდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელი იყო.

მეორე საქმე—გლეხებისთვის მიწების დარიგება,—მაინც-და-მაინც საინტერესო არ იყო მისთვის, მაგრამ ქმარი მეტად აღელვებული იყო ამ მშიოთ და სოხოვდა, როგორმე იმოქმედე ძმაზე. ეგნატე ნიკიფოროვიჩი იმ აზრისა იყო, რომ ეგ ამბავი მეტის-მეტმა მისმა თავმოიყეარეობამ თუ გამოიწვიოს; ალბად უნდა ასეთის გულ-უხვობით ხალხის თვალში სახელი მოიხვევოს.

— აბა, სხვა რა აზრი აქვს გლეხთათვის მიწების მიცემის, როცა მიწის სიცასედ აღებული ფული იმათვე მიაქვთ? — ამბობდა იყი. — თუ-კი ასე უნდოდა, შეეძლო მიცემისა საგლეხო ბანკის შემწეობითამ. ამას აზრი ექნებოდათ. საზოგადოდ ასეთი საქციელი არა-ნორმალურ მდგომარეობას უნდა მივაწეროთო, — ამბობდა ეგნატე ნიკიფოროვიჩი და თან სოხოვდა ცოლს, როგორმე ემოქმედნა ძმაზე და დაერიცებინა, რომ სისრულეში არ მოეყვანა ეს სულელური გან-ურახეა.

XXX

როცა ნებლიუდოვი დაბრუნდა სახლში და მაგიდაზე თავისი დის ბარათი დაუხვდა, მაშინვე გაეშურა იმათსა. ნატალია ივანოვნა მარტო მიეგება ძმას. ეგნატე ნიკიფოროვიჩი მეორე ოთაში იშვა და ეძინა. და-ძმანი გადახეხვინენ ერთმანეთს, მშურვალედ ჩაჰეოცნეს და ერთმანეთს გაულიმეს. ამ ღიმილში ნათლად გამოიხატა ის, რასაც ახლა პეტრობდენ და რის გამოხატვაც სიტყვით არ შეიძლებოდა: დედის სიკვდილის შემდეგ არ ენახათ ერთმანეთი.

— თითქო კიდევაც დასრულებულხარ და კიდევ უფრო გაახალ-გაშდებულხარ, — უთხრა დას ნებლიუდოვმა.

ნატალიას სიამოვნება გამოეხატა სახეზე.

— შენ-კი გამზღარხარ.



— ეგნატე ნიკიფოროვიჩი სად არის? — ჰქონია ნებლიულებისა კარის.

— სძინავს. წუხელ მთელი ღმერთი არ დაუძინია.

აქ კიდევ ბევრი რამ იყო სათქმელი, მაგრამ არა სთქვეს; მათმა სახის მეტყველებამ დაამტკიცა, რომ, რაც საჭირო იყო, ის არა იქმულა.

— მე ვიყავი შენთან.

— ვიცი. კარგა ხანია იმ სახლიდან გადავედი. ახლა იღარაფერი აღიარ მინდა. ყველა ბარვი და ავეჯი, რაც არის, შენ წაიღე.

— ყველაფერი მითხრა იგრაფინა პეტროვნამ, იქაც ვიყავი, და-დად გმადლობთ, მაგრამ...

ამ დროს ლაქიამ ეკრუხლის ჩაის ჭურჭელი შემოიტანა.

ორივენი დაწუმდენ, სანამ ლაქია ჩაის ჭურჭელი დაალაგებდა. ნატალია იყანოვნა გამოყიდა მაგიდის ახლოს და ჩაის მზადების შეუდგა. ნებლიუდოვი ხმას არ იღებდა.

— დიმიტრი! ყველაფერი ვიცი, — მტკიცედ უთხრა ნატაშამ და ნებლიუდოვს შექხედა.

— ძალიან კარგი. დიდად მოხარული ვარ, თუ იცი.

— განა იშედი გაქვს გაასწორო და გამოაბრუნო ისეთის ცხოვრების შემდეგ?

— მე იმისი გასწორება კი არა, ჩემი გასწორება შინდა.

ნატალია იყანოვნამ ლრმად ამოითხრა.

— არის სხვა საშუალებაც, გარდა ქორწინებისა.

— მგონია, რომ ეგ უკეთესია; გარდა იმისა, ქორწინებას შეუძლიან იმ ქვეყანაში შემიყვანოს, საღაც დიდის სარგებლობის მოტანა შემიძლიან.

— არა მგონია, ბედნიერება ჰპოვო, — უთხრა ნატალია იყანოვნამ.

— საქმე ჩემი ბედნიერება არ არის.

— რასაკერაველია, თუ გული იქნეს, თეთონია არ იქნება ბედნიერი... თითქმის არც კი ისურვებს მაგას.

— არცა სურს.

— მესმის, მაგრამ ცხოვრება...

— ცხოვრება რა?

— სხვასა თხოვლობს.

— არაფერსაც არ თხოვლობს, გარდა იმისა, რომ ის უნდა მოექმედოთ, რაც საჭიროა, — უთხრა ნებლიუდოვმა.

— არ მესმის, — უპასუხა ამოოხერით ნატაშამ.



„საბრალო, როგორ გამოცელილა?“ — გაიტიქრა ნეხლიუდოვნება, როცა მოავონდა ნატაშა ისეთი, როგორიც გათხოვებამდე იყო და ბავშვობის ათასგვარი მოგონებანი თვალშინ დაუდგა.

ამ დროს თოთილიან, ლიმილით გამოვიდა ეგნატე ნიკიფოროვნი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — უგემურად მიესალმა ნეხლიუდოვს. თუმცა ქორწინების პირველ ხანებში სკილობდენ „შენობით“ ელაპარაკენათ, მაგრამ „თქვენობით“ ლაპარაკობდენ მაინც.

ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და ეგნატე ნიკიფოროვნის ნახად ჩაჯდა საერთოდელში.

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— არა, არავისთან არა ვფარავ, რასაც ეამბობ და ვაკეთებ.

როცა ნეხლიუდოვნა დაინახა ეს სახე, ეს გაბანლული ხელები და გაიგონა მისი ბრძანებითი კილოს ხმა, უფდ ვუნებაზე დადგა.

— დიალ, მაგის განზრახვაზედ ელაპარაკეობით, — სთქვა ნატალია ივანოვნამ. — შენც გაგიკეთო ჩია? — ჰეითხ ქმარს და ჩინიკი ხელში აიღო.

— დიალ, გეთაყვა, გამიკეთე... — განსაკუთრებით რაზედა გქონდათ ლაპარაკე?

— იმაზე, რომ გადავსწევიტე გავჟევე ციმბირში იმ ჭალს, რომლის წინაშეც დამნაშავედა ვჰქრმნობ თავს, — სთქვა ნეხლიუდოვნა.

— როგორც მე გავიგონე, მაგაზე მეტიც უნდა გინდოდეს რაღაც.

— ფიალ, უნდა შეეირთო კიდეც, თუ ისიც თანახმა იქნება.

— მართლად თუ არ გეზარებათ, ამისსენით მიზეზი.

— მიზეზი ის გახლივთ, რომ ის ქალი... რომ ცუდის ცხოვრებისაკენ პირველი ნაბიჯი...

ნეხლიუდოვს ბრაზი მოუვიდა, რომ სიტუაციი ეერ იპოვნა თვისის აზრის გამოსახატავდ.

— ის მიზეზია, რომ დამნაშავე მე ვარ და ის-კი დასაჯეს.

— თუ კი დასაჯეს, ალბად დამნაშავეა.

— სრულიადაც არ არის დამნაშავე, — სთქვა ნეხლიუდოვნა და აჩქარებით მოუყვეა ყველაფერს.

— სენატმა უარი გითხოვთ, ალბად, საჭირო საბუთები არ იყო, — უთხრა ეგნატე ნიკიფოროვნისა: — სენატი არსებითად საქმის განხილვაში არ შედის. თუ მართლა სასამართლოს შეცდომა მოუვიდა, მაშინ საჭიროა უმაღლეს სახელობაზედ მიართვთ თხოვნა.

— თხოვნა უვე მოეცეთ, მაგრამ იმედი-კი მცირდეთ გვაქვს. შექვერებენ ცნობებს სამინისტროში, სამინისტრო სენატს შეეკითხება;



სენატი თავის გარდა შეკვერილებას წარადგენს და, როგორც მეტად მეტად მხრივ მხდება, სრულიად უდანაშაულოდ დასჯიან აღდამიანს. მარჯვენა მარჯვენა

— ჩემის აზრით, სამინისტრო სენატიდან არავითარ ცნობებს არ მოითხოვს; თუ მოითხოვა, პირდაპირ სასამართლოდან მოითხოვს და, თუ რამე უკანონობა მნახეს, თავის აზრს დაასკენიან. ამისთანავე უნდა მოვახსეროთ, რომ თავის დღეში არ მომხდარა და არც მომხდება, რომ უდანაშაულოდ კინმე დასჯონ, სჯიან მხალოდ ავაზებს, რომელთაც რამე დანაშაულობა მიუძღვით საზოგადოებისა და კერძო კაცის წინაშე.—დანჯად წარმოსთქვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და სიამოვნებით გაიღიმა.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ხშირად შედის შეკოდმაში და ეს ასე იქნება, სანამ კანონი სხვა დანიშნულებისა და სხვა სახეს არ მიიღებს.—ამა, კარგიდ ჩაუყირდით, რამდენს უსამართლობას დაინახავთ. განა ერთი და ორი ისჯება უდანაშაულოდ? მერე ვინ არის ამის მიზეზი? თვით ის ხალხი, საღაც ეს დამნაშავეთა მთელი ლეგიონი აღიზარდა. დიალ, თვით ეს ხალხია დამნაშავე, რომელიც თავიანთს მოქმედებას ისე უცურებს, თითქოს არაფერი დამნაშავე არ იყოს,—განაგრძობდა ნებლიუდოვი.

— უკარიავად, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს დიდი უსამართლობაა; ყოველმა ქურდმა იცის, რომ ქურდობა უცდია და არ უნდა ქურდობდეს, —დაშვეიდებით წარმოსთქვა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და ისეთნაირად გაიღიმა, რომ ნებლიუდოვს ბრაზი მოჟყიდა.

— ამა, არ იცის! უუბნებიან: „ნე იპარიყო“, საჭით კი სულ სხვასა ჰქედავს. ჰქედავს, რომ მექარხნები ურცხად პპარავენ მუშებს ურომას, სწუწნიან სისხლს, პირიდგანა ჰგლეჯენ უკანასწერლ ლურმას და მთავრობა თავის მოხელეების საშუალებით გადასახადების სახით მუდმივ პპარავს და ტყავს ამრობს.

— ეს ხომ, ჩემი მევობარო, ანარქიზმია, — თავისუბურად ასენა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა ნებლიუდოვის სიტყვების მნიშვნელობა.

— მე არ ვიცი, რა არის ანარქიზმი თუ ჩანარქიზმი, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სიმართლეა,—განაგრძო ნებლიუდოვმა:— ვიცი, მთავრობა მას ჰპარავს, რომ მოხელეები ტყავს ამრობენ, ვიცი, რომ ჩვენ, მემამულენი, კისაკუთრებთ და ესარგებლობთ იმ მიწებით, რომელიც საყოველთაო უნდა იყოს. შემდეგ, როცა ჩვენს ტყავში ორიოდე ფიჩს იღებს გლეხ-კაცი, რათა ბუხარში ცეცხლი დაინთოს და გაყინული გერდები გაითმოს, ვიქერთ, ვამწყვდევთ სატუსალში და ვარწმუნებთ ყველას, რომ ის ქურდია.



— არ მესმის და, თუნდაც მესმოდეს, მაინც თანახმა არა გვიჩინა არავისი საკუთრება არ არისო. დღეს რომ თანასწორად გამყოთ მიწები, ხელ მაინც უფრო მშრომელისა და ნიჭიერი ხალხის ხელში გადავა.

— არცა პფიქტობს ეინმე მიწების თანასწორად დაყოფას. მიწა არავის საკუთრება არ არის და არც არავისა აქვს ნება ან იყიდოს და ან გაძყიდოს.

— საკუთრების უნარი თან შერჩენილი აქვს ადამიანს, თუ საკუთრება არ იქნება, მიწის დამუშავებას არავითარი ინტერესი არ იქნება. მოსპეც კურძო საკუთრება და ჩვენც ველურის მდგომარეობას დაუბრუნდებით, — რიხით წარმოსთვევა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა. და გაიმეორა ის ჩვეულებრივი არგუმენტი მოელის საკუთრების უფლების სასარგებლოდ, რომელიც ურყყევია და იმაში მდგომარეობს, რომ სიხარბე მიწის საკუთრებაში არის მისი საჭიროების ნიშანი.

— სრულიადაც არა! პირიქით. მიწები ასე უსარგებლოდ არ ეგდებოდა და შესაფერად დამუშავებდენ.

— ყური მიგდეთ, დიმიტრი ივანივიჩ! ეგ ხომ სრული სივიეება! განა ჩვენს დროში შეიძლება კერძო საკუთრება მოისპოს? მე ვიკი, რომ ეგ აზრი დიდი ბახია დაგებადათ, მაგრამ ნება მომეკით პირდაპირ გითხროთ...

სიძე გაიფირდა და ხმა აუკანეალდა.

— გირჩევთ, ამ საგანს კარგად ჩაუკეირდეთ, სანამ პრაქტიკულად განახორციელებდეთ.

— თქვენ კერძოდ ჩემ საკუთარ საქმეებშედ ლაპარაკობთ?

— დიალ. უველა ჩვენგანი დღეს ისეთ გარემოებაშია, რომ ვალდებული ვართ ვიტეიროთ ის მოვალეობა, რომელიც ამ გარემოებაში წარმოშობა, მტკიცედ დავიცვათ ის წესები, რომელიც ჩვენს მამაპაპათ დაუდევნიათ, და ვეცადოთ მომავალ თაობასაც დავიკისროთ ასევე მოიქცენ.

— ზე ჩემს მოვალეობად მიმართოა...

— ნება მომეკით, — განაგრძო ეგნატე ნიკიფოროვიჩმა, — განვაგრძო: ჩემთვის კი არა, ჩემის შეიღებისათვის ვამბობ. ჩემს შეიღებს აქვთ სამყოფა ქონება. იმდენსა ვშრომობ, რამდენიც საჭიროა ჩვენის ცხოვრებისათვის და იმედი მაქვს, რომ შეიღებიც ქმაყოფილნი იქნებიან თავიანთის ცხოვრებისა; ამიტომ თქვენს შესახებ ჩემი აზრი — ნება მომეკით ვსთქვა — წინდაწინ მოფიქრებული არ არის. კერძო ინტერესებით გამოწვეული არ გვიონოთ; არა, მე პრინციპითალურიად ვეწინაალმდევები თქვენს აზრსა და ვერ გვთამსმებით. გირჩევთ, კარგად მოიუიქროთ და ისე გადასწყვეოტოთ...

— ეგ საკუთარი ჩემი საქმე და, როგორც მინდა ისტიგმებითაც
დება ყველაფერი. ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, რომ არავისი რჩე-
ვა-დარიგება ჩემთვის საჭირო არ არის და, ნურას უკაცრავად, თუ
თქვენი ჩემებიც უყურებლებოდ დავტოვო,—ბრაზით წარმოსთქვა ნებ-
ლილოვანი და, რაკი შეატყო, ძნელია თავის შემაგრებაო, დაჩრდა
და ჩინს სმა დაიწყო.

XXXI

— ბავშები როგორა გყაფს? — დაეკითხა ნებლიუდოვი დას, როცა
ცოტათი დამშეიცდა და, ქაურული მით, რომ ამ უსიამოენო ლა-
პარავს ბოლო მოელო, სიამოენებით მოქვეა ბავშების ამბავს: ისე
თამაშობენ, როგორც ჩეენა ეთამაშობდით ხოლმე ბავშობისასო.

— ნუ თუ კიდევ გახსოვს ჩემი ბავშობა? — ღიმილით დაეკითხა
ნებლიუდოვი.

— წარმოიდგინე, ისინიც ისე თამაშობენ, როგორც მე ვთამა-
შობდი ხოლმე.

უსიამოენო ლაპარაქს ბოლო მოელო. ნატაშა ლამშეიცდა, მა-
გრამ არ უნდოდა ქმართან ეთქვა ის, რაც მას ჟევე ქარგად გაგე-
ბული ჰქონდა. მოქვეა ისევ დუელის ამბავს, რომ სახოვალო ლაპა-
რაქი დაწყო.

ეგნატე ნიკიფოროვიჩა ცუდად მოიხსენია ის წეს-რიგი, რო-
მლის წყალობითაც დუელის დროს კაცის კელა გამორიცხული იყო
დანაშაულთა რიცხეიდგან.

ამ შენიშვნამ ისევ აალაპარაქა ნებლიუდოვი და ისევ გაცხარე-
ბული კამათი გაიმართა ერთსა და იმავე საგანხე, რომელზედაც არც
ერთს მათგანს მთლად არ გამოუთქვამს თავისი აზრი.

ეგნატე ნიკიფოროვიჩი ჰერძნობდა, რომ ნებლიუდოვი ამტკუ-
ნებდა მას და მთელს მის მოქმედებას ზიზღით იხსენიებდა, ამიტუმ
უნდოდა დაემტკიცებინა მისითვის მთელი მისი მსჯელობის სიყალბე
და უსამართლობა. ნებლიუდოვი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ სა-
წყვენოდ ჰქონდა მის საქმეში სიძის გარევა (გულში კი ჰუიტჩობდა,
რომ მის სიძეს, დასა და დისტულებს სრული უფლება ჰქონდათ მისს
საქმეში გარეულიყვენ), გამრაზებული იყო იმაზე, რომ ეს უტცინო
და ჰქონებით ჩლუნგი კაცი დამწერდებით იმტკიცებდა, რომ ის
საქმე, რომლის სიყალბეში და უკანონობაში ნებლიუდოვი სრულიად
დარწმუნებული იყო, სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა. ამ
მტკიცე რწმენას სიგიურებული მოქადა ნებლიუდოვი.

— მაში, როგორ უნდა მოქცეულიყო სასამართლო? — დაეკითხა
ნებლიუდოვი.



— ისე, რომ ერთ-ერთ დუელისტთაგანისათვის, როგორც ქადაგის ლებრივ მცდელისათვის კატორლაში მუშაობა უჩდა გადაწყვიტა.

— მერე რა გამოიდოდა იქედგან, — სიბრაზით წარმოსათვა ნეხლიუდოვნა.

— ეს სამართლიანი სასჯელი იქნებოდა.

— თათქოს სასამართლოს დანიშნულება სამართლიანობა იყოს.

— მაში, სხვა რაა, თუ არ სამართლიანობა?

— მხოლოდ ჭიდებრივ ინტერესების დაცვა. ჩემის აზრით, სასამართლო ერთი იმ იარაღთაგანია, რომლის წყალობითაც დლევანდელ წოდებრივ უპირატესობას მავრადა იქნება ფუსტები გამდგარი.

— ეგ სრულიად ახალი შეხეფულებაა, — ლიმილით წარმოსათვა ეკნატე ნიკიფოროვიჩია: — ჩემის აზრით, სასამართლოს სულ სხვა დანიშნულება აქვს.

— თეორიული და არა პრატიკული, რაც აშეარად დავინახე და დავრწმუნდი კიდევ. სასამართლო სკულილობს იმ ყოფაში ქავედეს საზოგადოება, რომელშიაც დიდი ხანია არის, და ამიტომ სდევნის და სჯის ყველა რმას, კინც საზოგადოებაზე ან მაღლა სდგის და ან დაბლა.

— არ შემიძლიან დაგეთანხმოთ, ვათომ ივაზიკებს იმიტომა სკეიფენ რომ საზოგადოებაზე მაღლა სდგანან. უმეტეს ნაწილად ისინი საზოგადოების ხორცმეტნი არიან, საზოგადოებიდან განდევნილნი, გარუცნილნი ადამიანნი, როგორც, მავალითად, ის ტიპები, რომელთაც საზოგადოებაზედ დაბლა ყველება.

— მე კი ბევრი ისეთი ეციცი, რომელიც მაღლა სდგანან იმაზე, კინც მათ ასამართლებს.

— არ შემიძლიან დაგეთანხმოთ იმაზედაც, რომ სასამართლოს ეხლინდელ ჭის-ჭყობილების დაცვა უძლოდეს. სასამართლო მხოლოდ თავის საქმეს ემსახურება, ან გაისწოროს...

— სატუსალოში და გასწორება!.. კარგია, თქვენმა მხემ! — ჩაურთო სიტუაციები ნეხლიუდოვნა.

— ან და სკულილობს განდევნის საზოგადოებიდან გარუცნილი და მხეცის მსგავსი ადამიანები, რომელიც ძირს უთხრიან საზოგადოების არსებობას.

— საქმეც იმაშია, რომ სასამართლო არც ერთს აქეთებს და არც მეორეს საზოგადოება უძლურია შეასრულოს ეგ საქმე.

— როგორ? ან მესმის? — მაღლატანებულის ლიმილით დაცუითა ეკნატე ნიკიფოროვიჩი.



— მე მინდა ვსთქვა, რომ გონიერული დასჯა ორგვარობის ფარგლებში იყო
ისა, რომელიც ძველად იყო ხმარებაში: გაშეკრულება და სიკედილით
დასჯა, მაგრამ აღაშიანი გალომობიერდა და ქრთიცა და მეორე სას-
ჯელიც გადავარდა, — უთხრი ნებლიუდოვება.

— ეგ სულ ახალი აზრია და მიკეირს, რომ თქვენგან მესმის.

— დიალ, გონიერული სასჯელია, როცა გინდა ატეინო ამ
აღაშიანს, რომ მეორედ აღარ გაპჩელოს ის, რისთვისაც დასაჯეს;
ისიც გონიერული იქნება, რომ საზოგადოებისთვის საშიშ კაცს თავი
მოჰკეცოთ. ორსაცე ამ სასჯელს გონიერული აზრი აქვს. აბა, ერთი
მითხარით, რა აზრი აქვს, უსაქმობისა და ცუდის მაგალითებით გარ-
ყვნილი კაცი ჩაამწყელიონ იმაზე უფრო გარეუნილს ხალხში ან და
სახელმწიფო ხარჯით გადიყვანონ — თვითეულის გადაყვანა 500 შანე-
თაშის ლირს — ტულის გუბერნიიდან იჩეულსკისაში ან და კურსკი-
დან...

— კი, მაგრამ მუქთად მოგზაურობისა ბეცრს ეშინიან და ეს
მგზავრობა და სატუსალოები რომ არ ყოფილიყო, ასე აჩხერიად ვერ
კისხდებოდით აქ, როგორც ახლა ვართ.

— არა სატუსალოს არ შეუძლია დაგვიკვეს ხიფათისაგან! ხალხი
ხომ სატუების იქ არა ზის, ბოლოს ხომ უშევებენ. პირიქით, სა-
ტუსალოებშიც უფრო ჰრუმინან და იმ ზომამდე მიიყვანენ ხოლმე, რომ
შეად არიან ყოველგვარი ავაზევობა იყისრონ. ამიტომ ჩენც ნაკლე-
ბად დაცულნი ვართ ხიფათისაგან.

— გინდათ ვითომ სთქვათ, რომ პენიტენციალური (შენანიება)
სისტემა გაუმჯობესდეს?

— მისი გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელია. უფრო რიგიანი
სატუსალოები, რასაკვირველია, უფრო ძვირად დაუჯდება მთავრობას
ვიდრე სახალხო განათლებაზე იხარჯება, და იმავე ხალხს დაწევება
კისრალდ.

— მაგრამ პენიტენციალურის სისტემის უკარგისობა სრულად
ჩინებს არა სცხებს სასამართლოებს, — განავრძო ეგნატე ნიკიფორო-
ვიჩმა ისე, რომ ნებლიუდოვების სიტყვები არც კი გაუგონია.

— არ შეიძლება ამ ნაკლულევანების გასწორება, — ხმა ალიმალ-
ლო ნებლიუდოვება.

— მაში, რა უნდა ვენათ? დაეხოცოთ? ან და, როგორც ერთმა
მოხელემ ურჩია მთავრობას — ყველას თვალები დაეთხაროთ? — სთქვა
ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და გაჯავრების ნიშნად გაიღიმა.

— დიალ, თუმცა სასტრიკი სასჯელი იქნება, მაგრამ სასარგებ-
ლო კი, ისე, როგორც ახლა სასჯელი სასტრიკია და უსარგებლო კი.



— მეც მონაწილე ვარ მაგ საქმეში, — წამოიძახა გაფითრებულმა ჩართული ეგნატე ნიკიფოროვიჩმა.

— ეს თქვენი საქმეა, თუმცა კი მე არ მესმის ეს.

— ვკონებ, სხვაც ბევრი რამ არ გესმის? — უთხრა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და მეტის სიბრაზით სულ აკანკალდა.

— მე ერთი ბრალმდებლის ამხანავი ვნახე, რომელიც თავდამიტონით სკოლობდა გაემტულნებინა უბედური ბავშვი, რომელიც სულით გაურყონელ აღამიანის გულში სიბრალულის მეტს არა' გამოიწვევდა...

— უთუოდ სამსახურს თაქს დაენებებდი, მაგრე რომ ეფიქტობდე, — უთხრა ეგნატე ნიკიფოროვიჩმა და წამოდგა.

„ნუ თუ ცრემლები“? — გაიფიქრა ნებლიუდოვმა, როცა სიძის აცრემლებული თვალები დაინახა.

დიალ, ცრემლები იყო. ეგნატე ნიკიფოროვიჩი სტიროდა, მივიდა სარკმელთან, მოიძრო სათვალეები, გასწორდა ცხეირსახოკვით და თვალებიც მოიწმინდა. შემდეგ მობრუნდა და ხმა ალარ ამოულია. ნებლიუდოვს ძლიერ საწყნად დარჩა, სიძეს და დას რომ აწყენინა, მით უმეტეს, რომ ზვალ წასვლას აპირებდა და შეიძლება ელარც კი ენახა ამის მეტად. მწარედ დალონებული გამოეთხოვა და წავიდა სახლში.

„ადეილი შესაძლებელია, სიმართლე იყოს, რაცა ვსთქვი; თათქმის ერავითარი რიგიანი პასუხი ვერ მომცა. მაგრამ მაინც ასე არ უნდა შელაპარიქნა. ძალიან კოტათი შეეცვლილებარ თუ კი ისე გამიტაცია სიძულვილმა, რომ ასეთი შეერაცხოვა მიერაყენ სიძესა და საწყალ ნატაშასაც ვაწყენინე“, — ჰუიქტობდა ნებლიუდოვი.

XXXII

მასლოვის ქალი სხვა ტუსაძებთან ერთად რეინის გზის სადგურიდან 3 საათ. გადიოდა, ამიტომ ნებლიუდოვი დაექტარია, რომ სატუსაღოში თორმეტ საათზე ყოფილიყო, ტუსაძების გამოსკლის დასწრებოდა და მათთან ერთად მისულიყო რეინის გზის სადგურზედ.

როცა ბარესა და ქალადებს ალაგებდა, ნებლიუდოვია თვალი მოჟრა დღიურის რეესულს, აიღო ხელში და გადაიკითხა რამდენიმე ფურცელი. პეტერბურგში წასვლის უკანასკნელ დღეს შემდეგი ჩასწერა:

„ქატოს თვით უნდა მსხვერპლი გასწიროს, ჩემგან კი არა თხოულობს. იმანაც გაიმარჯვა და მეც. ძალიან მიხარებს, რომ ასეთი დიდი სულიერი ცელილება დაეტყო, თუმცა ძალიან ჩეშინიან დარწმუ-

ნებითა ესთქვა ესა. მეშინიან დაეიჯერო, მაგრამ უფიქრობ, რომ კატო გამოტხიშლდა". იქვე შემდეგ ეწერი: „დღეს თავზარი დამიკა ერთში მოულოდნელმა აშშავმა. გავიგე, რომ კატო ძალიან ცუდიდ იქცევა საავადმყოფოში. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის და ამიტომ შემძირწუნა. ზიზღითა და შერით დაუწეულ ლაპარაკი და შემდეგ, როცა შომაგონდა, რომ უცელავერში დამნაშავე მე ვიყავი, თყითონ ჩემი თავი შემენიშლა და ის კი შემებრალი. ამ ცელილებამ კარგ გუნდებაზე დამაყნა". ახლა შემდეგი ჩასწერა. „ვიყავი ნატაშასთან. მეტად კაუყუფილი ვიყავი ჩემით და ამიტომ გულეკთილობა მაკლდა, ბოროტება მძლევდა; კატოს ცუდად მოვექეცი, რაც ძლიერ საწყინოდ დამჩრია. მაგრამ რას იზამ, ხვალიდვან ახალი ცხოვრება იწყება. მშვიდობით, ძველო ცოცხლებაც, და სამუდამობაც! ფაქტები ბუნიეთი ირევა გონებაში, ჯერ კიდევ ვერ მომიხერხებია თავი თავს მოვყარო".

მეორე დღეს, დილით გალეიძებისათანავე, მოაგონდა, რომ სიძეს ცუდად მოექცა და ძალიან საწყინად დამჩრია.

„ასე წასელა არ შეიძლება,—ითქმირა მან,— უთუოდ, უთუოდ უნდა ენახო და გაეასწორო ჩემი შეცდომა".

მაგრამ დაპხედა საათს და დინიანა, რომ დრო ოთხი იყო წასელისა, რაღაც მალე სატუსალოში უნდა მისულიყო. მარგი ტეკარესა და ტარასის (თეოდოსიას ქმრის) ხელით სადგურზე გაპგზავნა, თეოთონ ჩაჯდა ეტლში და სატუსალოსკენ წავიდა. ის მატარებელი, რომ-ლითაც ტუსალები მიდიოდენ, საფოსტო მატარებელზე ორის საათით აღრე გადიოდა, ამიტომ ნებლიუდოვი სულ გაუსწორდა სასტუმროს პატრონს, რომ უკან აღარ დაბრუნებულიყო.

ივლისის ცხელი დღე იყო. წინა ლაშით ვახურებული ქვები და სახლის სახურავები ჯერ კიდევ არ გაციცებულიყო და ისედაც ცხილ ჰაერს უფრო ახტრებდა. არსაიდან ნიავი არა პქრონდა და, თუ ხანდახან რაიმე მანქანებით შეინძრეოდა დაგუბებული მყრალი ჰაერი, ისიც მხოლოდ ერთის წუთით, რომ ცველგან მიეწვდინა თავისი სუნნელება. ქუჩებში თითქმის არავინ გამოდიოდა და, ა.უ ვინმე იყო თითო-ოროლი, ისინიც საცოდივად სახლების ჩრდილში იმაღლებოდენ. მხოლოდ ქვის მტებელი გლეხები არხეინად ისხდენ ქუჩაში და ამტერებულ ქვებს. ქუჩის დარაჯებიც, თავიანთ მწვანე გრეხილებით, რომელთაც რევოლუციები კეიდათ, გარინდებული იდგენ აქა-იქ ქუჩაში და ტილოებ-ჩამოფარებული კონკა ზარის წყარუნით მირაბრახებდა ხან ზევით და ხან ქვევით.

როცა ნებლიუდოვი მიაღდა სატუსალოს, ტუსალები ჯერ კიდევ არ გამოსულიავენ. სატუსალოში გაცხარებული მუშაობა იყო ტუსა-



ლების მიღება-ჩაბარებაზე. სულ გასაგზავნი იყო 623 კაცი და 64 ქალი; ყველანი უნდა შეემოწმებინათ; სუსტი და ავადმყოფი უნდა გაეცალეთ ეპიზოდისათ. სატუსალოს ახალი უფროსი, ორი მისი თანამშემწერი, ვექილი, უერშალი, თანამხლები ოფიცერი და მწერალი,— მისხდომიდენ ეზოს ჩრდილში მაგიდას, რომელზედაც ყველა სამწერლო იარა-ლი ელავა, სათითოდ ეძახოდენ ტუსალებს, სინჯავდენ, ჰეითხავდენ და სწერდენ.

მაგიდას სანახეეროდ მზე მოსდგომოდა. საშინლად ჩამოუშა.

— ნეტა ბოლო აღარ ექნება? — სასოჭარევეთილებით ჭამითაბა გზად თანმხლებმა ოფიცერმა: — რად მორეკეს ამდენი? კიდევ ბერიაშ მწერალმა გასინჯა სია.

— კიდევ ოცნება კაცი და ქალი.

— რას გაჩერებულბართ, მოდით! — დაუყვირა ოფიცერმა ტუ-სალებს.

ტუსალები სამ საათზე მეტს ხამს იდგენ პაპანაქება სიცხეში რიგზე ჩამწერივებულნი და ჯერს ელოდენ.

სატუსალოს კარებთან თოფიანი ჯარის კაცი იდგა. იქეე იდგა რამდენიმე საბარეე ურემი ტუსალების ბარგისთვის, და ტუსალების ნათესავ-შეგობრები, რომელთაც უნდოდათ უკანასკნელად თვალი მო-ექრათ თავიანთ მახლობელ ტუსალებისთვის, გაეცათ ხმი და, თუ შე-საძლო იქნებოდა, გადაიკათ რამე. ნებლიუდოვიც ამათ შეუერთდა. თითქმის ერთ საათს იყო ასე გაჩერებული. ერთის საათის შემდეგ მოისმა ბორეილების ჩხარუნი. გაიღო დიდი ჭიშკარი და ტუსალები ყავანითა და ჯაბა ჯუბით გამოიდენ ჭრიაში. პირებულად საკატორებენი გამოეიდენ, ნაცრისფერ ხალათებითა და ზარელებით; ყველანი: ახალგაზრდები, ბებრები, გამხდარნი, ჩასუქებულნი, ფერ მერთალნი, თეთრ ყირმის-ქერანი, შავგვერემანნი, ულვა შიანნი, წვერიანნი, უწვერონი, რუსი, თათარი, ებრაელი — ბორეილების ჩხარა-ჩხურითა და ხელების წნევით გამოვიდენ, თითქოს სადღაც შორს მიღაინო, მაგრამ გიარეს თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, გაჩერდენ და მორჩილებრთ თას რიგად ჩამწერივდენ. მათ შემდეგ გამოეიდენ ასეთივე თავმოპარსულნი, მხოლოდ უბორებულოდ და ხელი-ხელ გადამბულნი ასეთისავე ტანსაცმელებით. ესენი იყვნენ გადასახლებულნი. თამამად გამოვიდენ და ისინიც თას რიგად ჩამწერივდენ. შემდეგ გამოვიდენ ჭალები, ზოგი საკატორლენი, ნაცრის-ფერ კაბებით, და ზოგიც თავის ნებით მიმდევარნი თავიანთ ტანისამოსითა. ზოგს მათვანს ძუძუთა ბაჟ შეი ჰყავდა.



ქალებს მისდევდენ პატარა ბავშვები — გოგოები და უძლებელებები თითქოს ეშინიათ. ზედ ეკეროდენ თავისიანებს. კაცები წყნარად და მორჩილებით განერდენ. ქალებს-კი ერთი ამბავი პქნონდათ. ნებლიუდოვს მოეჩენა, თითქოს იცნო მასლოვას ქალი, როცა კარებში გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ თვალთავან მიეუარა, პხედავდა მხოლოდ ნაცრისფერ ბრძოს, რომელსაც განსაკუთრებული აღამიანური სახე დაეკარგა.

თუმცა სატუსალოში სათითოოდ გადასთვალეს ტუსალები, მხლებელ ჯარის-კაცებმა ხელმეორედ დაიწყეს გადათვლა. გაჭიანურდა კი-დოვ საქმე. ტუსალები ერთის ადგილიდან მოიტეშე გადადიოდენ და ჯარის-კაცებს ანგარიში ეშლებოდათ, უშეერის სიტყვებით ილანძლებოდენ და ისევ თავიდან იწყებდენ ხოლმე თვლას. ბოლოს, როცა გადათვლა გათვალი, აფიცერმა გასცა ბრძანება და ბრძო შეინძრა: სუსტი ქალი და კაცი და ბავშვები სირბილით გაიტქნენ ურმებისაკენ, დაპყარეს ზედ თავითონთი ბარგი-ბარხანა და თვითონაც ზედ აბობლდენ.

რამდენიმე ტუსალმა ქუდი მოიხადა და მივიდენ აფიცერთან სათხოენელოდ. როგორც ბოლოს გაიგო ნებლიუდოვმა, თურმე ურმებს თხოულობდენ. ნებლიუდოვი პხედავდა, როგორ აჩხენიად ეწეოდა აფიცერი პაპიროსს და ტუსალებისათვის არც-კი შეუხედნია. შემდეგ, როცა ერთი მათვანი მიუახლოვდა, აფიცერი გამრაზდა, მოიქნია თავისი მოკლე ხელი, მაგრამ ტუსალი მოიკუნტა და განშე გახტა.

— ისეთ აზნაურობას მოგცემ, რომ თავის დღეში არ დაივიწყო. ფეხითაც კარგით წაეთორევით, — დასჭეუვდა აფიცერისა.

მხოლოდ ერთი მოსული, რომელიც ძლიერ მილასლასებდა, გამგზავნა აფიცერმა ურმებისაკენ და ნებლიუდოვმა დაინახა, როგორ მოიშველიპა ბებერისა ქუდი და პირჯვერის წერით წავიდა ურმებისაკენ. მიეიდა ურემთან, მაგრამ ბორკილების გამო ფეხები ველარ აიტანა ზედ და ურემთე მჯდომშია ქალმა ძლიერ-ძლიერობით ითრია.

როცა ურმები დაიტვირთა ბარგითა და იმ ტუსალებით, რომელთაც ნება პქნონდათ ურმებშე ჯდომისა, აფიცერმა მოიხადა ქუდი, პირჯვერი გამოისახა და გმირულად შესძახა:

— პარტია, მარშ!

ჯარის კაცებმა თოფები მხრებშე გაიწვეს, ტუსალებმა ქუდები მოიხადეს, პირჯვერი გადაისახეს, თავითონ ნათესავ-მეგობრებს თითო-თორმლა სიტყვა გადასძახეს და დაიძრენ. ქალებში ერთი ამბავი ასტყდა; ზოგი სტიროდა, ზოგი კვიროდა და ეთხოვებოდა თავისი შეგობარ-ნათესავებს, რომელიც განინდებული იდგენ იქვე კუთხეში და დალონებული აცრემლებულ თვალებით აცილებდენ თავისიანებს.



წინ მიღიოდენ ჯარისკაცნი, მათ უკან ბორკალების ჩხარა-შენურაშვილის
საკატორლები, ოთხ-რიგად ჩამწკრივებულნი, შემდებ გადასახლებულ-
ნი და ბოლოს ქალები. მათ მისდევდათ ბარგით დატყირთული ურ-
მები; ერთ ურებმშე თავეშევერული ქალი იჯდა და მწარედ ქვითინებდა.

XXXIII

ტუსალები ისე გრძლად იყვნენ გამწკირვებულნი, რომ როცა წინ
მიმავალნი კარგა შორს გაეიდენ და მიეფარხენ კიდეც, ურმები მხო-
ლოდ მაშინ დაიძრა. ნებლიუდოვო ჩაჯდა ეტლში და უბრძანა მეტ-
ლეს წინ გაესწრო ტუსალებისათვის, იქნება ვინმე ნაცნობი ენახო და,
უკეთუ მასლოვას ქალი ენახე, ვეტყვი, მიიღო თუ არა ის ნიერები,
რომელიც გაუგზავნებო, საშინლად ჩიმოცხა. ქუჩაში ისეთი მტკრის
ბული იდგა, რომ თვალს ვერ გაახელდა ადამიანი. ტუსალები ჩქარის
ნაბიჯით მიღიოდენ და ნებლიუდოვოს ეტლი ძლიერ-ძლიერით ეწე-
ოდა. ეს ურიცხევი ერთფეროვანი ხალხი ისე ეჭვენებოდა ნებლიუდოვს,
თითქოს ადამიანნი კი არა, რაღაც საშიშნი არსებანი ერთად შეგ-
როვილან და სათვეებისაც დაგდასახლებულ თხოტინის დანახებამ გამოი-
ყავანა. ტუსალები ხშირ-ხშირად იხედებოდენ უკან და უპარებდენ ეტ-
ლს, რომელშია ნებლიუდოვი იჯდა. ფედოროვმა თავი დაიკინა, ნი-
შნად იმისა, რომ იქნო ნებლიუდოვი. თხოტინმა ეშმაკურად თვალები
დაინაბა, მაგრამ ასც ერთსა და არც მეორეს თავი არ დაუკრავს, რად-
გან იკოდენ, რომ ნება არა ჰქონდათ. დაუმხარდამხარდა თუ არა
ქალები, ნებლიუდოვმა მაშინევ დაინახა მასლოვას ქალი, რომელსაც
ზურგშე პარეკი ეკიდა და დინჯად მიღიოდა. მის გვერდით მეოთხე
ახალგაზრდა დედაკაცი მიღიოდა; ეს იყო თეოდორი. ნებლიუდოვი
ვადმოხტა ეტლიდან და მიუახლოვდა მასლოვას ქალს, რომ ეკიდნა
ჩამე, მაგრამ ამ დროს დაინახა გზის მცველმა უნტერ-აფიცერმა, მი-
ირბინა მეორე მხრიდან და უთხრა:

— არ შეიძლება, ბატონო, ტუსალებთან მისელა; ბრძანება არ
არის.

როცა ახლოს მიეიდა და იქნო ნებლიუდოვი (სატუსალოში თი-
ოქმის ჟყელა იკნობდა ნებლიუდოვს), უნტერ-აფიცერმა ქუდზე ხელი
მიიღო, გაჩერდა და უთხრა:

— ახლა არ შეიძლება, სადგურშე შეგიძლიანთ და იქ-კი ნება
არ არის. წუ ჩერდებით, გასწიო! — დაუყვირა მან ტუსალებს და თუ-
მცა საცხისაგან სულ ხეითქი გადასდიოდა, მაგრამ მაინც ყოჩალად
გაირბინა თავის აღგილისკენ.



ნებლიუდოვი გადავიდა ქვაუენილზე, უპრანა მეტლეს მომყვი-
ყიო და თეითონ გაჲყეა უეხით ტუსალებს შორი ახლოს. სადაც კი
გაიღლიდა ამ უბედურთა გროვა, ყველგან და ყველას გრლში სიბრა-
ლულს იწვევდა.

ზევლა, ვინც კი გზაში შექვედოდათ, უნობის მოყვარეობით
ათეალიერებდენ ტუსალებს; ზოგს მიშის ერუანტელი უცლიდა ტან-
ში ამ ტანჯულ ხალხის დანახვაზე, ზოგიერთები მიდიოდენ ახლოს
და მოწყალებას აძლევდენ; მოწყალებას ვზის მცველი ჯარის-კაცი
იღებდენ. ქუჩის პირად ერთი ხმაურობა და ძახილი იყო, ყველგან
ცნობის მოყვარე ხალხი იდგა. სარემლები, სახლის სახურავები და
ვიშერები სულ გაქმიდილი იყო ხალხით. ერთს შესახევები ტუსალები
ეტლს შეეხებენ. კოფოზე ჩასუქებული მეტოვე წამოსკუპებულიყო.
ეტლში ისტდენ მდიდრული მორითული ცოლ-ქარნი ცუგრუმელა
ქალიშვილითა და რვა წლის ვაეკი. მამი უჯავრდებოდა მეტლეს,
რატომ უკრ გაუსწარი ამ ბრძოსათ, და დედა კი საცოდავიდ იმან-
კებოდა მშისა და მტკრის ვამო. მეტლა, ბატონის საყვალურით
უქმაყოფილო, ძლიერ-ძლიერით უკერდა თავს გათქვირულ ცხენებს.

ქუჩის დარაჯს თუმცა ძალიან გრულით უნდოდა მოეგო ბატონის
გული, გაეშვა პისი ეტლი და ტუსალები შეეჩერებინა, მაგრამ ყოე-
ლად შეუძლებელი იყო, თუნდაც ამ მდიდარ ბატონის გულისთვის.
მან მხოლოდ ქუდზე ხელი მიიდო, ნიშნად იმისა, რომ თაყვანსა ქს-
ცემ სიმდიდრესათ, და მრისანედ გადაპხდა ტუსალებს, რითაც იგ-
რძნობინა ბატონს, რომ ყოველ შემთხვევაში, მაინც თქვენი მომხრე
და დამცველი ვარო. ასე რომ, ეტლს მანამდე მოუხდა და ყდა, სანამ
ცველა ტუსალი გაიღლიდა, დაიძრა მხოლოდ მაშინ, როცა უკანა-
სკნელად ბარგითა და ტუსალ ქალებით დატეირთულმა ურმებმა გა-
იარა. მხოლოდ მაშინ გაინჩრა მსხვილი მეტლე, შეუძახა გათქვირულ
ცხენებს და მარდით გააქანა იგარისაგან; დროს გასატარებლად
მიდიოდენ ცოლ-ქარნი თვეინთ ბავშვებით.

არც დედას და არც მამის ფიქრადაც არ მოსელით აეხსნა ბავ-
შვებისათვის ეს სანთაობა.

პატიო ქალმა, დედის სახის მეტყველების მიხედვით, ახსნა,
რომ ეს ხალხი ისეთი არ იყო, როგორც მისი დედ-მამა და ნაცნობ-
ნი იყვენ. ეს ხალხი ცუდი ხალხი იყო და, აღბად, იმიტომ დეცენდენ
ისე მკაცრად, რომ საჭირო იყო მათთვის ასეთი მოქცევა. კიდევაც
შეშინდა მათის დანახვით და ძალიან გაუხარდა, როცა ისინი თვალ-
თავან მიეტარენ.



კატება კი, რომელიც ვთოცებული მისჩერებოდა ტუსალებს, წინა. ფრივ ახსნა ეს ამბავი. მან მტკიცედ იკოდა, პირდაპირ ღვეთისაგან გაიგო, რომ ეს ხალხი ისეთივე იყო, როგორც უცვლა, და ამ ხალხს ვიღაძეც ცუდი საქმე უყო — ისეთი, რომელიც არ უნდა ექნა, და სიბრალულითა და თან შიშით უმშერდა რეინის ბორკილებინ თავ-მოპირსულ კაცებს; — თავს ძალას ატანდა, რომ არ ატარებულიყო, რადგან ამისთვის შემთხვევაში ტირილი დიდ სირცებულიდ მიაჩინდა.

XXXIV

ნებლიუდოვი ჩეიარის ნაბიჯით მისდევდა ტუსალებს და, თუმცა თხელის პალტოთი იყო, მაგრამ ქუჩაში ისეთი მტკიცის ბული და სი- ცხ იდგა, რომ სულ ძლიერ იმპინებდა. გაიარა მეოთხედი ცერსი თუ არა, ისევ ეტრაში ჩაჯდა და წინ გასწია. მან მოინდომა მოეცო- ნებინა გუშინდელი ლაპარაკი სიძესთან, მაგრამ ეს ლაპარაკი ისე აღა- ალელვებდა, როგორც დილით; ტუსალების ციხითან გამოსცელამ და გამზადებული დაჩრდილა ეს მოეცონება. ქუჩაში იდგა თხი ბავშვი — რეალისტები. მათ წინ ფეხმორთხმული იჯდა ტკბილეულობის გამყი- დველი. ერთი ბავშვი ხარბად შეეცეოდა ტკბილეულობას და მეტების სიამოენებისაგან თითებს იღოვედა, მეორე-კი ნერწყვის ყლაპით ელოდა, სანამ იმისაც შიცემდენ ტკბილეულობას.

— შეიძლება აქ საღიზე წყალი დავლიო? — ჰეითხა ნებლიუდოვ- ში მეტლეს, როცა საშინელი წყალრიცხი იგრძნო.

— ა, აქევ საუცხოვო ტრაქტირია, — უბასუხა მეტლებ, შეუ- ხეია ქუჩაში და ტრაქტირის კარებთან გაჩერდა.

ტრაქტირის ჩასუქებულმა ნიჭარმა და ლაქიამ, რომელნიც მის- ხდომოდენ სუფრებს და ზანტად ამთენარებდენ უსაქმობის გამო, ვა- კეირებით შემხედეს არა-ჩეცულებრივს სტუმარს. ნებლიუდოვმა მო- თხოვა სელტერის წყალი და მიუჯდა იქვე სარკმელთან სუფრა-გადა- ფარებულ მაგიდას.

იქვე ახლოს ორი კაცი მოსხომოდა მაგიდას, რომელზედაც ჩაის ჭურჭელი და ორი ცარიელი არყის მოთლი იდგა, და მეობრუ- ლად რაღაცას ანგარიშობდენ. ერთი მათგანი ისეთი თავ-მოტელებილი იყო და კერაზე შავის თმის ბუსუსები ჰქონდა, როგორც ეგნატე ნი- კიფოროვის. ამ შოაბეჭდილებამ ნებლიუდოვს ისევ მოაგონა გუშინ- დელი ლაპარაკი სიძესთან და ისევ მოინდომა იმისი ნახვა წისელამდე. „მატარებლის წასლამდე, მონია, ვერც-კი მოვასწრო“, — იფიქრა მან: — „უმჯობესია წერილი მიესწერო“. მოთხოვა ქალადუი, მაგრამ ისე დაფანტული იყო, რომ ვერას გზით ვერ მოახერხა წერილის და- წერა.

„საყვარელო ნატაშა! არ შემიძლიან, ის მძიმე შთაბეჭდით და გადასციან და ისე წაფილე... — დაიწყო მან.

„შემდეგ რა? პატიება ესთხოვო იმისთვის, რაც გუშინ კუთხა- რი? მაგრამ მე ხომ ისა ესთქეი, რასაც ვუიქრობდი? იფიქრებს, რომ ვითომ უარსა ვჰყოფ ჩემს სიტყვებს. შემდეგ, ჩემს საქმეში ჩარჩა იმისი... არა, არ შემიძლია“, — სთქვა თავისთვის ნეხლიულობრივ და უზომო ზიზლი იგრძნო ამ თავნება, უცნაურ კაცის მიმართ. ჩაიდო გაუთავებელი წერილი ჯიბეში, გაუსწორდა მეტრაქტირეს, ჩაჯდა ეტლში და გასწია იქითენ, საითენაც ტუსაღები წავიდენ.

თან-და-თან ჩამოცხა. ქვები და სახლის სახურავები ისე ლაპ- ლაპებრა სიცხით, რომ ლავაში რომ გაეკრათ, მშევნივრად გამოუ- ხვებოდა ზედ. ნეხლიულოვო საკოდავად ქვენავდა სიცხისაგან.

უცნები უცნების ზაქუნითა და კუდის ქნევით ძლიეს მიღის ლა- სებდენ მტკრიან ქუჩაში. მეტლე სთვლემდა და ხშირად საკოდა- ვად თავს აყანტურებდა ხალმე. ნეხლიულოვი ხმაგაემენდილი იჯდა ეტლში და დალონებული გამოიყურებოდა ეტლიდან. ქუჩის მოსახ- ვებში ნეხლიულოვი წააწყდა ხალხის გროვის, რომელიც რალისაც მი- სწრებოდა; იქევ იდგა ერთი გზის მცველი ჯარის-კაცი. ნეხლიულო- ვდა შეაჩერა ეტლი.

— აა ამბავია! — ჰეითხა მან შეეზოვეს.

— ერთ ტუსაღს რალაც მოუკიდა.

ნეხლიულოვი გადმივიდა ეტლიდან და მივიდა ხალხთან. ოლ- რო-ჩოლრო ქვიფენილზე ეგდო ქერა წევრ-ულებაშიანი, შუახნის ტუ- საღი, ნაცრისფერ ხალათითა. ეგდო პირქვე, ტალი ხელი გაეშალა, დრო-გამოშვებით გაახელდა ჩასისხლიანებულ თვალებს, ერთ წუთს მიმოიხედავდა გარშემო და სახართად ქვითონებდა. თავს ადგა გა- ჯავრებული ქუჩის დარაჯი, ფოსტალიონი, ბებერი დედაკაცი ქოლ- გით და თბა-გაკრევილი ბავშვი ცარიელ კალათით ხელში.

— დასუსტებულია; სატუსაღოში ჯდომით დასუსტებულა და ხელა ასეთ საშინელ სიცხე პაპანაქებაში გამოიგდიათ და მიერეკე- ბიან, როგორც პირტყვეს, — უთხრა ნეხლიულოეს ნოქარმა.

— მცონია, მოკედება, — ტირილის ხმით ამბობდა ქოლგიანი ბე- ბერი დედაკაცი.

— გაუხსენით პერანგის საყვლო, — სთქვა ფოსტალიონშია.

ქუჩის დაზაგი მივიდა და ათოთოლებულის ხელებით უხერხუ- ლად დაუწყო პერანგის ლილების ხსნა. თუმცა ძალიან ალელვებული იყო ამ სანახაობით, მაგრამ მაინც არ დაიიწყო თვისი მოვალეობა და მრისხანედ მიქმართა ხალხს:



— რას შეგროვებილხართ? ისედაც ცხელა და თქვენ კიდევ უა-
რესად აცტუნებთ. გასწით!

— კანონის ძალით, ექიმმა უნდა გასიჩვის. ეინც სუსტია, დას-
ტოვოს, თორემ, აბა, ეს რასა პგავს, რომ ცოცხალ-კვდარი კაცი წა-
მოუყვანიათ, — ამზობდა ნოქარი და უთუოდ თავს იწონებდა კანონე-
ბის ცოდნით.

ქუჩის დარაჯმა გაუქსნა პერანგის ლილები, წელში გაიმართა
და მიიხედ მოიხედა.

— გასწით-მეტეი, გერბნებით! რა თქვენი საქმეა აქ დგომა და
ყურება? — შესძიხა მან ხალხს და თანამდებობისთვის ნებლიუდოვს
გადაპირება; მაგრამ არყი იქ საიმისო ვერაფერი დაინახა, გზის მცენ-
ჭარის-კაცს მიუბრუნდა.

მაგრამ ჯირის-კაცს არც კი გაუგრია დარაჯმის სიტყვები, თა-
ვის წალების მორილეულ ქუსლებს ათვალიერებდა.

— ვისიც საქმეა, ისინი არა ზრუნავენ. ხალხის პსე დაღრწიობა
განა წესიერებაა?

— ტუსალი-ტუსალია, მიგრამ მაინც კაცია, — ისმოლა ხალხში.

— თავი მალლა დაუდეო და წყალი დაალევინეთ, — ურჩია ნებ-
ლიუდოვამა.

— წყლისთვის უკე გავვზავნე, — სთქვა ქუჩის დარაჯმა და ძლიერ
ძლიერით თავი მალლა დაუდეო ტუსალი.

— რას მოგროვებილხართ? — მოისმა მრისხანე ხმა და ხალხთან
ჩეარის ნაბიჯით მიყიდა უბნის ზელამხედველი. თოვლიერი თეორია
კურტკა ემოსა და გაერიალებული წალები ეცია: — გასწით აქედან,
რას უდეგებართ მანდ? — დაიყვირა მან.

მიუახლოედა თუ არა, დაინახა მომზადევი ტუსალი და, თით-
ქოს ამას მოელოდა, ქმაყოფილების ნიშნალ თავი დააქანა და მიკ-
მართა ქუჩის დარაჯმის.

— როგორ მომხდა ეს ამბავი?

ქუჩის დარაჯმა უამბო, როგორ დაეცა ტუსალი და გზის მცენ-
ჭა აფიცერმა ბრძანა დაეტოვებინათ.

— მაშ ამლა, რა უნდა ვუყოთ? უნდა წაიკუვანოთ. დაუძახე
მითლეს.

— მეეზოვე გავვზავნე, — უთხრა ქუჩის დარაჯმა და ქუდზე ხე-
ლი მიიღო.

ნოქარმა. ისევ დაიწყო ფილოსოფიასობა სიცხის შესახებ.

— შენი საქმე არ არის! აა, გასწი შენ გზახე, — დაუყვირა უბ-
ნის ზედამხედველმა და ისეთის თეორია შეპხედა, რომ ნოქარი მა-
შინვე დაჩუმდა.



— წყალი უნდა დაალევინოთ, — სთვეა ნებლიუდოემა. პრიზის გარეშე
უბნის ზედამხედლელმა მრისხანედ გადაპერდა ნებლიუდოეს, მაგ-
რამ თავი შეიმაგრა და ორაფერი უთხრა. მეეზოვემ მოიტანა წყალი.
ქუჩის დარაჯმა აუწია ტუსალს თავი და მოუნდომა ძალათი ჩიტახა
პირში წყალი, მაგრამ ვერას გზით ვერ გააღებინა პირი.

— დაასხი თავზე, — დაუყვეირა უბნის ზედამხედლელმა.

ქუჩის დარაჯმა მოპარდა ქუდი და დაასხა წყალი.

ტუსალმა შემინებული თეალები თითქოს კიდევ უფრო დააჭ-
უტა, მაგრამ მდგომარეობა არ გამოუცვლია. პირისახეზე წურწურით
ჩამოსდომდა მტერისაგან გასქელებული ოფლი და წინანდებურიად
საშინლად თრთოლავდა და ქვეთინებდა.

— ეს ვისია? მოიყვანე ჩემარა! — უბრძანა უბნის ზედამხედლელმა
ქუჩის დარაჯმა და ნებლიუდოეის მეეტლე ანიშნა: — ჰე, შენ, მოდი
აქ! — დაუყვეირა მეეტლეს.

— სხვისი დატერიავებულია, — უქმაყოფილოდ უპასუხა მეეტლემ.

— ეგ ჩემი მეეტლეა, მაგრამ შეგიძლიანთ წაიყვანოთ, — უთხრა
ნებლიუდოემა, — ფულს მე მივუცი.

— რას უდგეხარ? — დაუყვეირა უბნის ზედამხედლელმა მეეტლეს, —
წაიყვანე!

ქუჩის დარაჯმა, მეეზოვემ და ჯარის-კაცმა ძლიერ-ძლიერობით
იილეს ტუსალი, მიიტანეს ეტლთან და ჩასვეს შიგ.

— დააჭირნეთ, — უბრძანა უბნის ზედამხედლელმა.

— არაუერია, თქვენი კეთილშობილებაა, ასეც მივიტან, — უთხრა
ქუჩის * დარაჯმა, მოუჯდა გვერდით ტუსალს და ხელები მაგრად
მოშევია.

ჯარის-კაცმა ფეხები აუწია და გაუსწორა ეტლში.

უბნის ზედამხედლელმა მოიხდა უკან, დაინახა ტუსალის უკო-
ზიროკ ქუდი, იილო და თავზე ჩამოაცვა.

— გასწიოთ! — უბრძანა მან.

შეეტლემ უქმაყოფილოდ თავი გაიქ-გამოიქნია და ზან და გა-
რეა ცხენები პოლიციისაკენ. ქუჩის დარაჯი და ჯარის-კაცი ძლიერ-
ძლიერობით იმაგრებდენ ტუსალს, რომელიც მკვდარიყით მოღუნებუ-
ლიყო და აქეთ იქით ვარდებოდა. ნებლიუდოეიც იმათ გაპყვა თან.

XXXV

ეტლი პოლიციის წინ გაჩერდა. იქიდან საჩქაროდ გამოეიდენ
ქუჩის დარაჯები, იილეს ტუსალის გაცივებული გვამი და შეიტანეს
პატარა, მყრალს ოთახში, საღაც იღდა ოთხი სამოლი ავალმყოფ-
თაფის. ორ ტაბაზე ისხდენ თრიზი ავალმყოფნი, ორი კი ცარიელი



იყო. ერთ იმათგანზე დასვეს ტუსალი. მკვდართან შივიდა დაბუღუსა გარისა
ტანის კაცი, რომელიც თვალებს ათამაშებდა უწანურად, ტანი მარ-
ტო საცვლები ეცა, დაპერდა მკვდარს, შემდეგ გადაპერდა ნეხლიუ-
დოვს და გულიანად გადაიხარხარა. ეს იყო გიური, რომელიც საავად-
მყოფოში ჰყავდათ დამწუდეული.

— ნუ გონიათ მაგით შემაშინოთ. არა, არა, მაგის თქვენ ეერ
მოახერხებთ! — წამოიძახა მან და საცოდავიდ დაიღრიჯა.

შემოვიდა უბნის ზედამხედველი და ფერშალი შემოჰყა.

ფერშალი მიუახლოვდა ტუსალს, იღოთ ხელში მისი გაყვითლე-
ბული, დაძებრებული ხელი და ისევ გაუშვა. ხელი უსიცოცხლოდ
დაეცა ტუსალის მუცელზე.

— გათავებულია, — სთქვა მან და თავი დააქნია, მაგრამ წესის
ასასრულებლად გაუხსნა ჭუჭყიან პერანგის ლილები, გაუსწორა ხე-
ჭუჭი თმი და ყური დაადო ტუსალის გაქვავებულ ფართე გულს.

ყველა ხმა-გაემენდილი უჩხერდა ამ სურათს. ფერშალი წამოდგა,
ისევ თავი დააქნია და აუწია ჯერ ერთი თეალის ქუთუთო და მერე
მეორე.

— ნუ მაშინებთ! — მყვიროდა გიური და ფერშალს მისჩერებოდა.

— რას იტყვი? — ჰყოთხა უბნის ზედამხედველმა.

— მკვდრების ოთახში გაიტანონ, — უპასუბა ფერშალმა.

— არ შესცდეთ, კარგი გასინჯეთ, — უთხრა უბნის ზედამხედ-
ველმა.

— რა დამემართება, ეგეც ეერ შევატყო. თუ გნებავთ, მათვევი
ივანოვიჩსაც დაუძიხეთ, იმანაც ჰნახოს. პეტროვ! წადი დაუძიხე, —
უთხრა ფერშალმა პეტროვს და მოშორდა მკვდარს.

— შეიტანეთ მკვდრების ოთახში, — უბრძანა უბნის ზედამხედ-
ველმა: — შენ მეტე მოდი კანცელიარიაში, ხელს მოაწერ, — უთხრა მან
ჯარის-კაცს, რომელიც მკვდარს არა შორიდებოდა.

— მესმის! — უპასუბა ჯარისაკაცია.

ქუჩის დარჩუბმა იღლეს მკვდარი და ძირს ჩამოიტანეს. ნებ-
ლიუდოვს უნდოდა გაპყოლოდა, მაგრამ გიერმა შეაჩერა.

— თქვენც ხომ შეთქმული არა ხართ? მაშ, მომეცით პაპირო-
სი, — უთხრა მან. ნეხლიუდოვმა ამოიღო პაპიროსი და მისცა. გიურ
წარბების ცმაცუნით საჩქაროდ მოჰყა ნეხლიუდოვს, როგორ აწეა-
ლებდენ შთაგონებით. ყველა თითქოს ჩემს წინააღმდეგ ამხედრე-
ბულა და მტანჯავენ, გულს მიწყალებენ თავიანთ მედიუმების წყა-
ლობით.



— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა ნებლიუდოები და ორ-ტარაჟულურობა ლაპარაკის გათავებისათვის, საჩქაროდ ვამოვიდა, რომ შეეტყო, საით წაიღის მკედარი.

ქარის დარაჯების თავითონთის ტვირთით ვითარეს ეზო და სარდაფის კარებს მითადგენ. ნებლიუდოებს უნდოდა თვითონაც შესულიყო სარდაფში, მაგრამ უბნის ზედამხედველმა შეაჩერა.

— თქვენ რა ვნებავთ?

— ორაფერი, — უპასუხა ნებლიუდოებმა.

— თუ ორაფერი, მაში, წალით!

ნებლიუდოებიც ძალა-უნებურად დაემორჩილა ამ ბრძანებას, მივიდა შეეტლესონ, რომელიც შევ გულიანიც ხვრინავდა კოფოზე, გაალეოდა და გასწიეს სადგურისაკენ.

ასი ნაბიჯი არ ვაევლოთ, რომ ურემი შემოსხვდათ, რომელზე-დაც კიდევ მკედარი ტუსალი იდო და თან გზის მცველი ჯარის-კაცი მოსდევდა. ტუსალი პირ-ალმა იდეა ურემზე და ურმის ჯაგჯაგზე თავს აქვთ იქით რიხა-რუხი გამჭონდა, უკან ქუჩის დარაჯი მისდევდა. ნებლიუდოები შეეხო თავის მეტლეს.

— რა ამბავია? — სოქა მეტლებ და ეტლი შეაჩერა.

ნებლიუდოვი გადმოეიდა ეტლიდან და გაძჰვა ურემს პოლისაკენ. ეზოში უბნის დარაჯი იდგა. დაინახა თუ ორა მეორე მკედარი, მიერთა ურემთან.

— სად მოქვედა? — ჰეითხა მან და უკმიყოფილოდ თავი გაიქნია.

— ძველ გორბატოვის ქუჩაზე, — უპასუხა მომყოლმა ქუჩის დარაჯმა.

— ტუსალია? — იქვე მდგომმა ბრანდ-მაიორმა.

— დიალ.

— ეს მეორეა, — სოქა ქუჩის დარაჯმა.

— წესიერებაც ევ არის. რა ხალხია თქვენი ჰირიმე! — გაჯავრებით წარმოსთქეა ბრანდ-მაიორმა და იქვე მღვომ ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარისაკაცს მიუბრუნდა და უბრძანა ცხენი წიცყვანა.

მკედარი წენანდებურად საავადმყოფოში შეიტანეს. ნებლიუდოები, თითქო პიპნოტიზმით შეპყრობილიათ, გაძჰვა უკან.

— თქვენ რა ვნებავთ? — ჰეითხა ერთმა ქუჩის დარაჯმა, რომელიც ხმა-ამოულებლივ მიღიოდა იქით, საით, ენაც მკედარი მიქონდათ.

გიერ ტახტზე იჯდა და ხარბად ეწეოდა პაპიროსს, რომელიც ნებლიუდოებმა მისცა.

— ააა! დაბრუნდით? — მიაძახა მან ნებლიუდოებს და გადაიხარხა, მაგრამ მოჰკრა თუ ორა თვალი მკედარს, კოპები შეიკრა.



— კიდევე! მომაბეჭრებს სწორედ თავი,—სთქვა მან: —მე უსისი რეაცია ბავშვი აღარა ვარ? ხომ მართალია? — ჰყითხა ლიმილით ნებლიურების გარეშე.

ნებლიუდოვა მისჩერებოდა მკედარს და ისე ათვალიერებდა, თითქოს უნდა დაიხსომოს თვითეული ნაკეთი ამ ძალმომჩეობის მსხვერეპლისათ. რამდენადაც პირველი ტუსალი უშნო და ულამაზო იყო, იმდენად ეს ლამაზი იყო და შნიანი, სულ ახალგაზრდა ვაჟ-კაცი, თუმცა თავი საძგლად ჰქონდა მოპარსული, მაინც მისი ბროლივით თეორი შუბლი და პატარი კებიანი ცხვირი, ახლად იშ-ლილ ულვაშებს ზემოდ, საუცხოვო სინაზივი იყო. გალურჯებულ ტუჩებზე ლიმილი დაქვედომოდა. სახის მეტყველება მშეიდი, თან სას-ტიკი და თან კუთილი ჰქონდა. მთელი მისი იგებულება მოწმობდა, რომ მშენიერი და ძლიერი ცხოველი იყო. იმისთანა ცხოველი მო-ჰქლეს და არა თუ არავის არ ებრალებოდა, როგორც კაცი — ისეც კი არ ებრალებოდათ, როგორც უბრალოდ დალუპლუდ მუშა პირუტყვა. ერთად ერთი გრძნობა, რომელიც მისმა სიკედილმა გამოიწვია იდა-მიანთა გულში, იყო უკიაყოფილების გრძნობა, რომ მისი სიკედი-ლით ბეკრს საქმე ვაზნდა და სცდილობდენ აღრე მოუშორებიათ თავიდან ეს შევდარი, რათა არ გახრწილიყო.

საავადმყოფოში შემოვიდა ექიმი, ფერზალი და ბოქაული. ექიმი ჩასკენილი დაბალი ტანის კაცი იყო, ჩესუნის პიჯაკითა და ასეთო-სავე ვიწრო ზარვლითა. ბოქაულიც სიძმუნეით ექიმს არ ჩამოვარ-დებოდა. ექიმი მიუახლოედა მკედარს და, როგორც ფერზალი, ისიც შეეხო ნელით, დაუკდო ყური გულის ცემას და წამოდგა.

— გათავებული და ეს არის! — სთქვა ექიმშა.

— რომელ სატუსალოდანაა? — ჰყითხა ბოქაულმა ჯარის-კაცს.

ჯარის-კაცმა უპასუხა და თან ბორკილები მოაგონა, რომელიც მკედარსა ჰქონდა ფეხებზე.

— ვუბრძანებ მოხსნან, მადლობა ღმიერის, მცედლები ბლომალ არიან, — სთქვა ბოქაულმა და წავიდა კარებისკენ.

— რა მიზეზია, რომ ასე იხოცებიან? — მიმართა ნებლიუდოვა ექიმს.

— რა მიზეზია, რომ სიცხე უვარდებათ თავში? მიზეზი ის არის რომ მიული ზამთარი უძრიავად სხედან ბნელსა და მყრალს კამერებ-ში, მერე უცბად გამოპყავთ იმისთანა დღეში, მიღიან ჯგუფ-ჯგუფა, ჰაერის მოძრაობა არ არის და იხოცებიან, მა რა მოუვათ?

— მერე და რადა ჰეზავიან?

— ეგ იმათა ჰყითხეთ. თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მე — გარეშე კაცი.



— ააა! შეიძლობით ბრძანდებოდეთ, მე თქვენთან შეუძლებელი და გასწია ავადმყოფებისაკენ.

— როგორაა შენი საქმე? — მიმართა მან ყელ-შეხვეულ ავალმყოფს. გიერ ტაბრზე იჯდა, პაპიროსის წევა გაეთავებინა და კეიმისაკენ იფურთხებოდა. ნებლიუდოვი გამოვიდა ეზოში, ჩაჯდა ეტლში და გასწია სადგურისაკენ.

XXXVI

როცა ნებლიუდოვი სადგურზე მიყიდა, ტუსალები უკვე ვაგონებში ისძღვნ. ბაქანი საესე იყო ხელშით, მაგრამ ახლოს არავის უშვებდენ. გზის მცენელი ჯარისკაცი ერთს ფაცა-ფუცში იყვნ. სატუსალოდან სადგურზე მისელმდე გზაში, იმ ორ ტუსალს ვარდა, რომელიც ნებლიუდოვმა ნიხა, კიდევ სამი კაცი მომკედარიყო სიცხის გამო, კიდი კიდევ პოლიციაში წაეღოთ და ორი იჯე დაცუმულიყო სადგურზე^{*)}. ჯარის-კაცები იმიტომ კი არ იყვნ ფაცა-ფუცში, რომ ტუსალებში ხუთი კაცი მოკედა, არამედ იმიტომ, რომ მათთვის ვალი იყო საესებით შესარულებინათ ის, რასაც კანონი მოითხოვდა: ჩაებარებინათ მკედრები, სადაც ჯერ იყო, გამოიერთიანოთ იმ ტუსალების სიიდან რომელნიც ნიერში უნდა ჩაეყანათ, და ეს კი ადგილი შესასრულებელი არ იყო, მერე ისიც ამისთანა სიცხეში.

იმ ამაზე იტენდენ თავს გზის მცენელი ჯარის-კაცები და ამიტომ ჯერ-ჯერობით არც ნებლიუდოვს და არც სხვებს ახლო არ უშვებდენ. ნებლიუდოვი შაინც მიუწევს, რადგან ერთ ნაცნობ უნტერ-აფიცერს ფული მისცა. უნტერ-აფიცერმა სიხოვა, ჩქარია გაეთავებია ლაპარაკი და მოშორებოდა ვაგონს, რომ უფროსს არ დაენახა. მატარებელს 18 ვაგონი ება და, გარდა მთავრობის ვაგონისა, ყველა საესე იყო ტუსალებით. ვაგონთან გაელის დროს ნებლიუდოვი უურს უგდებდა, რა ჭრდებოდა ზე. ყავლები ბორჯილების ჩხარია ჩხური და განუწყვეტელი ლაპარაკი ისმოდა, მხოლოდ იმგარდაცელილ ამშანაგ-ტუსალების შესახეს კი არავერს ამშობდა. ლაპარაკი უფრო ბარგისა, სასმელ წალისა და დასაჯდომ ალაგის შესახებ იყო. ერთ ვაგონში დაინახა ნებლიუდოვმა ჯარის-კაცი, რომელიც ხელიდან ბორკილებს ჰსნიდა ტუსალებს. ტუსალები სათითაოდ უშვერდენ ხელებს,

^{*)} მე-80წლების დამდეგში ერთ დღეს სუთი ტუსალი მოყდა სიცხისაგან, იმ დროს, როცა ბუტირკის ცინიდან ნიუფორმოდის რეინის გზის სადგურზე გადასჭავა-დათ ტუსალები.



ჯარის-კაცი გასაღებით აღებდა კლიტებს და ჰესიდა ბორკილებულ-
ნებლიუდოვნება გაიარა კაცების ვაგონები და მიეიდა ქალების ვაგო-
ნებთან. ერთ ვაგონში ქალის საშინელი კენესა ისმოდა.

ნებლიუდოვი, ჯარის-კაცის ჩეგენებით, მიციდა შესამე ვაგონის სარქმელთან. მიუახლოედა თუ არა სარქმელს, ვაგონიდან ისეთი საშინელი სუნი გამოვარდა, რომ კინალი გულს შემოეყარა .. ქალები ცყველანი ისხდენ და მუსაფონბდენ. ნებლიუდოვის დანახვაზე დაწუმდენ და ზოგიერთობშია, რომელიც სარქმელთან ახლოს ისხდენ, უფრო ახლოს მიიწიეს. მასლოდას ქალი და თეოდოსია ერთად ისხდენ სარქმელის პირდაპირ. თეოდოსიამ მოჰქრა თუ არა თვალი ნებლიუდოვს, მასლოდას ქალს ხელი წაჰქრა და სარქმელი ანიშნა. მასლოდას ქალი სწრაფად წამოხტა და ლიმილით მიციდა სარქმელთან.

— რა საშინლად ცხელა! — სოქვა მან მხიარულად.

— മിരാറു നൃത്യം?

— ମିଶ୍ରିଲ୍ଲେ, କମ୍ପ୍ୟୁଟର!

— სხვა არაფერი გინდათ? — ჰეითხა ნებლიუდოვმა და კინალი
გრლი შეუწუბდა, ისეთი ცხელი ჰაერი მოჰქვდა: ასე ეცონა, გახურე-
ბულ საკირძან გამოვიტდო.

— არათური არ მინდა, გმადლობთ.

— ნეტა ლაგვაცლევინა ჩამო, — სთქვა თეოდოსიამ.

— მართლა, ურიგო არ იქნება, — დაუშემატა მცხვლოვამ.

— განა მანდ წყალი არა გაქვთ?

— გვაძლევენ, მაგრამ სულ დაღისეს.

ეხლავი ვიტყვი ჯარის-კაცს. ნიუნაშძე ვიღარ შევხედებით ერთმანეთს.

— განა თქვენც მოჰიზართო? — თითქმს არ იცის, ისე დაეკითხა მასლოვის ქართ და მნიარეობად გაუიმანებს.

— ମନ୍ଦିରପାଇବାର ଶ୍ରୀମିତ୍ରଗ୍ରହିଣୀ ମିଠାଟାରୀପିଲାଇଟା.

ମାସଲ୍ଲାଙ୍ଗରେ କୁଳରୀ କେତେ ଏଣ୍ଟ ଦେବିତା, ମହାଲ୍ଲାଙ୍ଗରେ କୁଳରୀ କେତେ ଏଣ୍ଟ ଦେବିତା,

ପାଇଁ କାହାର ନାମ ଜୁଗାଦୀ ନାହିଁ

— အမိန်ပေါ်၊ တော်မြှေပို့ကဲ၊ ၆၅ တွေ အမိန်ပေါ်ကဲ အရာလျော်စုံ ဖွံ့ဖြိုးမှုပါ။

— ქალაბერი ხომ არავინ ააშენორა ავთ? — 3 კონტა ნიშკრიფონტი.

— ქალები უფრო მაგრად არიან, — უპასუხა პატარი ტუსალმა ქალმა, — მხოლოდ ერთს აქ მოუნდა მშობიარობა და აი, როგორ კვენესის, — უთხრა მან და მახლობელ ვაგონზე მიუთითა, საიდანაც ისევ ისმოდა საკოდაები კვენესა.

— თქვენა მეითხეთ, ხომ არ გინდა რაო? — უთხრა მასლოვან ქალმა ნებლიუდოვეს და ტუჩებს ძალა დაატანა, რომ ღიმილი შეემაგრებინა: — თუ შეიძლება, სოხოვეთ უფროსს, ის ქალი დასტოვონ, თორებ ძალიან იტანჯება.

— ძალიან კარგი, ვერცყვი.

— კიდევ აი აა: ამის უნდა თავისი ქმარი ტარისი ინახულოს, დაუშეატა მასლოვან ქალმა და მომლიმარე თეოდოსია ანიშნა: — ის ხომ თქვენთან ერთად მოდის?

— ბატონო, არ შეიძლება ლაპარაკი, — მოისმა უნტერ-ოფიციას ხმა.

ეს ის უნტერ ოფიციალი არ იყო, რომელმაც ნებლიუდოვეს ნება მისცა ვაგონთან მისულიყო. ნებლიუდოვი მოშორდა ვაგონს და უფროსს დაუწყო ძებნა, რომ ტარისისა და მშობიარე დედაკაცის შესხებ ეთხოვნა, მაგრამ დიღხანს ვერ იპოვნა. ჯარის-კაცებს კი არაფერი გაეცემოდათ, სად იყო მათი უფროსი. ერთ მათგანს ტუსალი მიჰყავდა სადღარე, ზოგი სურსათის სასუიდლად დატოვდა, ზოგი ვიღაც ქალს ემსახურებოდა, რომელიც ოფიციალთან ერთად მიდიოდა, და ამიტომ თავ-გზა ჭქონდათ დაბნეული და ვერაფერი პასუხი ვერ მიეცათ ნებლიუდოვისთვის.

შეორედ დაპერეს ზარი, როცა ნებლიუდოვმა მოპერა თვალი ოფიციალს, იგი ულვაშების გრეხით რაღაშედაც ფელდფებელს აძლევდა შენიშვნას.

— რა გნებავთ? — ჰეითხა მან ნებლიუდოვს.

— ვაგონში მშობიარე დედაკაცია, ვფიქრობ, რომ...

— მშობიარე და შობოს. მაშინ ვიდიქრებთ... — უთხრა ოფიციალი და იშავად გასწიო თავის ვაგონისაკენ.

მოისმა უკანასკნელი ზარის ხმა; კანდუქტორმა დაუსტევინა და მატარებელი შექრთა, საზარლად ამოიქმინა და შეპეილა. ნებლიუდოვი ტარისის ველიუდით იდგა ბაქანზე და თვალს დევენებდა, როგორ მისდევდა ვაგონში ერთი-მეორეს; სარქმელებიდან ტუსალ კაცების ნახევრად მოპარსული თავები მოსჩინდა. შემდევ გაირბინა ქალების პირებმა ვაგონმა, მერე მეორემ, საიდანაც მშობიარე დედაკაცის კუნესა ისმოდა, და შემდევ იმ ვაგონშიაც, რომელშიაც მასლოვან ქალი იყო. ის სხევთან ერთად სარქმელთან იდგა და გულსაკლავად ულიმოდა ნებლიუდოვს.

XXXVII

სახილხო მატერიებლის წასკლამდე, რომლითაც ნებლიუდოვი მიღიოდა, კიდევ ორი საათი რჩებოდა. პირველად იფიქრა, წასელიძე შევეცლი დასთანაო, მაგრამ დღევანდელმა სანახაობამ ისეთი გაელენა იქონია, რომ საშინელ დაღლილობასა პერსონალი. შევიდა პირველ კლასის ბრუნვის, ჩაჯდა სავარძელში და მაშინვე ძილი მოერია; გადაბრუნდა გვერდზე, შემოიდო თავ-ევეშ ხელი და ტებილად ჩაიძინა.

ნებლიუდოვი გააღვიძი ფრავეში გამოკვანწულმა ლაქიამ.

— ბატონო, ბატონო! თქვენა ხართ თავადი ნებლიუდოვი? ქალბატონი გეძებთ.

ნებლიუდოვი ზეზე წამოვარდა, მოიტშენიტა თვალები და უცბად მოაგონდა, სად იყო, ან დილით რა მოპარდა.

ჯერ კიდევ კარგად ვერ გამოიკვეულიყო და თვალწინ ედგა: ტუსალების მგზავრობა, მეცდრები, რეანებიან ბადით გამშული სარეკელნი ვაგონებისა და იქ დამწუკდეული ქალები, რომელთა შორის ის ზოგნი საშინლად იტანჯებოდენ მშობიარობით და ზოგნი საკოდავიდ ულიმოდენ ვაგონის სარეკელიდან. ნამდეილად კი მის თვალწინ სულ სხვა სურათი იყო: იქ იდგა სხვადასხვა ჭურჭლით საესე სურა-ვადა-ფარებული ზავიდა და ფრავებიანი ლაქიები მარდად დასრიალობდენ სხვადასხვა ბრძანების აღსასრულებლად.

იმ დროს, როცა ნებლიუდოვი ცოტათი გონს მოვიდა და ვას-წორდა სავარძელში, შეამნია, რომ ყველა იქ მყოფნი ცნობის მოყვარეობით მისხერებოდენ კარებს, საღაც რაღაც ამბავი იყო. ამ დროს კიდევ შემოიუდანეს სავარძლით ვიღაც ქალბატონი. წინ ლაქია მოუქლოდა, მას უკან მეტარე, რომელიც თითქოს საღლაც ენაბა ნებლიუდოვს. სავარძლის უკან მისამსახურე მოდიოდა სხვადასხვა ბარებით დატვირთული, მათ უკან მობობლავდა თავადი კორჩავინი. მით მოსდევდა—მისი, მიშია, ბიძაშვილი და ნებლიუდოვის ნაცნობი დიპლო-მატი ოსტენი. გზადაგზა რალასაც უწერი ცებდა მისის და მხიარულად ულიმოდა. სულ უკან ექიმი მოდიოდა და გაჯვერებული პაპიროსს ეწეოდა.

კორჩავინები თავიანთ მამულიდან თავადის დის მამულში ვადადიოდენ, ნიერებორილის გზაზე.

მგზავრები თავიანთ ბარგი-ბარბანით ქალების თოახისაერენ წავიდენ. ბებერი თავადი კი შემოსვლისთანვე მიუჯდა მაგიდას, დაუძახა ლაქიას და რაღაც შეუკეთა. ოსტენი და მისიც გაჩერდენ დარბაზში და ის იყო დაჯდომა დაპირეს, რომ კარებში ნაცნობი დაინახეს.



და იქითუენ წაფიდენ. ეს ნაცნობი ნატალია ივანოვნა იყო. მას თან ახლდა იგრაფინა პეტროვნაც და შემოსელისთანავე ორივემ სწრაფად მოაელეს დარბაზს თვალი. თითქმის ერთ დროს დაინახეს მისისც და ნებლიუდოვიც. ნატალია ივანოვნა ჯერ მისისისთან მიეიღდა და მას მხოლოდ თავი დაუჭინა, მაგრამ გადაპყოცნა თუ არა მისისი, მიუბრუნდა მას.

— ძლიერ არ გიპოვნე? — უთხრა მან.

ნებლიუდოვი წამოდგა, მიესალმა მისისის, მიშას, ოსტენს და განჩერდა. მისიმ უამბო, რომ ჩენს სახლში ცეცხლი განწყდა და იძულებული შევიტენით დეიდას მამულში გადაესახლდეთ დროებითაო. ოსტენშა რაღაც უხერხელი სახუმრო ანედორიც დაურთო ზედ.

ნებლიუდოვს ყური არ უკდია ოსტენისთვის და მიმართა დას.

— რომ იციდე, რანაირიც გამეხარდა შენი მისელა!

— კარგა ხანია, მოვედი, — უთხრა დამ: — იგრაფინა პეტროვნაც აქ არის. — ნებლიუდოვმა შეპხედა იგრაფინა პეტროვნას, რომელიც საუცხოვოდ მორთულ-მოკაზმულიყო და შორიდან მოწიწებით თავს უკრავდა.

— მე კი აქ დამეძინა კიდეც. უმ! რა მოხარული ვარ, რომ მოხედი: — გაიძეორა ნებლიუდოვმა: — წერილის მოწერას ვაპირებდი და კიდევაც დავიწყე.

— მართლაই! — გაიკერძო დამ.

მისი თავის კავალერებით, რა შენიშნა, რომ და-მას შორის შინაურული ლაპარაკი გაიმართა, მოშორდა მათ. ნებლიუდოვი და ნატალია ივანოვნა ჩამოსხდენ საჩემელს ახლოს სავარემალზე.

— მესმის და ასეც უნდა მოქცეულიყავით. თქვენ გინდათ პოლიტიკურ დამწაშავის ნახვა იმიტომ, რომ გებრალებათ. სატუსალის უფროსი და მხლებელი ჯარის კაცი უსათუოდ ითლებს ფულს, რადგან ჯამიგირად ორიოდე გროში აქვს და ასე ცოტა ფული კი ცოლშეილიან კაცს არ უყოფა. იმათსა და თქვენს აღვილშე მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც თქვენ იქცევით და ისინი. მაგრამ ჩემს აღვილშე არ მივცემ ჩემს თავს ნებას, რომ დადგრნილ კანონის ერთ ასოს გადავსცდე, იმიტომ, რომ მეც კაცი კაც და შეიძლება სიბრალულმა გამიტაცოს. მე, ჩემო კარგო, საქმე მომანდევს და იმედი აქვთ, რომ სინიდისიერად ვასრულებ ჩემს მოვალეობას; ამიტომ შეცა კსტალობა გაემართოთ მათი ჩემდამი გამოცხადებული ნდობა. ეს საქმე გათავებულია. აბა, ახლა მიამდეთ, რა ამბავია თქვენს ქვეყანაში?

გენერალმა დაუწყო გამოყითხვა და თან თავის ამბებიც მოუცვა, რადგან ერთსა და იმავე დროს უნდოდა ახალი ამბებიც გაეგო და მთელი თეისი მნიშვნელობა და კაცომოყვარული აზრებიც გაეცნო ნებლიუდოვისთვის.

XXIII

— მაში, აი რა: — ეისთან ჩამოსტით? დიუჭიან? იქაც ცუდი სამუოფია; მობრძანდით ჩემთან სადილად, — უთხრა გენერალმა ნებლიუდოვს, როცა ეს უკანასკნელი წასასვლელად მოემზადა: — თქვენ, მგონი, ინგლისური იყოთ?

— დიალ, ვიცი.

— მაში, ძალიან კარგი. ამ ეამად აქ არის ერთი ინგლისელი მოგზაური, რომელსაც უნდა სატუსალოებისა და ციმბირის შესწავლა. სადი-



ლად ჩეენსა იქნება და თქვენც მოდით. ხუთ საათზე ესადილობმა და ცოლი სასტიკად თხოულობს, რომ დანიშნულ დროს ერთი წუთიც არ გადავიცილოთ და წესირიად აესრულოთ მისი განკარგულება. მა-შინ მოგცემთ პასუხს იმ ავადმყოფისა და ქალის შესახებ; იქნება მო-გახერხოთ რამე.

ნებლიუდოვი გამოეთხოვა გენერალს და მხიარულად გასწია ფოს-ტისკენ.

ფოსტის კანტორა დაბალ შენობაში იყო. კანტორების იქით ისხ-დენ მოხელეები და აწვდიდენ ხალხს წერილებსა და სხვადასხვა ნიე-თებს. ერთ მოხელეს კისერი განსე მოეგრიხა და განუწავეტლად უტ-ყაპუნებდა ბეჭედს კანკერტებზე. გაიგეს თუ არა ნებლიუდოვის გვარი დიღხანს არ ალოდინეს, მაშინვე გადასცეს სხვადასხვა ამინათები. ამ ამანათებში იყო ფული, რამდენიმე წერილი, წევნები და „Отечествен- ხые Записки“-ს რამდენიმე ნომერი. მიიღო თუ არა წერილები, ნე- ბლიუდოვი მიიღიდა ხის სკამთან, რომელზედაც ჯარის კაცი იჯდა წიგ- ნით ხელში, გვერდით მოუკადა და დაუწყო წერილებს გადასიმჯვა. სხვა წერილთა შორის ერთი საგანგებო წერილი იყო შეენიერის კან- კერტით. გახსნა კანკერტი და, რა დაინახა სელენინის წერილი რა- დაც ორიციალურის ქალალდით, სისხლი აუგარდა თავში და თვალთ- დაუბნელდა. ეს იყო კატოს საქმის გადაწყვეტილება. რა გადაწყვე- ტილება იყო? ნუ თუ უარი? ნებლიუდოვმა საჩქაროდ გადაიკითხა წერილის ასოებით დაწერილი ქალალდი და თავისუფლად ამოისუნ- თქა. გადაწყვეტილება საბედნიერო იყო: ორის ინსტანციის განაჩ- ნი გაეუქმებინათ და კატოსთვის კატორლა ციმბირში გადასახლებით შეეცვალათ.

„საყვარელო მეგობარო, — სწერდა სელენინი — უკანასკნელმა ჩეენ- მა ლაპარაკმა დიდი გავლენა იქონია ჩემშე. მასწოვეს ქალის შესახებ შენ მართალი ყოფილხარ. კარგიდ გადასინჯვე საქმე და შევიტყვა, რომ გასოყიარო უსამართლობა ჩაუდენით. საქმის გასწორება შხოლოდ თხოვნათა მიმღებ კომისიაში შეიძლებოდა, სადაც შენ უკვე მიგდია თხოვნა; მოვახერხე ისე, რომ საქმე საკეთილოდ გადაწყვეტილიყო, და ი, გიგზავნი კიდევ პატივის ქალალდის პირს იმ შისამართით, რო- მელიც გრიფინია ეკატერინა ივანოვნაშ გადმომცა თვით გარდაწყვე- ტილების ქალალდი კი იქ გაიგზავნა, სადაც მასლოვეს ქალი იჯდა გამოძიებისა და გასამართლების დროს და მიღებისათვანევე უთულ გამომგზავნიან ციმბირის უმთავრესს სამშართეულოში. ვისწოდეთ გა- ცნობო ეს სასიამოენო ამბავი. მეგობრულ-ამხანაგურად გარომევ ხელს. შენი სელენინი.“



თეთით ქალალდის შინაარსი კი შემდევი იყო: „მის იშვერატორებითის უდიდებულესობის თხოვნათა მიმღები კანკულარია. ესა და ეს საქმის წარმოება, ესა და ეს მაგიდა, ესა და ეს რიცხვი და წელი. მისის იშვერატორებითის უდიდებულესობის თხოვნათა მიმღები კანკულარიის უფროსის ბრძანებით, ამით გამოცემადა მდაბიო მოქალაქეს ეყარერინე მასლოვას, რომ მისმა იშვერატორებითმა უდიდებულესობამ, მიაქცია რა კურადღება მასლოვას ქალის თხოვნას, უძვეშევრდომილესის მოსხენებისამებრ, უმაღლესად პბრძანა: შეუცვალოს კატორნა კიმბირის მახლობელ ადგილებში გადასახლებით“.

ეს ამბავი შინიშვნელოვანი იყო: მოხდა ას, რაც ნებლიუდოვს გულით უნდოდა, როგორც თავისთვის, ისე კატისთვისაც. ეს ცვლილება ახალ მიზეზებს ჰქონდება მათს დამოკიდებულებაში. სანამ კატო საკატორლე იყო, მათი ქორწინებაც ფიქტიური იყო, ახლა კი არაფერი ხელს აღარ უშენიდათ ერთად ეცხოვათ. ამის გამო ნებლიუდოვი სრულიად მოუმზადებელი იყო. გარდა ამისა, კატოს დამოკიდებულება სიმონსონთან? რას პნიშნავდა სიმონსონის გუშინდელი სიტყვები? კატო რომ თანახმა გახდეს სიმონსონის წინადადებაში, კარგი იქნება თუ არა? ნებლიუდოვს ვერაცერი ვერ გარდაეწყვიტა ამ სავნის შესახებ და თავი დაანება ამასედ ფიქრს. „შემდეგ ვამოირჩევა, — იფიქრი მან, — ახლა კი საჭიროა, რაც შეიძლება, ჩქარი კინახულო, შევატყობინო ეს სასიამოვნო ამბავი და გვეანთავისუფლო კიდეც“. პირიოდი, რომ გარდაწყვეტილების პირი, რომელიც ხელში ჰქონდა, საქმიან იყო განსათავისუფლებლად. გამოვიდა თუ არა ფოსტილან, უბრძანა მეეტლეს პირდაპირ სატუსალოში წასულიყო.

თუმცა ვენერალმა დილით ნება არ მისცა სატუსალოში შესვლისა, მაგრამ ნებლიუდოვმა გამოცდილებით იცოდა, რომ რაც უმაღლეს მთავრობასთან შეუძლებელია, შესაძლებელია მდაბიო მოხელეებთანაო, და გადასწყვიტა როგორმე მოხერხებინა და შესულიყო სატუსალოში, გამოეცხადებინა კატოსთვის სასიამოვნო ამბავი, თან გავეთ კრილუოზედ რამე და გადაეცა კრილუოვისა და მარია პავლოვნასთვის ყოველივე, რაც ვენერალმა უთხრა. ციხის უფროსი დიდი წოწოლა, ჩასუებული კიცი იყო. მკაცრად მიიღო ნებლიუდოვი და გამოუხადა, რომ უფროსის ნება-დაურთველად არ შემიძლიან გარეშე კაცის ციხეში შეშვებათ. ნებლიუდოვმა შეპნიშნა, რომ სატუსტო ქალაქებშიაც კი მიშვებდენ სატუსალოებში; ამასედ ციხის უფროსმა უპასუხა:

— შესაძლოა ავრე იყოს, მაგრამ მე კი არ შემიძლიან, — და თან მისი სატუკების კილოთი ამბობდა: „თქვენ, სატუსტო ქალაქების ბა-



ტონები, პფიქრობთ, რომ თქვენი დანახვა ვითომ თავბრუს დაგვახვებს, მაგრამ იყოლეთ, რომ აღმოსავლეთ ციმბირშიაც კარგად ვიცით წესრიგი და თქვენც გაჩვენებთ“.

გარდაწუკეტილების პირშიაც არაფერი უშველა ნებლიუდოეს და ჯიუტი უფროსი ვერ მოაჩინილა. გადაჭრით უთხრა უარი ნებლიუდოეს ციხეში შესვლაზე, ნებლიუდოეს გულშტრიუმილო წინადაფებაზე, რომ შეიძლება ამ ქალალდის ძალით მისლოვას განთავისუფლებათ, სატუსალოს უფროსმა დაცინების კილოთი გაიღრიქა და უთხრა, რომ ვისიმე განთავისუფლებისათვის საჭიროა ჩემის პირდაპირი უფროსის ქალალდით; აღუაქეა მხოლოდ, რომ შეეატყობინებ მისლოვას ქალს დანაშაულობის პატივის და, როგორც კი მოწერილობას მიეცილებ, ერთ საათსაც არ დაცაყონებო.

კრილუოეს შესახებ რაიმე ცნობის მიცემაზე უარი სთქვა და დაუშარა: თითქმის ისიც კი არ შემიძლიან დანამდვილებით ესთქვა, აქ ასეთი ტუსალი იყო თუ არა. რაეკი ვერაფერი გაარიგა ნებლიუდოემა ჩაჯდა ერლში და წაეიდა სასტუმროში.

სატუსალოს უფროსის სიმძაცრე იმას გამოეწვია, რომ სატუსალოში, რომელიც მთლიად გაჭედილი იყო ტუსალებით, ამ დროს საოფლე მძვინვარებდა. მეტელებ, რომელსაც ნებლიუდოე მიკუვედა, უამბო გზაში, რომ სატუსალოში აუარებელი ხალხი იხოვებათ. რაღაც ეამი გაერიათ, დღეში ოც-ოც კაცს მარჩივენო.

XXIV

თუმცა სატუსალოში ვერაფერი გააშეც ნებლიუდოემა, მაგრამ ისევ მხიარული წავიდა გუბერნატორის ქანცულარიაში, რათა გაეგო, მასლოვას პატივიბაზე მიიღეს ქალალდი თუ არა, მავრამ უთხრეს ჯერ არაეითარი ქალალდი არ მიგვიღიათ. დაბრუნდა თუ არა სასტუმროში, ნებლიუდოე მაშინვე შეუდგა წერილების წერას სელენინთანა და ვექილთან. დასწერა წერილები და საათს დაპხდა; გვნერალთან სადილზე წასელის დრო იყო.

გზაში ასეთი აზრი დაებადა: როგორ მიეცებება კატო იმ ამბავს? სად დაიასახლებენ? როგორ იცხოვერებს ჩემთან? რას იზამს სიმონსონი? როგორი დამოკიდებულებაა მათ შორის?

ნებლიუდოემა მოიგონა ის ცელილებანი, რომელიც კატოს შეპნიშნა. თან მოიგონა მისი წაჩისულიც.

„უნდა დაეცილებულო, ამოიცილიჯო გულიდან“, — იფიქრა და მოინდომა თავიდან მოეშორებინა ეს ფიქრი, — მაშინ გამოირკვევა ჟყელაფერი, — სთქვა თავისათვის და დაიშეც იმაზედ ფიქრი, თუ რა უნდა ეთქვა გენტილისათვის.



ყოველის მხრით შემცული სადილი გენერლის სახლში წესრიცხვური დოკომენტების, როგორც მდიდრულ ცხოვრებას შეკვეულ კაცისათვის და ამდენის ხნის განმავლობაში ცველაფერს მოკლებულისთვის, ძლიერ სა სიამოწმინ იყო.

დიასახლისი, ნიკოლოზის სასახლის ფრეილინად ნამყოფი, კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად, ხოლო რუსულში კი ჰქომლობდა. ის მუდამ პირდაპირ იჯდა, და როცა ხელებს მიმდრავებდა, იდაყვს არა აშორებდა ტანს. ქარს ჰატიისცემით ეპყრობოდა და მეტის-მეტიდ უალერსებოდა. ნებლიუდოვა ისე მიიღო, როგორც თავისიანი და ხოტბა-დიდება შეასხა, რითაც ნებლიუდოვი ნასიამოვნები დარჩია. დიასახლისმა იგრძნობინა ნებლიუდოვს,— ესი შენი თრიგინალური მოქმედება, რომლის გულისთვისაც ციმბირში ჩამოსულხარ, ამისთვის განსაკუთრებულ კაცადა გთვალიო. მეტისმეტმა ალექსმა და ხოტბა-დიდებამ, საუცხოვო საჭმელმა და მდიდრულად მორთულმა სახლმა ისეთი გავლენა იქნია ნებლიუდოვზე. რომ მთლად შესტოპა ამ გვარს ცხოვრებაში, თითქოს ცველაფერი, რაც ამ ბოლო დროს გამოიარა და ის ცხოვრება, რომელიც ამ ბოლო დროს გამოისცადა, სიზმარი იყო, რომლიდანაც ახლა გამოიტხოვდა და დაუბრუნდა სინამდევრლესათ.

სადილად, ვარდა შინაურებისა—გენერლის სიძე ქალიშეილისა და ადიუტანტის—კიდევ ერთი ინგლისელი ვაკარი და შორეულ-უიშბირის ქალაქის გუბერნატორი იყვენ. ამ ხალხის ნახვა ძლიერ სა-სიამოენოდ ჰქონდა ნებლიუდოვს.

ინგლისელი კარგი მოსული, ჯან-სალი კაცი იყო და ძალიან უფრად ლაპარაკობდა ფრანგულად, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამდევილობრიტორულის მცერმების დამტკიცებით ინგლისურ ენაზედ; ცველაფერი ძლიერ აინტერესებდა, — ბევრი რამ ენახა თავის სიკოცელეში და სი-ურადებო ამბებს უამბობდა აშერიკისა, ინდოეთსა, ინპონიასა და ციმბირზედ.

ახალგაზრდა ვაჭარი იყო ოქროს მაღნების მწარმოებელი, შეილი უბრალო გლეხისა, უკანასკნელ მოდაზე შეკერილ ფრაյში გამოწყვეტილი, ბრილიანტის დუგმებით; ამ ვაჭარს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და დიდი ქველმოქმედი იყო. მიმართულებით ლიბერალობდა; ნებლიუდოვისთვის ძლიერ სასიამოენო იყო ეს გარემოება, რადგან იგი წარმოადგენდა ეეროპის წყალობით შექმნილ ახალ ტიპს წინად გაუთლელ გლეხისას. შორეულ ქალაქის გუბერნატორი, დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი—ჩამრგვალებული კაცი იყო ცისფერ თვე-ლებით და თეთრის ფუნთუშა ხელებით, რომელზედაც მრავალი ძეირ-



ფისი ბეჭდები ჰქონდა გაკეთებული. სახლის პატრონის იმტკიცების შესახებ
წონდა გუბერნატორი, რომ ქრისტიანი არ იღებდა. დიასახლის კი, რო-
გორც მუსიკის თაყვანის მცემელს, იმიტომ უყვარდა, რომ კარგი მე-
მუსიკე იყო. ნებლიუდოვები ისეთ ხსიათზე იყო ამ დღეს, რომ მისი
სტუმრობაც სასიამოვნო იყო დიასახლის სათვის.

ზელასთვის სასიამოვნო სტუმარი იყო იგრედე აღიუტანტი
მხიარულის, ენერგიულის სახითა და თავისი გულეთილობით.

ზელაზედ უფრო ნებლიუდოვს გენერლის ქალიშვილი და მისი
ქმარი მოეწონა.

ქალი ოქტა ლამაზი არ იყო, მაგრამ მეტის-მეტად კეთილი იყო
და მთელი თავისი გრძნობა-გონება პირელის თრის შეილისენ ჰქონ-
და მიეცეული; მისი ქმარი, რომელსაც მშობლებთან დიდის ჩხებისა
და დაეიდარაბის შემდეგ სიყვარულით გაპყა ცოლად, ლიმერალი და
მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი, ფრიად კეყიანი და შევიდი
კაცი იყო, მსახურებდა და სტატისტიკურ ცნობებსა ჰქონდა, განსა-
კეთრებით უცხო ტამთა შესახებ, რომელთა შესწავლასაც ბეჭრ დროს
ანდომებდა და ცდილობდა დაეხსნა გადაშენებისგან.

ზელა ალექსიანად და სიყვარულით ექცეოდა ნებლიუდოვს და
უხაროდათ მისი ნახევა, როგორც უცხო და საპატიო კაცისა. გენერა-
ლი გამოვიდა სასალილო თათხში; სამხედრო სერთუქში იყო და თეთ-
რი ჯვარი ჰქონდა ყელზედ. მიესალმა ნებლიუდოვს, როგორც ძევლ
ნაცნობს, და მიიწვია ზელაზედ. გენერალი შევითხა, რა
ჰქონი შენის საქმეებისაო. ნებლიუდოვმა უამბა: წავედი ფოსტაში, სა-
დაც დამხვდა კატოს შეწყარების ქაღალდი, რომელზედაც დილია-
მოვახსენებდითო, და ხელმეორედ სოხოვა სატუსალოში შეხელის ნე-
ბართვა.

გენერალს უმაყოფილება გამოეხატა სახეზედ იმის გამო, რომ
სადილის დროს საქმეზედ ჩამოუდეს ლაპარაკი, კოპები შეიკრა და
არა უთქვაშა-ჩა.

— არაყს მიიჩრომევთ — მიმართა გენერალმა ფრანგულად ინ-
გლისელს.

ინგლისელმა არაყი დალია და სოქვა, დღეს ტაძარი და ქარხა-
ნა ვნახე და აზლა კი სატუსალოს ნახევ მსურსო.

— ძალიან კარგი; — სოქვა გენერალმა და მიუბრუნდა ნებლიუ-
დოვს — თქვენც შევიძლიათ ამასთან ერთად. დაუწერეთ შესველის ბა-
რათი, — მიმართა აღიუტანტს.

— როდის გნებავთ ნახოთ — ჰკითხა ნებლიუდოვმა ინგლისელს.



— სალამოზედ მირჩევნია ენახო,—უთხრა ინგლისელმა: — ყველა და გარები არ იქნებიან. ყველა უერთი ისე იქნება, როგორც არის.

— აა! მაგათა პსურთ ნახონ სატუსალოს მშვენიერებით შემკული სურათი! რა მენაღვლება, ნახოს. მივსწერე სადაც ჯერ იყო, მაგრამ ჩემსას არ ისმენდენ. დედე, გაიგონ უცხოეთის გაზირებიდან! — სოფერა გენერალშა და მიყიდა სურასთან სადაც დიასახლისი ეპატა-გუბოდა სტუმრებს საღილზე და ყველას თავის ალაგს აჩვენებდა.

ნებლიუდოვი დიასახლისა და ინგლისელს შეა იჯდა. მის პირდაპირ გენერალის ქალიშვილი და დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი იჯდა.

საღილის დროს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდენ, ხან ინ-დოეთზედ, სადაც ინგლისელი ყოფილიყო, ხან ტონინის ექსპედი-ციაზე, რომელსაც სასტიკად ჰეიტბავდა გენერალი, და ხან საზოგა-დოდ ციმბირის გარყვნილებასა და მექროთამეობაზე. ყველა ეს ამძები მაინცა-და-მაინც არაფრად აინტერესებდა ნებლიუდოვს.

მაგრამ საღილს შემდეგ, ყავის დროს, საყურადღებო ლაპარაკი მოუხდათ დიასახლისა და ინგლისელს გლადსტონის შესახებ და ნებლიუდოვმა წარმოიდგინა, რომ ინგლისელმა ბეჭრი საგულისხმიერო რამ სოფერა, რაც შეუმნიერესო არ დარჩა არავის. ნოუიერ საღილის შემდეგ, ყავაზედ, რბილ საერთოელში მჯდომის, გალაღებულ და აღერ-სიან ადამიანთა შორის, ნებლიუდოვი თან-და თან გამხიარულდა და უსაზღვრო სიამოვნებასა ჰერძნობდა., როცა ინგლისელის თხოვნით დეპარტამენტის დირექტორად ნამყოფი და დიასახლისი მიუსხდენ ფორტეპიანოს და ბეთოვენის მესუთე სიმღონია საუცხოეოდ ჩაარაკ-რავს, ნებლიუდოვი მოთავარ სმენად გარდაიქცა და ისეთი სიამოვ-ნება იგრძნო, რომ ასეთი თავის დღეში არა უგრძევნია-რა, თითქოს ახლა გაიგო, თუ რა კარგი კავი იყო.

როიალ სამიგალითო იყო და სიმფონიაც კარგად შეასრულეს. ნებლიუდოვს თეითეულა ხმა ნექტარიერით უვლიდა ტანში და თვალთ ებნიდებოდა.

ნებლიუდოვმა ულრემესი მალლობა გაღაუხადა დიასახლის პა-ტივისცემისათვის და ის იყო გამოთხოვებას აპირებდა, რომ მასთან მიეიიდა გენერალის ქალი და გაწითლებულმა უთხრა:

— თქვენ მეყითხებოდით ჩემის ბავშვების შესახებ; გნებავთ ნა-ხოთ?

— მაგათა ჰერძნია, რომ ყველასათვის საინტერესოა მისი ბავ-შვების ნახვა,—სოფერა დედამ ლიმილით: — თავადს სულაც არ ეინტე-რესება!



— სრულიადაც არა! პირიქით, ძალიან მეინტრესტჩენსთქვა
ნებლიუდოვმა:—მიჩვენეთ, გვთაყვა.

— თავადი მიშეგვს თავის ბავშვების სანახავად, —სთქვა სიკი-
ლით გენერალმა, რომელიც ბანქოს სათამაშო მავიდას მისხდომოდა;
მასთან ისხდენ სიძე, ოქროს მაღნების მწარმოებელი და აფიციერი-
ადიუტანტი. —შეასრულეთ, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

ახალგაზრდა ქალი მეტად აღელვებული იყო იმის გამო, რომ
ახლა მისი ბავშვები უნდა გაესინჯათ, და ჩქარის ნაბიჯით მიღილდა
ოთახისკენ. მესამე თეთრ შეალერიან მაღალ ოთახში, რომელსაც
ზომიერად ამოწეული ლამპა ანათებდა, თრი პატარა საწოლი იჰვა;
საწოლებს შეა იჯდა თეთრ ჭინსაფარიანი ძიძა, რომელიც ადგა და
თავი დაუკრა. დუდა დაიხარი პირები საწოლისაკენ.

— აი, ეს კატო არის, —სთქვა მან და საბანი გალსწორა გრძელ-
თმიან თრის წლის გოგუსი; კარგია, არა?

— საუცხოვოა!

— ეს ესიოუაა, ბაბუამ უწოდა ეს სახელი. სულ სხვა ტიპია.
ციმბირელია.

— დიალ, მშეენიერი ბავშვია, —უთხრა ნებლიუდოვმა.

— მართლა? — სთქვა დედამ მრავალ მნიშვნელოვანის ლიმი-
ლით.

ნებლიუდოვმა მოიგონა ბორკოლები, მოპარსული თავები, ცემა-
რუები, გარუნილება, მომაკედავი ქრისტოფი და კატო თავისი
წარსულით, მოიგონა ყოველივე ეს და შეშურდა ასეთი ცხოვრება;
ნებლიუდოვს უნდოდა თავისთვისაც ისეთი ნაზი და წმინდა ბედნიე-
რება, როგორც მას ეჩვენებოდა იმ წევთში.

რამდენჯერმე განიმეორა ბავშვების ქება, რითაც დედა დიდად
კმაყოფილი დარჩა, და გამოვიდა სასტუმრო ოთახში, სადაც ინგლი-
სელი უტდიდა, რომ ერთად წასულიყვნ სატუსალოში. ნებლიუდოვი
გამოიხსოვა მასპინძლებს და ინგლისელთან ერთად გავიდა გარედ.

ცუდი დარი იყო. თოვლის სახლის სახურავები და ხეები თეთ-
რის სუღარით შეემოსა. ნებლიუდოვმა უბრძანა ინგლისელის მეეტ-
ლეს სატუსალოში წასულიყო, თეითონ ჩიჯდა თავის ეტლში და უკან
გაძევა.

XXV

თუმცა უველავერი თეთრს მანტიაში იყო ვაზვეული, მავრამ
სატუსალოს შენობა თავის დარიჯითა და მიბუტულის ფარნებით
ისე ნალელიანად და მრისხანედ გამოიყენებოდა, რომ საშინლად
კმოქმედებდა ადამიანზე.



გამობრძანდა დიდებული სატუსალოს უფროსი და წითელითხმულადაც ფარნის ახლოს შესვლის ნებართვის ბარათ, რომელიც ნებლიუდოფისა და ინგლისელისათვის მოყათ, გაკვირვებით მხრები იჩქრა, მაგრამ რაჯი მეტი ჩარა არ იყო და ბრძანება უნდა აესრულებინა, მიიწვია სატუსალოში.

შეეიდენ კანტორაში, სადაც უფროსმა სკამი მიართება და სოხოვა აესხნა ასე უდროოდ მათის მობრძანების მიზეზი. როცა ნებლიუდოფიმა უთხრა, ძლიერ საჭიროა ახლავე ვნახო მასლოვას ქალიო, უფროსმა გაპეზავნა ზედამხედველი მოსაყანად და თვითონ კი მოემზადა, რომ ინგლისელი შეკითხვაზედ პასუხი მიეკო.

— რამდენის კაცისთვის არის აეგბერლი სატუსალო? — ეკითხებოდა ინგლისელი ნებლიუდოვის პირით: — რამდენი ტუსალია? რამდენი კაცია? რამდენი ქალი და ბავშვია? რამდენია საკატოროე, გადასახლებული, თავის ნებით გამყოლნი? რამდენია ავადმყოფი? და სხ.

ნებლიუდოები თარგმნიდა ინგლისელისა და უუროსის სიტყვებს, თუმცა თვითონ უურადლებას არ აქცევდა ამ სიტყვების შინაარსს, რაღაც ძალიან აღელვებული იყო კატოს ნახევის მოლოდინით.

იმ დროს, როდესაც ნებლიუდოები ინგლისელის სიტყვებს უთარებინიდა სატუსალოს უფროსს, უცბად გილო კარები და შემოვიდა სატუსალოს ზედამხედველი, რომელსაც კატო შემოჰყვა.

„მეც ცხოვრება მინდა, მინდა ოჯახი, კოლ-შეილი, მინდა ადამიანურად ცხოვრება“, — გაუულეა ნებლიუდოების თავში იმ დროს, როცა კატო ჩემარის ნაბიჯით თაობში შემოდიოდა.

ნებლიუდოები წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კატოსკენ და გაჩერდა. კატოს თუმცა ჯერ არაფერი ეთქეა, მაგრამ ისე გაელვებული იყო, რომ მისმა სახის გამომეტყველებამ განცეიფრებაში მოიყვანა ნებლიუდოები, რომელსაც კატო ისეთი თავის დღეში არ ენახა. მასლოვას ქალი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა და ხელებით მაგრად ჭრუნიდა ხალათის კალთას, თითქოს იმაზედ უნდა ამოიყაროს თავისი ჯვერით.

— იცით ამბავი? — ჰერთხა ნებლიუდოება,

— დიალ, გადმომცეს... და ახლა გადავსწყვეიტე ვითხოვო ველადიმერ ივანოვებითან... — კატო ისე სწრაფად და გარკვევით ლაპარაკობდა, თითქოს წინ-და-წინ შექნდა შეელაფერი გაზეპირებულიო.

— მაშ ეგრე? — უთხრა ნებლიუდოება.

— რა ვენა, დიმიტრი ივანეს ძე, თუ კი მას უნდა რომ მე მასთან ვიცხოვრო — ის უცბად შეკრთა და გამოასწორა — რომ მე მასთან



ეიყო. მე ამაზე კარგი რა მინდა? მე ეს ბელნიერებად უნდა ჩატაროს... ამის შეტი მე თავა მინდა რა.

„ორში ერთი: მან ან შეიყვარა სიმონიონი და არ უნდა გავიღო ის მსხვერპლი, რომელიც მე განწრახული მქონდა ან და მას კიდევ ვუყვარება მე და ჩაღვან ჩემთვის კეთილი უნდა უარს ამბობს ჩემშე და ერთხელ და სამუდამოთ გულში იქლავს თავის სურვილს და უერთდება სიმონსონს—გაიფიქრა ნებლიუდოვნა და მას შერცხვა. მან იღრძნო, რომ ის წითლდება.

— თუ ის გიყვარო...—უთხრა მან.

— რა არის მიყვარს თუ არ შეიყვარს. მე მაგას თავი დაგანებე. ვლადიმერ იღანეს ძე სულ სხვა კაცი არის.

— დიახ, რასაკეირველია,—დაიწყო ნებლიუდოვნა—ის საუცხოვო აღამიანია და მე მეომია...

მან ისევ გააწყვეტინა იმის შემით, რომ ის რაღაცას ზედმეტს იტყოდა მასშე და ან თვით ის ვერ მოასწრებდა ყველაფერი ეთქვა.

— არა, დიმიტრი იღანეს ძე, თქვენ მე მაპატიეთ, რომ იმის არ ვაკეთებ რაც თქვენ გსურთ—უთხრა მან და ალმაცერად, იდუმალებით საესე თვალებით თვალებში ჩახედა — ალბად ისე გამოდის. თქვენც ცხოვრება გინდათ.

მან ის უთხრა მას, რაჭედაც ნებლიუდოვნი ეხლა ფიქრობდა. მაგრამ ეხლა ის გრძნობდა სულ სხვა რამეს, მას არა თუ რცხვენოდა, არამედ ენანგებოდა ყველა ის, რასაც მასთან ერთად ჰქარგებდა.

— მე ამის არ მოველოდი—უთხრა მან.

— რა საჭიროა რომ აქ იცხოვროთ და იტანჯოთ. კმარი რაც იტანჯეთ—უთხრა მან და გაიღიმა.

— მე არ ეიტანჯებოდი, არამედ კარგიდ ვკრძნობდი თავს. მე მინდოდა კიდევ სამსახური გამეწია თვეენოვის თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

— ჩვენ—მან სთქვა „ჩვენ“. და გადახედა ნებლიუდოვნს—არაუერი არ გინდა. თქვენ ისედაც ბეჭრი რამ გააკეთეთ ჩემთვის. თუ თქვენ არა...—მას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა აუკანეალდა.

— თქვენ მე მაღლობა არ უნდა მითხრათ—უთხრა ნებლიუდოვნა.

— რა საჭიროა ანგარიშები: ჩვენს ანგარიშს ლმერთი გაარჩევს—ჩაიღლაბარაკა მან და თვალებში ცრემლები იურიალდა.

— იმ, რა კარგი ქალი ხართ თქვენ—უთხრა მან.

— მე ვარ კარგი?—სთქვა კატომ ცრემლების ყლაპეით და საცოდავმა ლიმილმა გადაუჩინა სახეშვ.

— თქვენ მზადა ხართ? — შეეყითხა ინგლისელი.

— ეხლავე — უპასუხა ნებლიუდოვმა და კრისტენის შესახებ ამბავი ჰქითხა კატოს.

კატო ცოტათი დამშეიდდა და უამბო რაც იცოდა: კრისტენი ძლიერ დასუსტდა გზაში და ის მაშინევე შოათევეს საავადმყოფოში.

მარიამ პავლეს ასული ძალიან სწუხდა, სტოკა მომცველად დაეტოვებინათ საავადმყოფოში, მაგრამ არ გაუშვეს.

— წავიდე? — უთხრა კატომ ნებლიუდოვს, როცა შეატყო რომ ინგლისელი უცდიდა.

— მე არ გემშეიდობებით, კიდევ გნახავთ — უთხრა ნებლიუდოვში და ხელი ჩამოართვა.

— მაპატიეთ — ძლიერს გასაგონი ხმით უთხრა კატომ. მთო თვალები ერთმანეთს შეხვდენ. იმ უწნაურ გამოხედვაში და საცოდაც ღიმილში, რომლითაც მან წარმოსთვეა სიტყვა „მაპატიეთ“, ნებლიუდოვში გაიგო, რომ მის ორ მოსაზრებაში მეორე იყო მართალი — კატოს ის უყვარდა და ფიქრობდა თავის მასთან შეერთებით ის გაუფუჭებდა მას ცხოვრებას, ხოლო რაყი სიმინძლონთან მიღიოდა, ამით ის მის ანთავისუფლებდა და ეხლა განირებული იყო, რომ ის შეასრულა რაც უნდოდა და თანაც იტანჯებოდა მისი მოშორებით. კატომ ჩამოართვა ხელი, მოტრიალდა და საჩქაროდ გაეიდა.

ნებლიუდოვი შემოტრიალდა ინგლისელისკენ, რომ გაპულობდა მას, მაგრამ ის რილაცის სწერიდა უბის წიგნში. ხელი რომ არ შეეწალა ჩამოჯდა იქვე ხის სკამლოგინზე და საშინელი დაღლილობა იყრინო. ის დაილალა არა უძილობით, არა მგზაურობით არა მღელვარებით: ის გრძნობდა რომ მთელმა ცხოვრებამ საშინლად დაქოდა. ის მიეყრდნო სკამლოგინის საზურებს, თვალები დახუჭა და უცბათ მკედარიელით ჩაეძინა.

— გნებავთ ეხლა კამერების ჩამოვლა? — შეეყითხა სატუსალოს უფროსი.

ნებლიუდოვმა თვალები გაახილა და ვერ გამორკეცულიყო სად იყო. ინგლისელშია გაათავა ჩაწერა და უნდოდა კამერების ჩამოვლა. დალლილ-დაქანისული ნებლიუდოვი უგულოდ უკან გავჲდა.

XXVI

გაიარეს დერეფანი და გულის ამრევი შერალი ტალახი, სადაც თითქოს აქ აჩაფერიაო, ორი ტუხალი პირდაპირ იატაქზე შარდზე მიმღვდარიყო. ციხის უფროსი, ინგლისელი და ნებლიუდოვი შეეიდენ პირეველ საკატორო კამერაში. კამერაში კუვალა ტუსილები გრძელ



ხის ტახტზე იწყენ. ტუსალი სულ 70 იყო. მათ შესვლაზე ყველანი ბორჟიოლების ჩამარცხით ზეზე წამოდგენ. ორი ისევ იწყვა. ერთი იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიცისისაგან სულ გაწითლებული იყო, ხოლო მეორე ბებერი, რომელიც გამუდმებით ობრავდა. ინგლისელმა იკითხა დიდი ხანია გახდა აყად ახალგაზრდა? ციხის უფროსმა უთხრა, რომ მოხუცს დილიდან სტუკა მუცელი, მაგრამ რადგან საავადმყოფო მთლად საესეა კერსად მოგათავსეთო. ინგლისელმა უქმაყოფილოდ თავი გააქნია და სოჭვა, რომ მას უნდა რამდენიმე სიტყვა უთხრას ამ ხალხს და სოხოვა ნებლიუდოვს გადაეთარგმნა. როგორც გამოიჩინა ინგლისელს გარდა იმისა, რომ აეჭრა ციმბირში გადასახლებულების ამბავი და სატუსაღოები, აზრიდ ჰქონდა ექადაგნა სარწმუნოებით და გამოსყიდვით დახსნის შესახებ.

— უთხარით მაგათ, რომ ქრისტეს უკოდებოდა იგინი და უყვარლა—სოჭვა მან—და მოკვდი მათოვის. თუ ისინი ირწმუნებენ ამის, თავს იხსნიან.—სანამ ის ლაპარაკობდა ყველა ტუსალები ტახტის წინ იდგენ და ყურს უგდებდენ.

— უთხარით მათ, რომ აი ამ წიგნში ყველაფერი ეს არის ნათქვამი—დააბოლავა მან.—არიან ისეთები, რომლებმაც წერა-კითხვა იცინს? წერა-კითხვის მცოდნე 20 კაცზე მეტი აღმოჩნდა.

ინგლისელმა ამოილო სელის ტოპიკიდან რამდენიმე ყდიანი სახარება და მისცა ტუსალებს და გავიდა შემდეგ კამერაში.

შემდეგ კამერაში იგივე იყო. იგივე სელის შემსულებული მყრალი პერი. სატემელებს შეა კიდა ხატი, ხოლო მარცხნით კარებთან იდგა სიბინძურის კასრი. როგორც სხვა კამერებში აქაც ვიწროთ იწვევ. აქაც ყველანი ხელად ფეხს წამოდგენ. არ ადგა მხოლოდ სამი კაცი. ორი მათგანი წამოდგა და დაჯდა, ხოლო ერთი განიგრძოდა წოლას და ოც კი შეუხედნია ვინ შემოვიდა—ესენი იყვნენ ავადმყოფები. ინგლისელმა იგივე სიტყვა წარმოსოთვა და ორი სახარება გადასცა.

მესამე კამერაში საშანელი ხმაურობა და მიხლა მოხლა იყო. ციხის უფროსმა კარები დააბრახუნა და დაუყვირა „წყნარა“. როცა კარები გააღეს უცბად ყველანი ტახტის წინ გაიჭიმნ, რამდენიმე ავადმყოფის და ორი მოსხებარის გარდა, რომლებიც კბილების ლრკენით ერთმანეთს ჩამაიდებოდენ, ერთს თმაში ეტაუნა ხელი და მეორეს წვერში. ზედამხედველმა მიირბინა მათოან. ერთს დასისხლიანებული ჰქონდა ცხვირი და სახელოთი იწმენდდა, მეორე ჰქირეფ—და წვერიდან გამოვლეჯილ თმებს.

— მამისახლისო!—მრისხანედ დაიყვირა ციხის უკროსმა.

წინ წამოდგა ლამაზი, ძალოვანი კაცი.

— ყოველად შეუძლებელი შეიქნა მაგათი გაშველება, თქვენი მაღალეულობილებაც. — უთხრა მამასახლისმა და მხიარულად გაიღიმა.

— მე მაგათ დავაშოშინებ—ბრაზიანად წარმოსთქვა ციხის უფროსმა.

— ჩახედ ჩხუბობდენ—იყითხა ინგლისელმა.

ნებლიუდოვი შეეკითხა მამასახლისს რაზედ იყო ჩხუბი.

— არაფერი, ისე. ერთმა ხელი ჰქონა, იმინ ხურდა უთავაშა და გაჩაღდა ჩხუბი. — უპასუხა მამასახლისმა ღიმილით.

ნებლიუდოვმა გადაუთარებმნა ინგლისელს.

— მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეოქვა მათთვის—მიმართა ინგლისელმა ციხის უფროსს. ნებლიუდოვმა გადაუთარებმნა.

— შეგიძლიანთ,—უთხრა უფროსმა.

ინგლისელმა ამოილო თვისი ყდიანი სახარება.

— გადაუთარებნეთ, გეთავავა,—უთხრა ნებლიუდოვს:— თქვენა ჩხუბობთ და ქრისტემ-ეთ, რომელიც ჩენენთვის ჩტანჯი, სულ სხვა მა-გალითი გვიჩვენა. ჰქონეთ, იყიან თუ არა, როგორ უნდა მოვექცეოთ ქრისტეს ქანონით იმ კაცს, რომელმაც შეურაცხყოფა მოგვაყენა?

ნებლიუდოვმა გადაუთარებმნა.

— მთავრობასთან ვუჩიველებთ და ის გაარჩევს,—სოჭვა ერთმა და უფროსს შექმნედა.

— კარგად უნდა მიბერტყო და ილარ მოგაყენებს შეურაცხყოფას,—სოჭვა მეორემ.

აქა-იქ სიცილი მოისმა. ნებლიუდოვმა გადაუთარებმნა ინგლი-სელს.

— თვითონა სკადოს ჯერა,—სოჭვა ერთმა.

— ასე ხომ სულ გავვთქეითავს.

— აბა, სკადე,—სოჭვა ეილამაც უკანიდან და გადაიხარხარა. მთელი კამერა ახრიაურდა, ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

ინგლისელი მაინც არ შედრეა. სოხოვდა ნებლიუდოვს, გადაე-კა მათთვის, რომ ის, რაც მათ შეუძლებლად მიაჩინდათ, შესაძლებელია იმათთვის, რომელიც მტკიცე მორწმუნენი არიანო.

— აბა, ჰქონეთ, სვამენ რასმე თუ არა?

— დიალ, ყსეამთ,—მოისმა ერთი ხმა და ისევ საერთო ხარხარი ასტყდა.

ამ კამერაში ოთხი ავადმყოფი იყო. ინგლისელმა იყითხა, რა-ტყომ ცველა ავადმყოფები ერთად არ არიანოს უფროსმა მოახსენა,



თეთო აფალმუოფებში არ ისურვეს ერთად ყოფნათ. გარდა ამისა, ვა-
დამდების სენით არ არიან ავად და ფერშალი მცდამ თვალყურს
აღვენებს.

— მეორე კვირაა თვალით არ გვინახავს, — სთვევ ერთმა.

უფროისმა ურადლებაც არ მიაქცია ამ სიტყვებს და შემდეგს
კამერაში წავიდა. აქაც ის განმეორდა, რაც პირველს ორ კამერაშია
ტუსალები წამოდგრენ, ინგლისელმა რამდენიმე სიტყვა უთხრა, გადა-
სცა სახარება და შემდეგს კამერაში შევიდა; ასევე იყო მეხუთე, მე-
ექვსე, მარჯვენი და მარცხნივ კამერებში.

ნებლიუფონე თუმცა საშინელს დალლილობასა ჰკრძნობდა, მაგ-
რამ რა-ე უარის ტქმა არ შეეძლო, ძალა უნდებურად მიჰყევებოდა მათ
უკან და საცოდავიდ მილისლასებდა.

XXVI

საკატორლებიდან გადასახლებულებთან გადავიდენ, შემდეგ სა-
ზოგადო კამერაში, ეგრეთ-წოდებულ „ობშესტევნნიკებთან“, და თა-
ვის ნებით გამომყოლელებთან. ყველგან ერთი და იგივე იყო: ყველ-
გან სიცივით აკანქალებული, მშიერა-მწყურვალი, ავადმყოფი, დამ-
წყვდეული ტუსალი ისე ერვნებოდა კაცს, თითქო მხეცები არიანთ.

ინგლისელმა სულ დაარიგა სახარება. ახლა აღარ არიგებდა და
ალაკც სიტყვას აშშობდა. ამ სამწუხარო სანახაობაში და მყრალმა
ჰაერმა ისე დაასუსტა ინგლისელი, რომ უმაღლოდ მიდიოდა კამერებში
და ჩჩის აღარ იღებდა. გადასახლებულების კამერაში კარგა ხანს დარ-
ჩენ. აქ მათი ყურადღება მიიპყრო ერთმა ტუსალმა, რომელიც მათ
შესელაზე, როცა ყველა ფეხზე წამოდგა, არც კი განძიეულა. ის ის
ბებერი იყო, რომელიც დილით გაიცნო ნებლიუფონე ბორანზე. ის
დაფლეთილის პერანგის ამარა იჯდა იატაქზე და გაევირებით უკერ-
და შემომსელელთ. ეტყობოდა, რომ ამ დროს ამხანაგებონ ლაპარაკი
ჰქონდა და უკმაყოფილო იყო, რადგან ხელი შეუნალეს. თვალები
ალგზნებული ჰქონდა და მრისხანედ გამოიყურებოდა.

— იდექი! — დასჭირებული უფროსმა.

ბებერი არ ინძრეოდა.

— რატომ ავდგე? უმჯობესია, შენც აქ დაჯექი. რალისაც გე-
ტყვია, — უთხრა მან და ტატზე უჩენა.

— რომ, რომ? — დაიღრიალა უფროსმა და თავზე წაადგა.

— ეცნობ ამ კაცს, — საჩქაროდ უთხრა ნებლიუფონემა, — რაზე
დაიჭირეს?



— პოლიციამ გამოჩენავნა უპისპორტობის გამო. ჩვენა ესთხოვთ, ნე გზანით-თქო, შაგრამ მაინც ჰეჭავნიან,—სოქეა უფროსმა მრისხანედ და ბებერს შეუბლებირა.

— გასწი, გასწი! — მრისხანედ დაუყვირა ბებერმა ნებლიუდოვს: — შექმედე და დასტები, როგორ აძლებენ ტილებს აღამიანთა ხორცით. გასწი, გასწი!!

ნებლიუდოვი გავიდა დერეფანში და მივიდა ინგლისელთან, რომელიც ერთის კამერის კარტანი იდგა და ეკითხებოდა უფროსს მის დანიშნულებაზე. ეს მიცვალებულთა კამერა იყო.

— ოო! — წამოიძახა ინგლისელმა და მოშორდა.

წევულებრივი პატარა კამერა იყო: კედელზე პატარა ლამპა ეკიდა და მქრთალად ანათებდა ტახტზე დაწყობილ ოთხ მკედარ ტუსალის გვამს. ერთი მიცვალებული მაღალის ტანისა, პატარა წუკრიანი და ნახევრად თავმოპარსული იყო. ხელები გულზე ჰქონდა დაქრეცილი და ფეხები ტახტიდან იქეთ-იქით გადავდებული. მის გვერდით მოხუცი ესვენა. დედაკაცის გვერდით კიდევ კაცის გვამი ესვენა, ლურჯ ხალათში. ამ ხალათის დანახვაზე ნებლიუდოვს რაღაც მოაგონდა და, გააერეოდა.

— ეს მესამე ვინ არის? — ჰელისა უფროსს და თვალებს არ უჯერდდა.

— ეს ერთი ბატუნთაგანია. სადილობისას მოასეენეს საავილმყოფლდან, — უპისუხა ზედამხედველმა.

ფეხ-შიველა და გვერდნედ გადაწყვდილის ხელებით ორ მკედარს შეუ ესვენა ქრისტიანობის თავის ლურჯ ფანელის ხალათში. გუშინდ ლის სიბრაზისაგან წამოქარხლებული სახე ახლა საშინლად გაყვითლებული და უძრავი იყო. ნებლიუდოვი მივიდა მიცვალებულთან და შექმნის გაყინულს ხელებს. არა, ეს სიზმარი არ იყო. ჰელისა და თავის წინ ქრისტიანობის გაცივებულს გვამს. ჰელისა და რომ ის, რაც გენერლის სახლში ნახა, სიზმარი იყო, ხოლო ეს კი, რაც აქა ნახა და ის მოქმედება, რომელსაც ეს სანახვი იწყებდა, ნამდვილი ცხოვერება იყო. დიალ, სინამდვილე იყო. საჩქაროდ გამოეთხოვა ინგლისელსა და სატუსალის უფროსს და საშინლად გულ-მოკლული დაბრუნდა სასტუმროში.

XXVIII

ნებლიუდოვს დიდხანს არ დაუძინია, გაცხარებული ბოლოსა სკემდა სასტუმრო თათახში. მისი საქმე კატოსთან გათავებული იყო — და გათავებული იყო ცუდათ. მაგრამ ახლა ეს ბლარ აწებებდა. მეორე



მისი საქმე არა თუ გათავებული იყო, არამედ წინანდებული შეტაცია
აწუხებდა და მეტი შრომა და ენერგია იყო საჭირო.

თვალ-წინ დაუდგა მყრალ და ნესტიან კამერებში დამტკიცეული
ასი და ათასი კაცი, მოაკონდა ის საზარელი ხაზხარი, რომელიც სა-
ხარების სიტუაციაში გამოიწვია ტუსალთა შორის, მოაგონდა ის ბებე-
რი, რომელიც გიფაც იცნეს, და მიკვალებულთა შუა გაწოლილი ფურ-
მერთალი კრისლუოი. ნებლიუდოვს ისევ დაებადა საკითხი: თეოთონ
მე ვარ ვიფი, თუ ის ხალხია, რომელთაც თავიანთი თავი კვეთანები
ჰყონიათ და ასეთ საქმეს კი სჩადიან?—მაგრამ პასუხი ეკრ მოახერხა.
ძნელი იყო პასუხი ამ საგანგებო: როგორ მოვაჭიცებულ ხალხს? გარედ
ხომ ეკრ გამოუშვებოთ საზოგადოების დასალუპავედ?

როცა ბოლთის ცემით დაიღალა, დაჯდა, ამოიღო ჯიბიდგან
ინგლისელის ნაწერები სახარება და მაგიდაზედ დაავდო.

„ამბობენ, აქ ყველაფერია განმარტებულიონ“,—გაიფიქრა. გა-
დაშალა და დაიწყო მათეს სახარების მე-XVIII თავის კითხვა.

შემდეგ მიაშერედა ლამპას და გაშეშდა. ისეთია სხახარულმა
აიტაცა, რომ ისეთი თავის დღეში არაფერი უგრძვნია. თითქოს ამ-
დენის ტანჯვა-წვალების შემდეგ იმოგა ის, რასაც ეძებდა.

მოელი ლამპა არ უშინია, როგორც სხვევიათ იმათ, ვინც პირვე-
ლად სახარებას კითხულობს. სახარების სიტუაციებში პედავდა იმას,
რაც დიდი ხანია ნახელი და გაგონილი პერიოდი, მაგრამ ეკრ შეემჩ-
ნია. ყველაფერი, რასაც კითხულობდა, თითქო ნაცნობი იყო, თითქო
სადღაული წაეყითხნა, თითქოს წინადაც იყოდა, მაგრამ მთლად დარწ-
მუნდებული არ იყო, ახლაც კი გაიგო და დარწმუნდა კიდევ. დარწმუნდა
იმაში, რაც უმთავრესი იყო და რაც მებაღის იგავში იყო გამოყე-
ნილი. მებაღებშია წარმოიდგინეს, რომ ის ბალი, სადაც ისინი გა-
მგზავნეს სამუშაოდ, მათი საკუთრება იყო; რაც ბალში იყო, ყველა-
ფერი მათთვის იყო გაეკეთებული და მათი საქმე იყო—დამტკიცარი-
ცენ მხოლოდ ყველა ამით, დაეკაწეულინათ ბალის პატრონი და მო-
ვალეობის შესახებ.

„ყველაფერი ამაშია“,—ჰეივიკობდა ნებლიუდოვი:—მე ესცხოვ-
რობდი და ყველა ჩეენგანი სცხოვრობს იმ სულელურის მოსაზრებით,
რომ ჩეენი ცხოვრება ჩეენ გვეუთვნის და ჩეენდა დასატყობადა
გვაქვს ბოძებული. ეს ხომ მტკინი სისულელეა. ჩეენ თუ აქ ვართ
გამოგზავნილნი, უთუოდ ვისიმე ნებითა და რაიმე საქმისათვის. ჩეენ
კი ვდიქრობთ, რომ, როგორც სოკოები, დავიბადეთ და ესცხოვრობთ
მხოლოდ ჩეენის მხიარულებისათვის; ცხადია, რომ ჩეენი საქმე ცუდათ

იქნება, როგორც იმ მუშაისა, რომელმაც პატრონის ბრძანება არ აისრულა პატრონის ნება კი ქრისტეს მცნებაშიც აღნიშნული. საკმარისო მხოლოდ შეასრულოს ხალხმა ეს მცნება და ქვეყანაზე შეიიღობა და კაცთა შორის სათხოება დამყარებება.

„ექიმებდეთ სახუცეველსა ღვთისასა და ხიშართლესა მისსა, ხოლო დანარჩენი მოგევით თქვენ“.

„20, ჩემის ცხოვრების საქმე. უკვი გათვედი ერთი და დაიწყო
მეორე. მე კი ვფიქრობდი, რომ ობოლი ვაჩ და არავითარი საქმე
არა მაქას-მეთქი“.

ამ ლაშიდვან ნებლიუდოვისთვის დაიწყო ახალი ცხოვრება; არა
იმიტომ, რომ ცხოვრების ახალს ეითარებაში ჩადგა, არამედ იმიტომ,
რომ მისკან ნახულმა და გამონაცადმა კუკლაფერმა სულ სხვა, ახალი
დანიშნულება მიიღო.

(დასასრული)



2005 12 (1)
6. 1983



บก 2 ๓. ๘๐ ๓๕๓.